ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

დიანა ზოიძე

# არსენ ბულმაისიმისძის ცხოვრება და შემოქმედება

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი

პროფესორი რამაზ ხალვაში

ბათუმი

2021

როგორც წარმოდგენილი დისერტაციის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დიანა ზოიძე

„------“------------------„2021 წ.

# Contents

შესავალი .... 3
თავი I. არსენ ბულმაისიმისძის ბიოგრაფია .... 5
თავი II. ხელთუქმნელი ხატის ჰიმნოგრაფიული ციკლი .... 23
თავი III. ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძისადმი .... 54
თავი IV. გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოჲსნი .... 70
თავი V. შიო მღვიმელის ჰეორტალოგიური ციკლი .... 82
თავი VI. იამბიკური სვინაქსარი .... 98
ძირითადი დასკვნები .... 109
გამოყენებული ლიტერატურა: .... 116
დანართი 1 – არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძისადმი .... 121
(ტექსტი) .... 121
დანართი 2 – უფალო ღაღადყავი ხატისა უხილავისაჲ ამავე გალობითა თქმული არსენი ბულმაისიმისძისგან, ქართლისა კათალიკოზისა .... 122
დანართი 3 – თჳთძლისპირნი ზესთ გამოთქუმისა ჴელით უქმნელისა ხატისანი, ესეცა არსენისგანვე თქმულნი, კათალიკოზისა .... 153
დანართი 4 – შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი საგალობელი .... 190
დანართი 5 – გალობანი წმიდისა შიოსნი, რომელთა თავნი იტყჳან: „არსენი ქართლისა კათალიკოზი შიოს უგალობ“ .... 203
დანართი 6 – შიო მღვიმელის სვინაქსარული ცხოვრება ყველიერ[ი]სა ხუთშაბათსა ჴსენებაჲ საკვირველმოქმედისა წმიდისა მამისა შ ი ო ჲ ს ი .... 211
დანართი 7 – გალობანი წმინდისა მოციქულისა ნინოისნი თავნი იტყვან: „ქებით უგალობ სასოსა ჩემსა ნინოს. არსენი“ უგალობდითსა .... 213
დანაართი 8 – ფევერვარმან რაჲ, ნაკ-ყოს ცხრა ოც და აწ რვა, მიამთაჲ ათერთობს მთენთაჲ სამდაათ ჟამი: [ტბელ აბუსერისძის კომენტარი]: ესე იამბიკონნი ხუთთა თუწთა მეტნი არ იყუნეს: ენასა ზედა ქართულსა და ოთხთა თუწთანი არსენი ბულმაისის ძემან ... ქართლისა კათალიკოზმან. ჩემითა შეხუწწითა. .... 224

# შესავალი

არსენ ბულმაისიმისძე ძველი ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი შემოქმედება არაერთხელ გამხდარა ლიტერატურათმცოდნეთა ინტერესის საგანი, მაგრამ დღემდე არ დაწერილა მონოგრაფიული გამოკვლევა ამ ავტორის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი აღნიშნული ხარვეზის შევსების პირველი მცდელობაა.

არსენ ბულმაისიმისძე XIII საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა და მისი დაინტერესების ძირითად სფეროს ჰიმნოგრაფია წარმოადგენდა.

**არსენის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა ეროვნული სულისკვეთებით გამოირჩევა და ძირითადად დაფუძნებულია ბიბლიურ-ქრისტიანულ მოტივებზე, რაც ლიტურგიკულ აზროვნებას, ტაძრულ ცნობიერებას და რწმენით შემეცნებას გულისხმობს.**

არსენ ბულმაისიმისძე რუსუდან დედოფლის თანამედროვე ავტორია. ეს ის პერიოდია, როცა საქართველო ურთულესი ისტორიული კატაკლიზმების წინაშე იდგა, როცა თავს დაატყდა მონღოლებისა და ხვარაზმელების გამანადგურებელი შემოსევები, რამაც წერტილი დაუსვა ქართული კულტურის ოქროს ხანას.

მიუხედავად მძიმე ისტორიული ვითარებისა, რომლის ეპიცენტრიც ძირითადად აღმოსავლეთი საქართველო იყო, დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო ლიტერატურული პროცესის განვითარება, რისი დასტურიცაა არსენ ბულმაისიმისძის, საბა სვინგელოზის და ტბელ აბუსერისძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომელიც სწორედ ამ ეპოქას განეკუთვნება.

ამ პერიოდში ითხზვებოდა არსენ ბულმაისიმისძის ნატიფი, თეოლოგიურ–ფილოსოფიური იდეალებით აღსავსე საგალობლები

მართალია, ჰიმნოგრაფიული პოეზიის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსენ ბულმაისიმისძის შემოქმედებაში არ არის აღწერილი ისტორიული პროცესები, თუმცა მთელ მის შემოქმედებას ატყვია ისტორიული ეპოქის კვალი; განსაკუთრებით ეს ითქმის

ხელთუქმნელი ხატის საგალობელთა ციკლზე, რომელიც უმძიმეს ვითარებაში ქართველი ხალხის გამხნევებას ისახავს მიზნად.

**თემის აქტუალობა**

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ არსენ ბულმაისიმისძის ბიოგრაფია და შემოქმედება დღემდე სრულად არ შესწავლილა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. არსებობს მხოლოდ ცალკეული მნიშვნელოვანი გამოკვლევები, რომლებიც ნათელს ჰფენენ არსენის ბიოგრაფიისა თუ შემოქმედების ამა თუ იმ ასპექტს, მაგრამ მონოგრაფიული კვლევა ადასტურებს, რომ მრავალი პრობლემა ითხოვდა სიღრმისულ ანალიზს.

**მიზნნები და ამოცანები**

ნაშრომის მთავარი მიზანია არსენ ბულმაისიმისძის ცხოვრებისა და შემოქმედების მონოგრაფიული შესწავლა, ხოლო საბოლოო ამოცანაა არსენ ბულმაისიმისძის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა, რომელშიც შევა ჩვენი ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა და არსენის თხზულებათა აკადემიურად დადგენილი ტექსტები, სათანადო კომენტარების დართვით.

**კვლევის მეთოდები**

კვლევის მეთოდებად ძირითადად გამოვიყენეთ სინთეზური ფილოლოგიურ-ისტორიული ანალიზის აპრობირებული მეთოდი, რაც განპირობებულია იმით, რომ ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს არსენ ბულმაისიმისძის ბიოგრაფიის შესწავლა და მისი შემოქმედების ფილოლოგიური ანალიზი.

არსენის თხზულებების მხატვრული ანალიზის დროს გამოვიყენეთ ინტერტექსტუალური კვლევის მეთოდი, რათა ნათლად გაგვევლო ზღვარი ტრადიციასა და სიახლეს შორის, რასაც მწერლის შემოქმედებაში ვხვდებით.

არსენ ბულმაისიმისძის შემოქმედების თეოლოგიური და სახისმეტყველებითი ასპექტების კვლევის დროს ვიყენებთ ჰემენევტიკის მეთოდს.

**მეცნიერული სიახლე**

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს არსენ ბულმაისიმისძის ცხოვრებისა და შემქომედებისადმი მიძღვნილ პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევას, რაც თავისთავად ქმნის ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეა ისიც, რომ მასში შესწავლილია უახლეს მეცნიერულ კვლევებში დასმული პრობლემები და გამოყენებულია კვლევის თანამედროვე მეთოდები.

**ნაშრომის სტრუქტურა.**

ნაშრომი შესავლის, ძირითადი დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურის გარდა, მოიცავს 6 თავისაგან შემდგარ ძირითად ნაწილს:

თავი I. არსენ ბულმაისიმისძის ბიოგრაფია;

თავი II. ხელთუქმნელი ხატის ჰიმნოგრაფიული ციკლი;

თავი III. ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძისადმი;

თავი IV. გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოჲსნი;

თავი V. შიო მღვიმელის ჰეორტალოგიური ციკლი;

თავი VI. იამბიკური სვინაქსარი;

დანართში წარმოდგენილი გვაქვს არსენ ბულმაისიმისძის თხზულებათა აკადემიურად დადგენილი ტექსტები.

**პრაქტიკული მნიშვნელობა**

ნაშრომი გამოადგებათ ფილოლოგებს, ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარებს, სტუდენტებსა და ისტორიკოსებს, რომლებიც ხვარაზმელთა შემოსევებისა და მონღოლთა ბატონობის დროინდელი საქართველოს ისტორიით არიან დაინტერესებულნი.

## თავი I. არსენ ბულმაისიმისძის ბიოგრაფია

არსენ ბულმაისიმისძე იყო რუსდან დედოფლის თანამედროვე ცნობილი ისტორიული პიროვნება, საეკლესიო თუ საზოგადო მოღვაწე, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი–კათალიკოსი, ჰიმნოგრაფი და მწერალი. ჩვენამდე მოღწეული ცნობებიდან ირკვევა, რომ მისი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობა დაკავშირებულია გამოჩენილ ერისთავთ-ერისთავებთან – ვარდან, ტბელ და აბუსერ აბუსერისძეებთან.

არსენის შემოქმედებითი მემკვიდრეობის უმთავრესი ნაწილი დაცულია ტბელ აბუსერისძის ხელნაწერში (A-85, 1233 წ), სადაც წამოდგენილია ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი მისი ორი საგალობელი – დაწერილი აბუსერ და ვარდან აბუსერისძეების თხოვნით, ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძისადმი და იამბიკური სვინაქსარი.

ანტონ კათალიკოსი თავის „წყობილსიტყვაობაში“ ხოტბას ასხამს არსენ ბულმაისიმისძის შემოქმედებას და მოღვაწეობას, რომელსაც სწორედ აღნიშნულ ხელნაწერში გასცნობია. ამას რამდენიმე გარემოება ადასტურებს:

„მჭევრმეტყველი, მუსიკოსი, მშვენიერი მოშაირე. მხატვრული სიტყვის ოსტატი, ბრძენი და დამფასებელი.

ბულმაისიმის ძე არსენი მწყემსთ-მთავარი
ბრძენ ღვთისმეტყველი, წმიდა ფილოსოფოსი,
მაღალ მჭევრ-მეთქვი, საღმრთო პიიტიკოსი
ლამაზ მუსიკი, მეშაჲრ შვენიერი,
ღირს არს ჴსენებად, სხვათა მამათა თანა.
**შენ მეტაფრასნი, მამაო, აშაირენ**
**ოთხ თთუეთა შინა; ჰგალობ რაჲ შუენიერად,**
**პეტრიწის სტიხთა აუკეთესენ, ბრძენო.**
საწად არს ჩემდა შენთა ფრასისთა სმენა.
გაქებ თან-მსაყდრე, მძნობი ქების სურვილით.

**არსენი, სურვილს ვარდანის, აბუსერის**

**სრულ-მყოფი, ჰგალობს ქრისტეს ხატისა მიმართ,**

ნივთისად კეცის, ვერ-სათქმოდ დაბეჭდულის,

მაღალ-ფარას-რიტორ სძნობს ღმრთის-მეტყუელურად-რე.

**მგზავნი გელათით აბუსერ მთავრისადმი**

(ანტონ ბაგრატიონი, 1980: 253-254).

სრულიად ცხადია, რომ სამივე ხაზგასმულ ისტორიულ-ლიტერატურულ ფაქტს (1. იამბიკური სვინაქსარი; 2. ხელთუქმნელი ხატის საგალობელთ ციკლი, დაწერილი აბუსერისა და ვარდანის თხოვნით; 3. არსენის ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძისადმი) ანტონ კათალიკოსი A-85 ხელნაწერიდან იცნობს.

მაღალ შეფასებას აძლევს არსენს მცხეთის ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტი, ერეკლე მეორის სტამბის მთარგმნელ-რედაქტორი, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე ტრიფილე ჩერქეზიშვილი, რომელმაც იამბიკოთი დაწერილი წინასიტყვაობა დაურთო „ათორმეტთა თვეათა პროლოღიას“. ამ იამბიკონში ტრიფილე ამბობს: „ხუთი თვის წმინდანთა ხსენება დაწერა იოანე ფილოსოფოსმა ჭიმჭიმელად წოდებულმა „ამათ გარდა, არა სადა იყო სხუაო“, ამიტომ „მსურველთა“ სთხოვეს არსენისა მამამთავარსა, ძესა ბულმაისისსაჲ“, რომ მას შეევსო დანარჩენი თვეების წმინდანების ხსენება:

„უწმინდწსმან მან კაცმან, გონება ვჰრცელმან,

ოთხ-თოუჱნი ჰლექსნა, ასტიხნა ორფეოსებრ,

ჶებერვალსა-მარტი ესთა, აპრილ-მაისი,

სხუა ვერღა ჰსცალდა დროთა შეხდომათაგან,

ინება, ჴელჰყო, აღავსნა ნაშტგებულნი“

(ხელნაწერთა აღწერილობა, 1949: 132)

მესამე ცნობა არსენის შესახებ გვხვდება იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“, რომელიც, არსებითად, ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობას“ ემყარება. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პირველწყაროს (A-85 ხელნაწერს) იოანე ბატონიშვილი არ იცნობს, მეტიც, ის ზოგჯერ ამახინჯებს ანტონის ცნობებს: „ესე ნეტარი

არსენ კათალიკოზი **ბულამის-ძე**, ქართველი, იყო მონაზონობით სრული და ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსიო, ამან შეაწყო მეტაფრასნი შაირად შვენიერსა ენასა ზედა, და სხვანიცა სწავლანი, და პორი მღვთისა, ანუ ღვთეების ხატის საგალობელნი, შვენიერ ენასა ზედა რიტორულებ დათხზულნი, რომელიც წარევლინა გელათით ვარდანის აბსერის მთავრისა, და მშვენიერ თხზულებითა ათნო მას. და სხვანიც მრავალნი სწავლანი მოფინა ამერ-იმერთა-მიმართ“ (ბატონიშვილი, 1948: 165-166).

XIX-XX საუკუნეებში არაერთი მკვლევარი დაინტერესდა არსენის საკათალიკო მოღვაწეობითა და ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობით. ამ საკითხებს ეძღვნება თ. ჟორდანიას, პ. კარბელაშვილის, ზ. ჭიჭინაძის, ს. კაკაბაძის, კ. კეკელიძის, ნ. ბერძენიშვილის, გ. მიქაძის, ნ. სულავას, მ. რაფავას, ი. მაკარაძის კვლევები.

მკლევართაგან არსენის ცხოვრებით და მოღვაწეობით პირველად  ისტორიკოსი თედო ჟორდანია დაინტერესდა. მისი მოსაზრებით, არსენ ბულმაისიმისძე ქართლის ეკლესიას მესაჭეობდა 1218-1227 წლებში (ჟორდანია, 1897: 94-97); ამის შემდეგ კათალიკოსობიდან გადამდგარა და დაახლოებით 1240 წლამდის ის მონაზვნად („უბრალო ბერად“) არის შიო მღვიმის ლავრაში (ჟორდანია, 1897: 53), სადაც არსენს დაუწერია საგალობლები (ჟორდანია, 1892: 79-81). მკვლევარს, შეცდომით, არსენ ბულმაისიმისძე ჰგონია აბუსერის და ვარდანის ძმა  (ჟორდანია, 1892: 81).

თ. ჟორდანია ვარუდობს, რომ არსენი გარდაიცვალა 1245-1255 წლებში (ჟორდანია, 1897: 55). ასეთი თარიღის მისაღებად მისი მსჯელობა შემდეგია: მისი აზრით **ვაჰანის** მონასტრის ცნობილი ტიპიკონი დადებულია ივანე სარგისისძე მხარგძელის მიერ, 1227 წლამდე (ვარაუდობს, რომ ივანე ამ წელს გარდაიცვალა). ამ ტიპიკონში მოხსენებულია კათალიკოსი გიორგი, რომ ის, თ. ჟორდანიას მიერვე ნაპოვნი ზატიკის ცნობის მიხედვით, არსენის შემდგომი კათალოკოსობა 1218-1227 წლის ახლო დროს მოდის; 1227 წელს კი, თუ ცოტა უფრო ადრეც არა, უკვე გიორგი კათალიკოსობს (ბერძენიშვილი, 1940: 398).

პოლიევქტოს კარბელაშვილი, თ. ჟორდანიას გამოკვლევაზე დაყრდნობით, გვაწვდის ცნობებს არსენზე: „არსენი 1213-1234 წწ. ბულმაისიმისძე, ძმა აბუსერისა და

ვარდანისა... უკანასკნელ დროს არსენმა თავი დაანება კათალიკოსობასა და შიომღვიმის უდაბნოში დამკვიდრდა სამოღვაწეოდ“ (კარბელაშვილი, 1898: 75). მეორე ნაშრომში პ. კარბელაშვილი მას ქართველ მგალობელთა რიცხვში ასახელებს, ასევე აღნიშნავს მისი მოღვაწეობის თარიღს: „არსენი კათალიკოსი ბულმაისიმისძე 1220-1261 წწ. (კარბელაშვილი, 1900: 73-74).

ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, არსენს დაუწერია ორი თხზულება – „კრება“ და „ბრწყინვალე კვირა“ (ჭიჭინაძე, 1887: 1-2), მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სხვა შრომებში მკვლევარი აღნიშნულ თხზულებებს სხვა ავტორებს მიაწერს: „კრებას“ – მიხეილ კათალიკოსს (ჭიჭინაძე, 1887: 24-15), „ბრწყინვალე კვირას“ – აბრაამ ეპისკოპოსს (ჭიჭინაძე, 1887: 24-15).

არსენის ლიტერატურული მოღვაწეობით დაინტერესებულა ცნობილი მწიგნობარი ნიკო დადიანი, რომელსაც მისთვის სათანადო ადგილი დაუთმია სისტემატური კურსის სახით წაკითხულ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში (ცაიშვილი, 1948: 53). როგორც გ. მიქაძე აღნიშნავს, ლექციის შინაარსი უცნობია (მიქაძე, 1963: 116).

ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე გამოკვლევაში „XIII საუკუნის პირველი ნახევრის კათალიკოზები“ წერდა: „არსენი IV, რომელიც 1224 წელს საქართველოს ეკლესიას განაგებდა, ბულმაისიმისძე – ცნობილი ქართველი მწერალია... ბულმაისიმისძე 1233 წელს კათალიკოსად ყოფილა“. ასევე გახლდათ მწიგნობართუხუცესი“. მკვლევარის თქმით, „ისიც შესაძლებელია, რომ არსენ ბულმაისიმისძე მწიგნობართუხუცესად კათალიკოსად დადგინებამდის ყოფილიყო“ (კაკაბაძე, 1913: 4). 1236 წლის ახლო ხანებში „არსენ IV ბულმაისიმისძეს კათალიკოსობისათვის თავი დანებებული ჰქონია და შიომღვიმეში უბრალო მწირად ცხოვრობდა“ (კაკაბაძე, 1913: 5). მკვლევარის აზრით, არსენი ცოცხალია 1249 წლის ჩათვლით (კაკაბაძე, 1913: 7-8).

არსენ ჭყონდიდელის **სიგელის** აღმოჩენის შემდეგ ს. კაკაბაძემ ზემოთ მოყვანილი დებულებები მნიშვნელოვნად შეცვალა.

საჭიროდ ვთლით, რომ წარმოგიდგინოთ რამდენიმე ადგილი სიგელიდან, სადაც არსენ ბულმაისიმისძეა ნახსენები: „ესე დაწერილი მე, **უღირსმან არსენი ჭყონდიდელ-**

**მწიგნობართუხუცესმან** დაგიწერე ჩემსა ჭყონდიდისა ქონებასა შიგა შენ, **აბულახტარის ძესა მგელასა** და შვილთა შენთა და ფერიზს:

**მას ჟამსა, ოდეს ღმერთმან და ვიკადრო–გამზრდელმა ჩემმა მეფეთ მეფემა რუსუდან ბათოისსა გამგზავნეს სამსახურად, შენ მაშინ თანა მყევ და დიდი მოიჭირვე და ჭირნი ჰნახენ...**

**დამტკიცებები:** [1] ქ. ესე, ვითა ზემოით დამიწერია, მე, უღირსსა **არსენი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესსა** ჩემითაცა ჴელითა დამიმტკიცებია.

**ვინცა შეუცვალოს, იყავნ კრულ, წყეულ და შუჩუენებულ ღმრთისა და ყოელთა წმიდათა მისთაგან!**

**[2] ქ. მე, რუსუდან მეფესა დამინიშნავს.**

**[3] ქ. ჩემ, დავით მეფისაგანცა მტკიცეა.**

**[3] ქ. კირიელეისონ!** ესე, ვითა ქრისტეს სწორსა **არსენი ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოსსა და მწიგნობართუხუცესსა შეუწყალებია მგელაჲ** და შვილნი მისნი და **ღ უ ე რ კ ი** სოფელი სამამულოდ უბოძებია, **მოწმე, დამამტკიცებელი ვარ, მეცა გლახაკი, ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი არსენი. ვინ შეცვალად ჴელ-ყოს, წყეულ და შეჩუენებულმცა არს. და მტკიცე-მყოფელნი** ყოველნი აკურთხნეს ღმერთმან და წმიდამან დედაქალაქმან“ (კორპუსი, 1984: 120).

დამოწმებული სიგელისა და A-85 ხელნაწერის მონაცემებზე დაყრდნობით, ს. კაკაბაძე ასკვნის: „1224-1233 წწ. გარკვევით ცნობილია ქართლის კათალიკოსი არსენ ბულმაისიმისძე... შესაძლებელია მივიღოთ, რომ არსენ ბულმაისიმისძის შემდეგ საკათალიკოსო ტახტზე დამჯდარა მწ. უხუცესი არსენი ჭყონდიდელი, არსენს ჭყონდიდელყოფილს შესდგომია კვლავ ახალი არსენი (თუ ის იგივე არსენი ბულმაისიმისძე არ არის, დროებით, შესაძლებელია, ტახტიდან გადამდგარი) ამისდა მიხედვით **აბულხოტრიძეთა** ჩვენი სიგელის დამამტკიცებელი არსენი კათალიკოსი უნდა იყოს, ვგულისხმობთ არსენ ბულმაისიმისძეს, რომელიც ამგვარად ცოცხალი ყოფილა 1242-1245 წლების ახლო ხანებში. ჩვენი სიგელის მიმცემი არსენი ჭყონდიდელი და მწ. უხუცესი კათალიკოსად შემდეგ, როგორც ჩანს, თანამდებობაზე ცოტა ხანს

დარჩენილა და მწირად შიო-მღვიმეში წასულა, საკათალიკოსო ტახტზე სხვა არსენი მოსულა. არსენი მწიგნობართუხუცეს ყოფილი და შიო მღვიმის მწირი მოსწრებია ამ არსენის სიკვდილს და მისი მოადგილის მიქაელ კათალიკოსის მოსაყრდეობასაც" (კაკაბაძე, 1913, 4).

ს. კაკაბაძის მიერ შედგენილი XIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს კათალიკოსების სია ამგვარად გამოიყურება:

**იოანე –** თამარის დროს XIII საუკუნის დასაწყისში;

**ეპიფანე** – ჩანს 1218 წელს (ანისის ქართული წარწერით);

**არსენი და გიორგი** – (1218-1224 წწ. (შიომღვიმის „ზატიკის" ცნობით);

არსენ ბულმაისიმისძე – ჩანს 1224 წ. და 1233 წ. (შიომღვიმის „ზატიკისა" და უნ. სიძვ. საც. A 85 ხელნაწერის ცნობებით).

**არსენ ჭყონდიდელ კ~ზი.** შიომღვიმეში შემონაზონებული. ცოცხალია 1242-1245 წწ. (ქართლის ე~ვის გრიგოლ **სურამელის სიგელის** მიხედვით და 1249 წ. გვარამასძეთა სიგელით).

**არსენ ბულმაისიმისძე –** (აბულახტარისძეთა და გრიგოლ სურამელის სიგელების მიხედვით) 1240, 1242-45 წწ. ახლო ხანებში.

**მექელ** –1249 წელს (გვარამასძეთა სიგელით)

**ნიკოლოზი** –1250 წლიდან (მსახურთუხუცესი გრიგოლ სურამელის სიგელით).

საყურადღებოა, რომ კ. კეკლიძე არსენ ბულმაისიმისძის საკითხში სარგის კაკაბაძის დასახელებულ გამოკვლევას ემყარება (კეკელიძე. 1956, 343).

აკად. ნ. ბერძენიშვილმა დაწვრილებით განიხილა წინა პერიოდის მკვლევართა შეხედულებანი არსენის მოღვაწეობის შესახებ და პირველმა აღნიშნა, რომ A–85 ხელნაწერში იხსენიება ბულმაისიმისძედ და არა ბულმაისისძედ ან ბულმაისიძედ (ბერძენიშვილი, 1940: 409).

გარდა ამისა, **ნ. ბერძენიშვილი არ ეთანხმება ს. კაკაბაძის** კვლევას და აღნიშნავს, რომ სიის ავტორი ერთ პირად აღიარებს A-85 ხელნაწერით ცნობილ არსენ კათალიკოსს

ბულმაისიმისძეს (ჟორდანია, 1897:  107-108) და შიო მღვიმის „ზატიკით“ ცნობილ არსენს (ჟორდანია,1892: 80-81).

ნ. ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ ს. კაკაბაძე ცდება, რადგან არ არის ცხადი, რომ არსენ ბულმაისიმისძე „1224 წ. საქართველოს ეკლესიას განაგებდა“ (კაკაბაძე, 1913: 4). შიომღვიმის „ზატიკში“ მოთავსებული ქართლის კათალიკოსთა სია, რომელიც, ს. კაკაბაძის აზრით, 1224 წელს უნდა იყოს შედგენილი, უკანასკნელ კათალიკოსად გიორგის ასახელებს, არსენის შემდგომს, ხოლო რაც შეეხება მეორე არსენის მოხსენიებას, ის აშიაზეა მიწერილი ამ ზატიკის გადამწერის მიერ 1270 წელს (ჟორდანია, 1897: 79) და საფიქრებელია, რომ სწორედ მისი ჩანართი ცნობა იყოს (რომ ეს მინაწერი დედანში ყოფილიყო, გადამწერი მას აშიაზე კი არ დატოვებდა, არამედ ტექსტშივე მოათავსებდა). ამიტომ ამ მინაწერის მიჩნევა 1224 წელს შესრულებულად, მკვლევარის აზრით, შეცდომაა. გარდა ამისა, ეს მინაწერი საუკუნო მოსახსენებელს წარმოადგენს (ჟორდანია, 1892: 81) და დაწერილია იმ დროს, როცა მასში მოხსენიებული არსენი უკვე გარდაცვლილია; ამიტომ თუნდაც, ს. კაკაბაძის თანახმად დაგვეშვა, რომ ეს მინაწერი 1224 წელს არის შესრულებული, მაშინაც კი შეუძლებელი იქნებოდა მასში მოხსენიებული არსენისა და არსენ ბულმაისიმისძის ერთ პირად მიჩნევა, რადგან ერთი მათგანი უკვე ცხრა წელია საუკუნო მოსახსენებელს საჭიროებს იმ დროს, როცა მეორე ჯერ კიდევ ჯანსაღადაა  და მხოლოდ მრავალჟამეულობა შეშვენის (ს. კაკაბაძის აზრით, ის 1245 წელსაც კი ქართლის კათალიკოსია) –  (ბერძენიშვილი, 1940: 400).

ნ. ბერძენიშვილის საბოლოო დასკვნის თანახმად, ს. კაკაბაძის დებულება „1224 წ. და 1233, წელს გარკვევით ცნობილია ქართლის კათალიკოსი არსენი ბულმაისიმისძე საეკლესიო მწერალი“ – დაუსაბუთებელია, სახელთა იგივეობის გარდა საერთო არაფერია ამ ორ არსენს შორის (ბერძენიშვილი, 1940: 401).

როგორც აღვნიშნეთ, ს. კაკაბაძის აზრი არსენ ჭყონდიდელის შესახებ შემდეგია: არსენი მწიგნობართუხუცესია 1242-1245 წწ. (დაახლოებით); შემდეგ ის შიომღვიმის მწირია, კათალიკოს მწიგნობართუხუცეს ყოფილი. ცოცხალია ის 1249 წელს. არსენ ბულმაისიმისძის კათალიკოსობა, მკვლევარის მიხედვით,  დაახლოებით 1245-1247

წლებს შორის უნდა მოდიოდეს, რადგან ამის შემდეგ სხვა არსენი კათალიკოსობდა, 1249 წელს კი საკათალიკოსო ტახტი მიქაელს ეპყრა.

სარგის კაკაბაძის სქემის პირველი დებულება აბულახტარისძეთა სიგელის დათარიღებას ემყარება. ნ. ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ დათარიღება – 1242-1245 წლები – შესწორებას მოითხოვს, რადგან 1245 წელს გარდაიცვალა რუსუდანი, რომელიც კარგა ხანია, „ტკბილისა შვილისა თვისისა ნაღვლითა და ტკივილითა მწარითა ილეოდა დასნეულებული“. მისი ძე მეფე დავით ნარინი უკვე რამდენიმე წლის წინ ყარაყორუმს იყო წარგზავნილი. ცხადია, ამ წლებში სიგელის გაცემა, რომელსაც მეფენი – რუსუდანი და დავითი ამტკიცებენ, ვერ მოხდებოდა. საფიქრებელი არაა, რომ დავით ნარინი 1242-1243 წელზე უფრო გვიან წასულიყო, რადგან ყარაყორუმს წარგზავნამდე ბათო ყაენმა „ნარინ დავით მეფე ორი წლისა ჟამთა თვის თანა იპყრა“ და მხოლოდ ამის შემდეგ წარავლინა **„ჩინმაჩინს და ყარაყორუმს“.** 1245 წელს ის უკვე ყარაყორუმში იმყოფებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოდან ის 1242 წლის ბოლოს ან 1243 წლის დასაწყისში გაემგზავრა. ჭყონდიდლის ელჩობა კი ბათო ყაენთან ამაზე უფრო ადრე უნდა მომხდარიყო. 1238-1239 წლებში რუსუდანი ჯერ კიდევ არ ემორჩილებოდა მონღოლებს; ამ დროს ჯერ კიდევ მათ განდევნას ცდილობდა, რასაც მოწმობს მისი წერილი რომის პაპის გრიგოლ IX-ის მიმართ. 1240 წელს პაპის უარყოფითი პასუხი მოდის, დახმარების და შველის იმედი არსაიდნ ჩანს (თამარაშვილი, 1902: 14-17) და რუსუდანიც ბედს ემორჩილება. მკვლევარის აზრით, ამ დროს უნდა წასულიყვნენ ელჩები მისდა „სამსახურად“ ბათო ყაენთან. სიგელი დაწერილია არსენ მწიგნობართუხუცესის ელჩობიდან დაბრუნების შემდგომ. ამიტომ უფრო მართებულია სიგელის დათარიღება 1241-1242 წლებით“ (ბერძენიშვილი, 1940, 403).

მიუხედავად ამისა, ნ. ბერძენიშვილს ეჭვი ეპარება ს. კაკაბაძისეულ დათარიღებაში, თუ ვიმსჯელებთ სიგელის და A-85 ხელნაწერის მიხედვით, არსენ ბულმაისიმისძე 1233 წელს კათალიკოსია და აქტიურად არის ჩართული როგორც საეკლესიო ცხოვრებაში, ასევე – შემოქმედებით საქმიანობაშიც.

A-85 ხელნაწერის მიხედვით, 1233 წლისათვის ის კათალიკოსია, ხოლო კათალიკოსობა, იმდროინდელი საეკლესიო კანონების თანახმად, შეიძლებოდა მხოლოდ 35 წლის ასაკიდან. გ. მიქაძემ ეჭვქვეშ დააყენა ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ არსენი იყო არა ქართლის, არამედ აფხაზეთის კათალიკოსი. ასევე ყურადღება მიაქცია ხელნაწერთა მონაცემებს და დაასაბუთა, რომ არსენი ამ დროს ქართლის (ე. ი. საქართველოს) კათალიკოსია.

საგალობელთა კომენტარებიდან გამომდინარე, მათი შექმნისას არსენ ბულმაისიმისძე ყოფილა საქართველოს (A-85 ხელნაწერის მონაცემებით, ქართლის) კათალოკოსი. ხელნაწერი 1233 წლითაა დათარიღებული, ე. ი. არსენი ამ დროს საქართველოს კათალიკოსია. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არსენი უძველეს ხელნაწერებში, სადაც მისი თხზულებებია შემონახული, იხსენიება ბულმაისიმისძედ. მისი მოხსენიება ბულმაისისძედ ან ბულმაიძედ გვიანდელი, XVII-XVIII საუკუნეების ტრადიციაა. ეს ფაქტი პირველმა ნ. ბერძენიშვილმა აღნიშნა (ბერძენიშვილი, 1940, 409)

ხელნაწერის A 85-ის ცნობების მიხედვით, „ესე უფალო ღაღადყავი ითქუა არსენის მიერ კათალიკოზისა“ (284r). მსგავსი შინაარსის ცნობა დაცულია ხელნაწერის მეორე ადგილას: „თჳთმლისპირნი ზესთ გამოთქუმისა ჴელთუქმნელისა ხატისანი, ესეცა არსენისგანვე თქმულნი კათალიკოზისა“ (284r).



დამოწმებული კომენტარი ეკუთვნის ტბელ აბუსერისძეს – A-85 ხელნაწერის რედაქტორ-შემდგენელს, შესრულებულია კალიგრაფ ბასილის მიერ და ჩართულია ტექსტში. ამიტომ არავითარ ეჭვს არ იწვევს და სადავო არ არის არსენ ბულმაისიმისძის კათალიკოსობა 1233.

A-85 ხელნაწერში არსენი ორჯერ იხსენიება ქართლის კათალიკოსად, თუმცა ეს არ აღმოჩდა საკმარისი; ცნობებმა ვერ მოიპოვა საყოველთაო აღიარება და ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო დღესაც აზრთა სხვადასხვაობა იჩენს თავს.

A-85 ხელნაწერის რედაქტორი ტბელ აბუსერისძე, რომელიც არსენის თანამედროვე და თანამოღვაწეა, იამბიკური სვინაქსარის წარდგინება-სათაურში წერს: „ესე იამბიკონნი ხუთთა თუეთა მეტნი არ იყუნეს ენასა ზედა ქართულსა და ოთხთა თუეთანი არსენი ბულმაისიმისძემან თქუა ქართლისა კათალიკოზმან ჩემითა შეხუეწითა" (224r).

აქვე მოგვყავს აღნიშნული კომენტარის ხელნაწერის ფოტო:



ნ. ბერძენიშვილი ასკვნის, რომ ეს ცნობა აშიაზეა მინაწერი. ის შესრულებულია სინგურით. ხელი ჰგავს ტექსტის ხელს. იგივეობა არ ითქმის, მაგრამ თავი და თავი, მკვლევარის აზრით, აქ ისაა, რომ მთელი ეს მინაწერი რაღაცა ანაფხეკის ადგილზეა მოთავსებული. ამიტომაც ამ მინაწერის ცნობა საეჭვოა მიუხედავად მისი დამაჯერებელი შინაარსისა და პირველ ყოვლისა, საეჭვოა მისი 1233 წლისადმი მიკუთვნება" (ბერძენიშვილი, 1940, 401).

სინამდვილეში არავითარი საფუძველი არ არსებობს, ეჭვი შევიტანოთ დამოწმებული ცნობის ავთენტურობაში. ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მართალია A-85 ხელნაწერი, არ არის გადაწერილი ტბელ აბუსერისძის მიერ, მაგრამ იგი თავიდან ბოლომდე აკონტროლებს კალიგრაფის საქმიანობას და ხშირად შეაქვს ხელნაწერში ცვლილებები. თვით ეს კომენტარიც სქოლიოში ტბელ აბუსერისძეს შეუტანია (აბუსერისძე, 1998: 319). გამომდინარე აქედან, A-85 ხელნაწერში ძველი მინაწერის გაუქმება (გადაფხეკა) და მის ადგილზე ახლის შეტანა ტბელ აბუსერისძის მითითების გარეშე არ მოხდებოდა (არც ის არის გამორიცხული, რომ ტბელ აბუსერისძეს

**თავად ჩაეწერა ხელნაწერში მოკლე კომენტარი), რაც უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენს ხელნაწერის მინაწერებსა და კომენტარებში დაცულ ცნობებს.**

მეორე ცნობა თვით ტექსტშია მოთავსებული და იკითხება: „უფალო ღაღატყავი ხატისა უხილავისაჲ ამავე გალობითა თქუმული **არსენი ბულმაისიმისძისაგან ქართლისა კათალიკოზისა**“ (278v).



**ეს ცნობა უდავოდ ტექსტის ხელითაა ნაწერი, მაგრამ, ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, გამოთქმა „ქართლისა კათალიკოზისა“-ს ნაწილი: „ქართლისა კთკ“ ანაფხეკზეა დაწერილი. ხელი ამ გამოთქმის ნაწილისა საერთოდ ჰგავს მთელი ცნობის ხელს, მაგრამ კიდევ უფრო ჰგავს პირველი ცნობის ხელს, რომ ეს გამოთქმა შემდეგ არის ჩაწერილი, ეს იქიდანაც ცხადია, რომ ჩამწერი იძულებული გამხდარა, ასო „ქ“-ანი ხაზს ქვედა ასოდ ექცია (მაშინ როცა სხვაგან ამ ხელნაწერში ეს ასო სიტყვის დასაწყისში სამხაზოვანია) და ეს იმიტომ, რომ ადგილის სიმცირის გამო და ჩასაწერის მთლიანად მოთავსების მიზნით ეს ბგერა ზემო სტრიქონის ერთი ხაზს ქვედა ასოს („გ“-ანის) ქვეშ დაუწერია. ამავე მიზეზით აიხსნება ის მოვლენაც, რომ სიტყვა „ქართლისა“-ს ბგერები უფრო წვრილია, ვიდრე ცნობის დანარჩენი სიტყვებისა, უფრო წვრილია ისინი, აგრეთვე, „კთკ“ ბგერებზედაც. ჩანს, ჩამწერს, ადგილის სიმცირის შიშით, ერთობ წვრილი ასოებით დაუწყია და როცა საკამაო ადგილი მორჩენია „ქართლისას“-ს დაწერის შემდეგ, „კთკ“ ასოებიც გაუმსხვილებია. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ერთი რამ (ორივე მოყვანილ ცნობათა დაკავშირებით) ცხადია – არსენ ბულმაისიმისძის „ქართლის კათალიკოსობა“ 1233 წელს არ ეკუთვნის.**

სინამდვილეში, „უფალო ღაღადყავის“ წარდგინება-სათაურიც ტბელ აბუსერისძისეულია და მასში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

ამავე ხელნაწერის 293v გვერდზე არსენი კათალიკოსად იხსენიება, თანაც არა აშიაზე ან ანაფხეკზე, არამედ – ტექსტში და ტექსტისავე ხელით:

**„თუესა აგჳსტოსა: ივ: თაყუანის-ცემაჲ ცხოველს მყოფელისა და საუფლოჲსა ხატისა ჴელით უქმნელისაჲ, ოდეს მიყვანებულ იქმნა ედესაჲთ კონსტანტინეპოვლედ, ხოლო მეორედ ვინაჲთგან მოემადლა ნათესავსაცა ჩუენსა... ანტონი მარტმყოფელისა მიერ და დღესა ფერისცუალებისასა ვემთხუწვით კეცსა ზედა გარდამოტიფრულისა ტილოჲსა მიერ: ამისთჳს ეს უფალო ღაღატყავი ითქუა არსენის კათალიკოზისა ესე რომელი ამას ზემოჲთ წერილ არს“.**



აქ მოხსენებული არსენი **კათალიკოზიც**, ცხადია, იგივე არსენი ბულმაისიმისძეა.

ნ. ბერძენიშვილმა, როგორც დავინახეთ, სრულიად უსაფუძვლოდ გამოუცხადა უნდობლობა A-85 ხელნაწერის წინა ორ კომენტარს და ეჭვქვეშ დააყენა არსენის კათალიკოსობა ქართლში (საქართველოში). მეტიც, მკვლევარი უფრო შორს წავიდა, უარი ვეღარ თქვა არსენის კათალიკოსობაზე, მაგრამ იგი არა ქართლის, არამედ აფხაზეთის კათალიკოსად გამოაცხადა: „დაშვება იმისა, რომ, თითქოს **„ქართლსა კთკზისა“** ადგილას აფხეკამდის სხვა რაიმე პატივი (არა კ-ზობა) ეწერა, დაუშვებელი ხდება. მაშ „კათალიკოზისა“ უნდა წერებულიყოო. რამ აიძულა ჩამრთველი საგანგებოდ ამოეშალა „ქართლისა“ ჩაემატებინა? ხომ არ ეწერა იქ „ქართლისა“-ს მაგივრად „აფხაზეთა“ ან „იმერეთა“ (ბერძენიშვილი, 1940, 402).

გ. მიქაძე მიიჩნევს, რომ სქოლიოში წარმოდგენილი მინაწერის „ხელი ჰგავს ტექსტის ხელს“, მაგრამ მაინც „იგივეობა არ ითქმის“. მკვლევარი არ ეთანხმება ნ. ბერძენიშვილს და აღნიშნავს: „მართალია, მინაწერის ხელი განსხვავდება ტექსტის ხელისგან, თუმცა მათი დამწერნი ერთი კალიგრაფიული სკოლის წარმომადგენლები უნდა იყვნენ. სწორია ისიც, რომ აღნიშნული მინაწერი ანაფხეკის ადგილზეა მოთავსებული. მაგრამ ეს კიდევ არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ, „მიუხედავად მისი დამაჯერებელი შინაარსისა“, ცნობა საეჭვოდ ვცნოთ. მინაწერის ცნობა არსენის ქართლის კათალიკოსობის შესახებ აშკარად საეჭვო იქნებოდა მაშინ, თუ ანაფხეკზე ეწერებოდა მთლიანად ცნობა კი არა, არამედ მხოლოდ გამოთქმა **„ქართლის კათალიკოზმან“;** რადგან ასეთ შემთხვევაში, მიქაძის აზრით, საქმე გვექნებოდა სიყალბის მქნელობასთან. საინტერესო ის არის, რომ მინაწერი მთლიანად დაწერილია ანაფხეკზე. ეჭვგარეშეა, რომ გამოთქმა „ქართლის კათალიკოზმან“ დაწერილია ამ მინაწერთან ერთად. ესე იგი, ძველი ნაწერი ამოუფხეკიათ არა იმიტომ, რომ აქ პირველად „ქართლისას“ მაგივრად სხვა სიტყვა ეწერა და მისი მოსპობა სურდა ამის ჩამდენს (მაშინ ამ ცნობის დამწერი ამოფხეკდა მხოლოდ ერთ სიტყვას, რომლის მაგივრადაც „ქართლისა“ უნდა ჩაეწერა), არამედ სულ სხვა, ჩვენთვის უცნობი გარემოების გამო (მიქაძე, 1963: 119-120).

როგორც ზემოთ აღინიშნა, მინაწერის ხელი განსხვავდება ტექსტის ხელნაწერისგან. ტექსტი და მინაწერი სხვადასხვა პირის მიერაა შესრულებული. ტექსტი გადაწერილი უნდა იყოს უცნობი გადამწერის მიერ, რომელსაც შეცდომა მოსვლია გადაწერის პროცესში, რის შემდგომ **ტბელ აბუსერისძეს** ამოუფხეკია შეცდომიანი ტექსტი და თვითონ შეუსრულებია ჩვენთვის საინტერესო მინაწერი. ამგვარ, ცნობას გვაწვდის ტბელ აბუსერისძე, რომელიც ცხადად და **გასაგებად ამბობს:** ოთხი თვის იამბიკოები არსენი **„ქართლისა კათალიკოზმან ჩემითა შეხუეწითა“ თქვაო.** ძნელი დასაჯერებელია, რომ ტბელ აბუსერისძეს, რომელსაც ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა არსენ ბულმაისიმისძესთან, არ სცოდნოდა არსენ ბულმაისიმისძე ქართლის კათალიკოსი იყო თუ აფხაზეთის (ან იმერეთის).

აქედან გამიმდინარე, ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება, რომ საეჭვოა მინაწერის 1233 წლით დათარიღება და ნდობას არ იმსახურებს – უსაფუძვლოა. ამას ადასტურებს ტბელ აბუსერისძის სიტყვები: – **„ჩემითა შეხუეწითა თქმული“.** ეს მინაწერი შემდეგი დროისაც რომ იყოს, მაინც უცვლელი სახით იქნება ამოწერილი დედნიდან, როგორც ეს საერთოდ მიღებული იყო მაშინდელ პრაქტიკაში. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ მინაწერის მიხედვით, 1233 წელს არსენი ქართლის კათალიკოსია და ოთხი თვის იამბიკურ სვინაქსარს წერს ტბელ აბუსერისძის თხოვნით.

გარდა ზემოთქმულისა, რუსუდან დედოფლის დროს არსენ ბულმაისიმისძის კათალიკოსობაზე მიუთითებს შემდეგი გარემოებები:

1. XII-XIII საუკუნეებში საქართველოს კათალიკოსები იხსენიებიან „ქართლის კათალიკოსებად“. მაგალითად, ბასილი ეზოსმოძღვარი წერს: „ხოლო წინამძღვართა კრებისათა ნიკოლაოს და ანტონი... არა ინებეს შორის მათსა ყოფად მაშინდელი იგი ქართლისა კათალიკოსი, რამეთუ წინაუკმო იწყო წესთაგან ეკლესიისთა“. საუბარია გიორგი მესამისა და თამარის თანამედროვე საქართველოს კათალიკოს მიქაელზე. „მოკუდა ქართლის კათალიკოსი“ და ა. შ. (სულავა, 2003: 170)
2. XIII საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში არსენის თხზულებას – „გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოჲსნი“ ქარაგმით მიწერილი აქვს ავტორის ტიტული „ქ. კ῀ ზი“ (4r), რაც „ქართლის კათალიკოსს“ ნიშნავს.

3. არსენის საგალობლებიდან ჩანს, რომ იგი „ქართლის სამეფოჲსა მოქალაქეა“.

არსენ ბულმაისიმისძის დაბადება-გარდაცვალების შესახებ ზუსტი ცნობები არ გვაგვს, მაგრამ მაინც ხერხდება მისი მოღვაწეობის დროის გარკვევა.

როგორც ჩანს, წარმოშობით არსენ ბულმაისიმისძე მაღალი წრიდან ყოფილა, რადგან საეკლესიო იერარქიის უმაღლესი თანამდებობისთვის მიუღწევია. გამომდინარე აქედან, მას სათანადო სწავლა-განათლება მიუღია, რაც ნათლად ჩანს მისი ნაწერებიდან, კერძოდ, ფილოსოფიური შინარსის ეპისტოლედან, რომელიც მას გელათიდან გაუგზავნია აბუსერ აბუსერიძისათვის, იამბიკური სვინაქსარიდან და ა. შ.

რაც შეეხება ისტორიული ვითარებას, ამ პერიოდისათვის ძალიან რთული იყო XIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი ხალხის მშვიდი ცხოვრება და ქართული კულტურის აღორძინება მოულოდნელად შეწყდა თათარ-მონღოლების და ხვარაზმელების შემოსევების გამო. საქართველოში მონღოლები პირველად ხვარაზმელებთან ბრძოლამ მოიყვანა. უგზო-უკვლოდ გაქცეულ მიჰამედ ხვარაზმშაჰს ჩინგის-ხანმა მრავალრიცხოვანი ჯარი დაადევნა. 1220 წელს ეს ჯარი საქართველოს საზღვრებსაც მოადგა, დაარბია ქვეყანა და პირი უკუიქცია. რამდენიმე წლის შემდეგ, 1225 წელს, საქართველოს შემოესია ხვარაზმელთა სულთანის-ჯალალედინის მარბიელი ჯარი, რომელიც მთელ აღმოსავლეთ საქართველოს წურბელებივით მოედო. ჯალალ-ედინის ხუთწლიანი თარეშით აოხრებული საქართველო ჯერ კიდევ წელში არ იყო გამართული, რომ 1235 წელს თათარ-მონღოლთა ურდოები ხელახლა მოევლინა მის საზღვრებს. მტერი მთელი ძალით მოიწევდა წინ და აოხრებდა ქვეყანას. მრავალჯერ დაიპყრო საქართველოს ციხეები, ქალაქები, დაბები და სტრატეგიული პუნქტები. 1240 წელს კი უკვე მტერს ეპყრა ქვეყნის მთელი აღმოსავლეთი ნაწილი. დაპყრობას ყოველთვის თან სდევდა მოსახლეობის აუტანელი შევიწროება და კულტურული კერების საშინელი განადგურება.

რთული ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე არსენ ბულმაისიმისძემ, რომელმაც მიზნად დაისახა შეწევნოდა საქართველოს დამშვიდების საქმეს და ინება ქვეყნის შეკრება ერთ მთლიან ორგანიზმად. დაახლოებით 1242 წელს „რუსუდან მეფემ ბათო ყაენთან ვოლგისპირეთში არსენ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი გაგზავნა.(ჯავახიშვილი, 1982: 550). მან მიაღწია ზავს მონღოლებთან, რომლის თანახმად მონღოლთა უმაღლესი ხელისუფლება სცნობდა ერთიან და განუყოფელ საქართველოს სახელმწიფოს ქართველი მეფის მეთაურობით, აღმოსავლეთ საქართველოს გარკვეული ვალდებულება უნდა ეკისრა, ხოლო დასავლეთი საქართველო, როგორც დაუპყრობელი მხარე, მონღოლთა ვალდებულებისაგან თავისუფალი იყო. „ზავის თანახმად, საქართველოს მეფე მონღოლთა უფლებას ცნობდა. დაწესებულ იქნა უფლებრივი განსხვავება ქვეყნის აღმოსავლეთის და დასავლეთის ნაწილებისათვის: ლიხთამერ

საქართველოში, როგორც მონღოლთაგან დაპყრობილ ქვეყანაში, ქართულ ხელისუფლებასთან ერთად უნდა მდგარიყვნენ მონღოლთა მოხეულები და სარდლები (ნოინები) ჯარითურთ. ლიხთიმერეთი კი ამ მხრივ თავისუფალი იქნებოდა. საქართველოს დაეკისრა ყოველწლიურად 50000 პერპერას გადახდა და მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობა. დაზავების შედეგად სამეფო კარი ქუთაისიდან თბილისს გადმოვიდა (ჯაფარიძე, 1999: 112).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სამ ნაწილად იყო დაყოფილი: აღმოსავლეთ, დასავლეთ, სამხრეთ „საქართველოებად". ქვეყანა ერთიანი ორგანიზმი იყო, რომლის ყოველი კუთხე ერთიანი ქართველი ხალხით იყო დასახლებული, რასაც აერთიანებდა ქართული ეკლესია. სამცხეში, ქართლში, კახეთ – ჰერეთსა თუ დასავლეთ საქართველოში, რომლის სულიერი მწყემსი ერისა – ქართული ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი არსენ ბულმაისიმისძე იყო (ჯავახიშვილი, 1992: 62).

ასეთ ურთულეს ჟამს იწერებოდა არსენ ბულმაისიმისძის საგალობლები, რათა ხალხში განემტკიცებინა რწმენა და მტრის ძლევის იმედი.

ამგვარად არსენ ბულმაისიმისძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონოლოგია, ჩვენი აზრით, ასე წარმოვადგინეთ: არსენი ცხოვრობდა დაახლოებით 1185-1250 წლებში, ხოლო საქართველოს კათალიკოსი და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი იყო 1224-1247 წლებში. ხვარაზმელთა შემოსევის დროს არსენი სამეფო კართან ერთად დასავლეთ საქართველოში გადავიდა და 1226-1233 წლები დაჰყო გელათის სავანეში. ამ დროს მისი სვინგელოსის (მრჩევლისა და თანაშემწის) მოვალეობას ასრულებდა სამეფო კარის ეპისკოპოსი საბა. დაახლოებით 1230 წელს დავით VII (რუსუდანის ძე, შემდგომში დავით ნარინი) აკურთხა ქუთაისში რუსუდან დედოფლის თანამოსაყდრედ და "სრულყო... წესი კურთხევისა". გელათში ყოფნის დროს არსენს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ხიხათა (აჭარის) ერისთავთ-ერისთავების სახელოვან წარმომადგენლებთან - აბუსერ, ვარდან და ტბელ აბუსერიძეებთან, რასაც მოწმობს ხელნაწერი A-85 (1233 წ). ამ ხელნაწერში ტბელ აბუსერისძეს შეუტანია არსენ ბულმაისიმისძის 4 ტექსტი: 1. „უფალო ღაღადყავსა ხატისა უხილავისა და სხუანი მეოთხის გუერდისნი გალობანი" (დაწერილი

ვარდან აბუსერისძის თხოვნით); 2. „თჳთმლისპირნი გალობანი ჴელთუქმნელისა ხატისანი მეორის გუერდისნი“ (დაწერილი აბუსერ აბუსერისძის თხოვნით); 3. „ეპისტოლე აბუსერ აბუსერიძისადმი“. 4. „თებერვალ-მაისის იამბიკური სვინაქსარი“ - იოანე პეტრიწის თხზულების გაგრძელება, რომელიც არსენს დაუწერია ტბელ აბუსერისძის თხოვნით. 1233 წლიდან არსენი ისევ მცხეთაშია. რუსუდან დედოფლის თხოვნით, 1240 წელს ის, დავით VII-ის მეფედ დამტკიცების მიზნით, ქართველ დიდებულებთან ერთად, ელჩად იმყოფებოდა ყარაყორუმში ბათო ყაენთან, რასაც გვაუწყებს მისი „დაწერილი“ მგელა აბულახტარისძისადმი: „მას ჟამსა, ოდეს ღმერთმან და ვიკადრო – გამზრდელმან ჩემმა მეფეთ-მეფემა რუსუდან ბათოისსა გამგზავნეს სამსახურად, შენ მაშინ თანა მყევ და დიდი მოიჭირვე და ჭირნი ჰნახენ“. 1247 წელს გუიუქ-ყაენმა ორივე დავითი (VII - რუსუდანის ძე და VIII - გიორგის ძე) დაამტკიცა საქართველოს სამეფო ტახტზე. კათალიკოსის საყდარზე ამ პერიოდიდან არსენ ბულმაისიმისძეს შედარებით ნეიტრალური კანდიდატი სცვლის, თავად მწიგნობართუხუცეს-ყოფილი კი შიო-მღვიმის მონასტერში მიდის, რის შესახებაც ცნობას გვაწვდის „დაწერილი გრიგოლ სურამელისა მღვიმისადმი“. შიო-მღვიმეში მწირობის დროს არსენმა დაწერა წმ. შიო მღვიმელის სვინაქსარული ცხოვრება და “გალობანი წმიდისა შიო მღვიმელისანი”, რომლის აკროსტიქიც შეიცავს ბიბლიოგრაფიულ ცნობას: “არსენი ქართლისა კათალიკოსი შიოს უგალობ” (კეკელიძე 1980: 328).

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ არსენ ბულმაისიმისძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მწირი ინფორმაცია გვაქვს, ხელნაწერებზე დაყრდნობით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსენი გახლდათ XIII საუკუნის უდიდესი ჰიმნოგრაფი, რომლის საგალობლები ფილოსოფიურ-თეოლოგიურ აზროვნების მაღალ დონეს განეკუთვნება; რომელმაც შემოქმედებითი სახით გადმოგვცა თავისი ინტელექტუალური, სულიერი, მორალური, ეროვნული თვითშეგნება ქართული ერის განსაკუთრებულობის, მისი გამორჩეულობის დასაბუთებით. მისი საგალობლები

ცხადყოფს ავტორის მწერლურსა და მჭერმეტყველურ ნიჭს, რომლებსაც ახასიათებთ აღზევებული, ერისა და რწმენის განმადიდებელი სტილი.

არსენ ბულმაისიმისძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIII საუკუნის პირველი ნახევრის თვალსაჩინო საეკლესიო მოღვაწეა, რომელმაც მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მისი თხზულებებიდან ჩვენამდე მოაღწია შემდეგმა ტექსტებმა:

1. ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობელთა ციკლი;
2. ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძისადმი;
3. შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი საგალობლები;
4. წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი;
5. მსოფლიო წმინდანთა სათვეო სვინაქსარი;

ქვემოთ თითოეულ ტექსტს ცალ-ცალკე განვიხილავთ.

## თავი II. ხელთუქმნელი ხატის ჰიმნოგრაფიული ციკლი

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი უკავშირდება მაცხოვრის და ედესის მთავარ ავგაროზის სახელს. ეკლესიის სწავლებით ხატი ზეცისა და მიწის შემაერთებელი, ადამიანის ღმერთთან დამაკავშირებელი სიწმინდეა. ხატი მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო თუნდაც იმიტომ, რომ ეს არის პირველი ნიმუში ხატისა და სწორედ აქედან იღებს ხატწერა სათავეს. პირველი ხატი, რომლითაც ხატების ისტორია დაიწყო, იესო ქრისტეს გამოსახვდა და მის მიერვე შეიქმნა – ადამიანის ხელის შეუხებლად. ხატი არ არის უბრალო ნიმუში ხელოვნებისა, მას დიდი საღვთო მნიშვნელობა აქვს, რომელიც მიგვმართავს, მიგვანიშნებს, უზენაისკენ, პირველსახისკენ.

ამის შესახბ მოგვითხრობს VI საუკუნის აპოკრიფული თხზულება, რომელიც ბერძნულიდან ქართულად XI ს-ში ითარგმნა. საინტერესოა აპოკრიფის ისტორია, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ გაუგზავნა ედესის სნეულმა მეფე ავგაროზმა ეპისტოლე მაცხოვარს. მიმართა ქრისტეს, გამოხატა მისდამი რწმენა, სთხოვა სწვეოდა და სნეულებ-ისაგან განეკურნა იგი. საპასუხო ეპისტოლეში ქრისტემ ავგაროზს აღუთქვა, რომ ამაღლების შემდეგ წარავლენდა თავის მოწაფეს მის განსაკურნავად და ედესელთა მოსაქცევად. აქვე ნათქვამია, რომ ეს ეპისტოლე სასწაულმოქმედი და ნაირგვარ სნეულებათაგან განმკურნებელი იყო. ქრისტემ ეპისტოლე შვიდი ბეჭდით დაბეჭდა; ეპისტოლეს დართული აქვს ბეჭედთა განმარტება. ავგაროზ მეფეს ეუწყა, რომ ებრაელნი მესიის მოკვლას ლამობდნენ. მან წარგზავნა მალემსრბოლი და მხატვარი, რათა ქრისტეს ხატი დარჩენოდა კაცობრიობას. მხატვარმა ვერ შეძლო მაცხოვრის სახის გამოსახვა. მაშინ ქრისტემ დაიბანა პირი და მხატვარის ტილო დაიდვა სახეზე და ტილოზე სახე გამოისახა. მალემსრბოლის საშუალებით ქრისტემ თავისი ხატი, რომელიც მანდილიონის სახელითაა ცნობილი, ავგაროზს გაუგზავნა. გზად მალემსრბოლმა და მხატვარმა ღამე გაათიეს წმიდა ქალაქ ჰიერაპოლისში, მეკეცის სახლში. **მანდილიონი თიხის ორ ფირფიტას, ორ კეცს შუა ჩადეს**. შუაღამისას ნათლის სვეტი დაადგა იმ ადგილს, სადაც უფლის ხატი იყო. ქალაქის მკვიდრნი შეიყარნენ სასწაულის სახილველად, მათ მაცხოვრის ხატის წაღება სურდათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხატი ერთ-

ერთ კეცზე აღბეჭდილიყო. ჰიერაპოლისის მკვიდრნი დადუმდნენ და კეცზე აღბეჭდილი დაიტოვეს ხატი, რომელიც ჰიერაპოლისის კერამიდიონის სახელითაა ცნობილი, მანდილიონი კი მალემსრბოლმა ედესაში წაიღო. ქალაქის მისადგომებთან „განრღვეული ვინმე" შეეხო ხატს და მსწრაფლ განიკურნა; ასევე განიკურნა ხატის შეხებით ავგაროზი. ამაღლების შემდგომ ქრისტემ ავგაროზს მოციქულად მიუვლინა თადეოსი, რომელმაც ნათელი სცა მას, მის სახლეულს და ავგაროზი კეთროვანებისაგან განკურნა. ამ ხატს მიეწერებოდა სასწაულებრივი ძალა სნეულებათაგან მორწმუნეთა დახსნისა და დაცვა-მფარველობისა (გიგინეიშვილი, 1977, 42).

ავგაროზის გარდაცვალებიდან მოკლე ხანში ქალაქის მფარველ სიწმინდეს მგმობელები გამოუჩდნენ. მათი აზრით, იგი კერპს უთანაბრდებოდა და მისი პატივისცემა კერპთაყვანისმცემლობას ემსგავსებოდა, რაც უფლის ათი მცნებიდან ერთ-ერთის – კერპთაყვანისმცემლობის აკრძალვის – დარღვევას წარმოადგენდა. ხატს წინ კედელი ამოუშენეს, მაგრამ ხატმა „თავი არ დამალა". VI საუკუნეში, როდესაც ედესას ხოსრო მეფის წინამძღოლობით სპარსთა დიდი ლაშქარი მიადგა და ქალაქის დაცემა გარდაუვალი გახდა, იქაურმა ეპისკოპოსმა გაიხსენა მფარველი ხატი და გადაწყვიტა, მისთვის ეთხოვა დახმარება. კედლის გახსნისას აღმოჩდა, რომ მაცხოვრის ხატის წინ ჩაუმქრალი კანდელი იდგა, უფლის გამოსახულება კი იმ თიხის ფილაზეც გადასულიყო, რომელიც მას თვალთაგან იფარავდა. კანდელიდან გადმოღვრილმა ალმოდებულმა ზეთმა მტრის ლაშქარი დაწვა, რის შედეგადაც ქალაქი გადარჩა. თავდაპირველმა სასწაულთმოქმედმა ხატმა კიდევ ერთი, განსხვავებულ მასალაზე გადასული, ხელთუქმნელი ხატი „დაბადა", ორივეს შეწევნით კი მტერი დამარცხდა. (ზურჭულაძე, 2016: 15)

ამგვარად არსებობდა სამი ხელთუქმნელი ხატი: 1) მანდილიონი, ანუ ტილოს ხატი, რომელიც მაცხოვრის პირისახეზე დადებით გამოისახა ედესის მთავარ ავგაროზისთვის, ამიტომ მას ედესის მანდილიონსაც უწოდებენ, რადგან 966 წლამდე ედესაში იყო დაცული; 2) ჰიერაპოლისის კეცის ხატი, ანუ კერამიდიონი, რომელიც ედესის მანდილიონიდან „გადაიტვიფრა", როცა იერუსალიმიდან ედესაში მიმავალი თადეოზ

მოციქული მეკეცეთა დასახლებაში შეჩერდა; 3) ედესის კეცის ხატი, ანუ კერამიდიონი, რომელიც, ასევე, ედესის ტილოს ხატიდან „გადაიტვიფრა“ ქალაქის კარიბჭეზე მის წინ აფარებულ კეცზე.

რაც შეეხება უშუალოდ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის რაობას, წერილობითი წყაროები და ხატის წარწერები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მაცხოვრის ხატი წარმოადგენს „ხელთუქმნელი“ ხატს, რომელსაც ეწოდება „ხატი განკაცებისა“, „პირი ღმრთისა“, „ედესის ხატი“, გადმოცემის თანახმად აღნიშნული ხატი არის ედესის მაცხოვრის განთქმული „ხელთუქმნელი“ ხატი, ტილოზე ანუ მანდილზე გადატანილი ხატის ტიპი, რომელსაც „ტილოს ხატი“ (მანდილიონი) ეწოდებოდა (ამირანაშვილი, 1956, 7).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ სამმა უდიდესმა ქართველმა ჰიმნოგრაფმა მიუძღნვა მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს საგალობელი, რომლებშიც ხატის საქართველოში ჩამობრძანების ვერსიები აისახა: კერძოდ, იოანე ანჩელის „გალობანი ანჩისხატისანი“ გვაუწყებს, რომ ანჩის მაცხოვრის ხატი ჰიერაპოლისიდან კლარჯეთში ჩამოასვენა ანდრია პირველწოდებულმა: „ანდრია თავი მოციქულთა, პირველწოდებული მოწაფე მეუფისა დიდისა, იდიდებდენ უღაღთა ღადოთა კლარჯეთისათა, იერაპოლით მოვიდა და ხატი ესე საშინელი ჩუენ მოსავთა მისთა მოგუანიჭა“ (სულავა, 2003, 232).

ანჩის ენკაუსტიკური ხატი საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდეა, რომელიც საგანგებოდ შეისწავლა შ. ამირანაშვილმა და მეექვსე-მეოთხე საუკუნეებით დაათარიღა. გამოკლევის შედეგად დადგინდა, რომ მაცხოვრის გამოსახულება ეკუთვნის ხელთუქმნელი ხატის **იკონოგრაფიულ** ტიპს, მეოთხე-მეხუთე საუკუნეებში სირია-პალესტინაში იღებს სათავეს აქედან გამომდინარე იოანე ანჩელის საგალობელში ანჩის ხატის თავდაპირველ ადგილსამყოფელად სიირის ქალაქ ჰიერაპოლისის გამოცხადება განსაზღვრული ტრადიციის ამსახველი უნდა იყოს. (ხალვაში 2011, 44).

ანჩის მაცხოვრის ხატის სამოციქულო ქადაგებასთან კავშირი და ჰიერაპოლისურ კერამიდიონთან მემკვიდრეობა იოანე ანჩელს იმის საფიძველსაც უქმნიდა, რომ თამარის დროინდელი საქართველოს პოლოტიკური მიღწევები ამ სიწმინდისთვის დაეკავშირებინა. იოანე ანჩელის მიზანდასახულობა სავსებით ნათელი იყო, მან ხოტბა მიუძღვნა მაცხოვრის უძველეს ხატს საქართველოში, რომლის სახელზეც ანჩის საკათედრო ტაძარი იყო აგებული.

საგალობელთა შექმნის ეპოქის გათვალისწინებით, ნათლად იკვეთება არსენ ბულმაისიმისძისა და საბა სვინგელოზის მიზანდასახულობაც. ეს ის დროა, როდესაც საქართველოში აღმოსავლეთიდან მაჰმადიანური ტომები გამოჩნდნენ ქვეყნის დასაპყრობად და ქრისტიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად. არსენ ბულმაისიმისძემ ქართველ ერს შეახსენა თავისი მოვალეობა, ფუნქცია, რომ იგი რჩეული, საზეპურო ერია.

ერის რჩეულობის იდეა საქართველოში IX-XII საუკუნეებში მესიანიზმის სახით გამოვლინდა, სანიმუშოდ დავასახელებთ გიორგი მერჩულის, ლეონტი მროველის, გიორგი მცირის, ნიკოლოზ გულაბერისძის, თამარის ისტორიკოსების, ჩახრუხაძისა და შავთელის ნაწარმოებებს. XIII საუკუნის 20-30-იან წლებში, ჯერ კიდევ აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოში, არსენ ბულმაისიმისძემ ქართულ სახელმწიფოში დამკვიდრებული ტრადიცია გააგრძელა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული სახემწიფოებრიობის აღორძინებისა და ქვეყნის გაერთიანების ხანის დახასიათებისას რამდენიმე ნიშანი გამოიყო მესიანისტური იდეისა, რომელიც ერის საჭიროებით, ეროვნული ცნობიერების, ეროვნული თვითშეგნების გააქტიურებით იყო გამოწვეული.

1. საქართველოში, მცხეთაშია დაკრძალული ქრისტეს კვართი;

2. საქართველოში ინახება ის სამსჭვალი, რომლითაც მაცხოვარი ჯვარზე დამსჭვალეს;

3. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა;

4. ქართული ეკლესია სამოციქულოა, საქართველოში ქრისტიანობა ქრისტეს მოციქულებმა იქადაგეს;

5. ბაგრატიონთა სამეფო დინასტია იესიან-დავითიან-სოლომონიანად არის მიჩნეული; ქართველი ბაგრატიონები ქრისტეს ნათესავები და ჩამომავლები არიან, რაც ამ სამეფო დინასტიის განსაკუთრებულობას მოწმობს. ამის დასტური იყო ბაგრატიონთა სამეფო გერბზე ბიბლიური დავითის ქანარისა და შურდულის გამოსახვა.

6. საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და ზეობის ჟამს ქართველი მეფეები, მოყოლებული გიორგი პირველიდან, „მესიის მახვილად“ იწოდებოდნენ, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ ქართველები ქრისტეს მოძღვრების დამცველებიც იყვნენ და გამავრცელებლებიც.

7. ქართულ მწერლობაში დამკვიდრდა ტრადიცია ქრისტესთან ქართული ენის დაკავშირებისა, რის დასტურიცაა საგალობელი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ და გიორგი ათონელის ჰაგიოგრაფიული თხზულება „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება“.

8. საგულისხმოა ცნობები საქართველოში შემოტანილი ელიას ხალენზე, რომელიც ქრისტეს კვართის ჩვენში დავანების წინა სახეა.

9. ყოველივე ამას უნდა დაემატოს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის, „კეცზე“ გადატვიფრული ხატის კერამიონის საქართველოში ჩამოტანა. ამ სულისკვეთებით და იდეითაა გამსჭვალული მაცხოვრის გამოსახულებისადმი, მაცხოვრის ხატისადმი საკმაოდ მრავალრიცხოვან საგალობელთა მიძღვნა (სულავა, 2003, 184).

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საგალობლები დაწერილია გელათში, რომლის შექმნის ინიციატივა ეკუთვნის ტბელ აბუსერისძის ძმებს; იდეის ავტორი კი თავად ტბელია, რომლის მიზანი იყო ჟამთა ავბედობის დროს თანამემამულეების ახალი მესიანისტური იდეით გამხნევება.

გელათში ყოფნის დროს არსენ ბულმაისიმისძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ხიხათა (აჭარის) ერისთავთ-ერისთავების სახელოვან წარმომადგენლებთან – აბუსერ, ვარდან და ტბელ აბუსერისძეებთან, რასაც მოწმობს ხელნაწერი A-85 (1233) ამ

ხელნაწერში ტბელ აბუსერისძეს შეუტანია არსენის ოთხი ტექსტი, რომელთა შექმნის ინიციატივაც აბუსერისძეებისაგან მომდინარეობს:

1. „უფალო ღაღადყავსა ხატისა უხილავისა და სხუანი მეოთხის გუერდისნი გალობანი“ (დაწერილი ვარდან აბუსერისძის თხოვნით);

2. „თჳთძლისპირნი გალობანი ხელთუქმნელისა ხატისანი მეორის გუერდისნი“ (დაწერილი აბუსერ აბუსერისძის თხოვნით);

3. „ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძისადმი“;

4. „თებერვალ-მაისის იამბიკური სვინაქსარი“ – იოანე პეტრიწის თხზულების გაგრძელება, რომელიც არსენს დაუწერია ტბელ აბუსერისძის თხოვნით.

საინტერესოა ხელთუქმნელი ხატის შესახებ საგალობლების შექმნის ისტორია. ანდერძ-მინაწერებით ირკვევა, რომ არსენ ბულმაისიმისძეს ვარდან და აბუსერ აბუსერისძეების „იძულებითა“ და „შეხვეწნით“, ტბელის მზრუნველობითა და ინიციატივით შეუქმნია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლები, რომლებიც განთავსებულია ამ ხელნაწერის 278v-284v და 285r-293r გვერდებზე, საიდანაც საგალობლები არასრული სახით შეუტანიათ XVII-XVIII საუკუნეებში შედგენილ სადღესასწაულოებში.

ამრიგად, A-85 ხელნაწელში (1233-წელი). შეტანილია ხელთუქმნელი ხატის საგალობელთა ციკლი, რომლის ავტორები არიან: არსენ ბულმაისიმისძე და საბა სვინგელოზი.

„ხელთუქმნელ“ ხატს არსენის საგალობლებში ეწოდება „ხატი განკაცებისა“, „პირი ღმრთისა“, „ედესის ხატი“.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლის მიხედვით, „ხელთუქმნელი და უხილავი ხატი“ (იგულისხმება მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი) ჩვენში ანტონ მარტმყოფელს მოუტანია ედესიდან. ჰიმნოგრაფის სიტყვით, ანტონს გულს აკლდა, რომ უხრწნელი ხატი ღვთის მბრძოლი ნესტორის შვილთა ხელთ იყო და ჩვენი დიდი სიყვარულით იგი ქართლში, მცხეთას მოიტანა. არსენის აზრით, ამ ხატის

საქართველოში ჩამოზრძანება და დამკვიდრება იმას მოასწავებს, რომ ქართველები „საზეპურო ერია“ და ქართველთა „სამეუფოჲ არასადა უმრწემეს-ყო“ ღმერთმა. ამ მეორე დებულებით არსენი საქართველოს დიდ ქრისტიან ერებს (პირველ რიგში, ბერძნებს) უთანაზრებს.

მცირე ფორმის საგალობლებში ჰიმნოგრაფი ანტონ მარტმყოფელი შემკობილი ჰყავს ასეთი ტაეპებით: „რომელი ღირსსა **ანტონის** ჴელთაგან“, „ხატო თმრთივდიდებულო“, „გიხაროდენ, ჵ მამაო, ღმერთშემოსილო **ანტონი“** (279r). „და ღმრთეებისა დიდებითა გამოგვეცხადა ხატი შენი **ანტონი“** (279r). „პირველ მაყუალ და აქა მონაჲ თჳსი დაგიცუა, **ანტონი“** (279r) (სხუანი: დ: მჴნეონი). „შუამდინარით ვარსკვლავი აღმოჰხედ დიდსა მთიებსა პავლეს ძიებად, ჵ მამაო **ანტონი** და საუნჯე მიიტაცე, რომელ ვერავინ წმინდათაგანმან შეუძლო შეძინებას“ (მჴდომარე: სხუანი). „ვინაჲცა იდიდე ღმრთისა მიერ, ბრძენო მამათა **მზე ანტონი“** (მჴდომარე სხუანი). „დიდებითა გაბრწყინვებულ და ღმრთისმბრძოლთა საძაგელთა მწვალებელთაგან **ანტონი** საკვირველმან დაგჳუნჯე გოდლად საძლეველად მტერთა **ანტონი**“ (279v). „დღეს შემოვალს ღვთის ხატითა, დიდებაჲ მამისაჲ ნეტარ ვართ **ჵ ანტონი** მამაო, რომელთა ესე შენ მიერ მოგუანიჭა „ახლისა მის ერისა წყალობა ნეტარ ხარ, ღირსო **ანტონი“** (279v). „ჴელით უქმნელი, საშინელებაჲ მტერთაჲ გამოხსნაჲ ჩუენი“ (279v). „უცველებელი ხატი ქრისტეს ღმრთისაჲ, რომელ **ანტონისგან** მოღუაწებითა ღმრთისაითა მოგუეცა“ (279v). „ჵ მამაო დიდო **ანტონი,** მოსახელსა ჴელთუქმნელ დაგუეუნჯა საცხოვრებლად ეჰა ნიჭსა ამას, ჵ სანატრელო“ (279v). „რომელ ღირსისა **ანტონის** მიერ მოღუაწებითა ზენაჲთა ქართლად მოგუანიჭა ჩუენ“ (280v). „ხატითა დღეს შემოვალს შენდა მშვიდი მოწყალე ედესიდან **ანტონისაგან“** (284r).

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „ანტონ მარტმყოფელის ცხოვრება“, რომელშიც მოთხრობილია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის შესახებ და ჩვენამდე გვიანდელი და ისიც სვინაქსარული, რედაქციითა შემონახული. ე. გაბიძაშვილის გამოკვლევის თანახმად, იგი შექმნილია არსენ ბულმაისიმისძის საგალობლების შეთხზვის შემდეგ, რადგან აშკარაა ხსენებული საგალობლების გავლენა. ამასთან

ერთად, უნდა დავადასტუროთ ისიც, რომ იგი შექმნილი არ არის ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიის მიერ, რადგან უფრო ადრეა ჩამოყალიბებული (ძეგლები, 1968: 218-225).

ანტონ მარტყოფელი ასურელ მამათა გუნდს ეკუთვნის. ასურელ მამათა ცხოვრების ძველ წიგნებში ანტონი მხოლოდ ერთხელ იხსენიება. „შიოს და ევაგრეს ცხოვრებაში" ნათქვამია: „შთადვა ჴელთა შინა იოანესთა სახილველთა ყოველად ყოველთა ათორმეტთა ქარტა, რომელსა ეწერა ათორტთა ძმათა სახელი, რომენი-იგი უფალმა გამოირჩივნა: **შიო, დავით, იოსებ, ანტონი, თადეოსიოს, თათა, პიროს, ელია, პიმენ, ნათან, აბიბოს, იოანე.** ხოლო ესე ამისთვის ყო ნეტარმან იოანე, რაითა თვალღებით ჰქონან სიყვარული მათთა მიმართ ძმათა და რომენი იგი დაშთენ, არა შეწუხნენ მოძღვრისათვის" (თხზულებანი, 1998: 88).

ზემოთ აღინიშნა, რომ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, „კეცზე" დატვიფრული, საქართველოში ანტონ მარტმყოფელმა ჩამოიტანა, არსენ ბულმაისისმისძე ანტონს წმინდანისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით გამოარჩევს; იგი არის ღმერთშემოსილი მამა, მამათა მზე, ღირსი, შუამდინარეთის ვარსკვლავი, ბრძენი, დიდი და სანატრელი, ღმრთივსწავლული. იგი შედარებულია მოსე, ელია და იონა წინასწარმეტყველებთან, დიდ იოვანესთან (ნათლისმცემელთან) და ანტონ დიდთან.

სიმბოლურია ანტონ მარტმყოფელის შედარება ანტონ დიდთან, რომლის ხსენების დღეს, 17 (30) იანვარს, არსენის საგალობლიდან რამდენიმე ტროპარი სრულდებოდა. არსენ ბულმაისიმისძე ანტონ დიდს, რომელიც მეუდაბნოეობის ფუძემდებლად ითვლებოდა, ანტონ მარტმყოფელის წინამორბედად მიიჩნევს: „აწ დაძინებასა შენსა წინაუძღს დღეს მამათა მზე ანტონი" (129r). ასევე, შემდეგშიც მიმართავს, რომ მის სახელსაც მიაგებენ პატივს დიდი ანტონ მეგვიპტელის ხსენების დღეს: „ჵ მამაო დიდო ანტონი, მოსახლესა თანა შენსა პატივვცემთ ჩუენ ქველის მოქმედსა ნათესავისა ჩუენისასა, ღმერთშემოსილო, რომლისა ჴელთა მიერ წმიდაჲ ხატი ჴელით უქმნელი დაგუეუნჯა საცხორებლად" (280r). ანტონ მარტმყოფელზე საგალობელში ნათქვამია: „შუამდინარით ვარსკულავი აღმოვჰხედ დიდისა მთიებისა პავლეს ძიებად" (279r). ვარსკვლავად ანტონის მოხსენიების საფუძველი ევანგელური სწავლებიდან

მომდინარეობს. მოგვებმა ვარსკვლავის მეშვეობით იხილეს შობის მისტერია, საიდანაც დაედო დასაბამი ქრისტიანულ სარწმუნეობას; აღმოსავლეთიდან მოსული **მოგვები** კითხულობდნენ: „სადა არს, რომელი-იგი იშვა მეუფე ჰურიათაჲ? რამეთუ ვიხილეთ ვარსკულავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყუანის ცემად მისა“ (მათე, 2,2). ანტონი ვარსკვლავთანაა შედარებული იმიტომ, რომ იგია საქართველოში „კეცზე“ დატვიფრული მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის შემომტანი. ვერავინ წმინდათაგანმა ვერ შეძლო ღმრთივქმნული წმიდა ხატის „შეძინება“, მხოლოდ ანტონმა მოიპოვა იგი და დაუუნჯა „ისრაელსა ამას ახალსა“, „ქართველთასა ერსა საზეპუროსა“.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სასწაულმოქმედების შესახებ ჟამთააღმწერელი „ასწლოვანი მატიანე“, სადაც მოთხრობილია, რომ მარტყოფის ხატი სასწაულებრივად განკურნავს ავადმყოფ დავით ულუს: „ვითარ მოეახლა მარტყოფსა, მივიდა **ხატსა მას ხელითუქმარსა,** რომელი თჳთ გამოისახა **ტილოსა ხატისა მიერ კეცსა ზედა.** მოყვანება ბრძანა **მარტომყოფისა ხატისა**, და ევედრა ცრემლითა და შეუვრდა, და განკურნა, ვითარ უფლისა მიერ განკურნებული ცხედარსა ზედა მდებარე“ („ქართლის ცხოვრება“, 1987: 142). მეფემ მეორედაც შესთხოვა განკურნება ამავე ხატს, მაგრამ რაკი ღმრთისმსახურებას აღარ მისდევდა და მისი მეფობისას ეკლესიურმა ცხოვრებამ რღვევა იწყო, ღმერთმა მას წყალობის ხელი აუღო და მეორედ თხოვნა არ აღუსრულა: „და მგზავრ მომავალსა მეფესა შეედვა სალმობა მუცლისა და ვითარ მკურნალთა ვერ უძლეს კურნებად, მაშინ ევედრა **ხატსა მას მარტომყოფისასა, და მივიდა მის წინაშე, ვითარ ჩეულ იყო,** რამეთუ პირველ ამისსა მუცლისა სნეულებითა შეპყრობილ იყო და, ვითარ მკუდარი, იდვა უსიტყვოდ, და აღედგინა **ხატსა ხორცშესხმულისა ღმრთისასა.** ხოლო აწ არღარა პოვა ლხინება ამისთვს, რამეთუ მოაკლო ღმრთისმსახურება და იწყო რღუევად საყდართა და შლად, ამისთვს აღიღო ღმერთმან ხელი წყალობისა, და პირველ წელთა მოკუდა ძე მისი პირმშო, გიორგი, სიკეთე აღმატებული, და აქა მიიცვალა დავითცა მწუხარებითა ძისათა“ („ქართლის ცხოვრება“, 1987: 156).

ჟამთააღმწერელი ანტონის სახელს არ იხსენიებს, უთითებს მხოლოდ მარტმყოფელს, რომელმაც, არსენ ბულმაისიმისძის საგალობლის მიხედვით, ჩამოიტანა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი. ჟამთააღმწერლის თხზულებაში დაცული ცნობებიდან, მნიშვნელოვანი ისაა, რომ ხსენებული ხატი, ტილოზე (მანდილზე) გამოსახულიდან „კეცზე“ გადატვიფრული, ინახებოდა მარტყოფში.

ქართლის ეკლესია 6 აგვისტოს ზეიმობდა ხელთქმნელი ხატის დღესასწაულს. მაგრამ მსოფლიო ეკლესია 16 აგვისტოს დღესასწაულობდა სწორედ ამავე ხელთუქმნელი ხატის ედესიდან კონსტანტინეპოლს გადასვენებას; ქართველები, სწორედ რომ, ვერ ჩამორჩებოდნენ მსოფლიო ეკლესიას და არსენ ბულმაისიმისძე ამ დღესასწაულისთვისაც წერს ჰიმნს, არკვევს ხატთა თაყვანისცემის დედააზრს, სვამს კითხვას: ერთი და იგივე ხატი როგორ მოხვდა ორ სხვადასხვა ადგილას? და ასკვნის, რომ კონსტანტინეპოლში „ტილოის ხატი“, ანუ მანდილიონი, გადაასვენეს, ხოლო ქართლმა ანტონ მარტმყოფელის ხელით ედესის კერამიდიონი, ანუ „კეცი, დაიმკჳდრა სიმდიდრედ საცხორებელად“ და იმეორებს აპოკრიფში თხრობილ ამბავს.

**კონსტანტინე პორფიროგენეტ**ის „თხრობაჲ, შეკრებილი თითოსახეთა თხრობათაგან ავგაროზის მიმართ წარყვანებულისა მის ხატისათვის ქრისტეს ღმრთისა ჩვენისა, თუ ვითარ კონსტანტინოპოვლეს აღმოიყვანეს“, რომელიც ქართულადაც იყო ნათარგმნი (Q-762, XIII ს.), გვაუწყებს, რომ არსებობდა ტილოს ხელთუქმნელი ხატის ორი კეცზე გამოსახული ასლი: ჰიერაპოლისური და ედესური კერამიდიონები. ჰიერაპოლისური ხატი მოციქულთა დროინდელია, ედესის კერამიდიონი კი რამდენიმე საუკუნით გვიან გამოჩნდა. „თხრობაჲს“ მიხედვით, ავგაროზის ვაჟი განუდგა ქრისტეს და საფრთხეს უქმნიდა ხელთუქმნელ ხატს, რის გამოც ედესის მანდილიონი გალავანში გადამალეს – ჯერ კეცი ააფარეს წინ, შემდგომ ამოყორეს. სწორედ მანდილიონის საფარველაფარებულ კეცზე აღიბეჭდა „ხატი და მსგავსებაჲ წმიდისა და საუფლოჲსა ხატისაჲ“ – მისი მეორე ასლი, იგივე ედესის კერამიდიონი. კონსტანტინე პორფიროგენეტის ტექსტის დაწერის დროს (X) ეს კერამიდიონი ისევ ედესაში ინახებოდა, რასაც ზემოთ დამოწმებული თხზულების ქართული თარგმანიც მოწმობს (ხალვაში, 2011, 49-50).

როგორც მრავალჯერ აღვნიშნეთ, ქრისტეს ხელთუქმნელი ხატის ქართლად მობძანება ღვთისგან ბოძებული უდიდესი საჩუქარია. ამოტომ ჰიმნოგრაფი ამაღლებული განწყობილებით მიმართავს ქართველ ერს: „იხარებდ დღეს, იხარებდ, ქართველთა სამეუფოო, ერო მორწმუნეთაო, რამეთუ არასადა უმრწემეს გყო შენ ქრისტემან, არამედ მოგვცა ხატი თჳსი დიდებული, რომელი თჳთ მან დაჰბეჭდა პირითა თჳსითა, უცვალებელი სახე განკაცებისა თჳსისაჲ, გარდამოცემული პირმშოჲსა მისგან, რომელი ღირსისა ანტონის ხელთაგან მსახურებული სიმდიდრედ წარუპარველად გიპყრიეს საუნჯედ უხილავად“ (178v). ქართველი ერის **რჩეულობა** იმითაც გამოიხატება, რომ იგი გახდა ღირსი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისა: **„ერნო ქართლისანო,** გიხაროდენ და აღიპყრენით ხელნი და მადლობაჲ შეწირეთ ხატსა ამას ყოვლად უხრწნელსა ხელთუქმნელსა, რამეთუ ესე არს სამეფოჲსა ამის სიმტკიცე, ძალი და დიდებაჲ, და ხმობდით: მონიჭე ნეფესა ჩვენსა ძლევაჲ, ქრისტეს ღმრთისა ხატო საშინელო“ (283r). არსენ ბულმაისიმისძე ქართველ ხალხს ახალ ისრაელად, ახალ ერად, საზეპურო ერად იხსენიებს, რაც ღვთისგან ერის რჩეულობას ნიშნავს (სულავა, 1997, 128-130).

**„ახალი ერი“, „ახალი ისრაელი“** ხსენებულ კონტექსტში დაკონკრეტებულია და ქართველობას გულისხმობს. ჰიმნოგრაფის აზრით, ქართველი ერი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის შემორძანებით ღვთაებრივი მადლითა და სიკეთით აივსო, სულიერად განახლდა: „დღეს არე სუნელებისაჲ, დღეს ნავი ცხოვრბსაჲ მოეფინა ქართველთა ზედა **ევლავიოს** ღირსისა მიერ ედესიას გამოჩინებული დიდებული ხატი, უცვალებელი სახე ქრისტეს ღმრთისაჲ, რომელი ანტონისაგან მოღუაწებითა ღმრთისაითა მოგეცა“ (279v). ძე ღმერთი, მაცხოვარ ჩვენი „აწ კუალად იხილვების ხატითა მითვე უცილობელი ახლისა მის ერისა წყაობად, ნეტარ ხარ, ღირსო ანტონი“ (279v). ხატის ქართლში დამკვიდრებით ახალ ერს, ახალ ისრაელს ნათელი მოეფინა: „განათლდი დღეს, განათლდი, ჵ ისრაელო ახალო, გახარებთ, ღმრთისა მხილველო, შენ ზედა გამობრწყინდა დიდებაი ღმრთისაი“ (279v).არსენ ბულმაისიმისძე **ზეცის ერს** უწოდებს ყველას, ვინც ხატს თაყვანს სცემს: სავსე არს ტაძარი შენი, საკირველო

ღმერთო, სიმართლითა და ბრწყინვალებითა და შუენიერებითა და პატიოსნებითა და სიკეთითა ელვარე ქმნილ არს შემოსვლასა უხრწნელისა ხატისასა და ყოველითურთ ყოველთა მორწმუნეთა განანათლებს და ზეცისა ერს ჰყოფს, რომელნი შენ თაყუანისგცემენ“ (282-283r). უნდა აღინიშნოს, რომ **„ახალი ერი“** სულიერად განახლებულ ერს, ქრისტიანული აღმსარებლობის მქონე ერებს გლისხმობს.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლის მიხედვით, **„ახალი ერი**“ სულიერად განახლებული ქართველი ერის განსაზღვრებაა, ასევე ჰიმნოგრაფმა **„ახალი ისრაელი“** უწოდა, რაც ახლის სიმბოლურ მოსაზრებას გულისხმობს. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „ახალი“ კონტექსტის სხვადასხვა მნიშვნელობით შეიძლება გამოიყენებოდეს **(კიკნაძე, 1985: 141-150; გამსახურდია, 1991: 39). არსენ ბულმაისიმისძის საგალობლის მიხედვით, სულიერ განახლებულს უნდა ნიშნავდეს,** რომელსაც მკლევარ ნესტან სულავას აზრით, ქრონოტოპული ფუნქციაც აქვს, ვინაიდან ქართველი ერი **„ახალ ერად“ „ახალ ისრაელად“** იქცა გაქრისტიანების შედეგად და ამიერიდან იგი მუდმივად იქნება „ახალი“. „ახალი ისრაელი“ კი იმის მაჩვენებელია, რომ იესო ქრისტეს მადლი სრულიად საქართველოს მისწვდება, როგორც – მთელ მართლმადიდებლურ სამყაროს. ქართველი ერის „ახალ ისრაელად“ და „ახალ ერად“ მოხსენიება პირდაპირ უკავშირდება მესიანისტურ იდეას, ერის რჩეულობის იდეას, რაც მკაფიოდ არის გამოვლენილი არსენ ბულმაისიმისძის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისა და წმინდა ნინოს საგალობლებში.

არსენ ბულმაისიმისძის სიტყვები **„ახალი ძღუენი“,** რომელიც **„ახალმა ერმა“** დაიმკვიდრა, სიმბოლური აზრის მომცემია, ვინაიდან „ახალი ერი“, ანუ ქართველი ერი, სულიერად განახლებული, მფლობელია „ახალი ძღუენისა“, იგულისხმება „კეცზე“ დატვიფრული მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, რომელითაც მესიანიზმის ერთ-ერთი ნიშანი გამოიხატა. სავარაუდოა, „ახალი ძღუენი“ მესიანისტური თვალთახედვითაც იყოს საყურადღებო; ქრისტეს კვართი, სამსჭვალი, ფიცარი, ღვთისმშობლის წილხვდომილობა, ქართული ეკლესიის სამოციქულოდ მიჩნევა უშუალოდ ქრისტეს ამქვეყნიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ნიშნებია მესიანიზმისა; ამავე რიგს

განეკუთვნება ხელთუქმნელი ხატის ქართლში VI საუკუნეში დამკვიდრებაც, რომელიც რიგობითის თვალსაზრისით გვიან მოიპოვა ქართველმა ერმა. ამიტომ ეწოდება მას „ახალი ძღუენი“, რომელიც სულიერი განახლების კიდევ ერთი გამოხატულებაა. ეს „ახალი ძღუენი“ კი ამიერიდან მარადიულად ქართველთა საკუთრებაა (სულავა, 2003, 186).

„სიხარულით აღიტყუელენ ხელნი, ჵ ქართველთა სამეუფოო, არასადა ურწმუნეს ხარ ქალაქთა შორის ახლისა ისრაჲლისათა, რამეთუ დაიუმჯე ზესთგამოთქუმისაჲ ნიჭი, ვითარ სხვუამან არავინ“ (287v) „ახალ ისრაელად“ მიიჩნევა არა მხოლოდ ერთი რომელიმე ქრისტიანული ქვეყანა, არამედ ყველა მართლმადიდებლური ქვეყნები დამოუკიდებლად. „ახალი ისრაელი“ ზოგადი სახელია ჭეშმარიტი მორწმუნე ერისა.

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში შემობრძანებას ჰიმნოგრაფი ადარებს იერუსალიმში უფლის პირველ შესვლას, როცა ყველანი **ოსანნას** ამბობდნენ; ჰიმნოგრაფი ქართველ ერს წარმოაჩენს სახეთა პარალელიზმით ვითარცა ახალ ერად: „იერუსალიმი პირველ შესვლასა შენსა ხმობდა ოსანნასა და აქა ახალი ერი, მსგავსად ყრმათა მათ უმანკოთა, უძნობს, ქრისტე, შემოსვლასა ნიშნისა შენისასა მხმობნი გუაცხოვნენ, ხატო საშინელო“ (287v). ასევე, იერუსალიმში შესვლა მაცხოვრისა შედარებულია სამი ყრმის ბიბლიურ ეპიზოდთან დანიელის წინასწარმეტყველებიდან. იერუსალიმი წმინდა ქალაქად იწოდება, სადაც მეუფე, ქრისტე ღმერთი იხილეს **„კიცუსა ზედა“** მჯდომარე, ასევე შემოვიდა ედესიდან ანტონის ხელით ხატი მაცხოვრისა: „ახალო ბუნებაო, ღმრთისმხილველო, იხარებდი, აჰა, მეუფე შენი, რომელი კიცუსა ზედა წმიდად ქალაქად მჯდომარე იხილეს ერმან და ადიდეს. აჰა, აწ კუალად უცვალებლად მითვე ხატითა დღეს შემოვალს შენდა მშჳდი მოწყალე ედესიით ანტონისაგან“(284r).

**„საზეპუროს“** შესახებ დაახლოებით ერთნაირი აზრია გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში. ივანე ლოლაშვილმა, გაიზიარა საბასეული განმარტება: „ზეციური პურის მტე“. ებრაულ ტექსტში საზეპურო შეესაბამება „სეგულასს“ - ნიშნავს ღმერთის

მვირფას საკუთრებას. ბერძნულში კი–გამორჩეულს, საუკეთესოს, აღმატებულის, არაჩვეულებრივ ხალხს.

ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში“ ვკითხულობთ: „დედაო ჩემო, არა უგულებელ ვყო ერი იგი **საზეპურო** უფროს ყოველთა ნათესავთა მეოხებითა, შენითა მათთჳს. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა, და თანა-წარატანე ხატი შენი ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს და შენ წილ ხატი იგი შენი მკჳიდრობდეს, მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა“.

საქართველოს კათალიკოსმა ნიკოლოზ გულაბერიძემ, გიორგი მესამისა და თამარის თანამედროვემ, მის თხზულებაში: „საკითხავი სუეტისა ცხოველისა. კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისა“ **ქართველ ხალხს საზეპურო უწოდა,** თხზულების ხოტბით ნაწილში, ანუ „გიხაროდენში“ წერია: „გიხაროდენ, მომგებელო ერად საზეპუროდ ნათესავად წმიდად სამეუფოდ გიხაროდენ, რომლისა მიერ თაყუანის-ცემენ დამბადებელსა! გიხაროდენ, სუეტო ცხოველო“!

საზეპუროდაა მოხსენიებული ქართველი ერი „აბდულმესიანშიც“: „ზანაკად საღმრთოდ, ერო **საზეპუროდ** ხარ ღმრთისმეტყველთა მათ ჭურვილთაგან“ (VII, 52, I).

ანონიმი ავტორის „დავით და კონსტანტინეს წამების“ მეტაფრასულ რედაქციაშიც **საზეპუროდ** იხსენიება ქართველი ერი.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლებში არეკლილია ის ბიბლიურ-ევანგელური მოტივები და ქრისტეს მოვლინების წინასწარმეტყველება, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობითაა დატვირთული ხელთუქმნელი ხატის შესაქებად, რის დასადასტურებლადაც მოხმობილი აქვს ბიბლიური ეპიზოდები მაყვლის შეუწველობის შესახებ (გამოს., 3, 2-6), ზაქარიას წინასწარმეტყველების შესახებ (ზაქ., 9,9), ესაიას წინასწარმეტყველების შესახებ ქალწულისგან მაცხოვრის შობის თაობაზე (ესაია, 7,14).

ჰიმნოგრაფიული კანონის პირველი გალობა „უგალობდითსა“ ეძღვნება ღვთის სამადლობელს. არსენის „თვთძლისპირნის“ პირველი გალობაც სწორედ ამ ბიბლიური მოტივით იწყება და იგი მთელი საგალობლის იდეური წარმართველიცაა, რათა პირველმა ტროპარმა ღვთის შეწევნის იმედი აღძრას მსმენელსა თუ მკითხველში: „მოზარდმან პირველ ხელქმნილმან ცემით უჩვეულო ხმელი მზისა მხილველ–ყო სავალად ისრაელისათვს, ხოლო დამფარველმან ფარაოეთმან, და ერი ღმრთისაჲ ხსნილი ღაღადებდა ესრეთ: მხსნელსა ჩუენისა ცხოველსა საუკუნოჲ გალობაჲ“ (285r). აქ მინიშნებულია მოსეს მიერ ღვთის ნებითა და დახმარებით მეწამულ ზღვაში ებრაელთა გაყვანა.

ამავე კანონის მეექვსე გალობაშიც „ღაღადყავსა“ ახსენებს **მოსე** წინასწარმეტყველს და ასევე ბიბლიურ ეპიზოდზე მიანიშნებს: „დიდმან მოსე **გუელი** რაჲ აღამაღლა ოდესმე საკურნებელად წამლიჲნთაგან კბენილთა, რომელი მიმხვედელთა არა განაცრუებდა, რაოდენ ქრისტეს ხატი კმა ეყოს სარწმუნოებითა სრულითა მისდამი მიმხედველთა მრჩობლ საკურნებელად“ (289v). საინტერესოა მოხმობა მაგალითისა რიცხვთა წიგნიდან როდესაც ისრაელიანები ღმერთს გმობდნენ, რადგან რთულ პირობებში უწევდათ ცხოვრება მოსეს საყვედურებდნენ; რის გამოც უფალმა დასაჯა ისინი და შხამიანი გველები მიუსია. ებრაელებმი მიხვდნენ თავის შეცდომას და უფალთან შუამდგომლობა მოსეს სთხოვეს; უფლის რჩევით მოსემ უდაბნოში სპილენძის **(რვალის) გველი** აღმართა, თუ რწმენით შეხედავდნენ, დაკბენილები აღარ კვდებოდნენ. მოსესა და **რვალის გველის** პარალელური სახის მოხმობით, ხელთუქმნელი ხატის ჭეშმარიტ აღმსარებლებს, სულისა და ხორცის მკურნალად მოევლინება.

ჰიმნოგრაფი ყურადღებას ამახვილებს ადამის მიერ ჩადენილ ცოდვაზე: (განძლიერდასა, III) „ხმაჲ ფერჴთა შენთაჲ ესმა რაჲ ადამს, მოესწავა, მხსნელო, განკაცებაჲ შენი, აღსასრულსა ჟამთასა ცდომილთათჳს, რომელი სხუა დასაბამ მექმნა. და კუალად რაჲ უხრწნელ მყავ, მომანიჭე ხატი კაცებისაჲ შენისაჲ თაყუანისსაცემელი“ (286v). ღმერთი განკაცდა და განსხეულდა არა ლიტონად, არამედ კაცთა, ადამიანთა სახსნელად. ღმერთმა პირველქმნილ ადამიანს ედემში მიუჩინა ადგილი, თუმცა მან

დაივიწყა მისთვის ბოძებული სიკეთე და გაიხრწნა; ამიტომ ღმერთის სიკეთე აღუწერელია, რის გამოც მიიღო მან „მონისა ხატი“ (უგალობდითსა, I).

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ მეორე ჰიმნოგრაფიულ კანონში, „თვთძლისპირნში“, არსენ ბულმაისიმისძემ გამოიყენა კიდევ ერთი საინტერესო ბიბლიური მოტივი. ესაა ვეშაპის მუცელში მყოფი **იონა წინასწარმეტყველის** ვედრება ღმერთის წინაშე, რომელმაც შეისმინა მისი და იხსნა განსაცდელისაგან (იონა, 2, 310): „მეორე ჰიმნოგრაფიული კანონი „თვთძლისპირნი“ ასახავს ქრისტეს ცხოვრების ეპიზოდებს თანმიმდევრულად, შობის შემდეგ მირქმაა ნაჩვენები, როდესაც სვიმეონმა აიყვანა იგი ტაძარში მიყვანისას, რაზეც მოგვითხრობს ლუკას სახარება (ლუკა, 2, 25-390). არსენის ჰიმნოგრაფიული თხზულება გვაუწყებს, რომ ვინც სვიმეონმა თავისი მკლავით იტვირთა და ანნა წინასწარმეტყველმა ღმერთად იქადაგა, სწორედ მისი ხატი მოევლინა კაცობრიობას: „რომელი-იგი სვმეონ მკლავითა იტჳრთა ტაძრად მოყვანებული, და ანნა ზესთ საუკუნეთა ღმერთად ქადაგა, იესუ ქრისტე, მხსნელი ნათელი სოფლისაჲ, დღეს ნათელი პირისა მისისაჲ, ხატი მისი თჳთ დაწერილი, შიშით და ძრწოლით შევიტკბობთ“ (291v). ჰიმნოგრაფის სიტყვით, ქრისტე იოანე ნათლისცემლისგან იქნა ნათელღებული და მისი ხატი უნდა ვაღიაროთ ღმრთის ხატად: „რომელი იორდანესა იოვანეს ხელთაგან თავ-დადებულ იქმნა და მამაჲ ზეცით წამებდა ძედ საყუარელად, და სული სათნოეყოფვოდა სრულსა ღმერთსა და ჩუენთჳს კაც-ქმნილსა მოწყალებით, ხატი მისი ქრისტეს ღმრთისად აღვიაროთ“ (291v) – (აკურთხევდითსა, VIII).

აბუსერ აბუსერისძსემ დაავალა არსენ ბულმაისიმისძეს, რომ საუფლო წიგნებიდან ფსალმუნიდან, შესაბამისი მონაცემებით ამოეწერა პირის (ხატის მნიშვნელობით) შემცვლელი ფრაზები, გადაება, დაეკავშირებინა ერთმანეთან და საკუთარ სტრიქონებთან შერწყმით აეგო იდეის შესაბამისი საგალობლები, კანონი გალობებით, შესაბამის ძლისპირზე გაწყობით, რომელსაც ფსალმუნის ტექსტი ექნებოდა, როგორც „პიროვანი საქცევნი“ (აბუსერისძე, 1998: 93). საგალობელში გამოყენებულია რამდენიმე ათეული „პიროვანი საქცევი“:

1. „ღმერთო, მიწყალე ჩვენ და მაკურთხენ ჩვენ; გამოაჩინე პირი შენი ჩვენ ზედა და მიწყალენ ჩვენ“ (ფს., 66, 2). (უგალობდითსა, I, 2);

2. „აღვიმსთოთ წინაშე პირსა მისსა ახსაარებითა და ფსალმუნითა უღაღადებდეთ მას“. (ფს., 94, 2). (უგალობდითსა, I, 4);

3. „ესე არის ნათესავი, რომელიც ეძიებს უფალსა, ეძიებს ხილვად პირსა იაკობისსა“ (ფს., 23, 6). (უგალობდითსა, I, 6);

4. „შენ გერქვა გულმან ჩემმან უფალი მოვიძიო, გამოგიძია შენ პირმან ჩემმან. პირი შენი, უფალი, მოვიძიო“(ფს., 26, 8). (უგალობდითსა, I, 8);

5. „სიტყჳთა უფლისაჲთა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირისა მისისაჲთა ყოველი ძალი მათ“(ფს., 32, 6). (უგალობდითსა, I, 10);

6. „ხოლო მე სიმართლითა ჩემითა ვეჩვენო პირსა შენსა“(ფს., 16, 15). (უგალობდითსა, I, 12);

7. „მაშინ იხარებდნენ ყოველი ხენი მაღნარისანი პირისაგან უფლისა, რამე თუ მოვალს“ (ფს., 95, 12-13). (უგალობდითსა, I, 14);

8. „ღმერთო ძალთაო, მომაქციენ ჩვენ და გამოაჩინე პირი შენი ჩვენ ზედა და ვცხონდეთ“ (ფს., 79, 4). (განძლიერდასა, III, 2);

9. „მაუწყენ მე, უფალო, გზანი ცხოვრებისანი და აღმავსო მე სიხარულითა პირისა შენისაჲთა“(ფს.,15,11). (განძლიერდასა, III, 4);

10. „პირი უფლისაჲ მოქმედთა ზედა ძჳრისათა, მოსპოლვად ქვეყანით საჴსენებელი მათი“(ფს.,33, 17). (განძლიერდასა, III, 6);

11. „გზა უყავთ მას, რომელი იგი ამაღლდა დასავალი, უფალ არს სახელი მისი, და იხარებდით მის წინაშე, შეძრწუნდედ პირსა მისისაგან“(ფს., 67, 5-6). (განძლიერდასა, III, 8);

12. „გამოჩნდა ჩვენ ზედა ნათელიუ პირისა შენისა, უფალო“(ფს., 4, 7). (განძლიერდასა, III, 10);

13. „აღჴდა კუალმი რისხვასა მისსა და ცეცხლი პირისა მისგან, აღატყდეს“(ფს., 17, 9). (განძლიერდასა, III, 12);

14. „რაჲთა მისცეს მას კურთხევაჲ უკუნითი უკუნისამდე და ახარო მას სიხარულითა პირისა შენისაჲთა“(ფს., 20, 7). (განძლიერდასა, III, 14);

15. „გამოაჩინე პირი შენი მონისა შენისა ზედა და მაცხოვნე მე წყალობით შენითა“(ფს., 30, 17). (მესმასა, IV, 2);

16. „ყურად-იღე, ღმერთო ლოცვისა ჩემისაჲ არა ბაგეთაგან ზაკულთა პირით შენით განმართლებაჲ ჩემი გამოვიდინ“(ფს.,16,1-2). (მესმასა, IV, 4);

17. „ნეტა რაც ერი იგი, რომელმან იცის გალობაჲ შენი, უფალო, ნათლითაპირისა შენისაჲთა ვიდოდიან“(ფს., 88, 16). (მესმასა, IV, 6);

18. „აღდეგინ ღმერთო და განიბნინენ ყოველნი მტერნიმისნი და ილტოდენ მოძულენი მისნი პირისაგან“(ფს., 67, 2). (მესმასა, IV, 6);

19. „ვითარცა მოაკლდის კვამლსა, მოაკლდენ ვითარცა ცჳლისაჲ დადნეს წინაშე ცეცხლსა, ეგრეთ წარწყდენ ცოდვილნი პირისაგან ღმრთისა“(ფს., 67, 3). (მესმასა, IV, 8);

20. „წყალობაჲ და ჭეშმარიტებაჲ ვიდოდიან წინაშე პირსა შენსა“(ფს., 88, 15). (მესმასა, IV, 10). (მესმასა, IV, 12);

21. „რამე თუ დახსენ იგინი, ვითარცა საჭუმილავი ცეცხლისაჲ ჟამსა პირსა შენსა“(ფს., 20, 10). (მესმასა, IV, 14);

22. „ქუეყანაჲ შეიძრადა და ცანიცა წთოდეს პირისაგან ღმრთისა სინაჲსა, პირისაგან ღმრთისა ისრაელისა“(ფს., 67, 9). (ღამითაგანსა, V,4);

23. „დაჰფარე იგინი საფარველსა პირსა შენისასა“(ფს., 30, 21). (ღამითაგანსა, V, 4);

24. „კეთილ-არს ჩემდა სჯული პირისა შენისაჲ უფროჲს ათასეულისა ოქროჲსა და ვერცხლისა“(ფს., 104, 4). (ღმითაგანსა, V, 8);

25. „მოიძიეთ უფალი და განძლიერდით და ეძიებდით პირსა მისსა მარადის“(ფს., 104, 4) (ღამითაგანსა,V, 8);

26. „რამე თუ მართალ არს უფალი და სიმართლენი შეიყვარნა და სისწრფოებანი იხილნა პირმან მისმან“ (ფს., 10, 7). (ღამითაგანსა, V, 10);

27. „უფალო ღმერთო ძალთაო, მომაქციენ ჩვენ და გამოაჩინე პირი შენი, და ვცხოვნდეთ“(ფს.,79, 8) (ღამითაგანსა, V, 12);

28. „ნუ განმაგდებ მე პირისაგან შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან“ (ფს., 50, 13). (ღამითაგანსა, V, 14);

29. „განიყვნეს იგინი რისხვითა პირითა მისისაჲთა და მიახლნეს გული მათი (ფს., 54, 22). (ღაღადყავსა, VI, 2);

30. „ხოლო მე ვთქუ განკჳრვებას ჩემსა განმაგდებელ ვარ მე პირისაგან თუალთა შენთაჲსა“ (ფს., 30, 23). (ღაღადყავსა, VI, 4);

31. „რაჟამს უკუნიქცეს მტერი ჩემი, მართლუკუნ, მოუძლურდენ და წარწყმდენ პირისაგან შენისა“ (ფს., 9, 4). (ღაღადყავსა, VI, 6);

32. „უფალო ნებითა შენითა სიკეთესაა ჩემსა ძალი, გარემიაქციე პირი შენი ჩემგან და მე შევრწუნდი“ (ფს., 29, 8). (ღაღადყავსა, VI, 8);

33. „მომწუარი ცეცხლითა და მოოჴრებული რისხვითა პირისა შენისაჲთა წარწყმდენ“ (ფს., 79, 17). (ღაღადყავსა, VI, 10);

34. „რამეთუ შენთჳს დავითმინე ყუჱდრებაჲ და დაფარვა სირცხვილმან პირი ჩემი“ (ფს., 68, 8). (ღაღადყავსა, VI, 12);

35. „მთანი ვითარცა ცჳლი დადნეს პირისაგან უფლისა ყოვლისა ქუეყანის (ფს., 96, 5). (ღაღადყავსა, VI, 14);

36. „მთანი იხარებდენნენ პირისგან უვლისა, რამეთუ მოვალს“(ფს., 97, 80) (კურთხეულარსა, VII, 2);

37. “ნუ გარემოიქცევ პირსა შენსა მონისა შენისგან“ (ფს. 68, 18) (კურთხეულარსა, VII, 4);

38. “გარე მიაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველნი უშჯულოებანი აჴკოცენ“ (ფს., 50, 11) (კურთხეულარსა, VII, 6);

39. „პირისგან უფლისა შეიძრა ქვეყანა, პირისგან ღმრთის იაკობის“(ფს., 113, 7) (კურთხეულარსა, VII, 8);

40. „აღდეგ და ნუ დამაგდებ ჩუენ სრულიად, რად გარე მიიქციე პირსა შენსა“(ფს.,43, 24-25) (კურთხეულარსა, VII, 10);

41. „ისმინე უფალო, რამეთუ ჩემ ზედა, ნუ გარე მიიქცევ პირსა შენსა მონისა შენისგან“(ფს., 68, 17-18) (კურთხეულარსა, VII, 12);

42. „გამოაჩინე პირი შენი მონისა შენისა ზედა და მასწავენ მე სიმართლენი შენნი (ფს., 118, 135). (კურთხეულარსა, VII, 14);

43. „ოდეს-მე მივიდე და ვეჩჟენო ღმრთისას“(ფს., 41, 3)(აკურთხევდითსა, VIII, 2);

44. „ღმერთო, მომაქციენ ჩუენ და გამოაჩინე პირი შენი ჩუენ ზედა, და ვცხონდეთ“ (ფს., 79, 8) (აკურთხევდითსა, VIII, 4);

45. „ვჰლოცევდ პირსა შენსა ყოვლითა გულითა ჩემითა, შემი. წყალე მე სიტყვირაებრ შენისა“ (ფს., 118, 58). (აკურთხევდითსა, VIII, 6);

46. „წყალობითა შენითა მაცხოვნო მე და დავიმარხნე წამებანი პირისა შენისანი“(ფს., 118, 88) (აკურთხევდითსა, VIII, 8);

47. „მსთუად შეისმინე ჩემი, უფალო, რამეთუ მოაკლდა სულსა ჩემსა, ნუ გარე მიიქცევ პირსა შენს ჩემგან“(ფს., 142, 7). (აკურთხევდითსა, VIII, 10);

48. „ვიდრემე-ვიდე სულისა შენისგან და [ირის შენისგან ვიდრემე ვჲვლტოდი“(ფს.,138,7). (აკურთხევდითსა, VIII, 12);

49. „ეკრძალეთ ერი ჩემი სჯულსა ჩემსა, მიიყავთ ყური თქუენი სიტყვათა პირისა ჩემისათ“(ფს., 77,1) (აკურთხევდითსა, VIII, 14);

50. „სიტყვაჲ ღმრთისა აღმგებელი სიბრძნითს ყოველთა არსთა და დამამტკიცებელი უსქესოდ (ქუეყანისაჲ) ცათ ჩუენდა მისგან შობილი, (რომელი) ად განიკურნავს ჴმათა,რადმე ჴმათა. რადმე, უფალო განიშორებ სულსა ჩემსა და გარემიიქცევ პირსა შენსა ჩემგან“ (ფს., 87, 15). (ადიდებდითსა, IX, 2);

51. „დავითის თჳს მონისა შენისა ნი გარემიიქცევ პირსა შენსა ცხებულისაგან შენისა“(ფს., 131, 10). (ადიდებდითსა, IX, 4);

52. „პირსა შენსა ლიტანიობდენ მდიდარი ერისანი“ (ფს., 44, 13). (ადიდებდითსა, IX,6);

53. „სასუმელი ჩემი ტირილითა ჩემითა განვზავი პირისაგან რიცხვისა და გულისწყრომისა შენისა“ (ფს., 101, 10-11). (ადიდებდითსა, IX, 8);

54. „ვიდრემდის, უფალო, დამივიწყებ მე სრულიად, ვიდრემდის გარე მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან“ (ფს., 12, 2). (ადიდებდითსა, IX, 10).

55. „ხოლო გარეთუ მიიქცი პირი შენი, შეძრწუნდიან“ (ფს. 103, 29). (ადიდებდითსა, IX, 12);

56. „აღგიარებენ შენ, უფალო, ყოველნი მეფენი ქვეყნისანი, რამეთუ ესმნეს ყოველნი სიტყუანი პირისა შენისა“ (ფს., 137, 4). (ადიდებდითსა, IX, 14);

არსენის ორივე საგალობელი ასახავს ბრალთა შენდობის, სიმდაბლის, სათნოების და ღვთაებრივი მადლის მინიჭების მოტივს; ფსალმუნები სულიერად ერწყმის ავტორის ნააზრევს და ნათქვამს, რაც ხაზს უსვამს ჰიმნოგრაფის ნიჭს და პროფესიონალიზმს.

მნიშვნელოვანია საგალობელში, **პოლემიკური ნაკადი,** რომელშიც დიდი ადგილი უჭირავს, კერძოდ **ერესთა გმობას** და უარყოფას. ჰიმნოგრაფი მათ წყევლა-კრულვას უთვლის. ვინც არ აღიარებს პირმშო ხატს და მათ თაყვანს არ სცემს; ფსალმუნური ფრაზეოლოგიით კიცხავს მათ: „აექვნ სასასა ენაჲ, რომელნი შენ არა თაყუანისგცემენ, ღმრთივბრწყინვალეო ხატო ქრისტეს მეუფისაო, დაიყაჳნ პირი მათი, რომელნი არა აღგიარებენ პირმშოჲსა მის ღმრთივ შუენიერსა ხორცმოსილებისა თანა შეერთებულსა, ვითარცა მისგან გარდამოტჳფრულსა ერთად პატივით და ქადაგებით და აღსარებით“ (28r).

არსენ ბულმაისიმისძე **დაუნდობელია არამართლმადიდებელთა** მიმართ: „არამართმადიდებლობით მიმხედველთა უხრწნელსა ხატსა შენსა ეწიენ ბუგრი განმხრწნელი, ნაწლევთა ლმობაჲ, გარდაედევინ თუალთა ბნელი უნათლოჲ, ნათელო და სირკბობაო და მჴსნელო ჩემო ქრისტე ღმერთო“ (288r). ამგვარი გმობა უცხო არ არის ჰიმნოგრაფიაში. შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი არსენის უფროსი თანამოკალმის –

იოანე შავთელის საგალობლებიდან, სადაც დაგმობილია ერეტიკული მიმდინარეობები - **ორიგენიზმი, არიანელობა** და **ნესტორიანობა:** „ორიგენესი შეიჩვენა სიცბილი, ღმობაჲ ეწიენ დავრდომილთაჲ არიოზს, აექჳნ ენაჲ ნესტორს სასასა მისსა, დადუმნა უღმრთოჲ და მოისპო კაცთაგან, წყევით, მკჳდროანისა მყოფთა ისწავეთ.“ არიოზმა, რომელიც ალექსანდრიელი ხუცესი იყო უარყო ქრისტიანული დოგმა მამა ღმერთისა და ძე ღმერთის ერთარსებისა და თანასწორობის შესახებ და გამოთქვა შეხედულება, რომ ქრისტე ძე ღმერთი დასაბამიდან არ არსებობდა მამა ღმერთთან ერთად. **ორიგენე ალექსანდრიელი** სტოიკურად ინტერპრეტირებულ პლატონის მოძღვრებასა და ნეოპლატონიზმს იყენებდა ქრისტიანული დოგმატიკის დასასაბუთებლად. კონსტანტინეპოლელი პატრიარქის ნესტორის ქრისტოლოგიური დოქტრინა ანტიოქიის თეოლოგიური სკოლის მოძღვრებას ემყარებოდა; მისი თვალსაზრისით, იესო ქრისტე არის მხოლოდ კაცი, მასში სულიწმიდის მეშვეობით ჩასახლდა სიტყვა – ღმერთი (ლოგოსი), ამიტომ მარიამს უნდა ეწოდოს არა ღვთისმშობელი, არამედ ადამიანის მშობელი ან ქრისტესმშობელი. 431 წელს  მესამე მსოფლიო კრებაზე კირილე ალექსანდრიელმა დაგმო ნესტორიანობა. არსენ ბულმაისიმისძე ღვთის მგმობლებს და მწვალებლებს იმ ჰურიათ ადარებს, რომელთაც ვერ იცნეს ქრისტე – ძე ღმერთი: „ურწმუნენო, დამამხობელნი თქუენნი ვითარ ბოროტად ღმრთისმბრძოლთანი, რომელთა ეგრე აღიფრტვნვეთ საზღაური მამათაი ჰურიაებრ“(288r) – (მესმასა,IV, თვთძლისპირნი). ჰიმნოგრაფი ურჩევს მართლმადიდებელ მორწმუნეთ, რომ **ჰურიათა** მსგავსად კი არ უნდა დაგმონ სიმდაბლე ღვთისა, არამედ ღმრთივგონიერ ყრმებთან ერთად ოსანნას ღაღადებდნენ; ყრმების ხსენებით მინიშნებულია **სამი ყრმის** გახურებულ ბრძმედში ჩაგდება ნაბუქოდონოსორის მიერ; საგალობელში („უფალო ღაღადყავი“, ყოველი სასოებაჲ) ძირითადი სათქმელის გამოსახატავად გამოყენებულია სახეთა პარალელიზმის პრინციპი: „ნუ ჰურიაებრ, ჰგმობ სიმდაბლესა, არამედ ყრმათა თანა ღმრთივგონიერთა **ოსანნას** ღაღადებდი, სამოსელთა წილ მიმფენი მართლაღსარებასა“ (284r). სამოსლის მიფენით ბზობის საუფლო დღესასწაულია სიმბოლურად წარმოსახული. არსენ ბულმაისიმისძე ზოგადად მიანიშნებს:

„შევაჩუენებთ და განვაქიქებთ“ (280r). „არაჲ თუ სხუასა პირსა ქრისტესა ღმერთად ვიცნობთ, წარვედით ჩუენგან, ღმრთისმბრძოლნო, არამედ მასვე ერთსა, რომლითა თბე ჩუენი ჩუენგან მოიღო, საკვთრად ღმერთად ხორცშესხმულად აღვიარებთ და წმიდასა ხატსა მისსა მის თანა თაყუანისვსცემთ“ (282r). „თბე ჩუენი“ ცოდვას მიანიშნებს, რაც ტროპარს იმ მნიშვნელობასაც ანიჭებს, რომ იესო ქრისტემ ადამიანის სახის მიღებით მთელი კაცობრიობა განწმინდა ცოდვისაგან.

არსენ ბულმაისიმისძემ შეაჩვენა და წყევლა-კრულვა შეუთვალა **ევტიქისა** და **დიოსკორეს,** რომელნიც მონოფიზიტური მოძრაობისა და მიმართულების სულისჩამდგმელნი იყვნენ: „ მეხდატეხილ იქმენინ დიოსკორე **ევტუქის** თანა ბილწნი, რომელთა აზმნეს ღმერთად აღსარებაჲ ხატთაჲ მართმადიდებელთა მიერ, რომელი ესე ნუ იყოფინ, ჵ ქრისტე, გარნა თანა ჩუენ განგებულებისა შისა ხატიცა შენი გურწამს“ (286r).

ასევე გმობს ჰიმნოგრაფი ყველაზე გამოკვეთილ ხატმებრძოლს – ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე მეხუთეს, **ლეონ ისავრიელის** ძეს, რომელიც კოპრონიმის სახელითაა ცნობილი, რაც სკორეს მოსახლეს ნიშნავს: „მეხდატეხილ დაიწჲნ კონსტანტინე სახელხენეში და ბილწი ბანაკითურთ, რომელმანცა აღაღო ჯოჯოხეთი პირი თჳსი განგმეობად, უხრწნელსა ხატსა ზედა ქრისტესსა და ღმრთისმშობელისა წმიდათასა თანა, რამეთუ მოძღუარებაჲ ქრისტესი დათრგუნა“ (თვითძლსპირნი, ღამითაგანსა, (290). კონსტანტინე V ხატთაყვანისმცემელთა მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა; მან 754 წელს მოიწვია საეკლესიო კრება, რომელსაც 338 სასულიერო პირი ესწრებოდა. კრებამ დაგმო ხატთაყვანისმცემლობა. **კონსტანტინე სახელხენეშმა** დახურა ეკლესია-მონასტრები, მიითვისა მათი ქონება, ებრძოდა ბერ-მონაზვნებს, შემწყნარებლობას იჩენდა მწვალებელთა მიმართ. კრებას მან VII მსოფლიო საეკლესიო კრება უწოდა, რომლის გადაწყვეტილებები საგანგებოდ განიხილა ნამდვილმა VII მსოფლიო საეკლესიო კრებამ 787 წელს, დაგმო ისინი და აღადგინა ხატთაყვანისმცემლობა. ხატების დასაცავად იწერებოდა მრავალი ნაშრომი; მათგან აღსანიშნავია იოანე დამასკელის „სიტყვაჲ წმიდათა ხატთათვის“ და „სიტყვაჲ

სიტყვისაგებელი მათი, რომელნი გმობენ წმიდათა ხატთა“. ასევე, ამ ასპექტით საინტერესო და მნიშვნელოვანია თეოდორე სტუდიელის შრომები რაც საბოლოოდ აღიარეს ნიკეის მეშვიდე საეკლესიო კრებაზე. ძირითადი სათქმელი და მიღებული დოგმატიკა მდგომარეობდა შემდეგში, რომ პატივისცემა ხატისა გადადის მის პირველ სახეზე. იოანე დამასკელის თანახმად: „რამეთუ რაჲსათვის თაყვანის ვცემთ ურთიერთას, არათუ ვითარცა ხატად ღმრთისად შექმნილნი“. იოანე დამასკელი ასახელებს მიზეზს, თუ რატომ იხსენიება ძველ აღთქმაში ხატები: „უხილავისა და უსხეულოჲსა და გარეშეუწერელისა და დაუსახველისა ღმრთისა ვინ შემძლებელი არს ქმნად მსაგვსებისა?“ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ღმერთი „ჭეშმარიტებით კაც-იქმნა ცხოვრებისათვის ჩუენისა“, განცხადდა იგი და გუეჩვენა არა როგორც აბრაჰამს, ან წინასწარმეტყველებს, არამედ „არსებით განკაცნა ჭეშმარიტად ვიდოდა ქუეყანასა ზედა და კაცთა შორის იქცეოდა“, მხოლოდ მას შემდეგ იქმნა შესაძლებელი მისი გამოხატვა თვითმხილველთაგან“; იოანე დამასკელი გადმოგვცემს ხელთუქმნელი ხატის შესახებ, რომ ქრისტეს ხატის პირველსახედ ქცეულა. ეს მწვავე პოლემიკა ხატმებრძოლობის წინააღმდეგ აქტუალობას არ კარგავს არსენ ბულმაისიმისძის საგალობლებში: „ეგრეთვე თაყვანს ვცემთ ღმრთისა კაც ქმნილისა ხატად, და ყოველთა მგმობარეთა მისთა შევეჩუენებთ და განვაქიქებთ“. „ქრისტეს ღმრთისა ხორცად თაყუანის ვცემთ და ეგრეთვე ხატსა ამას“. ეს პოლემიკა საბოლოოდ ხატმებრძოლთა შეჩვენებამდე მიდის. „აექვიან სასასა ენაჲ, რომელნი შენ არა თაყუანის გცემენ, ღვთივბრწყინვალეო ხატო ქრისტეს მეუფისაო“, „მას გამოვხატავ და ვჰმონებ, თაყუანისვცემ და აღვიარებ ხორცშესხმულისა ღვთისა ხატად“, „რომელმან შეურაცყოს ხატი ქრისტესი, თვით მას შეურაცხ-ყოფს“; დაჰბეჭდა ტილოსა ზედა საღმრთოჲ... პირისა თვისისა ტჳიფარი, რომელი ექმნა მას მრჩობლ იუსედ“, იმოწმებს **იოანე ოქროპირის** თვალსაზრისს ხატთა თაყვანისცემის შესახებ: „იოვანემა, ოქროს სეხნამან (ოქროპირი) იქადაგა ქრისტეს ხატისა მსახურებაჲ თაყუანის ცემით რამეთუ თვით მის ღმრთისად აღიწევის“, არათუ ფიცარსა ზედა გამოსახულსა ფერსა ღმერთად ვირწმუნებთ, არამედ ხატსა, რომლისაჲ იყოს სახელი, მისდამი აღვავლენთ პატივისცემას“, ასევე მოჰყავს გრიგოლ

ღვთისმეტყველის შეხედულებები იმის შესახებ, რომ ხატებთან უცრემლოდ არავინ მოვიდესო. ასე აისახა ეკლესიის მამების ნააზრევი ჰიმნოგრაფის საგალობლებში.

არსენ ბულმაისიმისძე ახსენებს მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებას, მის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს, კრების მოწვევის ინიციატორს, კონსტანტინოპოლის პატრიარქ **ტარასის** და მასთან ერთად რომის პაპს **ადრიანე** პირველს, რომელთა ძალისხმევითა და ირინე დედოფლის მხარდაჭერით აღდგა ხატთაყვანისმცემლობა: „მკჳდროვნისა ყოველ მსოფლიომან კრებამან დიდგონებათა მამათა დიდებულთა პაპამან ანდრიან და ტარასი ნეტართა დაამტკიცეს, წმიდათა ხატთა პატივი და შეჩუენებასა მისცნეს თეოდოსი და სისინი სხუათა თან განზრახვათა მათთა“ (თვთძლისპირნი, ღაღადყავსა, VI) (290 r). ტარასი საერო პირი იყო, რომელსაც სახელმწიფო მდივნის თანამდებობა ეკავა ირინეს დედოფლობის დასაწყისში. იგი ძალიან განათლებული პიროვნება ყოფილა; პატრიარქობას დასთანხმდა იმ პირობით, თუ აღდგებოდა ხატთაყვანისმცემლობა და საამისოდ მოაწვევინა მსოფლიო საეკლესიო კრება. ტარასი კონსტანტინოპოლის პატრიარქად უკურთხებიათ 784 წელს ქრისტეშობის დღეს. 787 წელს ნიკეაში მიმდინარე მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებას ხელმძღვენელობდა და წარმართავდა პატრიარქი ტარასი, რომელიც ამ თანამდებობაზე ყოფილა 806 წლამდე. კრებას მხარს უჭერდა რომის პაპი ადრიანე პირველი (772-779 წწ). კრებამ აღადგინა ხატთაყვანისმცემლობა, თუმცა საბოლოო გამარჯვებამდე ნახევარმა საუკუნემ განვლო. ხატმებრძოლები რელიგიურ ხელოვნებას უმაქნისსა და უწმინდურს უწოდებდნენ. ხატთაყვანისმცემელთა შეხედულებით, ხელოვნებას უდიდესი მისია ეკისრებოდა, რადგან მას შეეძლო, რელიგიასთან მჭიდრო კონტაქტი ჰქონოდა. ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ ხატთაყვანისმცემლობის საბოლოო აღდგენის შემდეგ (843 წ) კვლავ აღორძინდა და განვითარდა მონუმენტური და დაზგური ფერწერა, აქტიურად შემოვიდა ხელთუქმნელი ხატის თემა, რომელიც ქრისტიანობის გავრცელების პირველსავე საუკუნეში არსებობდა.

საგალობელში არსენ ბულმაისიმისძემ შეაჩვენა, აგრეთვე, **თეოდოსი** და **სისინი**, როგორც ორთოდოქსული ქრისტიანობის მოწინააღმდეგენი.

ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ ბოლო გალობაშიც, „თვთძლისპირნის“ („ადიდებდითსაში“, XI) კიდევ ერთხელ შეაჩვენა ღვთის მგმობნი და ურწმუნონი: „არამრწმუნებელნი, ჵ ქრისტე, შენდა ღმერთად ჭეშმარიტად, ხოლო ხატსა პირისა შენისასა მგმობარნი შეაჩუენენ ბილწი და ეშმაკსა მისცენ და მოსრენ მანაკითურთ და საუკუნოჲთა მით ცეცხლითა განაქარვე ყოვლად ულხინებელად“ (292v).

ამრიგად, ჰიმნოგრაფმა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობლებში წარმოაჩინა მართლმდიდებლური ქრისტიანული მიმართულების ბრძოლა თვითდამკვიდრებისათვის. მან დაგმო ყოველგვარი **ერესი,** კერძოდ **მონოფიზიტობა** და **ხატმებრძოლეობა.** აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს პრობლემა დასმული იყო სწორედ ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობლებში.

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლები არსენ ბულმაისიმისძის ღრმა თეოლოგიურ აზროვნების შედეგია. მასში გამოყენებული თეოლოგიურ-ფილოსოფიური ტერმინები საღვთისმეტყველო ლიტერატურიდან მომდინარეობენ; ჰიმნოგრაფის დამსახურება ისაა, რომ თითოეულ მათგანს უზუსტესად იყენებს. იგი ეყრდნობა უდიდეს ღვთისმეტყველთა ნააზრევს, ზოგს ახსენებს კიდეც, ზოგან ისეა მათი ნააზრევი მოხმობილი, რომ მართალია, დასახელებული არაა, მაგრამ ადვილი მისახვედრია, ვინაა ავტორი. არსენმა რამდენჯერმე მოიხმო ბასილი კესარიელის თვალსაზრისი პირმშო ხატის შესახებ: „თჳთ პირმშოჲსა ხატისა მიმართა აღიწევის პატივი ქრისტეს ღმრთისა ხატისაჲ“ (182r). „პატივი ხატისაჲ პირმშოდ ხატადმი აღვალს“ (287r). ამ თვალსაზრისს ემყარებოდნენ იოანე ანჩელი და საბა სვინგელოზი; მასვე უკავშირდება არსენის შეხედულებანი ხატების შექმნაზე, იგულისხმება ხატი, როგორც ხელოვნების ნიმუში (სულავა, 2003, 200).

ჰიმნოგრაფი ლიტერატურულ ტრადიციებში დაცულ ცნობებს იყენებს, როდესაც აღნიშნავს, რომ ტილოზე ღმრთივშუენიერი ხატი დაიწერა საკვირველად: „ღმრთეებაჲ არაოდეს სადა განეშორა ჴორცთა მათ ღმრთივგუამოვანთა, ეგრეთვე ჟამსა მას ოდეს იწერებოდა ტილოსა ხატი ღმრთივშუენიერი, სხეულებრი დაიხატვოდა, ხოლო ღმრთეებაჲ საკჳრველებდა“ (288r). ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით

უაღრესად მნიშვნელოვანია „თჳთძლისპირნის“ მონაცემი ხატების შექმნის შესახებ. მეექვსე მსოფლიო საეკლესიო გადაწყვეტილების გადმოცემისას არსენ ბულმაისიმისძე იყენებს ფერწერის შესაბამის ძველ ქართულ ტერმინს „ფერთმოქმედებას“, რომელიც ზედმიწევნით ასახავს მასში ჩადებულ შინაარს. მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრება, გვამცნობს არსენ ბულმაისიმისძე, „ძუელთა აჩრდილებთა წილ ახალთა შინა დახატვად ქრისტეს განგებულებისა გჳბრძანებს ფერთმოქმედებით, რომელიცა მტკიცედ დავიცვათ“ (188v-289r). ჩანს, რომ არსენ ბულმაისიმისძე არა მხოლოდ კათალიკოსი და მწერალ-ჰიმნოგრაფი იყო, არამედ – უაღრესად კარგი მცოდნე ფერწერისა, ანუ „ფერთმოქმედებითი ხელოვნებისა“. იგი მიანიშნებს, რომ ღმერთად ფიცარზე გამოსახულ ფერს კი არ აღვიქვამთ, არამედ ხატს, რომელსაც აქვს სახელი, ე.ი. ხატი ღმერთისაგან არის მოცემული არა ფერების გამო, არამედ მასზე გამოსახულის გამო: „რამეთუ ჩუენ საზღვარსა მამათასა დამცველნი გულისხმისყოფით არათუ ფიცარსა ზედა გამოსახულსა ფერსა ღრმად ვირწმუნებთ, არამედ ხატსა, რომლისა იყოს სახელი, მისდამი აღვავლენთ პატივისცემასა და სურვილით შევიტკბოზთ მხურვალედ“(289v). ავტორი გვამცნობს, რომ ხატი დაიწერა საგანგებო მიზანდასახულობით: „ქრისტეს შორის შეკრებულთა მრჩობლთა ბუნებათა და ნებათა და მოქმედებათა ერთსა გუამსა შინა დაცვულთა მიერ დაიწერა ხატი, რომელი იგი ტილოსა ერწმუნა, ამისათჳს ჩემისა ღმრთისა ქრისტეს ხატად აღვიარებ და თაყუანივსცემ სარწმუნოებით“ (289v).

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლები, მიძღვნილი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი, გამორჩეულია მხატვრული თვალსაზრისით. მართალია, მათში გამოყენებულია ჰიმნოგრაფიისათვის დამახასიათებელი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები, სიმბოლოები, ალეგორიები, თუმცა ორივე ჰიმნოგრაფიული კანონი და მცირე ფორმის საგალობლები წარმოაჩენენ მხატვრული ანალიზის მაღალ დონეს. **ვერ გავიზიარებთ გ. მიქაძის** შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ „მწერალი ნაკლებად ფიქრობდა მხატვრულ სამოსელზე, ძირითადად „თხზულებანი წარმოადგენენ არა მარტო განვლილი, ისტორიულად მომხდარი ან გაგონილი ამბების აღწერას და გადმოცემას, არამედ ისინი წარმოადგენენ

აგრეთვე, ცოცხალ გამოძახილს მონღოლ-ხვარაზმელთა შემოსევაზე, რომ მათში გადმოცემულია ავტორის უშუალო განცდა-განწყობილებანი მომხდარი ამბის გამო. ამიტომ ჰიმნოგრაფი არ ფიქრობდა მხატვრულ მხარეზე“ (მიქაძე, 1963, 126) მკვლევრების უმრავლესობა ადასტურებს, რომ საგალობლები, წარმოაჩენენ საღვთისმეტყველო სიბრძნესთან ერთად ავტორის იშვიათ ესთეტიკური და ლიტერატურული გემოვნების მაღალ დონეს.

საგალობლები სიმბოლოებითა და სახე-ხატებითაა გაჯარებული; მათში სიმბოლოთა უზარმაზარი სამყარო იმალება, რომლის განჭვრეტა არ ძალუძს ურწმუნო და უწვრთნელ გონებას. იგი თხზულებაში გამოხატული აზრის სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციიც საფუძველს ქმნის. **ამოტომაა სიმბოლური და სახისმეტყველებითი მეთოდი ყველაზე სწორი გზა ღმერთის შესამეცნებლად და წარმოსადგენად. ღმერთის ხილვა მხოლოდ სიმბოლოებითაა შესაძლებელი, ძველი აღთქმის მიხედვით, ქრისტეს,** ძე ღმერთის, მაცხოვრის განკაცებამ კი ადამიანებს საშუალება მისცა ღვთის ხილვისა. ადამიანის განახლებული ბუნება ღმრთისმხილველია. არსენ ბულმაისიმისძის საგალობლებში საღმრთო ხილვის შესახებ ნათქვამია: „ახალო ბუნებაო, ღმრთისმხილველო, იხარებდი, აჰა, მაუფე შენი, რომელიცა კიცუსა ზედა წმიდად ქალაქად მჯდომარე იხილეს ერმან და ადიდეს. აჰა, აწ კუალად უცვალებლად მითვე ხატითა დღეს შემოვალს შენდა მშვდი, მოწყალე ედესიით ანტონისაგან. ნუ ჰურიაებრ ჰგმობ სიმდაბლესა, არამედ ყრმათა თანა ღმრთივგონიერთა ოსანნასა ღაღადებდი, სამოსელთა წილ მიმფენი მართალ აღსარებასა“ (284r).

არსენის საგალობლები შედგება **სიმეტრიული აგებულების სტროფებისაგან,** რომელთა რიცხვი შეიძლება სხვადასხვა იყოს. ეს სტროფები აგებულია თანაბარია რაოდენობის სალექსო სტრიქონებისაგან და აქვთ ერთი საერთო მელოდია. თვით სტროფებში ტაეპების მარცვალთა რაოდენობა ყოველთვის თანაბარი არ არის; გვხვდება სხვადასხვა ზომის ტაეპები. სწორედ მარცვალთა ეს არათანაბრობა ანიჭებს საგალობელს თავისებურ სილამაზეს; მარცვალთა ამ არათანაბრობით გამოიხატება საგალობლის რიტმული მრავალგვარობა.

საგალობელთა სტროფულ წყობისთვის ნიშანდობლივ მხარეს წარმოადგენს მრავალტაეპიანობა. არსენის საგალობლებში გვხვდება 5-ტაეპიანი სტროფებიდან მოყოლებული 17-ტაეპიანის ჩათვლით ყველა სახის სტროფი (გარდა 11 და 16-ტაეპიანი სტროფების); ეს სტროფები კი შედგენილია სხვადასხვა ზომის ტაეპებისგან. ჰიმნოგრაფს გამოყენებული აქვს 3-მარცვლიანიდან დაწყებული 18-მარცვლიანი ტაეპების ჩათვლით ყველა საზომი.

„გალობანი“ ბერძნულ „კანონს“ შეესატყვისება, შედგება 8 და 9 გალობისაგან (საგალობლისაგან). თითოეულ ამ საგალობელს თავისი საზომი და ჰანგი აქვს. ცალკ-ცალკე ეს საგალობელი უმეტესად 3 ან 4 სტროფისგან შედგება. „გალობანის“ ყოველი საგალობელი სახელდებულია დასაწყისი სიტყვებით იმ ბიბლიური ჰიმნებისა, რომლებიც მათ საფუძვლად უდევს. ეს გალობებია:

1.გალობა-უგალობდითსა; (გამოსვლ. VI, 1-19);
2.გალობა-მოიხილესაჲ; (II შჯ. XXXII, 1-43);
3.გალობა-განძლიერდასაჲ; (I მეფეთა III, 1-10)
4.გალობა-მესმაჲსაჲ; (ამბაკუმ. III, 1-19)
5.გალობა-ღამითგანისაჲ; (ესაია XXVI, 9-19)
6.გალობა-ღაღად-ვყავისაჲ; (იონ. II, 3-10)
7.გალობა-კურთხეულხარსაჲ; (დანიელ. III, 26-55)
8.გალობა-აკურთხევდითსაჲ; (დანიელ. III, 57-88)
9.გალობა-ადიდებსაჲ; (ლუკა I. 46-55)

„გალობანის“ მეორე გალობა („მოიხილესაჲ“), ჩვეულებრივ, გამოტოვებულია, რადგან მას საფუძვლად უდევს ძველი აღთქმის ისეთი ჰიმნი, რომელიც თავისი შედგენილობით არ წარმოადგენს ღვთის სახოტბო საგალობელს, არამედ არის იუდეველთა მრისხანე შეგონება. სასტიკი მხილება მათი ურჯულოებისა. ეს ჰიმნი ქრისტიანთა მიერ სრულდებოდა. გალობანს, რომელშიც გამოტოვებულია მეორე გალობა, არასრული გალობანი ეწოდებოდა.

არსენ ბულმაისიმისძეს დაწერილი აქვს რამდენიმე არასრული გალობანი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან აგებულების მიხედვით. გარდა იმისა, რომ ისინი სხვადასხვა რაოდენობის მარცვლების, ტაეპებისა და სტროფებისაგან შედგება, გარეგნულად გამოიყოფა მათი სამი ძირითადი სახე:

**პირველი სახის გალობანი** დაწერილია იამბიკური სტროფით. იამბიკო არის ძველი ბერძნული პოეზიის სალექსო ზომა, რომელიც ეყრდნობა ორმარცვლიან ტერფთა (იამბთა) გარკვეულ რაოდენობას. ეს ურითმო ლექსი სტორფულ სისტემაზეა აგებული. თითოეული ტაეპი შეიცავს 12 მარცალს, ტაეპი გატეხილია ორ არათანაბარ (5 და 7 მარცვლიან) ნაწილად. იამბიკო ძირითადად 5 ტაეპიანია. გამონაკლისს წარმოადგენს VI გალობა, რომელიც გაწყობილია არათანაზომიერი ტაეპებიანი სტროფებით. ამ გალობაში სტროფი შედგება შემდეგი ტაეპებისგან: 12-7-9-8-7-10-10 (რიცხვები გამოხატავს მარცვალთა რაოდენობას ტაეპში). ყოველ გალობაში ოთხი სტროფია.

**მეორე სახის გალობანი** მთლიანად შედგენილია არათანაზომიერი ტაეპების მქონე სტროფებისაგან. ცალკეულ გალობაში ტაეპებისა და სტროფების რიცხვი სხვადასხვაა. ამ სახის გალობანს ბოლოში დაერთვის ერთსტროფიანი „გამოავლინე“ და ოთხსტროფიანი „აქებდითსა“ (საგალობლის სახელწოდება „აქებდითი“ დასაწყისი სიტყვაა 148-ე ფსალმუნისა)

**მესამე სახის გალობანიც** შედგენილია არათანაზომიერი ტაეპების სტროფებისგან. ყოველი გალობა შედგება 8 სტროფისაგან. პირველი გალობის ძლისპირის გარდა, ყველა სტროფს დაერთვის ფსალმუნიდან შერჩევით ამოკრებილი ადგილები, რომლებსაც ეწოდება **„სტროფიანი საქცევნი“.** ყოველ გალობას ამთავრებს თითოსტროფიანი „დიდებაჲ“ და „აწდა“.

## თავი III. ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძისადმი

ყოფილი საეკლესიო მუზეუმის კოლექციის A-85 ხელნაწერში, რომლის რედაქტორია ტბელ აბუსერისძე დაცულია საქართველოს კათალიკოს–პატრიარქის არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე ერისთავთ-ერისთავის აბუსერისადმი (293v-294v). კ. კეკელიძე ეპისტოლის დაწერის მიზეზს ასე განმარტავს: „როდესაც აბუსერისძეს უთხოვია არსენისათვის 16 აგვისტოს საგალობელთა დაწერა, არსენის საპასუხოდ გამოუგზავნია მისთვის ეს წერილი, რომელიც მაჩვენებელია მისი ელინური განათლებისა და ენაწყლიანობისა“ (კეკელიძე, 1960: 328). თვითონ ტბელ აბუსერისძე შემდეგს გვაუწყებს: „ძმამა ჩუენმან აბუსერი არსენის მიმართითა გალობათა თქუმისა იძულებაჲ მოიგონა (განიზრახა) საღმრთოჲსა პირისათვის, რომლისა მოგონებასა ამით ებისტოლითა აბუსერის მიმართითა ესევე არსენი აქებს, რომელი მოწერა გელათით“ (ხალვაში, 1996: 38). აქედან გამომდინარე ცხადია, რომ არსენს ეპისტოლე გელათში ყოფნისას დაუწერია.

ეპისტოლემ მკლევართა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, ავტორის, არსენ ბულმაისიმისძის, შემოქმედების მიმართ ინტერესით, მეორე მხრივ, აბუსერ და ტბელ აბუსერისძეების ურთიერთობის ხასიათის გარკვევის სურვილით.

აღნიშნული ეპისტოლე ექვსჯერ არის გამოქვეყნებული:

პირველად გამოსცა თ. ჟორდანიამ ( ჟორდანია, 1897: 108-110)

მეორედ – თ. ბრეგაძემ (ბრეგაძე, 1973: 289-290)

მესამედ – რ. ხალვაშმა (ხალვაში, 1996: 38-42)

მეოთხედ – ავტორთა კოლექტივმა (აბუსერისძე, 1998: 101)

მეხუთედ – ნ. სულავამ (სულავა, 2003: 172-176)

მეექვსედ – მაია რაფავამ (რაფავა, 2012: 56-64).

ეპისტოლე დაწერილია იმ დროს, როდესაც არსენ ბულმაისიმისძე მოღვაწეობდა გელათის მონასტერში, სავარაუდოდ 1225-1230 წლებში.



ეპისტოლე, რომ 1231 წლამდეა დაწერილი, ეს სხვა მონაცემებითაც მტკიცდება. არსენის თანამედროვე მწერალი აბუსერისძე ტბელი თავის შრომაში ორჯერ აპერიფრაზებს არსენის ცნობილ სიტყვებს სიყვარულის ძალის შესახებ. აბუსერისძე

ტბელის შრომა კი, როგორც გარკვეულია, დაწერილია 1231-1235 წლებს შორის; ამდენად, შესწორებას მოითხოვს ისტორიკოს თ. ჟორდანიას მოსაზრება, თითქოს აღნიშნული ეპისტოლე არსენს უნდა მიეწერა 1218-1233 წლებში (მიქაძე, 1964: 126).

ეპისტოლეს ტექსტის პუბლიკაციასთან ერთად მკვლევართა მიერ გამოთქმულია საყურადღებო შეხედულებანი ეპისტოლის რაობასა და მნიშვნელობასთან დაკავშირებით. არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე იმდროინდელი საქართველოს ზოგად პოლიტიკურ-საზოგადეობრივი ცხოვრების ჭრილშია დანახული. იგი დასტურია იმისა, რომ ქართული ეკლესიის მამამთავარი, როგორი პატივისცემითა და რიდით არის გამსჭვალული აბუსერისძეთა ოჯახის მიმართ. მეორეც, მაჩვენებელია დიდი შემოქმედებითი კონტაქტებისა და რაც მთავარია, საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი აქტიურად უდგას გვერდში მესიანისტური იდეის, საეკლესიო კალენდრის რეფორმის, ეროვნული სულისკვეთების პროპაგანდას (აბუსერისძე, 1998: 101).

მკლევარი მაია რაფავა ეპისტოლეს განიხილავს ესთეტურ-სტილისტურ და ტერმინოლოგიურ ჭრილში. მისი აზრით ეპისტოლეში ასახულია ტერმინოლოგიური და სტილისტური ხერხები, სადაც ნათლად დასტურდება არსენ ბულმაისიმისძის თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი ლიტერატურულ-კულტუროლოგიური პროცესების თავისებურებანი. მკვლევარს მხედველობაში აქვს ის ლიტერატურულ-შემოქმედებითი სტილი, რომელიც ტიპური იყო გელათის ლიტერატურული სკოლისათვის. (რაფავა, 1912: 57).

ეპისტოლე ქრისტიანულ-საღვთისმეტყველო შინაარსით არის გამსჭვალული, სადაც რჯულისმეტყველებასა და რიტორიკულ მეტყველებასთან დაკავშირებით დამოწმებულია წინასწარმეტყველი **იოანე ოქროპირი:** „ჰრიდეთ სიტყვათა შჯულისა ჩემისათა, რომელთა და ეგე არა მიბრძანებიეს მეტყველებად“. აქ გაცხადებულია შემდეგი: უფალი აფრთხილებს ყველას, თავი აარიდონ ცრუ რჯულისმდებელთა სიტყვებს. ეპისტოლეში იგივე აზრი სხვაგანაც არის პერიფრაზირებული: „რომელთა არა სულისა მიერ წმინდისა მიეღოს და რიტორობდენ, მსგავს არიან ბრმისა, კედელსა

მფეშუებელისა“. ანუ ყოველი შემოქმედი, რიტორი სული წმინდის მიერ თუ არ არის შთაგონებული, ჰგავს ბრმას, რომელიც კედელს ეხეთქება. აქ ის აზრია გატარებული, რომ ყოველი ჭეშმარიტი სიტყვა სულიწმინდის მიერ ებოძება შემოქმედს (რაფავა, 2012: 60).

ელინური განათლება და ენაწყლიანობა ანუ მჭერმეტყველება ითვალისწინებს შუა საუკუნეების რიტორიკა თავისი მახასიათებლებით, რომელთა შერწყმით ქრისტიანულ საღვთისმეტყველო მოძღვრებასთან შეიქმნა ქართული მწერლობის ელინოფილური მიმდინარეობა.

მკლევარი ნესტან სულავა ეპისტოლის ლიტერატურულ-ესთეთიკურ ღირებულებებზე მიგვანიშნებს და აღნიშნავს, რომ „არსენის მიერ აბუსერ აბუსერისძისადმი მიწერილ ეპისტოლეს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ, ეპისტოლარული ჟანრის ისტორიისათვის ქართულ მწერლობაში, მეორე მხრივ, ეპოქის ლიტერატურული მოთხოვნების გასათვალისწინებლად, ავტორის ლიტერატურული-**ესთეთიკური** შეხედულებებისა და მისი სამწერლობო მეთოდის შესასწავლად (სულავა, 2003: 172).

არსენ ბულმაისიმისძის ხსენებული ეპისტოლე, რომელიც ხელნაწერში სრული სამი გვერდიც არ არის (293v-294v), ქართული მჭევრმეტყველების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. მწერალს გამოუთქვამს მნიშვნელოვანი და საინტერესო საღვთისმეტყველო და თეორიულ-ლიტერატურული შეხედულებანი, რომლებიც წარმოაჩენენ არსენ ბულმაისიმისძეს, როგორც ღრმა ღმრთისმეტყველს, მხატვრული სიტყვის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს და ლიტერატურის შემაფასებელს, იგი უთუოდ მოგვაგონებს იოანე საბანისძისა და გიორგი მცირის ცნობილ ეპისტოლეებს. მათ მსგავსად, არსენ ბულმაისიმისძე საოცარ თავმდაბლობას ამჟღავნებს; მას საკუთარი თავი საგალობელთა გამოთქმის ღირსად არ მიაჩნია; იგი უპირველესად იმას მიუთითებს, რომ ადამიანმა თავის შესაძლებლობებზე აღმატებულ საქმეს ხელი არ უნდა მოჰკიდოს, მაგრამ დიდი ძალა ღმრთისადმი სიყვარულისა, რომელიც იმორჩილებს გონებას და აკეთებინებს იმას, რაც მის შესაძლებლობებს აღემატება.

ამგვარ მდგომარეობაში აღმოჩნდა არსენ ბულმაისიმისძე აბუსერის, ყოვლად მეცნიერი კაცის, თხოვნისა და იძულების შემდეგ.

საყურადღებოა ეპისტოლეში გამოთქმული აზრი რწმენისა და საქმის ერთიანობის აუცილებლობისა და მათი თანაბარი ღირებულების შესახებ: „მიგმადლენ გულსმოდგინებამან სარწმუნოებაჲ და სარწმუნოებამან – საქმე“. არსენ ბულმაისიმისძის ეს სიტყვები პერიფრაზია იაკობ მოციქულის ცნობილი გამონათქვამისა: „სარწმუნოებაჲ თვინიერ საქმეთასა მკვდარ არს“ (იაკ. ეპისტ., 2,26). ეს არის ქრისტიანული მოძღვრების უაღრესად ჰუმანური იდეა, რომელიც სარწმუნოებასთან ერთად, ცოდნის, მოქმედების, საქმიანობის აუცილებლობას ქადაგებს. საყურადღებოა, რომ ახალი აღთქმის ამ კონცეპტმა შემდგომი განვითარება ჰპოვა მართლმადიდებელ საეკლესიო მოღვაწეთა შრომებში. **კლიმენტი ალექსანდრიელმა** (II-III სს) ქრისტიანული მოძღვრების აქტუალურ პრობლემად აქცია რწმენისა და ცოდნის ერთობა. ჭეშმარიტი სიტყვა და სარწმუნოება ჰარმონიაში უნდა იყოს ცხოვრებასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ აზრი ეკარგებათ. აუცილებელია ცხოვრების რეალიების გათვალისწინება და გათავისება. „უკუეთუ წინ აღუდგები სიტყვაჲ და სარწმუნოებაჲ ცხოვრებასა, არარად სახმარ არიან, დაღათუ საკჳრვებელათაცა მოქმედებად მიიწინენ, რამეთუ მკჳდარ არიან“ - ასეთ მოთხოვნებს უყენებს რწმენას XI საუკუნის ბიზანტიელი **მოღვაწე ნიკიტა სტითატი (სტითატი, 1463: 262r)**

არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლის ზოგადქრისტიანული შინაარსი და სარწმუნოებრივი განწყობა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ გადმოცემულია ისეთი გამომსახველობითი ფორმებით, რომელთა არსებობა ელინურობის გავლენით არის განპირობებული. ეპისტოლეში ირეკლება ის სურათი, რაც ტიპური იყო იმდროინდელი ბიზანტიური ეპისტოლოგრაფიისათვის და ძირითადად გამოიხატებოდა ელინურობით გატაცებაში (რაფავა, 2012: 60).

ეპისტოლეში შინაარსი **ინფორმაციულობის** თვალსაზრისით ძალზე მცირეა, ხოლო **გამომსახველობითი** ფორმებით, ძალზე უხვი. ასევე ხდება სათქმელის აბსტრაგირება დახვეწილი სტილიზაციის წყალობით, რაც აშკარად ანტიკური რიტორიკული სტილის

გავლენას უნდა მიეწეროს. ალეგორიულად, ანტითეტური პარალელიზმით, იშვიათი მხატრული ტროპებით ავტორი საუბრობს იმის შესახებ, რომ **იგი სრულიად უღირსია იმ დიდი და უწმინდესი** საქმისათვის, რის შესრულებასაც მისგან ითხოვენ. ჩვეულებრივი თავმდაბლობის ეს კლიშე, ჰაგიოგრაფიისათვის ნიშანდობლივი სარწმუნოებრივი რეფრენისაგან განსხვავებით, ახალ, ანტიკურობით გაჯერებულ შინაარსაც შეიცავს. დაახლოებით მსგავსი სიახლე დადასტურებულია საშუალო ბიზანტიურ ეპისტოლოგრაფიაში. ცნობილია, რომ X-XI საუკუნეებისათვის ეპისტოლე იქცა რიტორიკული პროზის ერთ-ერთ ჟანრად. იმდროინდელ ეპისტოლოგრაფიაში რიტორიკული კლიშეებისა და სტანდარტიზირებული გამოთქმების უკან დაიკარგა ავტორისეული „მე“, არ იგრძნობა ავტორის აზრები და გრძნობები. მიუხედავად ეპისტოლარულ ჟანრში არსებული ასეთი საერთო ფონისა, რიტორიკული ფრაზების სიჭარბისა და ინფორმაციულობის სიმწირისა, არსენის ეპისტოლეში მაინც იგრძნობა ავტორის აზრები და სული, მისი პიროვნება, იგრძნობა ღრმა სულიერი სიახლოვე ავტორსა და ადრესატს შორის.

ჰიმნოგრაფი გაკვირვებულია იმ გარემოებით, რომ ისეთმა დიდგვაროვანმა, როგორც იყო აბუსერ აბუსერისძე, მასში ჰპოვა ნილოსის მსგავსი დიდებული მდინარე, რადგან მას თავი ღირღლოვანში მდებარე ურწყულ ხევად წარმოუდგენია: „ვითარ და რად ღირღლოვანსა შინა ურწყულსა ხევსა უდაბნოჲსასა ჰგონეთ მდინარე? და მდიდროობასა ნილოჲსა ნანდულ ოქრონექტართასა და არა აღივსენით ჯურღმულნიცა? რად თავისა დამტეობელთა თქმულისაებრ ფერხთანი მოიხადენით? ანუ ვინ სად მჯდომარემან აღსავსესა ტრაპეზსა ჰრქუა „გიხაროდენი“, ხოლო გლახაკისა უბეთაგან სასოებდა განძღომასა? ანუ სამეფონი საწდევნი, ტაკუკნი და ფიალნი აღსავსენი და-ვინმე-უტევნაა ოდესცა და გული უთქუმიდა მახრუტსა პერეღრინთასა (უცხოური, უცხოელი, უცხოეთი) შთაწრედად შემნდობელთაგან და მაღალი, რომელთა აიძულენით თავნი დატევებად, ვითარ ვინ თქუას წყალთა პონტოჲსათა და მისწრაფად ფრეათა უქმათა არაბიაჲსათა?“ მიუხედავად ყოველივე იმისა, რაც ახლავს შემოქმედებით პროცესს, არსენი იძლია და დათანხმდა. მისი შიში სიხარულმა გააქარწყლა, რადგან

მისი შემოქმედება მომავალ თაობებს, შთამომავლობას დარჩება. არსენ ბულმაისიმისძემ საკუთარ თავთან ჭიდილი ღვთისმეტყველთა ნააზრევითა და სიტყვებით გამართა, რაც ეპისტოლეს ფსიქოლოგიური დატვირთვით გამოარჩევს.

ამ უაღრესად საინტერესო პასაჟს, შინაარსიდან გამომდინარე, რამდენიმე სეგმენტად წარმოგვიდგენს მ. რაფავა, რათა ცხადად წარმოაჩინოს ის ერთიანი მოტივაცია, რაც მათ კრავს. თითოეული სეგმენტი ანტითეტური პარალელიზმის შემცველი წინადადებისგან შედგება. მოხმობილ პასაჟში ასახულია მხატვრული აზროვნების ბინარული პრინციპი და მასზე დაყრდნობილი სიმბოლიკა. მსგავს ესთეტიკურ პრინციპს მკვეთრად ჰქონდა ფეხი მოკიდებული შუა საუკუნეთა აზროვნებაში, საფიქრებელია, რომ ბიზანტიურ კულტურას ზიარებული არსენ ბულმაისიმისძისთვის ცნობილი იყო სენტენციების, სწავლანის შემცველი რომელიმე კრებული ან კრებულები, რომლითაც ასე მდიდარი იყო ბიზანტიური მწერლობა. ეპისტოლეს ავტორი, რომ სხვათა გამონათქვამებს იმეორებს, ამაზე მიუთითებს ერთ-ერთ სენტენციაში ნახმარი სიტყვა „თქმულისაებრ“. „თქმულისაებრ“ ნიშნავს ან ზეპირ გადმოცემას ან წერილობით წყაროს (უპირველეს ყოვლისა – ბიბლიურს). ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელი წყაროთი ისარგებლა არსენმა, მაგრამ ის, რომ იგი რაღაცას ეფუძნებოდა, ჩანს იქიდან, რომ ერთ-ერთი მისი სენტენცია: „მდიდროობასა ნილოჲსა ნანდულ ოქრონექტართასა“ - გარკვეული პერიფრაზით დასტურდება სხვა ავტორთანაც, კერძოდ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ერთ-ერთ ჰომილიაში. იქ, არსენის ეპისტოლის მსგავსად, ლაპარაკია ოქრომდინარე ნილოსზე: „თქუა ვინმე ფილოსოფოსმან ნილოჲსი: ოქრომდინარეო“ (წმ. ეფთვიმე ათონელის თარგმანი), „ამას ნილოსისათვს იტყვს, ნამდულვე ოქრონაკადულისა“ (ეფრემ მცირის თარგმანი). ეპისტოლის ჩვენთვის საინტერესო პასაჟის პირველივე წინადადება, რომელშიც არსენი მიმართავს აბუსერ აბუსერისძეს, ანტითეზას, კონტრასტულ დაპირისპირებას წარმოადგენს:

1. „გარნა თქუენ რაჲ ჰყავთ და ვითარ და რად ღორღლოვანსა შინა ურწყულსა ჴევსა უდაბნოჲსასა ჰგონეთ მდინარე და მდიდროობასა ნილოჲსა ნანდულ ოქრონექტართასა და არა აღივსენით ჯურღმულნიცა?“ ანუ: როგორ და რა მიზნით დაუშვით თქვენ, რომ

უდაბნოს ხრიოკ და ურწყულ ხევში იფიქრეთ მდინარის არსებობა და ნილოსის დიდროობისას არ აღივსეთ ჭები? ალეგორიულად ეს ნიშნავს: თქვენ ჩემნაირ უდაბნო და ხრიოკ ხევს როგორ მომმართეთ და თქვენი ცნობისწადილი ნილოსის მსგავსი წყაროთი არ შეავსეთო?

2. „რად თავისა დამტეობელთა, თქმულისაებრ, ფერჴთანი მოიხადენით?“ ეს წინადადებაც კონტრასტული პარალელიზმის ნიმუშია: თავის დამკარგველებმა ფეხზე რას გაიხადეთო? ანუ: თქვენ თავი, გონება მიგიტოვებიათ და მე, ფეხის ბადალს, მომმართავთო.

3. „ანუ ვინ სადა მჯდომარემან აღსავსეა ტრაპეზსა ჰრქუა: „გიხაროდენი“, ხოლო გლახაკისა უბეთაგან სასოებდა გაძღომასა?“. აქაც ანტითეზური პარალელიზმია: სავსე ტრაპეზთან მჯდომარემ მხოლოდ მისალმება თქვა, ხოლო ჭამა-გაძღომის იმედი გლახაკისაგან ჰქონდა. ალეგორიულად ეს ნიშნავს შემდეგს: ავტორი თავის თავს გლახაკად მიიჩნევს, რომლისაგან რაღაცას ელიან, მაშინ, როცა არსებობენ ამ საქმის დიდოსტატები.

4. „ანუ სამეფონი საწდევნი ტაკუკნი ფიალნი აღსავსენი და-ვინმე-უტევნა-ა ოდესცა და გული უთქუმიდა მახრუტსა პერეღრინთასა შთაწრედად?“ ანტითეზა: სამეფო სასმისების უარმყოფელს ყარიბის მდაბიური ჭიქის გამოცლა უნდა? ანუ: თქვენ სამეფო წყაროზე უარი თქვით და ჩემი სახით უბადრუკ სასმელს დაეწაფეთო?

5. „შემნდობელ თქუენდა მაღალი, რომელთა აიძულენით თავნი დატევებად, ვითარ ვინ თქუას, წყალთა პონტოჲსთა და მისწრაფად ფრეათა უქმთა არაბიაჲსათა?“ ანტითეზა: შეგინდოთ ღმერთმა, რომელთაც მიატოვეთ პონტოს ზღვის ტალღები და არაბეთის გამომშრალ ჭებს მიაშურეთ. უკანასკნელ ანტითეზაში ავტორი თავის-თავს არაბეთის ცარიელ ჭას ადარებს (რაფავა, 2012: 63).

ასეთ ალეგორიულ-სიმბოლურ სახეებში, ანტითეზების შეუდარებელ კასკადში, გამოხატულია ქრისტიანული მორალის უარსებითესი პრინციპი: თავმდაბლობა, საკუთარ უღირსების შეგრძნება; ეს რიტორიკული ხერხი ქრისტიანულმა მწერლობამ

ანტიკური რიტორიკიდან (არისტოტელე, რიტორიკა, III 9, 1410 a 24) ისესხა. სავსებით ქრისტიანული შინაარსი გადმოცემულია ელინური რიტორიკულ-ესთეტური ფორმებით.

მხატვრულ-ესთეტური სტილიზაციის გარდა, არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლეში ანტიკურობით გატაცება ლექსიკაშიც მჟღავნდება. ეპისტოლეში დასტურდება ბერძნული სიტყვები: ამარტოლი, რიტორება, ოქრონექტარი, ტრაპეზი, პერეღრინი, ფრეა, ორღანო, ფიალა. მათგან რიტორი, ფიალა, ტრაპეზი, ოქრონექტარი ბუნებრივად დამკვიდრდა სალიტერატურო ქართულში. „ამარტოლი“ უთარგმნელად გადმოსული სიტყვაა. ბერძნულში მას აქვს „ცოდვილის“, „უნდოს“ მნიშვნელობა. ნიშანდობლივია, რომ არსენიც ეპისტოლის დასაწყისში თავის თავს მოიხსენიებს შემდეგნაირად: „მდაბალი არსენი ამარტოლი“, რაც მკლევარ რ. ხალვაშის სამართლიანი შენიშვნით, არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი „ხრონოგრაფის“ ავტორის, გიორგი ამარტოლის ზედწოდების მიბაძვას წარმოადგენს. მჭერმეტრყველის, ორატორობის მნიშვნელობით იხმარება სიტყვა „რიტორი“. პერეღრინიც ბერძნულია და ნიშნავს „უცხოელს“, „ყარიბს“. ეპისტოლეში იხმარება უთარგმნელად გადმოსული სიტყვა „ფრეა“, რაც ბერძნულში ნიშნავს „ჭას“. „ფრეა“, საბას განმარტებით არის „წყარო ჭისა“. ეს სიტყვა ქართულ წყაროებში ჯერჯერობით სხვაგან არ დასტურდება.

არსენ ბულმაისიმისძე ჰაგიოგრაფთა და ჰიმნოგრაფთათვის დამახასიათებელი უბრალოებით და თავმდაბლობით აცხადებს, რომ იძლია და დაავიწყდა წინასწარმეტყველთა ნათქვამი: „ჰრიდეთ სიტყუასა შჯულსა ჩუენისათა, რომელთადა ეგე არა მიბრძანებიეს მეტყუელებაჲ“. თავმდაბლობის ნიშნად იქვე იმოწმებს იოანე ოქროპირის სიტყვებს: „რომელთა არა სულისა მიერ წმიდისა მიეღოს და რიტორობდენ, მსგავს არიან ბრმისა კედელისა მფებუელისა“. ჰიმნოგრაფი მისდევს იმ შეხედულებას, რომლის თანახმად, სულიწმინდის შთაგონების გარეშე, ღვთიური მადლის გარეშე, ვერ შეიქმნება ვერარა თეოლოგიური მხატვრული თხზულება.

თეოლოგიაში სულიწმინდა მოიაზრება შემოქმედებით ძალად, რასაც აღიარებს მთელი ქრისტიანული მწერლობა. სულიწმინდის შემოქმედებით უნარს იუდაიზმიც

აღიარებდა, იგი მიაჩნდა ადამიანამდე ღვთიური შთაგონების მიმტანად. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, სულიწმინდა მთელი თავისი სისავსით მხოლოდ ღვთაებრივ ლოგოსთან, ქრისტესთან ერთად მოვიდა, იგი გადავიდა მოციქულებზე და სამუდამოდ დაივანა ქრისტიანულ ეკლესიაში. კაბადოკიელი წმინდა მამები – გრიგოლ ღვთისმეტყველი, ბასილ კესარიელი, გრიგოლ ნოსელი, მათი უმცროსი თანამედროვე იოანე ოქროპირი ეყრდნობოდნენ ევანგელურ-აპოსტოლურ თვალსაზრისს ღვთაებრივი შთაგონების შესახებ და მიიჩნევდნენ, რომ სული წმინდის ფუნქცია დაფარული საიდუმლოს გაცხადება იყო. მათივე ნააზრევით, სულიწმინდის შეგონებულია მთელი ჰიმნოგრაფია, რასაც საკმაოდ ხშირად გვამცნობენ თვით ჰიმნოგრაფებიც. ისინი აგრძელებენ წინასწარმეტყველთა და მოციქულთა საქმეს. ამიტომ დაისადგურა შიშმა არსენ ბულმაისიმისძის პიროვნებაში ლიტერატურული ნაწარმოების შექმნის წინ. ფსალმუნი გვიმოწმებს: „ჰმონეთ უფალსა შიშით და უგალობდით მას ძრწოლით“ (ფს. 2,11).

არსენ ბულმაისიმისძის შეხედულებით, ჭეშმარიტება ღვთისაგან მოდის, იგი ყოველგვარ თხზულს, გამოგონილს აღემატება. ჩანს, მწერალი გამოხატავს იმ თვალსაზრისს, რომლის თანახმად, ჰიმნოგრაფია წინასწარმეტყველთა და მოციქულთა წიგნების გაგრძელებად მიიჩნევა. სარწმუნოებამ უნდა შვას სიკეთე, გამოიღოს კეთილი ნაყოფი, რითაც ადამიანი მიაღწევს სრულყოფას: „გარნა მოგმადლენ გულმოდგინებამან სარწმუნოებაჲ და სარწმუნოებამან საქმე, რაჲთა ამათ შინა სრულნი იშუებდეთ სასოებათა ნაყოფითა“. მწერალს სწამს, რომ ყოველი ადამიანის ნამუშაკევი მის ჭეშმარიტ შემოქმედს – ღმერთს უნდა შეეწიროს, მიეძღვნას, რადგან არ არსებობს სიკეთე, რომელიც ღვთისაგან, ყოვლის შემოქმედისაგან არ მომდინარეობდეს: „ესე იყავნ ხუავ თქუენდა და თქუენთა ნამუშაკევთა ნაყოფ – შეწირულ მომცემელისა. რამეთუ არა რაჲ არს კეთილთაგანი, რომელიმაცა არა მისი იყო... ხოლო ნაცვალი თჳთ მან მოგცეს მისდა მხედველთა, უფროჲსღა მის მიერ ხედუთა, აქათა შინა კეთილ ყოფად“.

არსენის ეპისტოლე გამოხატავს ავტორის თეოლოგიურ თვალსაზრის, რომ ყოველი სიკეთე ღმერთისაგან მოდის, იგია ყოველი კეთილის საწყისი, დასაბამი. ღმერთი კი

ყოველივეს ხედავს და ყველას თავისას მიუზღავს. ცხადია, ყოველივე ეს ბიბლიურ წიგნებს და პატრისტიკულ ლიტერატურას ემყარება (სულავა, 2003: 175).

არსენ ბულმაისიმისძე **თავმდაბლად** და ამავე დროს **მჭერმეტყველურად** გამოხატავს თავის ეპისტოლეში შემოქმედებითი პროცესისადმი დამოკიდებულებას, რომლის მიხედვით, ყოველივე, რაც მისი ხელით შეიქმნა, ზეცითაა მომადლებული: „დიდ არს გონიერება ნაშობითურთ თჳსით სიბრძნით, რომელი მარადის ღმრთისათა განიხილავს მის თჳსთა მოქმედი, ვითარცა დასაბამად შიშსა მისთა მაწუეველი - მწევალი, რომელი ესე განწმენდილთა გონებისა და სულისათა ზენათი მოეცემის“ ე.ი. მხოლოდ სულიწმინდის შთაგონებით თუ და შეიქმნებოდა მისი საგალობლები. შთაგონება სწორედ სულიწმინდისგან მოდის და „იგი მაუკვდავებელნი წყარონი დიან“, ამის ღირსი მხოლოდ ღვთის რჩეული შეიძლება გახდეს (სულავა, 2003: 173).

არსენ ბულმაისიმისძემ კდემამოსილება და საკუთარ ღირსებათა შეგნება გამოავლინა, როდესაც განაცხადა, რომ ბედნიერად ჩათვლის თავს, თუკი ამ უკვდავების წყაროდან ერთი წვეთიც მიიღო: „ვჰნახეთ მისგან წდეულთა და მე უკეთუმცა წუეთიცა ერთი მიმეღო მისგანი, არამცა ესრეთ აღმლაგმა ენაჲ ქებად შენთჳს, რომელმან განინათლე საცნაურითა ხედვითა გონებაჲ მარადის ზემჭუირობი, ესე ვითართა ქების მეტყველებათათჳს მბრძნობი და მთნები, ჵ ღმრთისმოყუარეო, მთავარო დიდგუარიანო და სახელმაღალო აბუსერი“.

არსენ ბულმაისიმისძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს და აღნიშნავს აბუსერ აბუსერისძის დამსახურებას მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი საგალობლების შექმნის ინიციატივის გამო; საქვეყნოდ აცხადებს, რომ ეს დიდგვარიანმა, სახელმაღალმა და ღვთისმოყვარე მთავარმა აბუსერმა „ზემჭვრობი“ გონებით აიძულა საქართველოს კათოლიკოსი და შეათხზვევინა სიტყვაკეთილი საგალობლები. ყოველივე ეს ღვთიური ჩანაფიქრი იყო, რომელიც სიტყვაში განხორციელდა. იგივე სიტყვები აბუსერის დახასიათებასაც შეიცავს: აჭარის სახელოვანმა ერისთავთ-ერისთავმა თავისი „გონებაჲ მარადის ზემჭვრობი“ საცნაური ხედვით განინათლა, რაც იმას ნიშნავს, რომ აბუსერი

ზემხილვარე გონებით, ე.ი. მჭვრეტის, საღვთო ხილვის უნარით არის დაჯილდოვებული.

ეპისტოლეში არსენ ბულმაისიმისძემ გამოთქვა ღრმა და მეტად მნიშვნელოვანი შეხედულება ავტორის შემოქმედების ავ-კარგის შესახებ და გამოამჟღავნა თავისი ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსი: „ვითარმედ ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ: რომელსამე საქებელყოფოდ, ხოლო სხვასა - განქიქებად უმეცრებასა, ვითარ ვხედავ აწ ჩემსა“. ამ სიტყვებით გამოვლინდა სიბრძნე, გონიერება და პიროვნული თავმდაბლობა.

არსენ ბულმაისიმისძე გაორებულია, იოანე საბანისძის მსგავსად, მან უნდა გააკეთოს არჩევანი, დასთანხმდეს თუ არა საგალობელთა შეთხზვას. მან არ იცის, როგორ მოიქცეს, რა გადაწყვეტილება მიიღოს. უარსაც და თანხმობასაც შესაფერ არგუმენტს უძებნის. ამ მხრივ ეპისტოლე ფსიქოლოგიზმით დატვირთულია, იგი მწერლის შემოქმედებითი ძიების ურთულეს პროცესს ასახავს და იმავდროულად – ავტორის ლიტერატურულ გემოვნებას, ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ავლენს, მხატვრული წარმოსახვის საკვირველ უნარს წარმოაჩენს. მისი აზრით, „კუალად დიდ არს ძალი სიყუარულისაჲ, რომელი მორჩილ ჰყოფს გონებასა შეკადრებად შეუკადრებელთაცა, ვითარ ესე იქმნა აწ ჩემზედაცა მეცნიერისა“. ჰიმნოგრაფიის თვალსაზრისი ნათელია: საღვთო სიყვარულია შემოქმედებითი შთაგონების წყარო, საწყისი, ადამიანურისა და ღვთაებრივის გამაერთიანებელი ძალა (სულავა, 2003, 174).

არსენ ბულმაისიმისძე გამოთქვამს საგულისხმო და გასათვალისწინებელ თვალსაზრისს ჭეშმარიტის მეტყველების შესახებ: „ჭეშმარიტებაჲ უფროის თხზულთა სიტყუათა წინაშე ბჭისა კეთილისა და სიმართლე – წინაშემეფისა დიდისა“. ამ სიტყვებში აისახება ეპოქის ლიტერატურული პრინციპი, რომელიც მომდევნო საუკუნეებში კონცეპტუალურ ნორმად იქცა.

ნესტან სულავა აღნიშნავს, რომ ეს არა მხოლოდ ამ ეპოქის ლიტერატურული მოთხოვნილებაა, არამედ ამაზე მსჯელობენ VIII საუკუნის მიწურულს სამოელ

კათალიკოსი და იოანე საბანისძე. არსენ ბულმაისიმისძემ გააგრძელა ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული ტრადიცია ჭეშმარიტების მეტყველებისა. მას ღირსეული სულიერი მემკვიდრეც აღმოაჩნდა ჟამთააღმწერლის სახით, რომელმაც თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ განაცხადა: „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს და არა თუალახმა ვისთვისმე".

ეპისტოლის ბოლოს არსენი მიმართავს თავის ადრესატებ – ძმებ აბუსერისძეებს: ეს ნაშრომი იყოს თქვენთვის ხვავი და ნამუშაკევი, ნაყოფი შეწირული ღმრთისათვის, რადგან არ არსებობს ქვეყნად სიკეთე, რომელიც მისგან არ მოდის, ამას მოსდევს შემდეგი ფრაზა: „მეცა, ორღანოსა, მითხოეთ არა გაოზანებაი უკადრებელთათვის და დაღმრთოთა მკადრესა."

პირველმა სიტყვამ – „ორღანომ" – წაკითხვის თვალსაზრისით, ზოგიერთი მკლევარის დაეჭვება გამოუწვევია. თ. ბრეგაძე ვარაუდობს, რომ ორღანოს მაგივრად წერია „ორიანოს". მისი ვარაუდი უსაფუძვლოდ მიიჩნია რამაზ ხალვაშმა (ხალვაში 1996; 42). ნ. სულავას მიერ გამოცემულ ტექსტში „ორღანო" დასტურდება, მაგრამ სქოლიოში გაკეთებულია შენიშვნა: შეიძლება „ორიანოსა", ეს სიტყვა, ხელნაწერში ცუდად იკითხება" (სულავა 2003; 309) ნ.გოგუაძის, მ. ქავთარიას და რ. ჩაგუნავას გამოცემაში სწორი წაკითხვა გვაქვს: „ორღანოსა" (რაფავა, 2012,64).

ეპისტოლეში ნამდვილად იგულისხმება და წერია კიდეც „ორღანოსა", რომელიც ბერძნული оργανоν–ის ტრანსლიტერაციას წარმოადგენს. ბერძნულში ამ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. ორგანო, იარაღი, საშუალება: 2, მუსიკალური ინსტრუმენტი; 3, ანატომიური, ორგანო, 4. მასალა; 5. ქმნილება. პირველი, ძირითადი მნიშვნელობით, ორღანო, როგორც საშუალება, იარაღი, გელათის სკოლის მოღვაწეთა შრომებში საკმაოდ ხშირად დასტურდება: „მდაბალი და მორჩილი ორღანოდ გამოჩდების მის შორის მეტყველისა სულისად" (იოანე დამასკელი, 2000: 27). „ვინაჲ აწ ამის სულითისა ორღანოჲსად თქუას სიტყუეამან" (ხრონოგრაფი, 1920: 42).

გამომდინარე ზემოთ მსჯელობიდან თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ავტორი თავის თავს შემსრულებლად მიიჩნევს, ანუ იარაღად შემოქმედებით საქმიანობაში.

ასევე საინტერესოა მეორე სიტყვა „გაოზანება“. ეს სიტყვა ქართულ სამწერლობო ძეგლებში სხვაგან არ გვხვდება. ამიტომ არსენის ეპისტოლეში მისი არსებობის ფაქტს უმნიშვნელოვანესი ხასიათი აქვს; ეპისტოლის გამომცემლებს ყურადღება მიუქცევიათ მისთვის. მკლევარი რ. ხალვაში ტექსტზე დართულ მცირე ლექსიკონში „გაოზანება“ სიტყვასთან კითხვის ნიშნის ქვეშ აღადგენს „გაუზანება“ ფორმას. იგი უშვებს ვარაუდს, რომ „გაუზანება“, შესაძლებელია, უკავშირდებოდეს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში დადასტურებულ ლექსემას – „უზანი“. საბას განმარტებით: „უზანი“ - ხე. (ხალვაში, 1996: 42).

„გაოზანება“ სიტყვის ეს მნიშვნელობა თვითონ მკვლევარს, როგორც მ. რაფავა ამბობს, კითხვის ქვეშა დაუყენებია სავსებით სამართლიანად, რადგან „უზან-ხის“ მნიშვნელობა არანაირად არ ჯდება მოცემულ კონტექსტში.

„გაოზანება“ სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით სრულიად სამართლიანი და დამაჯერებელი მსჯელობა წამოაყენა მკლევარმა ნ. სულავამ. იგი წერს: „არსენ ბულმაისიმისძე სთხოვს თავის ადრესატს, რომ მისი ნაღვაწი არ შეადარონ ვინმე ოზანისას, რომელიც ცნობილი იყო ათონურ ხელნაწერთა წარყვნით. ამიტომაც ამბობს, რომ „გაოზანება“ არ დასწამონ მას“. ამ ზოგადი სახის ინფორმაციას იგი ვარაუდის სახით სქოლიოში უმატებს: „საინტერესოა ხომ არა აქვს „გაოზანებას“ რაიმე საერთო II მეფეთა წიგნში ნახსენებ (II მეფ. 6,3-4,6-7) ოზიასთან, რომელიც შჯულის კიდობნის ხელმყოფელი იყო“.

ის, რაც ვარაუდის სახით გამოთქვა ნ. სულავამ, შემდეგში სავსებით დამაჯერებლად იქნა დასაბუთებული მზექალა შანიძის მიერ. მან სპეციალური ნაშრომი უძღვნა მიქაელ დაღალისონელის (XI ს) მიერ ნახსენებ წმ. ეფთვიმე მთაწმიდლის ნაწერების შემრყვნელ „ოზან“ სახელის განმარტებას. ბიბლიური მასალის საფუძველზე ნაჩვენები იქნა, რომ „ოზანი“ // „ოზია“ – უფლის კიდობნის ხელმყოფლის კონკრეტული

სახელი აბსტრაქტულ სახელად იქცა და გახდა სინონიმი წარმყვნელის, წამხდენ-დამმახინჯებლისა. ეფთვიმე ათონელის შრომების ანონიმი გადამწერი, რომელმაც გარკვეულად დაამახინჯა ისინი, შედარებულია ბიბლიურ ოზანს // ოზიას ( შანიძე, 1999: 116-117).

არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლეში დადასტურდა ამ საკუთარი სახელიდან ნაწარმოები ინფინიტივი: „გაოზანება", რომელსაც განზოგადებული, განყენებული მნიშვნელობა აქვს, „გაოზანება" ნიშნავს „წახდენას", „გაფუჭებას", „შებღალვას".

ამრიგად, „ოზან ვინმე" (მიქაელ დაღალისონელის ანდერძ-მინაწერი) და „გაოზანება" (არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე) სიტყვების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ძველ ქართულ სამწერლობო ლექსიკაში დამკვიდრებული იყო „ოზან" და ამ ძირიდან ნაწარმოები სიტყვები და მათ ჰქონდათ, წახდენის, წარყვნის მნიშვნელობა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, არსენ ბულმაისიმისძის ფრაზა, სადაც „ორღანო" და „გაოზანება" სიტყვები გვხვდება, შემდეგნაირად უნდა იქნას გაგებული: ჩემთვის, როგორც შემსრულებლისთვის (ორღანოსთვის), ითხოვეთ [იგულისხმება ღმრთისგან] არ გაოზანება (არ წარყვნა) უკადრებელისა და საღმრთოთა მკადრისა.

შემოქმედებითი ნაღვაწი (საგალობლების შეთხზვა) არსენ ბულმაისიმისძის მიერ შეფასებულია, როგორც შეკადრება უკადრებელისა და საღმრთოთა მკადრისა. ასეთი გაგება სრულ ანალოგიას პოულობს ეპისტოლის დასაწყისში გამოთქმულ აზრთან იმის შესახებ, რომ სიყვარული იმორჩილებს „გონებასა შეკადრებად შეუკადრებელთაცა" (აბუსერისძე, 1998: 102). აქ არსენის მიერ ის აზრია გატარებული, რომ ადრესატების მიმართ სიყვარულმა დასძლია მისი სიფრთხილე, გონება და გააბედვინა შეუკადრებელთა შეკადრება, ანუ გააბედვინა საგალობლების შეთხზვა. საერთოდ, ეს გამოთქმა – „შეკადრებად შეუკადრებელთა" – გავრცელებული კლიშეა მწერლობის ძეგლებში ქრისტიანული თავმდაბლობისა და მოკრძალების გამოსახატავად. (დამასკელი, 2000: 26).

ყოველივე ზემოთ თქმული მოწმობს იმას, რომ არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლეში სრულიად ადეკვატურად არის არეკლილი ის მსოფლმხედველობრივი იდეები და ენობრივ-სტილისტური მახასიათებლები, რომლებიც წარმოაჩენენ გელათის ლიტერატურული სკოლის შემოქმედებით-მთარგმნელობითი საქმიანობის პრინციპებს და ზოგად კულტუროლოგიურ ორიენტაციას (რაფავა, 2012: 67).

როგორც ითქვა, არსენს ეკუთვნის ბრწყინვალე დეფინიცია ლიტერატურული პროდუქციის ნამდვილი ღირებულებისა: „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ, რომელისამე საქებელ ყოფად, ხოლო სხჳსა განქიქებად უმეცრებისა“. არ არის შემთხვევითი, რომ ეს სიტყვები ივ. ჯავახიშვილმა თავის წიგნს – „ძველ ქართულ მწერლობას“ ეპიგრაფად წაუმძღვარა (1945).

ჩვენი აზრით, არსენ ბულმაისიმისძის ეს სიტყვები გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფითაა“ შთაგონებული, კერძოდ იმ ადგილით, სადაც ავტორი მაქსიმე აღმსარებლის სიტყვების პერიფრაზს გადმოგვცემს: „იტყჳს დიდი მაქსიმე ვითარმედ აღწერილი სიტყვაჲ ანუ თჳთ თავისა თვისისა მოსაჴსენებლად აღიწერების ანუ სარგებლად სხუათა ანუ ორისათჳსვე ამის ანუ სავნებლად ვიეთამე ანუ საჩვენებლად ანუ საჭირყოფისათჳს აღწერისა მისისა“ (ხრონოგრაფი, 1920: 239).

ამრიგად, ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძისადმი მრავალმხრივ წარმოაჩენს არსენ ბულმაისიმისძეს, როგორც საეკლესიო მოღვაწეს, მწერალს, ჰიმნოგრაფს, ღვთისმეტყველს და საზოგადო მოღვაწეს, ეპისტოლის თითოეული გამონათქვამი გაჯერებულია საეკლესიო, საღვთისმეტყველო და რიტორიკული ლიტერატურის სიღრმისეული ცოდნით, რაც ადასტურებს მკვლევართა შეხედულებას იმის თაობაზე, რომ არსენ ბულმაისიმისძე გელათის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია.

# თავი IV. გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოჲსნი

არსენ ბულმაისიმისძის საგალობელთა შორის აღსანიშნავია წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელიც შემონახულია რამდენიმე ხელნაწერით. მათგან უძველესია H-1349, ხოლო გვიანდელი – A-160, A-425 და A-1401. საგალობელი გამოსცა ნ. სულავამ და გ. მიქაძე. (სულავა, 2003: 326-328). ჰიმნოგრაფიული კანონის ტექსტი აკროსტიქულია: „ქებით უგალობ სასოსა ჩემსა ნინოს – არსენი“.

წმ. ნინოს საგალობელი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ მსგავსად 33 სტროფისგან შედგება, იყოფა 8 გალობად (ტრადიციისამებრ, აკლია მეორე გალობა – „მოჲხილესა“), თითოეული მათგანი მთავრდება ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ტროპარით.

საინტერესოა საგალობლის შინაარსი და სტრუქტურა, რომელიც იწყება ქრისტესადმი მიმართვა-თხოვნით, რომ ჰიმნოგრაფს შეაძლებინოს საგალობლის დაწერა და წმინდა ნინოს ღირსეულად წარმოჩენა: „ქრისტე, აღახვენ ძნობად ბაგენნი ჩემნი ქალწულისა დედისა მოციქულისა და ქადაგისა შენისა ნინოჲსა შესხმად! განმინათლე გონებაჲ, რაჲთა მიუძღვნე ღირსსა მას ღირსნი სიტყუათა ყვავილნი“ (I, 3).

არსენ ბულმაისიმისძე საგალობელში ნინოს აქებს, როგორც ქართველი ერის სულიერ განმაახლებელს და არმაზის კერპთა მსხვრეველს. აგრეთვე, მასში აღნიშნულია, რომ „სულითა მოძრავმან“ წმიდა ნინომ მისთვის უცნობ ენაზე იქადაგა ქრისტიანობა, „ბარბაროზნი და უჟიკნი ქედფიცხელნი...სიტკბოებათა თჳსთა მიერ დუმილით ჴელთ ხსნა შემოქმედსა“ (I, 2). „უცნობელთა და მძიმეთა საბურველი გულითაჲ აღგუეხსნა“, „განღებულ-იქნა ქვესკნელისა ბჭეები, მკვდარნი, მას შინა პყრობილნი სატანაჲსნი, განვთავისუფლდით შემოსლვითა შენითა, არმაზსს შეედვა ძრწოლაჲ მეხის ტეხითა და ზედენისნი უხმარ იქმნნეს სიცბილნი“ (III, 4).

კერპთა მსხვრევის ეპიზოდი, ისევე როგორც წმ. ნინოს ბიოგრაფიის სხვა მრავალი რეალია, „წმ. ნინოს“ ცხოვრებიდან იღებს სათავეს, შდრ.: „აღიფხურნეს კერპნი

საფარველითურთ მათითდა აღემართნეს ქრისტეს ეკლესიანი, მცხეთაში ნინოს მოსვლის შემდეგ მოხდა არმაზის მსხრევა. ნინოს ძალისხმევად იყო საგულვეველი მეხი, ქარი და სეტყვა, რომელმაც „დალეწნა კერპნი იგი და დაფქვნა და დაარღვინა ზღუდენი იგი ქარმან სასტიკმან და შთაყარა იგი კლდესა“ (შატბერდის კრებული, 1979: 121).

იგივე უნდა ითქვას წმ. ნინოს სხვა სასწაულებზეც: „და ფრიადი მოღუაწეობანი და ურიცხუნი სასწაული აღასრულა ძალითა ქრისტესითა, და ქადაგმან დღეინდელად დღემდე წყაროჲ იგი, რომელი ცრემლთა მისთა აღმოაცენეს; და კუალად აღმართებაჲ სუეტისა მის ცხოველისაჲ; და კუალად მაყუალთა მათ შინა თუ რაოდენი კურნებანი აღასრულნა: ბრმათა ნათელი მოენიჭებოდა, მკელობანი ვიდოდეს და სულთაგან არაწმიდათა შეპყრობილნი განთავისუფლდებოდეს და კუალად ოდეს-იგი მირიან მეფესა, ოდეს-იგი განვიდა ნადირობად მთათა მაღალთა. დაუბნელდა მზე. და კუალად მრავალგზის წამებანი მირიან ჴელმწიფისაგან, რამეთუ ძნიად მრავლითა სასწაულითა დაარწმუნა“.

საინტერესოა არსენის მიერ წმინდა ნინოს მახარებლად მოხსენიება, რითაც ის გაუთანაბრა არამარტო ქრისტეს მოციქულებს, არამედ მახარებლებს, სახარების ავტორებს დაუყენა გვერდით, რითაც, ნესტან სულავას აზრით, წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი თხზულება აშკარად განსხვავდება არსენ ბულმაისიმისძის საგალობლისგან (სულავა, 2003: 212).

არსენ ბულმაისიმისძე თავისი წინამორბედი – ნიკოლოზ გულაბერისძის ნააზრევის გამგრძელებლად გვევლინება, რადგან იგი აქებს ქრისტეს კვართს, ჯვარსა და ცხოველ სვეტს: ჰიმნოგრაფიულ კანონის მეხუთე გალობაში „ღამითაგანსა“ (V,1) ჰიმნოგრაფი აღნიშნავს: „ჯუარსა ქრისტესა, კუართსა თანა და სუეტსა ნაცვლად არმაზ ბილწისა, უგალობენ შვილნი სიონისანი“. აქ სამი სიწმიდეა ერთდროულად გამოტინილი: ამაღლებულ და მჭერმეტყველურ სტილით შესრულებულ საგალობელში ღმერთან ერთად შექებულია ღვთისმშობელი, უფლის კვართი, ცხოველი სვეტი; საგალობელში წარმოჩენილია საქართველოს განმანათლებლის – წმიდა ნინოს

მისიონერული მოღვაწეობა, საგალობელი ჰიმნოგრაფიულ ტრადიციებზეა შექმნილი და მასში ჟანრისათვის დამახასიათებელი სხარტი, ლაკონიური სტილით, საღვთისმეტყველოჲ სახისმეტყველებით, ჩვეული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუელებებით არის გამოთქმული ძირითადი აზრი.

განმანათლებლის ღვაწლი და სახე ერთი რგოლია იმ ჯაჭვისა, რომლითაც საგალობელს შინარსს საბოლოოჲ დასკვნამდე მივყავართ. ეს არის უფლის დიდება, ღვთისმშობლის ღვაწლი და წილხდომილობა, საქართველოჲს ეკლესიის სამი დიდი სასწაული: სუეტი-ცხოველი, კვართი უფლისა და ჯუარი პატიოსანი.

უფლის კვართის შესახებ რამდენიმე თხზულებაში ყველგან ერთნაირადაა მითითებული, რომ მან საქართველოში, მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრის ადგილას დაივანა, რითაც გამჟღავნდა ღმერთის დამოკიდებულება ქართველი ერისადმი. კვართის და ზოგადად სამოსლის წილისყრის, თემა ძველი აღთქმის წიგნებიდან იღებს დასაბამს, ხოლოჲ მათეს სახარება შეგვახსენებს დავით და ესაია წინასწარმეტყველთა თქმულს და ჯვარცმული ქრისტეს კვართის წილისყრის შესახებ გვამცნობს: „და ვითარცა ჯუარს-აცუეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი“ (მთ, 27, 35; შდრ. მრ, 15, 24), ხოლოჲ **იოანეს** სახარება ღრმა სიმბოლოებით მიუთითებს კვართის განუყოფელობის, დაუნაწევრულობის მნიშვნელობას: „და ერისგანთა მათ, რომელთა ჯუარს-ეცუა იესუ, მოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად თითოეულმა ერისაგანმან ნაწილი. ხოლოჲ კუართი იგი, რამეთუ იყოჲ უკერველ, ზეით გამოქსოვილ ყოვლად, თქუეს უკეთუ ურთიერთას არა განიგდეს წილი. ერისაგანთა მათ ესე ყვეს“ (იოანე 19.23-24). იოანე ოქროპირმა განმარტა იოანე მახარებლის ეს სიტყვები: „ხოლოჲ სიტყვაჲ იგი, თუ „ზეით მოქსოვილ“, არა ცუდად არს, არამედ ვჰგონებ, თუ იგავი არს, რომელი მოასწავებს, ვითარმედ არა ლიტონი ოდეს კაცი იყოჲ ჯუარს-ცუმით, არამედ ზეცითცა ღმრთეებაჲ აქუნდა, რომელი-იგი ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ უვნებლად აგოჲ და განუკუეთელად, ხოლოჲ ჴორცთა ბუნებამან ივნოჲ და მოიწყალა და კუალად ვიეთნიმე იტყჳან, ვითარმედ სახესა მასცა სამოსლისასა მოასწავებს მახარებელი, რამეთუ პალესტინეს ორთა სამოსელთა შეაერთებენ და მოჰქსოვენ ერთად და შეიქმან მას

კუართად და უწოდენ მას ზეით მოქსოილად. თქუა იგი მახარებელმან, რაჲთამცა მოასწავა უნდოებაჲ იგი მისი, რამეთუ ეგევითარი იგი კუართი უნდოჲ არს, რომელი-იგი სახჱ იყო პირველთქმულისა მის სიტყჳსაჲ, რომელ ვთქუათ ამისათჳს ზეით მოქსოვილისა“ (ოქროპირი, 1993: 309). ეგზეგეტიკური ტრადიციის მიხედვით, კვართის დაუნაწევრელობა ქრისტეს ეკლესიის ერთიანობაზე მიანიშნებს.

საგალობელში უფლის კვართზე ყურადღების გამახვილება განაპირობა იმან, რომ საუფლოჲ კვართი ქართველი ერის განსადიდებლადაა მიმადლებული ღვთისგან განგებით, რაც უაღრესად მნიშვნელივანი ფაქტორია საქართველოს კათალიკოსისათვის, არსენ ბულმაისიმისძისათვის, რომელმაც მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობელში ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიცია გააგრძელა, როდესაც განაცხადა, რომ ქართველები წარმოადგენენ „ერსა საზეპუროსა“ და „ქართველთა სამეუფო არასადა ურწმუნეს ყო“ ღმერთმან ქართველი ერის „საზეპუროდ“, ანუ ღვთის საკუთარ რჩეულ ერად (შდრ. გამოსლვ. 19,5,2, შჯ.7, მფ. 12, 22) მიჩნევა XIII საუკუნის 20-30-იან წლების საქართველოს სინამდვილეში მრავლისმეტყველი ფაქტი იყო, რადგან ქართველი ერს მონღოლთა შემოსევებით შელახული ღირსების აღდგენისა და დაცვის სურვილს აღუძრავდა, მამულისა და რწმენის დაცვის აუცილებლობას უკარნახებდა, რაც ქართული ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციის გაგრძელება იყო.

უფლის კვართის შესახებ მოგვითხრობენ „ნინოს ცხოვრების“ რედაქციები. მაგალითად, ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებაში „საკითხავი სუეტისა ცხოვლისაჲ, კუართისა საუფლოსაჲ და კათოლიკე ეკლესიისაჲ“ გადმოცემულია აბიათარ მღვდლის მონათხრობი, თუ როგორ ხვდათ წილად ეს უდიდესი რელიკვია მცხეთელ ელიოზსა და კარსნელ ლონგინოზს, რომლებმაც კვართი მცხეთაში ჩამოიტანეს. მცხეთაში ჩამოტანილი კვართი ელიოზის დამ - სიდონიამ ჩაიკრა გულში და მიიცვალა, მას ვერ გამოგლიჯეს კვართი ხელიდან და კვართთან ერთად დაკრძალეს. კვართის დაფლვის ადგილი ნინოს მოსვლამდე არავინ იცოდა. შატბერდული რედაქცია გვამცნობს: „და არს ადგილი იგი, რომელი ღმერთმან იცის, და იცის დედამან ჩემმან ნინო და არა იტყჳს,

რამეთუ არა ჯერ არ სიტყუად აწ“ (შატბერდის კრებული, 1979: 339). ამავეს გვეუბნება ნიკოლოზ გულაბერისძე: „ადგილი იგი არავინ ჰსცნა მიერ ჟამთგან, ვიდრე დღესამომდე, სადა მდებარე არს წმიდაჲ იგი კვართი“ (საქართველოს სამოთხე, 1982: 78). შატბერდული რედაქციით, ამ ადგილს მიგვანიშნებს ლიბანის ნაძვი: „მახლობელ არს ადგილი იგი ნაძუსა მას ლიბანით მოსრულსა და მცხეთას დანერგულსა“ (შატბერდის კრებული, 1979: 339).

III საუკუნის დიდი მღვდელთმოღვაწე კვიპრიანე კართაგენელი უფლის კვართის შესახებ გვაუწყებს: „ერთიანობის ეს საკრამენტი, ეს საკრველი განუყოფლად შეკავშირებული თანხმობისა, სახარებაში ცხადება იმით, რომ კვართი უფლისა იესო ქრისტესი არანაირად არ ნაწილდება, არც იხევა, არამედ ქრისტეს სამოსზე წილიყრის ჟამს... (კვართი) მიიღება როგორც მთლიანი სამოსი და სამფლობელოდ გადაეცემა დაუზიანებელი და დაუნაწილებელი. კვართი მატარებელი იყო იმ ერთიანობისა, რაც ზემოდან, ანუ ციდან და მამისგან მოდის რაც არანაირად არ შეიძლებოდა დარღვეულიყო მისი (კვართის) მიმღებელისა და მფლობელის მიერ, არამედ განუყოფლად იცავდა ერთობლივად მთლიან და მკრივ სიმტკიცეს. ქრისტეს შესამოსლის ფლობა არ ძალუძს მას, ვინც არღვევს და ყოფს ქრისტეს ეკლესიას... ქრისტეს ხალხი არ შეიძლება დანაწევრდეს, მისი კვართი მთლიანად ნაქსოვი და შეკავშირებული, არ შეიძლება დაიყოს ფლობელთა მიერ. სამოსლის საკრამენტითა და ნიშნით სახარებამ ცხადყო ეკლესიის ერთიანობა“ (ჭელიძე, 1997: 8).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გვაუწყებს ელია წინასწარმეტყველის ხალენის (მოსასხამის) საქართველოში დავანებასაც, რაც ერთგვარად იმის მინიშნებად იქნა აღქმული, რომ უფლის კვართი საქართველოშივე დაივანებოდა. უძველესი ქართული და უცხოური საისტორიო წყაროები მიუთითებენ, რომ ისრაელელები ქართლში ძვ. წ. VI საუკუნეში მოსულან (სულავა, 2003: 59)

უფლის კვართი, როგორც უწმინდესი რელიქვია, მოიცავს და ამთლიანებს ყველა იმ ქრისტიანულ სიწმინდეს, რასაც საქართველოს ეკლესია ფლობდა და ფლობს, კერძოდ, საუფლო ჯვრის ნაწილს, ფიცრებს, რომლებზეც დამსჭვალეს მაცხოვრის ფეხები

სამსჭვალი და რომლითაც მაცხოვრის ხელები ჯვარს მიაუფლჭედეს. კვართის საქართველოში, მცხეთაში დაფლვამ მცხეთა მეორე იერუსალიმად, ზეციურ, სულიერ ქალაქად დასახა, ქართველები კი – „ახალ ისრაელად“. უფლის კვართის საქართველოში ჩამოტანამდე, ანდრია პირველწოდებულისა და შემდეგ წმიდა ნინოს მოსვლამდე ქართველი ერი „ბნელსა შინა ჯდა“. საქართველო იმყოფებოდა ბარბაროსთა და წარმართა ხელთ, „რამეთუ ბნელსა განქარვებად მზე მოვალს“, „ღმრთისათა ბნელსა ეგვიპტეს მსხემნი, არა უფლებდეს უფლისა დამონებად, არამედ დღეს ნინოჲსაგან გამოხსნილნი ჩუენ“ – აღნიშნავს საგალობელი არსენ ბულმაისიმისძე, ბნელში მყოფი ქართველების მხსენილი არის წმიდა ნინო. ასევე უწოდა წმიდა ნინოს მოსვლას ნიკოლოზ გულაბერისძემ („გალობანში“): „მცხეთას ოდესმე მგლოვიარე ქალაქი“. ხსენებული სტრიქონი გვიდასტურებს იმას, რომ ქვეყანამ დაუტევა ურჯულოება და ნინოს მეშვეობით მარადიულობას ეზიარა.

წმიდაა, საკრალულია ის ადგილი, სადაც უფლის კვართია დაფლული, სადაც ამოიზარდა წმიდა ხე – ნაძვი ლიბანისა, რომელიც აღიმართა მოკვეთილი ხის ადგილას, ე. ი. უფლის კვართის დაფლვის ადგილას, წმიდა ტაძარი თორმეტი მოციქულის სახელობისა – სვეტიცხოველი. აქედან გამომდინარე, მთელი ეს გარემო ეტაპობრივად გამოხატავს უზენაეს სიწმინდეს.

„ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, „სუეტი წმიდაჲ“ უფლის კვართს ეყრდნობოდა, აქვე აღიმართა სვეტიცხოვლის სახელით ცნობილი ტაძარი. რ. სირაძე შენიშნავს, რომ „უფლის კვართზე ნათლის სვეტის გააზრება სვეტიცხოველს უფლის აღდგომის იდეას სძენს“ (სირაძე, 1992: 114).

საგალობელში „სუეტი წმინდაჲ“ ის მთავარი სვეტია, რომელიც სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობისას ადამიანთა ხელით ვერ აღიმართა, იგი ღვთის ნებით და წმიდა ნინოს ხელთაპყრობით იქნა აღმართული ჰაერში იმ ადგილას, სადაც უფლის კვართია დაფლული და სადაც იდგა ნაძვი ლიბანისა, „სუეტი“ , რომელიც წმინდა ნინოს ხელთაღპყრობით აღემართა: „აღეამართა რაჲ სუეტი წმიდაჲ, შენ მიერ აპყრობითა ხელითაჲთა... დაეცნეს ძალნი ეშმაკისანი“ (VII, 2), – მიმართავს წმ. ნინოს არსენ

ბულმაისიმისძე, რომელიც ამჯერადაც ჰაგიოგრაფიული ტექსტების მონაცემებს ეყდრობა და ადასტურებს უფლის კვართის მცხეთაში ჩამოტანას, მის დაკძალვას, სვეტი-ცხოველის აღმართვას, ასევე, კერპების მსხრევასა და ეკლესიების აშენებას.

„სვეტი ნათლისა“ და „სვეტი წმიდაჲ“ ღმერთის სიმბოლოებია ძველ აღთქმაში. ცხოველი სვეტის სიმბოლო განმარტებულია პავლეს პირველ ეპისტოლეში ტიმოთეს მიმართ: „ვითარ იგი ჯერ-არს სახლსა შინა ღმრთისასა სლვაჲ, რომელ არს ეკლესიაჲ ღმრთისა ცხოველისაჲ, სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ“ (I ტიმ., 3. 15). ღვთის სახლი, ცხოველი ღმერთის ეკლესია არის ჭეშმარიტების სვეტი და სიმტკიცე. პ. ფლორენსკის განმარტებით, „ჭეშმარიტების სვეტი არის ეკლესია, ერთარსება სამება, ნათელი დაუღამებელი, სიბრძნე ყოვლად პატიოსანი დედა – ქალწული, ღვთისმშობელი (ფლორენსკი, 1990: 489). რ. სირაძემ სვეტი-ცხოველი ზესთა სიბრძნეს – სოფიას დაუკავშირა: ზესთა სიბრძნეს, ანუ სოფიას, იმიტომაც გულისხმობს სვეტი-ცხოველი, რომ მასთან დაკავშირებულია ღვთისმშობელი, ღვთისმშობელში ყველაფერია: ღვთაებრივი, ანგელოზური და ადამიანური, ყველაფერი არის სოფიურობა. ღვთისმშობელი არის ლამაზი აზრი სილამაზეზე, ჭეშმარიტი აზრი ჭეშმარიტზე. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია , რომ არსენ ბულმაისიმისძე კანონის მეოთხე გალობაში დედა ღვთისას მიმართავს: „ღვთისმშებელო, წილად ხუდომილნი შენნი ქართველთა ერნი ნინოჲს ღირსისა მიერ ქადაგებითა, ვხმობთ შენდა მიმართ, მაცხოვრებაო ჩუენო, გუაცხოვნენ, ქრისტეს ღმრთისა დედაო“ (IV,4). ასევე მეხუთე გალობაში („ღამითგანსა“) ჰიმნოგრაფი გვეუბნება: „ღვთისმშობელო, ვიხსენ საცთურთაჲთ ნინოჲს მიერ ღირსისა, კერპთა წილ ბილწთა გიძნობ სასოსა ჩემსა, გიხმობს ერი ქართველთაჲ, ღმრთისა დედაო“.

კვართის ისტორიას და სვეტი ნათლისას აღმართვას „ნინოს ცხოვრებაში“ უშუალოდ უკავშირდება ჯვარი პატიოსანის ციკლი. ჯვარი ადამიანის სულიერი ხსნისა და ღმერთისკენ ზესწრაფვის სიმბოლოა. არსენ ბულმაისიმისძე „გალობანის“ მეხუთე საგალობელში, „ღამითაგანსა“ აღნიშნავს, რომ „აღიფხურნეს კერპნი საფარველითურთ

მათით და აღემართნეს ქრისტეს ეკლესიანი, ჯუარსა ქრისტესა კუართსა თანა და სუეტსა, ნაცვლად არამაზ ბილწისა“ (ღამითგანსა, V, 1).

ნინოს ცხოვრების ყველა რედაქცია გვამცნობს, რომ ნინო თავადაა ტყვე და სხვა ტყვეთა მხსნელი. ამ თვალსაზრისს არსენის საგალობელიც იზიარებს: „სამეუფოთა ეზოთა შეგიწყნარეს, ვითარცა ტყუე და უცხოი, რომელმან განგუათავისუფლენ ქუესკნელისა ტყვეობითა და ძე ღმრთისა გუფიცენ, ოჲ, ნინო მოციქულო ქრისტესო, მახარებელო ცხოვრებისაო“ (I, 1); „ნესტუთა სიტყუასა შენთასა იოხრეს რაჲ, განაფრთხვნეს ერნი ვითარ სამეფოთა საყვრთა ხმამან, და შეიძრნეს მეფენი სამეფოითურთ, ჴმა-ყვეს, ტყუეო და ტყუეთა მხსნელო, კურთხეულ არს შემოსვლაჲ შენი“ (VII, 2).

საქართველოს განმანათლებელი, მახარებელი, ქრისტეს მოციქულად აღიარებული წმიდა ნინო ტყვეა, რასაც ადასტურებს ბერძნული წყაროებიც. რ. სირაძემ სპეციალური კვლევის საგნად აქცია ნინოს ეპითეტები – ტყვე და დედოფალი, რომელიც ანტონომური სიმბოლიკის შეწყვილებად მიიჩნია. მისი შენიშვნით, მირიან მეფის წარმოდგენაში ნინოს „ტყვეობა“ და ქრისტეს „მონობა“ ერთმანეთს უკავშირდება (სირაძე, 1991: 98-102). მამათა განმარტებით, თვით სახარებაც განარჩევს უფალთან ურთიერთობის ორ საფეხურს: მონობასა და მეგობრობას (მეგობარს უწოდებს ლაზარეს, რომელსაც აღადგენს). უნდა იგულისხმებოდეს ნინო ქართლის მოქცევამდე და შემდეგ, რადგან ნათლისღების მადლი მოციქულთა სწორ დედას (თორმეტთა თანა მეათცამეტე მოცუქილად წოდებულს) ტყვეობიდან უკვე სწორედ მეგობრად წოდების პატივს მიაგებს; ხოლო რადგან ქრისტე მეუფეა, უფალია, წმიდა ნინო სულიერი ასპექტით ხდება დედოფალი და ტოვებს ტყვეობას, (ე.ი. მონიდან ხდება მეგობარი) (ჩიკვაიძე, 2010: 151). წმიდა მოწამე იპოლიტე რომაელი განმარტავს: „ვინც რწმენით შედის განახლების საბანელში, უარყოფს სატანას და უერთდებ ქრისტეს, უკუაგდებს მტერს და აღიარებს ქრისტეს თვით ღმერთად, განერიდება მონობას და მიიღებს ძეობას, იგი ბრუნდება ნათლისღების ემბაზიდან ნათელი, როგორც მზე, ბრწყინავი სიმართლის

სხივებით და რაც მთავარია, ბრუნდება ღვთის ძედ და ქრისტეს თანამეცხედრედ“ (იპოლიტე რომაელი, 1989: 344).

ჰიმნოგრაფიის სპეციფიკა ძირითადად ევანგელურ და ჰაგიოგრაფიულ მონათხრობს ემყარება და მსმენელისა თუ მკითხველის ცოდნას, განათლებას ენდობა. არსენის საგალობელი ნინოს აღიარებს ტყვედ, უცხოდ, ტყვეთა მხსნელად, ხოლო თუ რატომ მოიხსენიებს მას ამგვარად, სწორედ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა მონაცემების გათვალისწინებით ხდება შესაძლებელი: „ტყვეო და ტყვეთა მხსნელო“ (შატბერდის კრებული, 1979: 123).

არსენის საგალობელში წმ. ნინო „ქალწული დედის მოციქული და ქადაგი“, ანუ დედა ღვთისას მოციქული და ქადაგია, რადგან ქართველთა განმანათლებელმა აღასრულა დიდი მისია საქართველოს გაქრისტიანებისა, რომელიც ღვთისმშობელს ხვდა წილად.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობელი მრავალგზის მიუთითებს საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობას, ამიტომ ქართველ მორწმუნეთადმი მიმართვა - „შვილნი სიონისანი“, რომელიც სიმბოლურადაა გასააზრებელი, სავსებით ლოგიკური და ბუნებრივია. მესიანიზმის ერთ-ერთი ნიშანი – საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხდომილობა არსენმა წმინდა ნინოსადმი მიძღვნილ საგალობლებში საგანგებოდ წამოსწია წინ, ვინაიდან წმიდა ნინო ღვთისმშობელმა თავის მონაცვლედ წარმოგზავნა თავის წილხვდომილ ქვეყანაში. „წილად ხუდომილნი შენნი, ქართველთა ერნი ნინოჲს ღირსისა მიერ ქადაგებითა ვხმობთ შენდა მომართ“; „წილხუდომილითა შენდა განმანათლებელი ნინო“ (I, 4).

არსენ ბულმაისიმისძე წმინდა ნინოს მოციქულს უწოდებს:

„წმიდაო ნინო, მოციქულო ქრისტესო“ (III, 2);

„იხარებდ, ნინო ქალწულო მოციქულო“ (VI, 3);

„ქრისტეს მოციქულო ნინო“ (VI, 2);

„ქალწულო, ქრისტეს ქადაგო და დიდო მოციქულო“ (IV, 3);

„მოციქულო ქრისტესო, მახარებელო ცხორებისაო“ (VII, 1);

„მოციქული ჩუენ მოგჳწოდს“ (VIII, 2);

„მიუდრეკელად ნინო მოციქულო“ (VIII, 3).

ტრადიციულად ქართული ეკლესია წმინდა ნინოს მოციქულთა სწორად მოიხსენიებდა. ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ პირდაპირ მოციქული მას პირველად ნიკოლოზ გულაბერისძემ უწოდა, მანამდე კი მას მხოლოდ მოციქულთა სწორად იხსენიებენო. კვლევა-ძიებამ დაადასტურა ის ფაქტი, რომ წმინდა ნინოს მოციქულს ადრევე უწოდებენ; კერძოდ, რევაზ სირაძემ დაიმოწმა „ნინოს ცხოვრების“ შატბერდულ-ჭელიშური რედაქცია, სადაც წმინდა ნინო უშუალოდ **მოციქულად** და **მახარებლადაა** აღიარებული. ჰიმნოგრაფები თავიანთ საგალობლებში წმ. ნინოს სწორედ მოციქულად იხსენიებენ X-XI საუკუნის ანონიმი ავტორებიც, პ ინგოროყვას აზრით კი, IX-X საუკუნეების უცნობი ჰიმნოგრაფები (ინგოროყვა, 1954, 640, 654, 681). რ. სირაძემ განმარტა, რომ მოციქულებრივი იდეით სვეტიცხოვლის ტაძარს და უპირველესად სრულიად საქართველოს უკავშირდება ღვთისმშობელი, რომლის მონაცვლეა წმიდა ნინო, ამიტომ იგი ნიკოლოზ გულაბერისძის საგალობელში მოციქულად მოიხსენიება და ამ ტრადიიცის გამგრძელებელია არსენ ბულმაისიმისძე, რომელმაც ნინოსადმი მიძღვნილ საგალობელს პირდაპირ უწოდა „გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოჲსნი“.

არსენ ბულმაისიმისძის დამოკიდებულება მხატვრული სიტყვისადმი ტრადიციულია, როგორც – სასულიერო პოეზიაში დამკვიდრებული; იგი აღწევს სიტყვის გამომსახველობითი ძალის მაქსიმალურ გამოვლენას. აღსანიშნავია წმიდა ნინოს შედარება **ლომსა** და **ორბთან,** რასაც საფუძვლად დაედო ფსალმუნის მონაცემები, რაც მისი ძალმოსილების, ძლიერების მაუწყებელია. მეშვიდე ფსალმუნში იკითხება: „ნუსადა წარიტაცოს ვითარცა ლომმან სული ჩემი, არავინ იყოს მხსნელ ჩემდა, არცა მაცხოვარ“ (7,3). ფსალმუნურ სახეთა კვალობაზე, ლომის სიმბოლური სახე გვხდება იოანე მინჩხის საგალობელში – „ვითარცა ლომმან მიყრდნობით მიიძინა“ –რომელშიც

ქრისტეს მიცვალების ზებუნებრივი სურათია წარმოსახული და ერთდროულად შედარებაცაა და მეტაფორაც. ლომი ქრისტეს სიძლიერის სიმბოლოა, ხოლო მაცხოვრის გარდაცვალება დიადი მიძინების მხატვრული სახითაა გადმოცემული. არსენის საგალობელი გვაუწყებს, რომ წმ. ნინოს „არა ჰრცხუენოდა ქადაგებად ქრისტესა... გულით ლომებრ ახოვანებით“ (IV,1). ეს შედარება შთაგონებულია „ნინოს ცხოვრების“ ტექსტით, სადაც **დვინელი ნიაფორა** (სარა ნიაფორი) წმ. ნინოს ასე მიმართავს: – „ვხედავ შვილო, ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ლომისა მუვისა, რომელი იზახებნ ყოველსავე ზედა ოთხფერხთა“ (შატბერდული კრებული, 1979: 111).

მომდევნო სტროფში წმ. ნინოს **ორბთან** შედარება სულიერი განახლების მიმანიშნებელია: „ორბებ გუგასა შინა მხედველობითსა შეიკრიბე შენ სივრცე სოფლისაჲ, ნინო,და განიცადენ უჭმნი საჭმელად ობითსა და მიმართე, ვიდრემდე ბრჭყალსა შენსა ხელთ უსხენცა დიდ სანოაგედ მოქმედმან“ (IV, 2). ცხადია, ამ სიმბოლური სახის წყაროდ კვლავ ფსალმუნია მიჩნეული: „რომელმან აღავსო კეთილითა მიერ გულის-თქმაჲ შემ; განახლდეს, ვითარცა ორბისა, სიჭაბუკე შენი“ (ფს. 102,5). ასევე საინტერესოა **სარა** ბეთლემელის სიტყვები, რომელიც უწინასწარმეტყველებდა, წმიდა ნინოს, მის სულიერ ძალას: „დედალი ორბი მამალზე უფრო მაღლა ადის ჰაერში; იქიდან მთელ ხმელეთს მცირე მარგალიტივით თვალის გუგაში მოიქცევს და შენიშნავს რა თავის საკბილოს, დაეშვება და ზედ დააცხრება. ამგვარივე იქნება შენი ცხოვრება სულიწმიდის წინამძღვარობით“.

წმიდა ნინო შედარებულია, აგრეთვე, **მტრედთან,** რომელიც სიწმიდის სიმბოლოა: „ბარბაროზნი და უჟიკნი ქედფიცხელნი ტრედმან წმიდამან, დასავალით მხობელმან, სიტკბოებათა თჳსთა მიერ დუმილით ხელთ უსხნა შემოქმედსა, სძალმან წმიდამან სიძესა თჳსსა, განბანილნი მადლითა“ (I, 3).

მიუხედავად იმისა, რომ საგალობელი გამოირჩევა შინაგანი რიტმით, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების თვალსაზრისით იგი მცირედ განსხვავდება კლასიკური ხანის ჰიმნოგრაფიისაგან. ეს ფაქტი შეიძლება ჟანრის ისტორიული განვითარების შედეგი იყოს; თუმცა აქა-იქ მაინც ვხვდებით ზოგიერთ მხატვრულ ხერხებს;

მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ევფონია და მოვიტანოთ ერთი მუხლი საგალობლიდან ლექსიკური ანაფორის ნიმუშად:

**„რაზამ** რაიმე არს ხსენებაჲ ესე შენი,

**რაზამ** საკჳრველ მოქალაქეობაჲ შენი,

**რაზამ** შუენიერ მოციქულებაჲ შენი“.

ტროპარი **ანაფორული** კომპოზიცითაა აგებული, სიტყვის **„რაზამ“** სამგზის გამეორება მთელ სტროფს ემოციური და აზრობრივი დატვირთვით გამოარჩევს; სიტყვის გამეორება მკითხველში სიდიადის, ამაღლებულობის განცდას, სიმშვიდისა და ლოცვის განწყობილებას ბადებს.

ამგვარად, „გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოჲსნი“ ჰიმნოგრაფიული ვარიაციაა ქართლის მოქცევის თემაზე, რომელშიც არსენ ბულმაისიმისძე ხოტბას ასხამს ქართველთა განმანათლებლის ღვაწლს.

# თავი V. შიო მღვიმელის ჰეორტალოგიური ციკლი

არსენ ბულმაისიმისძის  სახელს უკავშირდება შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი საგალობლები, რომელიც რამდენიმე გვიანდელ ხელნაწერშია შეტანილი, ძირითადად – XVII-XVIII საუკუნეების სადღესასწაულოებში. შიო მღვიმელის ხსენების დღე ქართული საეკლესიო კალენდრის მიხედვით, რამდენიმეჯერ აღინიშნება: 9(22) თებერვალს, 9(22) მაისს – შიოს მიცვალების დღეს და ყველიერის ხუთშაბათს, 4(17) იანვარი კი შიო მღვიმელის მონასტრის მოღვაწე და მოწამე წმიდა მამათა ხსენების დღეა და ცხადია, მოიხსენიებენ მონასტრის დამაარსებელსაც.

არსენ ბულმაისიმისძეს წმ. შიოს სახელზე დაუწერია რამდენიმე საგალობელი, რომლებიც XVII-XVIII საუკუნეების რამდენიმე ხელნაწერითაა (A-160, A-176, A-409, A-425) მოღწეული და ნ. სულავამ გამოსცა. ესენია მცირე ფორმის საგალობლები: „გუწრდი მჯდომარე“, „დ გუწდი ედემი“ (აქლავს მინაწერი „არსენი ქკზი“), „სტიქარონი ნათელი ნათლისა“, „წარდგომაჲ ჴმაჲ“, „სხუაჲ დ“,  „სხუაჲ დ გუწრდი“, „გამოავლინე ჴმაჲ ზ“, „სხუანი დ გალობაჲ“, ასევე, ორი ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელთაგან ერთი აკროსტრიქულია და შეიცავს ბიბლიოგრაფიულ ცნობას:  „გალობანი წმიდისა შიოჲსნი, რომელთა თავნი იტყჳან: არსენი ქართლისა კათალიკოსი შიოს უგალობ“ (სულავა, 2003: 328-335).

წმ. შიო მღვიმელის ჰეორტალოგიური ციკლი საკმაოდ რთული კომპოზიციური აგებულებისაა. იგი იმავე პრინციპით შედგენილი განგებაა, როგორითაც მაცხოვრის ხელთქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობელთა ლიტურგიკულ–ჰიმნოგრაფიული განგება. ტექსტი გვიანდელი ხელნაწერებითაა შემონახული, ძნელი სათქმელია, როგორი უნდა ყოფილიყო იგი თავდაპირველად, როდესაც მწერლის ხელიდან გამოვიდა. ხელნაწერებში ერთმანეთისგან განსხვავებული ვარიანტებია შემონახული. ჩვეულებრივ ღვთისმსახურებისას ბიბლიურ-ევანგელური საკითხავების გვერდით საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჰიმნოგრაფიულ ნაწილს, რომელიც იწყება სტიქარონით, სხუანი სტიქარონები, ოხითა, წარდგომანი, ცისკრის

კანონი, რომელსაც აკლია მეორე გალობა, ხოლო „ღაღადყავსას“ მოსდევს იბაკო და იკოსი; გამოვლინე, აქებდითსა და კვლავ ჰიმნოგრაფიული კანონი. ზოგიერთ საუფლო და დიდ დღესასწაულებზე სამი საცისკრო კანონია მოთავსებული, ხოლო შიო მღვიმელისადმი მიძღვნილ განგებაში სულ ორი ჰიმნოგრაფიული კანონია (სულავა, 2003: 220).

„წმ. შიო მღვიმელის ცხოვრება“ ჩვენამდე სამი (კიმენური, მეტაფრასული და სვინაქსარული) რედაქციითაა მოღწეული. კ. კეკელიძის აზრით, შიო მღვიმელის ცხოვრების სვინაქსარული რედაქცია არსენ ბულმაისიმისძეს ეკუთვნის (კეკელიძე, 1960: 324), ამიტომ, ბუნებრივია, რომ ჩვენი ავტორი სარგებლობს შიო მღვიმელის ცხოვრების ადრეული რედაქციებით. მათგან განსხვავებით, ამბებს ვრცლად არ გადმოგვცემს, მხოლოდ გაკვრით ეხება წმინდანის ბიოგრაფიის ამა თუ იმ ეპიზოდს.

მცირე ფორმის საგალობლებს ჰიმნოგრაფი იწყებს წმ. შიოსადმი მიმართვით და საუბრობს იმ ღვაწლის შესახებ, რომელიც წმინდანმა მოჰფინა უდაბნოს: „გიცნობთ მონაზონთა კრებული ცრემლთა სინანულისა, ძირად სიყვარულისა“, „შიო ნეტარო“ ასევე სტიქარონში ჰიმნოგრაფი ხმიანდება: „ნათელსა სოფლისასა ქრისტესა ღმერთსა შეეყუარე, ნეტარო, და „გიხაროდენ“ არქუ ყოველსა სოფლისა მწუხარებას და დიდსა მოძღუარსა **იოანეს** ნეტარსა“ (299v). აქ დასახელებულია წმ. შიოს მოძღვარი – იოანე ზედაზნელი, რომლის წინამძღვრობითაც ქართლ-კახეთში 12 ასურელი მამა შემოვიდა, სათავე დაუდო მეუდაბნოეობას და საფუძველი ჩაუყარა პირველ მონასტრებს საქართველოს ტერიტორიაზე.

შიო მღვიმელისადმი მიძღვნილ მცირე ფორმის საგალობლებში ჰიმნოგრაფიულ კანონებში უდიდესი მხატვრული ფუნქცია ეკისრება ანაფორის გამომსახველობით საშუალებას, როდესაც სიტყვის გამეორებით მიღწეულია სრულყოფილება; მზა რელიგიური ფორმულებით გამოხატულია ძირითადი სათქმელი. მაგალითად:

„დღეს მამათა მწყობრი იხარებს,

დღეს მონაზონთა გუნდი მდიდრად განცხრების,

დღეს მოღვაწეთა ერი განშუენდების –

დღეს დღესასწაული აღსავსე სიხარულითა გამობრწყინდება,

დღეს მამათა მნათობი შიო მისტუმრებს ღუაწლთა თვსთა და შრომათა სანუკვართა.

„დიდებაჲ, რომელმან გადიდა ნეტერო შიო,

დიდებაჲ, რომლისა მიერ მოგუეცი მეოხად,

დიდებაჲ, შენ მიერ იქმს საკჳრველთა, მხოლოდ მრავალმოწყალე“.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლები (კანონები) სტრუქტურულ-კომპოზიციური თვალსაზრისით მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისა და წმიდა ნინოსადმი მიძღვნილ ჰიმნოგრაფიულ კანონთა მსგავსად, სიმეტრიული თხზულებებია. ისინი იწყება ძე ღმერთისადმი, ღმრთის სიტყვისადმი ვედრებით, რომ წმიდა მამის, საკვირველ შიოს ქება წარმოათქმევინოს მისი ხსენების დღეს: „იესუ ღმერთო, ზეცით მოჰმადლე უღირსსა სულსა ჩემსა სულისა შენისაჲ საცნაური მადლი განმაღმრთობელი და აღატყუ უძლური, რაჲთა ღირსად შევამკო მე საჴსენებელი ყოვლად ბრძნისა მამათა ნათლისა შიოსი“. (301r).

პირველი კანონი დაწერილია მინიშნებებით და ლაკონურად  გადმოქვცემს შიოს ცხოვრებას, რომელიც ჰაგიოგრაფიულ თხზულებას ემყარება: „აღატყინე ცეცხლი სიყვარულისა“, „სამკაულო მოღუაწეთაო“, „მოღუაწეთა გჳრგჳნო შიო“. აქ მეტაფორით ამკობს ჰიმონოგრაფი  შიოს. ასევე საინტერესო ტროპარს წარმოადგენს მეოთხე გალობა კანონისა „მესმასა“ „ღმრთისაჲ კიბედ მომგებელ მღვიმისა გამოცდილი შენ საცნაურად მას ხედავდ“  (302r), რომელსაც საფუძვლად ბიბლიური მოტივი უდევს. შესაქმის წიგნში მოთხრობილია, თუ როგორ იხილა სიზმრად იაკობმა ცად აღმართული კიბე, რომელიც ღმერთის ხილვის, მისი გამოცხადების საშუალებაა (შეს. 28, 1-2). საგალობელი მთავრდება შიო მღვიმელისადმი ვედრებით,  რომ მტერთაგან იხსნას და გვირგინოსანჭყოს ჩვენი მეფე, განდევნოს „ბარბაროზნი და აგარიანნი დასცეს ოხათა შენთა მიერ, მამაო, და მეფე ჩუენი ძლევით გჳრგჳნოსან ჰყავ. და მტერი ჩუენი ზენათ რისხჳთა დასცენ და მგალობელსა შემწე მექმენ, ჵ, შიო“ (ადიდებდითსა, IX). არაერთგზის არის ნახსენები შიოს სასწაულები: „რამეთუ იგი **ლომთა** მფლობელად

გამოჩნდა, ხოლო შენ მჴეცნი გმონებდეს, ვითარ მონანი პირველმეტყველთანი (303r). „არა უდაბნოსა ზედა უგულიჭმოებისასა ერთა, არამედ ღმერთი მეცნიერთათჳს აღმოაცენე შენ წყალი უღაღითვე შენცა ღმრთის მზრახველობით“ (303r).

არსენ ბულმაისიმისძე შიოს უწოდებს „სოფლისა უდაბნოსა შუენიერებას“, რომელმაც თავისი ცხოვრება ღმრთისმსახურებით წარმართა  და ყოველივე მიატოვა, შეუდგა ქრისტეს კვალს. „უდაბნოს“ მნიშვნელობა მრავალწახნაგოვანია. როგორც ცნობილია, უდაბნოს ბიბლიური სიმბოლიკა არ შეიძლება ავრიოთ რაიმე მისტიკაში მარტოსულობასა ანდა ცივილიზაციიდან გაქცევაში, სადაც იგულისხმება არა მიბრუნება უდაბნოს იდეალურ მარტომყოფობაში, არამედ დროებითი გადასვლა სხვაგან უდაბნოს გზით (ლექსიკონი, 1967: 952).

შიო მღვიმელის სახე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგი სიმბოლური ნიშნის მიხედვით: „გზა“, „უდაბნო“ „მოძღვარი“ და „მღვიმე“, რომელმაც დატოვა სამშობლო და წამოვიდა სულიერი გამოცდის ადგილას – მღვიმეში; ამიტომ იგი არის **„ვარსკულავი დაუვალი“ უდაბნოში,** რომელიც  მისი ცრემლითაა მორწყული; სწორედ ეს უდაბნო ევედრება, რომ ააღორძინოს მისი დაარსებული სამწყსო და ისწრაფოს სულიერ შვილთა შეწევნად.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ უდაბნო გამოცდის ადგილია. პირველ რიგში უნდა გავიხსენოთ  აბრაამის სვლა უდაბნოს გზით აღთქმული ქვეყნისაკენ; მოსეს მიერ წამოყვანილი ებრაელი ხალხის გზაც უდაბნოზე გადის. სწორედ აქ, უდაბნოში მიიღო ებრაელობამ კანონი, ღვთისგა ნბოძებული მოსეს მეშვეობით; სწორედ უდაბნოში, გამოიცადა  ძე ღვთისა და ძე კაცისა, მაცხოვარი იესო ქრისტე. უდაბნო იყო ის  ადგილი, სადაც შიო, ასურეთიდან მოსული, დამკვიდრდა. არსენ ბულმაისიმისძის სიტყვით, „ლოცვათა შენთა ხუავითა მოგებული და ცრემლთა შენთა მიერ მდიდრად მორწყული უდაბნოჲ შენი გევედრების, მამაო, სამწყსო, რომელი დაასხ, აღაორძინე, იმსთუე შეწევნად შვილთა შენთა, ნეტარო“.

უდაბნო მოწესრიგებული გარემო არ არის, იგი მოუწესრიგებელია (სირაძე, 1992: 148-152) , სადაც სამონასტრო კოსმოსი უნდა დამყარდეს. შიოს მისვლით ქართლის ეს

მხარე სულიერი მოწესრიგების გზას დაადგა, რადგან შიოს მიმდევრები გაუჩდნენ, უპირველესად ევაგრე უნდა დავასახელოთ. თუმცა უდაბნო არაა ბოლო სამყოფელი, წმ. შიომ უდაბნოში გამოცდა ჩააბარა, შექმნა წმიდა მამათა სავანე, დაიმორჩილა ცხოველები და ფრინველები, შექმნა თხზულებები: „წინასწარ ცნობისა სული მოგეგო და ნივთებრი, შიო, რამეთუ იგი ლომთა მფლობელად გამოჩნდა, ხოლო შენ მხეცნი გმონებდეს, ვითარ მონანი პირმეტყუელთანი“ (ღაღადყავი, VI).

უდაბნო სულის სიძლიერესაც ავლენს და სისუსტესაც, თუმცა შიოს შემთხვევაში მტკიცდება მისი სულიერი უდაბნო სიძლიერისა, რომელმაც ჰპოვა საოცნებო ჭეშმარიტება (მსგავსია გალაქტიონის „უდაბნო“, „სწუხს ჩემი სული – ვით სამრეკლო ცის უდაბნოში“. რომანტიკულ სულიერ უდაბურებაში შემოტანილი ტაძარი შინაგანი ხილვაა, უდაბურების გასულიერებაა. ამიტომ ეს საოცნებო ტაძარი ფიქრივით ქრება (ნ. ბარათაშვილის „ვპოვე ტაძარი“) – (სირაძე, 1987: 149). უდაბნოს შემდგომ წმინდანს სხვა ადგილი ელის, რათა სულიერად წარდგეს ღვთის წინაშე. ამგვარი ადგილი მღვიმეა, სადაც წარმატებით მივიდა. ვგულისხმობთ უდაბნოში სამონასტრო ცხოვრების განვითარებას და ბერ-მონაზვნების მომრავლებას.

შიოს მღვიმეში ყოფნა მანიშნებელია შიოს ზნეობრივი აღმავლობისა და სიძლიერისა, რადგან მას თავისი თავი ცოდვილად მიაჩნია და ამოტომ ცოდვათაგან განსაწმენდად მიაშურა მღვიმეს, არსენის სიტყვით, „თავდგმულობად და სისრულედ ღუაწლთა შენთა უსახო ღუაწლი – მღჳმე მოისიბრძნე შენ, ბნელი უნათლო მუნათა მათ ცის კართა და უღამოთა სურვილთა, ჵ, შიო, და აწ მეოხ ხარ მადიდებელთა შენთათჳს“ („ღამითგანსა“ VII). მღვიმის „მოსიბრძნება“, როგორც აღნიშნა არსენ ბულმაისიმისძემ, შედეგია გრძნობა-გონებისგან შეგნებული განრიდებისა, საკუთარ თავთან მარტოდ შთენილი ადამიანის ღმერთთან უშუალოდ კავშირში ყოფნისა. აქ ადამიანი იღებს კანონს და ემზადება სულიერი ამაღლებისთვის.

საუკეთესო **გზა** სულიერი სიდიადის მოსაპოვებლად და ხორციელ ვნებათა აღსაკვეთად ასკეტობაა, მისი სხვადასხვა სახეობით. შიომ მღვიმეში განმარტოებით ყოფნა ირჩია, რათა წმინდანობის გზაზე მსწრაფველს ღმერთმა შეაძლებინოს შინაგან

ჭიდილში გამარჯვება. შიომ მცხეთის სიახლოვეს ჰპოვა მცირე ქვაბი, სადაც დამკვიდრდა, ხოლო სიცოცხლის ბოლო წლები მღვიმეში გაატარა.

მღვიმე, რომელშიც შიო დამკვიდრდა, ის ადგილია, საიდანაც მისი განღმრთობა უნდა მოხდეს; ფსალმუნში ვკითხულობთ: „უფალო, აღმოიყვანე ჯოჯოხეთით სული ჩემი და მიჴსენ მე მათგან, რომელნი შთავლენან მღჳმესა“ (29,4). ეგზეგეტიკოსები ხსენებულ მუხლს ასე განმარტავენ: „ხოლო მღჳმედ გულისჴმა-ჰყავ განუვლტოლველი ჭირი, რამეთუ ესევითარი არს მთხრებლი, ანუ საფლავი, ანუ ჯოჯოხეთი, რამეთუ ესენიცა სიღრმესა შინა ქუეყანისასა და განსალტოლველად უღონო არიან“ (ფსალმუნთა განმარტებანი, 1996: 135-136).

ასევე საინტერესოა სახელ შიო სემანტიკა (კოჭლამაზაშვილი, 1997: 3), რაც ებრაულად ჯოჯოხეთს, ქვესკნელს, საფლავს ნიშნავს, რაც ამ საკუთარი სახელის სიმბოლური გააზრების საშუალებას იძლევა. შუამდინარეთიდან მოსულმა წმიდა მამამ მღვიმეში ცხოვრება ირჩია ღმერთთან საზიარებლად.

საინტერესოა შემდეგი ვარაუდი სახელთან ამ დაკვშირებით: 1. შიოს მიერ სამოღვაწეო ადგილად მღვიმის არჩევა შემდეგი კი არ იყო, არამედ ღვთის განგებად ჩათვლა მშობელთაგან შერქმეული სახელი, რომელიც მღვიმეში ჩასვლით გაამართლა. „სამონაზვნო მოღვაწეობის სახე საკუთარ სახელს შეუსაბამა: „ქვესკნელის“ სახელის მქონე მონაზონი რეალურადაც „მექვესკნელედ“, „მემღვიმედ“, იქცა. 2. შესაძლოა, შიოს სხვა სახელი რქმეოდა და შემდეგ, როდესაც „მეღვიმედ“, „მექვესკნელედ“ იქცა, მისი სამოღვაწეო ადგილის სახელი ეწოდა – შიო-მღვიმედ (კოჭლამაზაშვილი, 1997: 19).

შიოს ღვაწლი უაღრესად დიდია ბერ-მონაზვნული ცხოვრების დაწყებასა და განვითარებაში. საგალობელში არსენი გადმოგვცემს, რომ „ვცად სულიერად პირმეტყუელად დღითი-დღე დიდებასა ღმრთისა დამბადებელისასა და ძეგლად პირმეტყუელად, ხარისხად სათნოებისა, გოდლად უძრავად და კლდედ მოთმინებისად გიცნობთ მონაზონთა კრებული, მამაო მამათაო და დედად სიმდაბლისა, ძირად სიყვარულისა და ნილოსად მოუკლებელად, ცრემლთა სინანულისა მოძღრუად და თავად ყოველთა საუნჯედ და მასწავლელად მოგჳგიე, შიო ნეტარო, ქართველთა

დიდებაო“. შიომ, ნილოსის ნაკადულთა მსგავსად, გაავსო უდაბნო თავისი მოძღვრებით, რითაც სიყვარული, მოთმინება დაიმსახურა ბრძენმა და მჭერმეტყველმა მასწავლებელმა. ნილოსის მეტაფორას კი არსენი, როგორც დავინახეთ, ეპისტოლეშიც იყენებს.

მეტად საინტერესო ტროპარს აღწერს საგალობელში ჰიმნოგრაფი შიოსა და ევაგრეს შესახებ, სადაც მრავლად აქვს გამოყენებული ბიბლიური მოტივები: მაგალითისთვის საინტერესოა შიოსა და ევაგრეს შედარება მოსე წინასწარმეტყველთან და ისუ ნავესთან, ელიასთან და ელისესთან: „სხუაჲ მოსეს ასურებრი, სხვასა ელიაჲსი“. „ელისებრი ევაგრი სულის ტრფიალი, არა ხოლო ენითა წყლის განმღები, გარნა კუერთხითა მოძღუარისათა სულსა მისსა თანა მქონი ნიშებს ღირსი“. შიოს პარადიგმული სახეებია მოსე და ელია წინასწარმეტყველი, ხოლო ევაგრესი – ისუ ნავესი და ელისე, რომელიც ბიბლიურ მოტივთა ფონზე პარალელური სახეებით წარმოისახება. ამ ტროპარში მინიშნებულია წინასწარმეტყველებები, კერძოდ, ამბაკუმისა: „თემანით ღმერთი მოვიდეს, ამბაკომ ჴმაყო, რომელი მოასწავა ბეთლემით ჴორცქმნაჲ სიტყჳსა შენგან, დავითის ვარდო მარიამ, შობილო ღმერთ არს და შენ ღმრთისმშობელ ხარ და ჩუენ ნეტარ ვართ შენ მიერ, დედოფალო“; ესაიას წინასწარმეტყველებაა ქალწულისაგან ძე ღმრთისა შობისა, რაც ღმრთისმშობლისანად დართულ ტროპარებშია გადმოცემული. ანტიოქია ღვთის ქალაქად არის მიჩნეული და შიოს სამკვიდრებელი მასთანაა შედარებული. მეორე კანონის მესამე გალობაში – შიო დახასიათებულია ოპოზიციური პარადიგმით: „იაკობისაებრ არა თუ ლაბანს ჰმონე, არამედ ტკბილსა მას უღელსა ქრისტესსა და შენცა ორნი მეუღლენი ირწმუნენ: ღმრთისაჲ მოყუსისა თანა მტკიცე და სრული სიყუარული და მსახურებაჲ, მამაო“. ჰიმნოგრაფი იხსენებს შესაქმის წიგნის 29-ე თავში მოთხრობილ ამბავს, როგორ ემსახურა ლაბანს იაკობი, რათა მისგან მიეღო თანხმობა ცოლად მისი ასულის – რაქელის შერთვისა, როგორ მოატყუა ბიძამ დისწული და ჯერ უფროსი ქალი მიათხოვა შვიდი წლის სამსახურის საფასურად, ხოლო მომდევნო შვიდი წელი სასურველი საცოლის მოსაპოვებლად ემსახურა. ჰიმნოგრაფია ასეთ დეტალებს არ ასახავს, მხოლოდ

მინიშნებებით კმაყოფილდება. არსენ ბულმაისიმისძემ ეს ბიბლიური ეპიზოდი იმისთვის გაიხსენა, რომ ეჩვენებინა შიოს ღმრთისმოსაობა და ღვთისგან მისი რჩეულობა. როგორც იაკობს ერგო ორი მეუღლე, ისე შიო დაემონა ქრისტეს ტკბილ უღელს და ორი მეუღლე ირწმუნა: ღვთის სიყვარული და სამსახური (სულავა, 2003: 223).

ჰაგიოგრაფიული ტექსტის მიხედვით, ევაგრე, რომელიც გახლდათ ერთ-ერთი დიდგვაროვანი ფეოდალი, საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირი, სანადიროდ იყო გასული: „მახლობლად ქუაბისა მის, სადა მჯდომარე იყო ბერი. და აჰა კუალად იხილა ტრედი იგი და მოაქუნდა საზრდელი ბერისათვის. და ვითარცა განიცადა ნეტარმან ევაგრე ტრედი იგი, განკჳრდა და შეუდგა კუალსა მისსა და იხილა წმიდაჲ იგი შიო მჯდომარე ქუაბსა შინა“ (ჰაგიოგრაფიის ანთოლოგია, 2018: 180)

სვინაქსარული ცხოვრებაშიც შიო ანგელოზის სახით ღებულობდა საკვებს: „რამეთუ ევაგრი მთავარი ციხედიდისაჲ ჴევსა მას შინა, რომელსა იყოფებოდა ნეტარი შიო, შევიდა ნადირობად, და იხილა ანგელოზი მზრდელი მისა სახითა ტრედისა სპეტაკისაჲთა შემავალი მისა, და ამისგან სამგზის მხილველმან და შედგომილმან მისმან მიუტევა მას ზედა ქორი და შეუდგა თჳთ, ვიდრემდის იხილა ბერი და ტრფიალ იქნა ცხოვრებისა მისისა, არღარა დაუტეობდა“ (ჟორდანია, 1897: 71).

ამიტომაც არ არის შემთხვევითი შიოსა და ევაგრეს შედარება ბიბლიურ პერსონაჟებთან, ვინაიდან ევაგრე იყო პირველი მოსწავლე, რომელმაც წმიდა მამათა შთაგონებით ირჩია ღმერთისკენ მიმავალი დაბრკოლებებით აღსავსე რთული გზა.

საგალობელში შიო ელია თეზბიტელსაა შედარუბლი, რომელიც მარხულობით გამოირჩეოდა და „ღმერთმან დაუწესა საკვები, რომელიც ყორნის მეშვეობით ეძლეოდა“ (III მეფ. 17, 2-6). მისგან განსხვავებით, შიო საკვებს ანგელოზის მეშვეობით ღებულობდა, რადგან იგი ღმერთმა გამოარჩია. „თეზბიტელისა ელიასებრ ცხორებაჲ შენი მარხჳთა შეამკევ, მამაო, და შენცა ღმერთმან მსგავსად მისსა მოგხედნა საზრდელითა მით ზეცისათა, ნეტარო, არა ყორნითა, გარნა ანგელოზითა“ (306 v); „ამიერითგან კაცობრივი საზრდელი არღარა გიჴმობს შენ და უბრძანებს ძესა ჩემსა ქრისტესა ღმერთსა, რაჲთა

ერთი ანგელოზი მარადის მყოფ იყოს შენ თანა და გზრდიდეს და სცვიდეს ცხოვრებასა შენსა“ (ჟორდანია, 1897: 70).

მეორე კანონის მეოთხე გალობა „მესმასა“ განსაკუთრებული მხატვრულობით გამოირჩევა, რადგან სახეთა პარალელიზმითაა წარმოჩენილი შიოს განღრმთობილი და სასწაულმოქმედებრივი ნიჭი. „იორდანებრი მდინარისა განღებაჲ არა ხალელმან, არამედ კუერთხმან ხმელმან საკვირველისა ევაგრის ხელთა შინა შენა აქა ყო, მოძღუარისა რაჲ სულითა აღივსო შიო“ (303v) – (ღამითგანსა).

მესამე ტროპარი კი შედარებებით აჩვენებს შიოს სიძლიერეს და მის მიერ სატანის დამორჩილებას, მხეცთა ადამიანების სამსახურებლად გამწესებას, რომელთაგან ზოგნი შიოს ბრძანებით გაეცალნენ შიოს სამყოფელს: „ლომებრი იგი ბრდღჳნვანი სატანისანი დაჴსნენ, ვითარცა დედაზარდლისა ქსელნი და მის თანავე ხილულნი იგი მჴეცნი დაიმორჩილენ მსახურებად მონებრად და რომელნიმე ბრძანებითა იოტენ“ (306 r). იგულისხმება ჰაგიოგრაფიული ტექსტის მიხედვით: „გამოვიდნიან მჴეცნი იგი და მავნებელ ექმნებოდიან კარაულთა მათ. შიო კი უთხრა მათ: აწ გეტყჳ თქუენ სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, ....ხოლო განასხემდი დილასა და ჟამსა მწუხრისასა მოასხემდი, და იყავ მწყემს და მცველ სახედართა ჩუენთა... ხოლო მგელი იგი იქმნა მორჩილ, ვითარცა მონაჲ და ჰყოფდა ბრძანებისაებრ ბერისა“ (ჰაგიოგრფიული ანთოლოგია, 2018: 181). ასევე, შიოს თხოვნით, განერიდა მგელი უდაბნოს, რომელსაც კარაულმა ცილი დასწამა. ხოლო „ლომებრნი იგი ბრდღვინვანი“ – დანიელის წინასწარმეტყველებაში მოთხრობილ ამბავს მიანიშნებს (დან, 6, 16-24; 14, 30-4).

საგალობელში შიო ორბთან არის შედარებული: „ორბისა მსგავსად განაახლე სიბერე ჭაბუკებრივად ახალმყოფმან, შრომათა დღითიდღე აჰჴედ სათნოებათა ეტლსა და წარუძეღუ შენ მორჩილთა შენთა გზასა შეუცთომელსა, შიო დიდო მნათობო“. მისი სულიერი, შინაგანი ხილვა ორბის მსგავსად ამაღლებულად არის წარმოჩენილი, რომლის ლიტერატურული წყაროც ფსალმუნია: „რომელმან აღავსო კეთილთა მიერ გულის-თქმაჲ შენი; განახლდეს, ვითარცა ორბისა, სიჭაბუკე შენი“ (ფს. 102, 50). შიოს მღვიმეში ყოფნა სულით გაახალგაზრდავებად აღიქმება, ასეთივე ასპექტით არის

გადმოცემული დემეტრე მეფის იამბიკოში „ორბობს მოხუცი“, იოვანე შავთელთან, „ორბობ განახლებითა“.

მკლევარი ი. ლოლაშვილი „ორბის“ მეტაფორის წყაროდ ასახელებს ბასილი კესარიელის ფიზიოლოგს – „მჴეცთათჳს სახის სიტყუა“ და ბასილი ქართლის კათალიკოსის საკითხავს – „თხრობა სასწაულთათჳს წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოჲსთა“. ამასთან დაკავშირებით მკვლევარი აღნიშნავს: „პირველ ნაწარმოებში ნათქვამია: როდესაც ორბი დაბერდება, ფრთები დაუმძიმდება და თვალები დაევსება, მოძებნის წყაროს წყალს, მის თავზე მძაფრი ქარის მიმართულებით ცაში აფრინდება, ფრთებსა და დაწირპლიანებულ თვალებს მზეზე გაახურებს და „შთაჴდის წყაროსა, დაიბანის სამჯელ და განჭაბუკდების“ (ლოლაშვილი, 1984: 193). ცხადია, ეს არ გამორიცხავს პირველწყაროს არსებობას ფსალმუნის დამოწმებული მუხლების სახით.

ასევე საინტერესოა შიოს ღვაწლი, რომელიც ორივე სოფელს სწვდება: „ორნივე წესნი-ზენანი და ქუენანი განჰკვრდეს ღუაწლთა შენთა საკვირველსა ზედა, მამაო შიო, და ღმერთი იხარებდა და აღგითქუა შენ აქავე მოსაგებელი შენი და წინდი შრომათა შენთა“.  შიომ მისი ადამიანური მოთხოვნები გონებას დაუქვემდებარა, ღვთის ნებას დაჰმორჩილდა გონებით მისწვდა ღმერთს, რის შემდეგაც მასზე ღვთაებრივი მადლის გადმოსვლით შიოს სული განიღმრთო.

შიო მღვმელმა ისე იღვაწა ამ ქვეყნად, რომ ღრმა კვალი დააჩნია ქართულ კულტურას. მის მიერ დაარსებულ მონასტერს მისივე სახელი ეწოდა. შიომღვიმის მონასტერს ქართული კულტურის ისტორიაში გამსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი უჭირავს. მონასტრის საბუთები მოწმობენ, რომ იგი ქართველ მეფეთა და დიდებულთა მუდმივი ზრუნვის საგანი იყო. მაგალითისთვის დავასახელებთ: სიგელი ბაგრატ მეფისა მღვიმის ლავრისადმი, სიგელი გიორგი მეფის მღვიმისასდმი, დაწერილი მღვიმის კრებულისა ტოხაჲსძეებისადმი, დაწერილი ჭიებერისა მღვიმისადმი, სიგელი თამარ მეფისა მღვიმისადმი, ბრძანება გიორგი მეფისა მღვიმისადმი, დაწერილი გრიგოლ სურამელისა მღვიმისადმი, დაწერილი მღვიმის კრებულისა გრიგოლ

სურამელისა, დაწერილი ძაგან აბულეთისძისა მღვიმისადმი და ანდერძი დავით მეფისა მღვიმისადმი ( კორპუსი, 1984: 418).

ამათგან განსაკუთრებით საყურადღებოა დავით აღმაშენებელის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი, რომლის მიხედვით, მეფე მონასტერს უანდერძებს დიდძალ ქონებას, მიწა-წყალს, შვილსაც – დიმიტრისაც უბარებს მასზე ზრუნვასა და მფარველობას (ქართლის ცხოვრება, 1987: 206-212).

ჰიმნოგრაფი შიოს ასეთი ატრიბუტებით მოიხსენიებს: „ღმრთივ-განბრძნობილი", „ქრისტესებრ" თჳთ „ჯუარცმული", „დიდებული ნივთმოქმედი", „უდაბნოს დაუვალი ვარსკვლავი", „ღმერთშემოსილი", „სულითა ნეტარი", „დიდებული", „სასო", „ტკბილი", „საკვირველი", „ღირსი", „სანატრელი", „მამათა ყუავილი", „უდაბნოს მნათობი"...

გალობის ბოლო ტროპარში პარადიგმულ-იპოდიგმურ სახეთა გამოყენებითაა ნაჩვენები ევაგრეს მიერ მტკვრის განპება კვერთხით, რომელიც შედარებულია ელიას მიერ ხალენით იორდანის გადალახვასთან. „იორდანებრი მდინარისა განღებაჲ არა ხალენმან, არამედ კუერთხმან ჴმელმან საკჳრველისა ევაგრის ჴელთა შინა შენთა აქა ყო, მოძღუარისა რაჲ სულითა საკჳრველისა ევაგრის ჴელთა შინა შენთა აქა ყო, მოძღუარისა რაჲ აღივსო შენგან, საკჳრველო შიო". „ვიდრემდის იხილა ბერი და ტრფიალ იქმნა ცხოვრებისა მისისა და არღარა დაუტევებდა. ხოლო ბერმან დააჯერა რაჲთა აღიღოს კუერთხი მისი და შთაყოს მდინარესა შინა და, უკეთუ ჴმელად გზა სცეს, განაგოს სიმდიდრე თჳისი და კუალად მომავალმან ეგრეთვე ყოს, ორგზის განაპო მდინარე ევაგრი და მოვიდა შიოჲსა და იქმნა მონაზონ მაღალ და ღირს იქმნა ქმნად სასწაულთა მრავალთა" (სვინაქსარული რედაქციები, 1963: 367). ქრისტეს რწმენამ, შიოსგან შთაგონებული ევაგრე მშვიდობით გაიყვანა მტკვრის გაღმა და დააბრუნა შიოსთან.

ჩვეულებრივ ის წმინდანები, რომლებიც საგალობლებში არიან შექებულნი, წინასწარმეტყველების უნარითაც არიან დაჯილდოებულნი, ღვთისაგან აქვთ მინიჭებული ეს უნარი თავიანთი რწმენისა და ღვთისაგან გამორჩეულობის გამო. არსენ ბულმაისიმისძის საგალობელში შიოს წინასწარმეტყველებაცაა აღნიშნული. მან თავის

ძმობას ამცნო ანგელოზთაგან ნაუწყები თავისი „განსვლა ჴორცთაგან და მისლვა წმიდათა მწყობრსა თანა''. ეს საკვირველება თავისი თხოვნისამებრ აუსრულა ღმერთმა.

„მისლვა წმინდათა მწყობრისა თანა'' ბასილი დიდის ეპიტაფიის სიტყვებს გვაგონებს, რომლებიც გრიგოლ ღვთისმეტყველს ეკუთვნის და რომლებშიც ბასილი დიდის „მწყობრთან'', ანუ ღმერთთან, შეერთებად არის აღქმული მისი ამიერქვეყნით განსვლა (შდრ.: შოთა რუსთაველის სიტყვებს: „მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“): „იხილენ ძალნი ცისანი, ვით არცა რაჲ მათმან ზიარმან, განყვანებასა შენსა, გულსავსე მქონელად შენად და მხიარულად მიგიწოდდეს შენ ტკბილად, და გიჩუენებდეს წმიდათა  მწყობრსა შენთვს გარდამოსრულსა“ (სულავა, 2003: 224).

„ზენანი წესნი“ გულისხმობს ცად ამაღლებული სულის სამკვიდროს მოპოვებას, რისი შედეგიც იყო შიოსაგან ზეციურ ძალთა ხილვა, ორი კრებულის ხილვა - „საკვრველთა ანგელოზთა და მართლათა მწყობრისა“. შიოს სულის ზეაღსვლას არეოპაგიტული იერარქიის მიხედვით აჩვენებს ჰიმნოგრაფი.

შიო მღვიმელის სულიერ სრულყოფილებას არსენ ბულმაისიმისძე გამოხატავს სიტყვა „სრულის“ მრავალგზის განმეორებით, რაც აღიქმება, ერთი მხრივ, ზნესრული ადამიანის განღმრთობით, მეორე მხრივ – გამომსახველობით საშუალებად: „სრული სრულებით სრულთასა საყოფელსა სისრულედ მიხუედ აღმავსებლად მათდა, და განიხარეს ყოველთა აღსლვა შენი ქრისტედ და იხილე შენ, რომლისათჳსცა გსუროდა, შიო, სანატრელო მამაო“ (308r). დიონისე არეოპაგელის ტრაქტატით „საღმრთოთა სახელთათვს“ „სრული“ ღმერთის ერთ-ერთი სახელია, რომელსაც წმინდანის ეპითეტად იყენებს მხატვრული ლიტერატურა.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლები ეფუძნება ჰიმნოგრაფიულ ტრადიციებში შემონახულ და გამოყენებულ მზა რელიგიურ ფორმულებს, დოგმატურ ფრაზეოლოგიას, მზამზარეულ მხატვრულ სახეებსა და სიმბოლოებს, გაქვავებულ გამოთქმებს. რადგან ჰიმნოგრაფი გვევლინება ღვთაებრივი სიტყვის მის მსმენელ-მკითხველამდე, მიმტანად ხოლო ღვთის სიტყვა არის მარადიული, უცვლელი, იგი საგალობლიდან საგალობელში გადადის, იცვლება მწერლის განწყობილება და ემოცია.

საგალობელი არის მისტიკურ პოეტური ხილვათა ჰარმონია, დახვეწილი ნაზავი, რომლის ყოველდღიური შესრულება და მოსმენა აფაქიზებს მის აღქმულ სულიერ სამყაროს, ზრდის მას ზნეობრივად და ინტელექტუალურად, რაც ადამიანის განღმრთობის საწინდარია.

ამრიგად, შიოსადმი მიძღვნილ ჰეორტალოგიურ ციკლში გამოიხატება ამაღლებული და საღვთისმეტყველო შინარსობრივი სტილი, აზრობრივი დახვეწილობა, მინიშნებებით, ალუზიებით, ბიბლიური პარალელიზმით, ჰაგიოგრაფიული მონაცემების გამოყენებით წარმოაჩენს მაღალ მხატვრულ დონეს ასევე გამოიკვეთა ავტორის სულიკვეთება დახვეწილი გემოვნებისა. შეთხზვა მკითხველის და მსმენლისთვის მარტივად აღსაქმელი საგალობლები, რომლებიც ასაზრდოებს და სულიერად ამხნევნბს ნებისმიერ მსმენელს ამიტომაც პრაქტიკული დანიშნულების სახეს ღებულობს ეს საგალობლები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ჰიმნოგრაფიისათვის დამახასიათებელი კულტურის გაგრძელებაა.

ჩვენ არაერთგზის ვახსენეთ შიო მღვიმელის სვინაქსარული ცხოვრება, რომელიც მოთავსებულია XIII საუკუნის ნუსხაში – შიო მღვიმის ცნობილ ტიპიკონში (H-1349) და რომელსაც კ. კეკელიძე არსენ ბულმაისიმისძის კალამს მიაკუთვნებს. თვით ხელნაწერი, სადაც ტექსტია დაცული, წარმოადგენს საბა განწმედილის ლავრის ტიპიკონის ქართულ თარგმანს, შესრულებულს არსენ იყალთოელის მიერ, რომელმაც XII საუკუნიდან შეცვალა გიორგი მთაწმინდელის „დიდი სჳნაქსარი“ და განაგებდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ღვთისმსახურებას XVIII საუკუნემდე (გაბიძაშვილი, 2011: 124-125).

საბას ლავრის უძველესი ქართული ნუსხა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIII საუკუნის ხელნაწერშია მოთავსებული, მაგრამ იგი XII ს. (1172 წ.) ქართულისავე ნუსხიდან არის გადმოწერილი, რაც მისი დედნიდანაა მექანიკურად გადმოსული: „ქრისტე, შეიწყალე ლიკა ჩ˜ტს ჩ˜რნი (?) ქრონიკონი იყო ტ˜ჟბ (=392+780=1172) წელიწადნი ხ˜ქჳ (=6680-5508=1172 წ. 116 v). მეორეც, „მართმადიდებლობის კვირის“ ხსენებებში ბიზანტიის იმპერატორებიდან უკანასკნელად იხსენიება ნიკიფორე III

ბოტანიატი (1078-1081), ხოლო პატრიარქებიდან იოვანე გრამატიკოსი (1084-1111), ანტიოქიელი პატრიარქებიდან იოვანე IV (1092-1098). აქედან ნათელია, რომ ამ ტიპიკონის ქართულად თარგმნა XII დასაწყისში დასაწყისს უნდა მიეკუთვნოს (ჟორდანია, 1896: 16). ტიპიკონის ქართულად თარგმნა უშუალოდ დაკავშირებულია შიომღვიმის მონასტერთან.

შიომღვიმის მონასტრისათვის ამ ტიპიკონის შერჩევა უცნაური არ უნდა იყოს, რადგან 13 ასურელი მამა, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდა შიო მღვიმელი, საქართველოში სწორედ პალესტინიდან მოვიდნენ, ხოლო სვიმონწმიდის ლავრის რედაქციის ტიპიკონის შერჩევა აიხსნება იმ გარემოებით, რომ ასურელ მოღვაწეთა საქართველოში მოსვლა და მოღვაწეობის პირველი წლები სწორედ სვიმონ მესვეტის სახელს უკავშირდება.

საბას  ლავრის ტიპიკონის H-1349 ხელნაწერი ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, პირველსავე ფურცელზე, შეიცავს შიო მღვიმელის სვინაქსარულ ცხოვრებას. შიოს ეს ცხოვრება ტიპიკონის ორგანული ნაწილი არაა, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ტიპიკონის სვინაქსარულ ნაწილში – „სჳნაქსარი ათორმეტთა თუეთა წელიწადისათჳ“, რომელიც ხელნაწერის 22r-76v ფურცლებზეა მოთავსებული და წმინდანთა ხსენების კალენდარს შეიცავს სვინაქსარული ცხოვრებების გარეშე – შიო მღვიმელის ხსენება არ არის. ქართველთაგან მხოლოდ წმ. ნინოს ხსენებაა 14 იანვარს. შიო მღვიმელის სვინაქსარული ცხოვრების შემცველი ფურცელი დაზიანებულია, მელანი წაშლილია და ტექსტის ზოგიერთი ადგილი ძნელად იკითხება  (ჟორდანია, 1896: 70-71).

მკლევარმა ე.  გაბიძაშვილმა სვინაქსარულ ცხოვრების და სხვა სვინაქსარულ ტექსტებთან ერთად გამოსცა და მოამზადა აკადემიურად დადგენილი ტექსტი, გასწორებს ის შეცდომები, რაც  ჟორდანიამ დაუშვა (გაბიძაშვილი, 2011, 127).

საინტერესოა გავარკვიოთ შიო მღვიმელის სვინაქსარული ცხოვრების წყარო. როგორც ჩვენთვის ცნობილია, შიოს ცხოვრება სვინაქსარული ტექსტის შექმნამდე ორი რედაქციით არსებობდა: კიმენური (X ს.) და მასზე დაყრდნობით აღმოცენებული მეტაფრასული რედაქციებით (XII ს). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა ვარაუდი

შიოს ცხოვრების მესამე – უძველესი რედაქციის არსებობის შესახებ, რომელიც ჩვენამდე არ შემონახულა. ეს ცხოვრება მოაზრებულია იოვანე ზედაზნელის ანასეული ქართლის ცხოვრების ბოლოს მოთავსებული ნაკლული ცხოვრების გაგრძელებად (აბულაძე, 1958, 34).

სვინაქსარული ცხოვრება შედგენილია შიოს მეტაფრასული ცხოვრების უმთავრესი ეპიზოდების გამოკრების საფუძველზე. სვინაქსარული ცხოვრების თითქმის ყველა დეტალს პარალელი მოეპოვება მეტაფრასტულში. რაც შეეხება კიმენურ რედაქციას, მასალის უმეტესი ნაწილი ამ რედაქციაში არ მოიპოვება.

სვინაქსარულის მიერ თავისი წყაროს ადგილებისა და ფრაზების ზუსტად გამეორება მინუმიმამდეა დაყვანილი; იგი თითქმის ყოველთვის იძლევა მეტაფრასტული ცხოვრების შესაბამისი ადგილების ზუსტი შინაარსის შემცველ, ხოლო ფრაზეოლოგიურად ძალიან შემოკლებულ პერიპრაზს (გაბიძაშვილი, 2011: 128).

ე. გაბიძაშვილის მიერ ნაჩვენები პარალელური ადგილები და მსგავსი მრავალი სხვა მაგალითი საეჭვოს არ ხდის სვინაქსარული ცხოვრების მიერ წყაროდ მეტაფრასტულის გამოყენებას, მაგრამ ამასთანავე გვიჩვენებს, რომ სვინაქსარული ცხოვრების ავტორი ცდილობს, შექმნას წყაროსგან ფრაზეოლოგიურად თითქმის დამოუკიდებელი, ზედმეტი სიტყვაკაზმულობისაგან განტვირთული ლიტურგიკული დანიშნულების მცირე მოცულობის ძეგლი, რომელიც, ამავე დროს, მთლიანად ამოწურავს ვრცელი წყაროს შინაარსობრივ არსენალს. სვინაქსარული ცხოვრება ერიდება მეტაფრასტულის მსგავსი ადგილების ზედმეტად განმეორებას და ცდილობს, სხვადასხვა დროს შექმნილი ორი ერთგვარი სიტუაცია ერთი ფრაზით გადმოგვცეს. მაგალითად, თუ მეტაფრასტულ ცხოვრებაში დაწვრილებითაა ლაპარაკი ევაგრეს მიერ შიოს კვერთხის დახმარებით მტკვრის „ჴმელად განვლაზე“, როდესაც იგი ბერმა სახლში გაგზავნა ოჯახური საქმეების მოსაგვარებლად, და იგივე სიტუაცია მეორდება, როდესაც იგი შიოსთან ბრუნდება; სვინაქსარული ცხოვრება იმავე ფაქტს ასე გადმოგვცემს: „რომელ-ესე იქმნა საკჳრველებით ღმრთისა მიერ ორგზის განაპო მდინარე ევაგრი და მოვიდა შიოჲსა“ (2r).

სვინაქსარული ცხოვრება მეტაფრასტულის ზოგიერთ დეტალს შიოს ცხოვრების სხვა ეპიზოდთან დაკავშირებით იყენებს. მაგალითად, მეტაფრასტული ცხოვრების დასაწყისში, რომელიც შიოს ანტიოქიაში მოღვაწეობის პერიოდს ეხება, ნათქვამია: „რამეთუ ეშმაკთა და მათ მიმართ ზედა-მოსვლათა, ვითარცა ქსელთა დედაზარდლისათა დაჴსნიდა“ (აბულაძე, 1955, 78). მსგავსი ფრაზა მოეპოვება სვინაქსარულ ცხოვრებასაც: „რომელსა შინა ძლიერად მოღუაწებითა და ბუნებისა კაცთაჲსა უზეშთაესითა მარხვითა ყოველნი ეშმაკისა ბრძოლანი ვითარცა დედაზრდილისა ქსელნი დაჴსნა“ (2r). მაგრამ ეს წინადადება შეესატყვისება არა ზემოთ მოტანილი მეტაფრასტული ცხოვრების ადგილს, არამედ – იმ ეპზოდს, სადაც ვრცლადაა მოთხრობილი შიოს სარკინეს მღვიმეში დამკვიდრების, მისი „ფიცხელი“ მოღვაწეობისა და იმ ურიცხვ განსაცდელთა, მუქარათა და შევიწროებათა შესახებ, „რომელ მოიწეოდეს მის ზედა მრავალ სახედ“ მოვლინებულ „არაწმიდა სულების“ მიერ. უნდა ითქვას, რომ სვინაქსარულმა ცხოვრებამ ამ წინადადებას უფრო შესაფერისი ადგილი მოუძებნა, ვიდრე მას ჰქონდა მეტაფრასტულში.

ე. გაბიძაშვილი თვლის, რომ შიოს სვინაქსარული ცხოვრების მეტაფრასულიდან წარმომავლობის ფაქტი საეჭვო არ უნდა იყოს, მაგრამ ეს ორი ცხოვრება ზოგიერთ ნიუანში განსხვავებას გვაძლევს, ხოლო სვინაქსარული ცხოვრების ზოგიერთი დეტალი მეტაფრასულსა და აგრეთვე, კიმენურ ცხოვრებას სრულებით არ მოეპოვება (გაბიძაშვილი, 2011: 132-133).

# თავი VI. იამბიკური სვინაქსარი

A-85 ხელნაწერის კომენტარში ნათქვამია: „ესე იამბიკონნი ხუთთა თუჱთა მეტნი არ იყუნეს ენასა ზედა ქართლისა და ოთხთა თუჱთანი არსენი ბულმაისიმისძემან თქუაჲ, ქართლისა კათალიკოზმან, ჩემითა შეხუეწ̂ითა“ (148 r). სიტყვა „ჩემითა“ ხელნაწერში ქარაგმითაა წარმოდგენილი – „ჩ˜ითა“ და ის შეიძლება წავიკითხოთ, როგორც „ჩუენითა“, მაგრამ ამ შემთხვევაში უპირატესობას ვანიჭებთ პირველ წაკითხვას, რაც გულისხმობს იმას, რომ საგალობლის დამკვეთია ტბელ აბუსერისძე, რომელსაც ეკუთვნის დამოწმებული კომენტარი. „ჩუენითა“-ს შემთხვევაში, დამკვეთებს შორის ტბელთან ერთად საგულვებელი არიან მისი ძმები – აბუსერი და ვარდანი, რაც, ჩვენი აზრით, გამორიცხულია, რადგან, როგორც წესი, ერისთავთ-ერისთავ ძმებზე ტბელ აბუსერისძეს არ ახასიათებს ნაცვალსახელებით წერა, მწერალი მათ ყოველთვის სახელით იხსენიებს.

ამგვარად, მოცემული კომენტარის მიხედვით, თებერვალ-მაისის თვეების იამბიკონი ეკუთვნის არსენ ბულმაისიმისძეს და დაწერილია ტბელ აბუსერისძის ინიციატივით.

**„იამბიკური სვინაქსარი“ ანალოგიური შინაარსის ბერძნული ტექსტის ადაპტირებული ქართული ვერსიაა.** მას საფუძვლად უდევს **„ათორმეტთა თვეთა პროლოღია“, ანუ „გალობანი ყოველთა წმიდათანი“ – გალექსილი საეკლესიო კალენდარი, რომელიც ბიზანტიელ პოეტს ქრისტეფორე მიტილინელს ეკუთვნის.** „იამბიკურ სვინაქსართან“ არის დაკავშირებული ქართული მწერლობის სამი უდიდესი წარმომადგენლის – იოანე პეტრიწის, არსენ ბულმაისიმისძის და ანტონ კათალიკოსის სახელი. სვინაქსარის გალექსვა იოანე პეტრიწს დაუწყია და გაულესავს ხუთი თვის – სექტემბერ-იანვრის კალენდარი, მომდევნო ოთხი თვის – თებერვალ-მაისის – გალექსილი კალენდრის თარგმანი არსენ ბულმაისიმისძეს ეკუთვნის. იამბიკური სვინაქსარის ეს ორივე ნაწილი ტბელ აბუსერისძემ A–85 ხელნაწერში შეიტანა.

სვინაქსარის დარჩენილი სამი თვის – ივნის-აგვისტოს მონაკვეთი კი ანტონ კათალიკოსმა გალექსა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტზე მუშაობდა სხვადასხვა ეპოქის სამი უდიდესი მოღვაწე, ძეგლი ნაკლებადაა შესწავლილი. არსენ ბულმაისიმისძის და ანტონ კათალიკოსის სვინაქსარი საერთოდ არ არის გამოცემული, ხოლო იოანე პეტრიწისეული ტექსტი 1978 წელს გამოსცა თ. კუკავამ ორი გვიანდელი (XVIII საუკუნის) ხელნაწერის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ სამივე ნაწილი „პროლოღიისა" გაუერთიანებიათ და ერთ კრებულში შეუტანიათ XVIII საუკუნის ორ ხელნაწერში (H-3731, H-2185).

იამბიკური სვინაქსარის შესახებ კ. კეკელიძე წერს: „სჳნაქსარი იამბიკური ოთხთა თთუეთანი: Ფებერვალის, მარტის, აპრილის და მაისის, რომელთა გამოთქმა უთხოვია მისთვის (არსენ ბულმაისიმისძისათვის) აბუსერ აბუსერისძეს, ეს გააგრძელებაა იოანე პეტრიწის იამბიკური სჳნაქსარისა, რომელიც მოყვანილია თებერვლამდე (სექტემბრიდან), დაწერილია პეტრიწისავე სტილითა და მეთოდით, ქართველ წმინდათა ხსენება შიგ არ არის" (კეკელიძე, 1960: 326). ცხადია, აქ შესწორებას მოითხოვს ის გარემოება, რომ არსენ ბულმაისიმისძემ აბუსერ აბუსერისძის თხოვნით კი არა, უშუალოდ ტბელ აბუსერისძის თხოვნით დაწერა „სათვეო სვინაქსარი".

ქრისტეფორე მიტილინელის შრომა („გალობანი ყოველთა წმიდათანი") იყო პირველი ნიმუში გალექსილი კალენდრისა და ჰქონდა თავისი დანიშნულება – გაეადვილებინა რთულად აღსაქმელი მასალის მარტივად დამახსოვრება. ლექსის ფორმით დაწერილი ტექსტის სპეციფიკური დატვირთვა სწორედ ამაში მდგომარეობს. ქრისტეფორე მიტილინელი კი, რომელიც მიჩნეული იყო თავისი დროის ერთ-ერთ ცნობილ სქედოგრაფად (სქედოგრაფია სასკოლო დისციპლინა, რომელიც ეფუძნებოდა ენის შესწავლის მნემოტექნიკურ მეთოდს), შეეძლო, წარმატებით გაერთვა თავი ამ ამოცანისათვის. ქრისტეფორე მიტილინელის „გალობანი ყოველთა წმიდათანი" იამბიკური საზომითაა დაწერილი. სწორედ აღნიშნული იამბიკური კალენდრის ფორმა გამხდარა იოანე პეტრიწისთვის საინტერესო, როცა ქმნიდა მსგავს ორიგინალურ

შრომას, თუმცა, საინტერესოა ისიც, რომ პეტრიწს მიტილინელის შრომა შეუმოკლებია, ამოუღია ეპითეტები, საკუთარი სახელები და უთარგმნია იგი ლიტურგიკული კანონის სახით.

ი. მაკარაძემ შეისწავლა ძეგლის ვერსიფიკაციული, სტრუქტურული და სტილური თავისებურება. ქართული იამბიკოს ბერძნულის ტექსტის მიხედვით გამართვისას დასახელებულ ავტორებს ძირითადი ყურადღება იმისთვის მიუქცევიათ, რომ ცეზურა მეხუთე მარცვლის შემდეგ მოსულიყო. მაგალითისთვის ი. მაკარაძეს მოჰყავს „პროლოღიის“ ერთი სტრიქონი:

„ამამებს ჩჩჳლთა // სისხლთა მისთა შერევაჲ“.

ი. მაკარაძის დაკვირვებით, როგორც წესი, იამბიკონის ერთი მუხლი შეიცავს ერთ დღეს მოსახსენებელ წმიდათა სვინაქსარულ ცხოვრებებს. შესაბამისად, ერთ თვეში იმდენი მუხლია, რამდენი დღეც არის. მაგალითად, პირველ თებერვალს მოხსენებულია ორი წმინდანი. მათგან პირველია წმ. მოწამე ტრიფონი (250):

ტურიფონს ჰშუჵნან, ყრმასა კამსადოს ღრღედნი.

მადლით ღმერქმნილსა, ეშმაკთა ქრისტებრ ფლობაჲ.

ნიკეას შინა, თჳთ მუნ თქმულთათჳს ჴრმალვაჲ.

ჴამლთ აღმომსჭუალვაჲ, გუჵრდსა ლამპრითა ძღუნობაჲ.

და მითვე მთმენსა, ჴელად სულსა ღირსებაჲ.

შემდეგ არსენის იამბიკო წმ. ტრიფონის ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის: წმ. **ტრიფონი** დაიბადა სოფელ კამპსადაში, უფალმა მას სიყრმეშივე მიანიჭა ეშმაკთა განსხმის ნიჭი. ქრისტიანთა სასტიკი მდევნელის – **დეკიუსის** (249-251) ზეობის დროს წმინდანი უშიშრად ქადაგებდა ქრისტიანობას და მრავალი მოაქცია თავის რჯულზე, რის გამოც შეიპყრეს ის და სასტიკად აწამეს. ბოლოს მას თავის მოკვეთა მიუსაჯეს. სასიკვდილო განაჩენის აღსრულების წინ წმიდა ტრიფონმა შესთხოვა უფალს, განსაკუთრებული მადლი მიენიჭებინა მათთვის, ვინც მის სახელს შემწედ მოუხმობდა.

ქრისტეს ტარიგმა მანამ შეჰვედრა სული უფალს, სანამ ჯალათი აღმართულ მახვილს დაჰკრავდა.

ჰიმნოგრაფი ლაკონურად გადმოგვცემს წმინდანის ცხოვრების ამა თუ იმ ეპიზოდს; ზოგ შემთხვევაში კი ერთი ან ორი სიტყვით მიგვანიშნებს მასზე. მაგალითად:

„ესერთე პავლე, კრისკენტი, დიოსკორე,

ნატალიოდი, ლოՒაჲცა ჰრომი“(236r)

„მარკელლოს მწყემსი კჳიპრელი წმიდათაგანობს.

მოწამენიცა რიგენი და ანტონი სალოՒსსა ვისმე

თეოდორეს თანა ცად ვლენ“(226v).

მოყვანილ ციტატიდან ყურადღებას გავამახვილებთ წმიდა მოწამე კრისკენტის (მირონ-ლუკიელი) ცხოვრების ისტორიაზე, რომელიც დიდგვაროვანი ოჯახის შვილი იყო და წინ აღუდგა წარმართული სარწმუნოების ქაგადებას, რის გამოც წმინდანი დაატუსაღეს და მიჰგვარეს ქალაქის ხელმძღვანელს; გამგებელმა ურჩია წმინდანს, ხალხის დასანახად წარმართობა ეღიარებინა და თაყვანი ეცა კერპებისთვის, თუმცა წმ. კრისკენტმა უპასუხა: – „შეუძლებელია სხეულმა გააკეთოს ის, რაც სულს არ უნდა, რადგან მას სული მართავს და ამოძრავებს“. ამის შემდგომ მოწამე კრისკენტ - მირონ ლუკიელი სასტიკად აწამეს, გახურებულ ღუმელში ჩააგდეს (მაისის თვის მოსახსენებელი).

ასევე საინტერესოა წმინდანების შესახებ შემდეგი სტრიქონები, სადაც ვკითხულობთ:

„ეპარსნეს ნივთთა ორნი წმინდანი სპარსნი იოანე და ბარუქიოს ნეტარნი“(229 r).

ზემოთ მოხმობილ ციტატიდან ყურადღებას გავამახვილებთ წმ. ბარუქზე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის სულიერი მჭევრმეტყველების განჭვრეტაში, როგორც მწერალს და იერემია წინასწარმეტყველის მეგობარს, მოწაფეს. მან მოახერხა თავისი მასწავლებლის წინასწარმეტყველებების მთელი გრაგნილის ჩაწერა და

იერუსალიმის ტაძარში შეკრებილ ხალხს გააცნო მოძღვრის შემოქმედება; ასევე იწინასწარმეტყველა  იუდეველების გათავისუფლება ბაბილონელთა ტყვეობიდან; ჭრშმარიტად განჭვრიტა ძე ღვთისას განკაცებაც.

ასევე საინტერესოდ და დახვეწილი ლაკონურობით გადმოგვცემს შემდეგ ისტორიას:

„მოწამე მღდელი აკაკი ეპისკოპი

აღმსარებელი, ქრისტესთჳს გრძლად ტანჯული.

განიტევა რაჲ ტრედებრ ცვალნა ბუდენი“(229v).

აქ საუბარია წმინდა მოწამე აკაკის შესახებ, რომელიც გახლდათ მარტისიის პოლკის ასისთავი. ეს ის პერიოდია, როცა იმპერატორი მაქსიმილიანე გალერიუსმა (305-311) დაიწყო ქრისტიანთა დევნა. თუმცა წმინდა აკაკიმ ჭეშმარიტად და ყოველგვარი შიშის გარეშე აღიარა ქრისტიანობა, მას, სხვა პატიმრებთან შედარებით, სასტიკად ექცეოდნენ. ღამით პატიმრებმა დაინახეს, რომ წმინდანთან მოვიდნენ ნათლით მოსილი ჭაბუკები, საჭმელი მოუტანეს და მობანეს წყლულები. განრისხებულმა ვივიანემ გაროზგა,  რის შემდეგ წმინდანი სასტიკად აწამეს და თავი მოჰკვეთეს.

საინტერესოა პირველი მარტის მოსახსენებელი, სადაც წმინდანთა ჩამონათვალი უფრო ვრცელია და შესაბამისად, მუხლში ტაეპთა რაოდენობაც უფრო მეტია:

„**ევდუკიასთა** კნინღა შევეზღვენით

ცვლილმან სატირმან პირველთაგან მეორედ,

აცისკრისფერა, ბნელი ინათლმთენა რაჲ.

ამსხუერპლნა სისხლნი ქრისტეს ესრეთ მეტყუწლსა,

ზეცისა ძალნო, ჩემთანა გიხაროდენ!

და წმიდათაცა **ნესტორ** და **ტრიფიმიოს**,

**მარკელლ, ანტონი, სილიბისტროს, სოფრონი**

და **ანტონინე მარკოზ** მონაზონითურთ

ქედნი ალესნეს იაკინტებრნი ჴრმალსა,

სულთა ჰაერთა სულნი უვნებლად აღვლნეს“.

ტექსტი ცხადყოფს, რომ ტაეპეპის რაოდენობა განსხვავებულია და ამის მიზეზი, პირველ რიგში, ტექსტის არაქართული წარმომავლობაა; ასევე 1) ამა თუ იმ დღეს მოხსენებული წმინდანთა რაოდენობა; 2) წმინდანთა სვინაქსარული ცხოვრების მოცულობა; 3) ავტორის გადაწყვეტილება, დაწეროს ერთ წმინდანზე ვრცლად, ვიდრე – მეორეზე (მაკარაძე, 2010).

როგორც წესი, იამბიკონში წმინდანი იხსენიება სახელით და ეპითეტით, თუმცა არცთუ იშვიათია მათი საქმეების მოკლე აღწერაც:

„ბენდიმიანე ავქსენტისი მისებრვე

და ნახეთქებთა ათ-ოთხ და ორ წელ მყოფი

მუჴლმოდრეკილი სარკეთაჲთ პიპირო(ე)ბს“.

აქ იგულისხმება ის ფაქტი, რომ წმ. ღირსი ვენდიმიანი (†512) იყო წმ. ავქსენტის მოწაფე და მან 42 („ათ-ოთხ და ორ“) წელი დაჰყო კლის ნაპრალში.

„პერპეტო და ფილიკტი

დიაკეულთა ველურთა განბრძარულნი,

მოყუსებთა თანა ჴრმალსა ემაღნინტვიან“.

პერპეტოს და ფილიკტის ღვაწლს ანალოგიურად, მოკლედ გვიხასიათებს გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი „დიდი სვინაქსარიც“, სადაც ნათქვამია: „პერერპეტუა იყო აფრიკეთით, ქალაქით თუვრიტანოჲთ. ხოლო შეპყრობილ იქმნა ურწმუნოთა მიერ და მოყუსები თურთწინაშე ათასისთავისა წარიდგინა. მაშინ პერპეტუას და ფილიკიტატს მიუტევეს დეკეული ველური, რომელი-იგი მოუჴდა მათ ზედა და განბძარნა იგინი და მერმე სხუათა მათ თანა მახჳლითა აღესრულნეს ორნივე“ (დიდი სვინაქსარი 2018: 165).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა 5 თებერვლის იამბიკონი, რომელშიც, „დიდი სვინაქსარის“ მსგავსად, სამი წმინდანის (აღათის, აბრაამ ეპისკოპოსისა და აზარია წინასწარმეტყველის) ხსენებაა შეტანილი:

„ქალწულსა ღუაწლნი ჰპირად-ჰპირადობდენ-რაჲ

აღათის პეტრე ენეაჲსთა მიჰმადლებს

მერმეთრეული ცეცხლითა განიზრძმედვის,

სიძესა სულსა დილეგით ზითვად მისცემს.

ხოლო აბრაჰამ, ეპისკოპოსი სპარსეთს

ღმერთთა განჰზასრავს, ქრისტესა ამხოლოებს,

ვინაჲ მოუწოდს სერად ქედითა ჴრმალსა

და აზარია ადდოჲსი, წინამცნობი,

მამულსა თჳსსა დაიძინებს მშჳდობით“.

საგულისხმოა, რომ იამბიკონი ზოგჯერ უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავს, ვიდრე „დიდი სვინაქსარი“. მაგალითად, 14 თებერვალს ფილიმონ მოციქულის – ღაზელი ეპისკოპოსის ხსენებაა, რასაც „დიდი სვინაქსარი“ მხოლოდ მისი მოხსენიებით გვაუწყებს, იამბიკონში კი, ამასთან ერთად, წმ. ფილიმონის ღვაწლზეც არის საუბარი:

„და ფილიმონი, ღაზელთა ებისკოპი,

კუართსა აზეზებს მეწამულად სისხლითა

ქრისტესთჳს მჴნად აღტეხილთა ერთაგან“.

ხშირად იამბიკონი იმავე ინფორმაციას შეიცავს, რასაც „დიდი სვინაქსარი“, მაგრამ სახოტბო ეპითეტებით აღემატება მას. ამის მაგალითად გამოდგება 26 თებერვლის მოსახსენებლები; „დიდ სვინაქსარში“ ამ დღის ხსენებები, ძირითადად, სახელთა ჩამონათვალს შეიცავს:

„წმიდისა **პორფირი ღაზელ ეპისკოპოსისაჲ** და წმიდისა სტეფანესი, რომელმან აღაშენა სასნეულოჲ არმატიისაჲ და წმიდისა მამისა ჩუენისა და

აღმსარებელისა **პროკოპი დეკაპოლელისაჲ** და წმიდისა მოწამისა **თეისი**“ (დიდი სვინაქსარი 2018: 176).

იამბიკონში იგივე მოსახსენებლებია წარმოდგენილი, თუმცა მასში ტექსტი გავრცობილია სახოტბო ეპითეტების ხარჯზე, რომლებიც ქვემოთ ხაზგასმული გვაქვს:

„**ღაზელთა მწყემსი**, დიდი, სახელგანთქმული

**პორფირი** ქრისტეს სამწყსოთა მემზრუნველე,

აღსარებისა ღუაწლთა შინა ოფლვილი,

მიწასა მიწად, სულსა აღმრთისკარავებს,

დასტეფანეცა სასნეულოთმოღუაწე

**პროკოპის თანა დეკაპოლიელისა**

იმშჳდთქუეყანებს, მშჳდობით მირულვილი;

**თეი** მარტჳლობს ქრისტესთჳს ნაცვალთმგისა“.

ზოგჯერ არსენი იმდენად გართულია სიტყვაკაზმულობით, რომ ძნელია მის ტაეპებში რაიმე აზრის დანახვა. ამგვარია, მაგალითად, თებერვლის თვის იამბიკონის ბოლო ორი ტაეპი:

ებვერვარისა ერდოჲ გარდაგმენაკო,

ფიცითსავნები ჩუენი გარდაგმენაკო.

ამ ჰარმონიულად აჟღერებულ ტაეპებში სრულიად გაუგებარია „ებვერვარისა“ და ორგზის განმეორებული და ლექსიკურ ანაფორად ქცეული „გარდაგმენაკო“-ს მნიშვნელობა.

ზოგადი შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ იამბიკური სვინაქსარის ტაეპები იშვიათადაა გარითმული, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ლექსიკურ ანაფორას და ერთმარცვლიან რითმას, რითაც არსენ ბულმაისიმისძე ლექსის ჰარმონიულ ჟღერადობას აღწევს. იამბიკური სვინაქსარი ძირითადად რიტმულად ორგანიზებული პროზაული სტროფების კრებულია:

„ტარასი დიდთა იკკლისიათა ერთ იქმს

კრებათა წესსა პორფირად მომბლარდნელი,

წმიდათა ხატთაჲ ჴმამაღალი ქადაგი,

მწყემს მწყემსთა ქმნილი ქალაქთა დედოფლისაჲ,

წმიდად წმიდათა აწ ზემესაიდუმლე.

და ალექსანდროს ფიცხელთა ღუაწლთა მთმენი,

მიმოიხილვის კიდულხუჵტილცეცხლვილი,

მოსაგრე ზენად, ჴრმალსა ლესავს ქედითა.

მარკელლოს მწყემსი კჳპრელი წმიდათგანობს.

მოწამენიცა რიგენი და ანტონი

სალოსსა ვისმე თევდორეს თანა ცად ვლენ...“

სხვა ბევრი მაგალითის მოყვანაც შეიძლება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსენ ბულმაისიმისძე ზოგჯერ ახერხებს იამბიკური საზომის ქართულ ლექსთან ეფექტურ შეხამებას, რაც არაიშვიათად გვაძლევს ევფონიურად ჟღერად სტროფებს. ასეთია, მაგალითად:

„დიოლოღონსა გრიგოლს ჰშუჵნი პაპობაჲ,

ქრისტეს ჴელობაჲ, არ თჳსითცა ნუკვებაჲ,

ლოდაკსა მღუნებაჲ, ტრაიანეს მჴსნელობაჲ,

სწავლათა ღუარსა უხუად აღმომდენლობაჲ“ (228 r).

ცალკე განსახილველია არსენ ბულმაისიმისძის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი იამბიკო, რომელიც ეხმიანება დემეტრე მეფისა და ბორენა დედოფლის იამბიკოებს; ტექსტიდან ამოუღიათ, კანონიკურად უცვნიათ და შეუტანიათ „ღვთისმშობლისანად“ ევსტათი მცხეთელის ხსენების დღის ჰიმნოგრაფიულ მასალაში

(სულავა, 2003: 227-228). ეს იამბიკო მართლაც ახდენს მკითხველზე უაღრესად ემოციურ ზემოქმედებას:

„თჳთ პირველ არსმან და ყოვლისა მაარსმან,

იარსა ჩემთჳს, აწ კუალად ჩემობს სხუა,

ემრჩობლა თბესა ქალწულებრსა ნაზარეთს

მარიამ – ეტყჳს ღავრიილ – გიხაროდენ“

უფალი ჩვენი, და ღმერთი შენ შორის არს!“ (229r)

ნიშანდობლივია, რომ პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით არსენის ის ლექსები გამოირჩევა, რომლებიც საუფლო დღესასწაულებს ეძღვნება. ასეთია, მაგალითად, ხარების დღესასწაულისადმი მიძღვნილი იამბიკო:

„თჳთ პირველ არსმან და ყოვლისა მაარსმან,

იარსა ჩემთჳს, აწ კუალად ჩემობს სხუაჲ,

ემრჩობლა თბესა ქალწულებრსა ნაზარეთს

მარიამ, ეტყჳს ღავრიილ: „გიხაროდენ,

უფალი ჩვენი და ღმერთი შენ შორის არს!“.

პოუტური სამკაულით გამორჩეულ იამბიკოს უძღვნის არსენი წმ. გიორგისაც. ეს სტროფი მთლიანად სახოტბო ეპითეტებზეა აგებული:

„კაპპადუკიაჲთ კომსი დიდად მთიებად

ფილისტიმს დასლვად დღეთა ცისკარსა უსრბის,

მზე ცისქუეშესა, მნათობად ეტლით მჴედრობს,

სისხლთა შუქითა ცის ღადირთაცა ელავს

გიორგი დიდი, მოწამეთა მთავარი“.

მასალისადმი ასეთი დამოკიდებულება, ცხადია, ხელს უწყობს საგალობლის იოლად დამახსოვრებას, მსმენელის ამაღლებული განწყობილებით გამსჭვალვას, თუმცა

ასევე ცხადია, რომ საუფლო დღესასწაულებისა და ცნობილი წმინდანების მოსახსენებლების გალექსვის დროს ავტორს უწევს კონკურენციაში, ერთგვარ პოეტურ შეჯიბრებაში ჩართვა.

არსენ ბულმაისიმისძის თხზულება „გაგრძელებაა პეტრიწის იამბიკური სვინაქსარისა, დაწერილია პეტრიწისავე სტილითა და მეთოდით“ (კეკელიძე 1960: 289). კ. კეკელიძის ეს შენიშვნა, ბუნებრივია, სვამს ორი თხზულების ურთიერთმიმართების საკითხს. თხზულების ბულმაისიმისძისეული ნაწილი განიცდის პეტრიწის სტილის გავლენას. ეს მოსალოდნელიცაა. მიიჩნევენ, რომ არსენი არის გელათური სკოლის წარმომადგენელი. საგულისხმოა, რომ სწორედ აქედან უგზავნის აბუსერ აბუსერისძეს იგი ეპისტოლეს და ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობლებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „პროლოღიის“ ენა განსხვავდება ჰიმნოგრაფის საგალობლების ენისგან, რომელიც გამოირჩევიან საოცარი სისადავით, მხატვრულობით და მსმენელზე გათვლილი სიმარტივით. შესაბამისად, თხზულების ენა თვით ავტორისთვის ნაკლებ ორგანულია (მაკარაძე, 2010). ენობრივი ანალიზით დასტურდება, რომ არსენ ბულმაისიმისძე გელათური სკოლის ტრადიციების მიმდევარი მწერალია. ამ დებულების დამადასტურებელი არგუმენტები მრავლად მოჰყავს ი. მაკარაძეს, ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ არსენ ბულმაისიმისძე „იამბიკური სვინაქსარის“ ადაპტირების დროს ორმაგ ერთგულებას უცხადებს გელათის ლიტერატურულ სკოლას: ერთი მხრივ, ის აგრძელებს გელათის ლიტერატურული სკოლის მამამთავრის – იოანე პეტრიწის მიერ დაწყებულ საქმეს და წერს თებერვალ-მაისის იამბიკონს, ხოლო მეორე მხრივ, ენობრივი პოზიციითაც იცავს გელათის ლიტერატურული სკოლის პრინციპებს.

## ძირითადი დასკვნები

არსენ ბულმაისიმისძე XIII საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ქართველი საკლესიო მოღვაწე და მწერალია. რუსუდან დედოფლის ზეობის დროს მას ეპყრა საქართველოს (ქართლის) კათალიკოსისა და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობა. 1226-1233 წლებში, ხვარაზმელთა შემოსევის შემდეგ, როცა საქართველოს სამეფო კარი დასავლეთ საქართველოში იყო გადახვეწილი, არსენი გელათში მოღვაწეობდა. დაახლოებით 1230 წელს მან, როგორც ქართლის კათალიკოსმა, დავით VII (რუსუდანის ძე, შემდგომში დავით ნარინი) აკურთხა ქუთაისში რუსუდან დედოფლის თანამოსაყდრედ და „სრულყო... წესი კურთხევისა“ (ქართლის ცხოვრება 1959: 180). გელათში არსენს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ხიხათა (აჭარის) ერისთავთ-ერისთავ აბუსერისძეთა ფეოდალური სახლის სახელოვან წარმომადგენლებთან, ძმებთან – აბუსერ, ვარდან და ტბელ აბუსერიძეებთან, რასაც მოწმობს ხელნაწერი A-85. ამ ხელნაწერში ტბელ აბუსერისძეს შეუტანია არსენ ბულმაისიმისძის 3 საგალობელი და ერთი ეპისტოლე:

1. „უფალო ღაღადყავსა ხატისა უხილავისა და სხუანი მეოთხის გუერდისნი გალობანი“ – საგალობლის დამკვეთია ვარდან აბუსერისძე;
2. „თჳთძლისპირნი გალობანი ჴელთუქმნელისა ხატისანი მეორის გუერდისნი“ – დაწერილია აბუსერ აბუსერისძის თხოვნით;
3. „ეპისტოლე აბუსერ აბუსერიძისადმი“.

დასახელებულ სამ ტექსტს ტბელ აბუსერისძე ამგვარ კომენტარს ურთავს: „[არსენი კათალიკოზმან] მეოთხის გუერდნი გალობანი ვარდანისაგან შეხუეწითა თქუმულნი ამით მეორითა გალობითა განაშუენნა, ვინაჲთგან პიროვანნი საქცევნი ფსალმუნისაგან

აღმოტჳფრნა საღმრთოჲთა გამოცხადებითა. ამისათჳს ძმამა ჩუენმან აბუსერი არსენის მიმართ გალობათა თქუმისა იძულებაჲ მოიგონა საღმრთოჲსა პირისათჳს, რომლისა მოგონებასა ამით ებისტოლითა აბუსერის მომართითა ესევე არსენი აქებს, რომელი მოწერა გელათით ამათვე გალობათა თანა“;

4. „თებერვალის, მარტის, აპრილის და მაისის იამბიკური სვინაქსარი“ – იოანე პეტრიწის „სათვეო სვინაქსარის“ გაგრძელებაა. ეს ტექსტი დაწერილია ტბელ აბუსერისძის თხოვნით: „ესე იამბიკონნი ხუთთა თუეთა მეტნი არა იყუნეს ენასა ზედა ქართულსა და ოთხთა თუეთანი არსენი ბულმაისიმისძემან თქუა ქართლისა კათალიკოზმან ჩემითა შეხუეწითა“, – გვაუწყებს ის იამბიკოზე დართულ კომენტარში.

1240 წელს არსენ ბულმაისიმისძე, როგორც საქართველოს კათალიკოსი და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, რუსუდან დედოფლის თხოვნით, ყარაყორუმში გაემგზავრა ელჩად ბათო ყაენთან, დავით VII-ის მეფედ დამტკიცების მიზნით, რასაც გვაუწყებს მისი „დაწერილი“ მგელა აბულახტარისძისადმი: „მას ჟამსა, ოდეს ღმერთმან და ვიკადრო – გამზრდელმან ჩემმა მეფეთ-მეფემა რუსუდან ბათოისსა გამგზავნეს სამსახურად, შენ მაშინ თანა მყევ და დიდი მოიჭირვე და ჭირნი ჰნახენ“ (კორპუსი, 1984: 118-119).

XIII საუკუნის 40-იან წლებში გამართული საეკლესიო კრების განჩინებაში არსენ ბულმაისიმისძე, როგორც ქართლის კათალიკოსი, საბა სვინგელოზთან (ამ დროს უკვე ქართლის მთავარეპისკოპოსთან) ერთად აწერს ხელს შიომღვიმის მონასტრის შეუვალობას: „მე, გლახაკი არსენი ქართლისა კათალიკოზი მათი... აღმსრულებელი ვარ“ (ქართული 1970: 161).

ამ პერიოდში არსენის საყდარი უკვე მცხეთის სვეტიცხოველია. კათალიკოსობის დროს მცხეთაში დაუწერია მას „გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოჲსნი“, რომლის აკროსტიქია: „ქებით უგალობ სასოსა ჩემსა ნინოს. არსენი“ (მიქაძე, 1946: 388-390).

1247 წელს გუიუქ-ყაენმა ორივე დავითი (VII – რუსუდანის ძე და VIII – გიორგის ძე) დაამტკიცა საქართველოს სამეფო ტახტზე. კათალიკოსის ტახტზე ამ პერიოდიდან არსენ

ბულმაისიმისძეს შედარებით ნეიტრალური კანდიდატი სცვლის, თავად მწიგნობართუხუცესყოფილი კი შიო-მღვიმის მონასტერში მიდის, რის შესახებაც ცნობას გვაწვდის „დაწერილი გრიგოლ სურამელისა მღვიმისადმი“: „გუეჰაჯა ჟამთა შინა ლაშქრად წარმართვისა ჩემსა არსენი ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზ-მწიგნობართ-უხუცეს-ყოფილი, უდაბნოსა მღუიმისასა მწირობად შემოსრული“ (კორპუსი, 1984: 121-122).

შიომღვიმეში მწირობის დროს არსენს დაუწერია წმ. შიო მღვიმელის სვინაქსარული ცხოვრება (ძეგლები 1968: 366-368) და „გალობანი წმიდისა შიო მღვიმელისანი“, რომლის აკროსტიქიც შეიცავს ბიბლიოგრაფიულ ცნობას: „არსენი ქართლისა კათალიკოსი შიოს უგალობ“. არსენს ეკუთვნის, ასევე, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის, წმ. გობრონისა და წმ ევსტათისადმი მიძღვნილი სტიქარონები (კეკელიძე 1980: 328).

არსენის ჰიმნოგრაფიული თხზულებები გამოირჩევა მაღალი ეროვნული თვითშეგნებითა და პატრიოტიზმით, რაც განპირობებულია XIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში შექმნილი მძიმე ისტორიული ვითარებით, თუმცა ავტორი, ამავე დროს, ამჟღავნებს ღრმა თეოლოგიურ-ფილოსოფიურ განათლებას და მხატვრული აზროვნების მაღალ დონეს.

1. არსენ ბულმაისიმისძის საგალობელს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის შესახებ საფუძვლად დაედო ქართულ მწერლობაში კარგად ცნობილი აპოკრიფული თხრობა მაცხოვრისა და ედესის მეფის ავგაროზის მიმოწერის თაობაზე.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ XII-XIII საუკუნეების ქართული სასულიერო მწერლობა და თვით მონუმენტური ფერწერაც ცხოველ ინტერესს იჩენს ხელთუქმნელი ხატის თემისადმი. ხელთუქმნელი ხატი განსაკუთრებულ რელიკვიად იქცა ქართული ეკლესიისათვის; მას ეთაყვანებოდნენ როგორც განკაცების სახეს და როგორც სასწაულმოქმედების მადლით აღჭურვილ სიწმინდეს. ბიზანტიაში მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ოფიციალური კულტის ისტორია 944 წლიდან იწყება. ამ წელს ჩაუტანიათ ედესიდან კონსტანტინოპოლში ცნობილი მანდილიონი მაცხოვრის ანაბეჭდით. 945 წელს ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე VII-მ ხატს მიუძღვნა

ქადაგება, ამის შემდეგ საეკლესიო კალენდარში დაწესდა ხატის სახელობის დღესასწაული 16 (29) აგვისტოს და შეიქმნა მისადმი მიძღვნილი სხვა საკითხავები. ამავე დღესვე ქართულ საეკლესიო კალენდარში დაწესდა მამა ანტონის ხსენების დღე. საქართველოს ეკლესიის ლიტურგუკულ პრაქტიკაში ამ თარიღის განწესება, სამეცნიეცრო ლიტერატურის თანახმად, გიორგი მთაწმინდელს მიეწერება.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობელში **მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი** ქართველი ერის რჩეულობის იდეა გამოხატულია ბიზანტიასთან გატოლების ნიშნით:

„ქალაქთა მზემან ტილოჲ,

ხოლო ქართლმან კეცი დაიმკჳდრა

სიმდიდრედ საცხორებელად“.

იოანე ზედაზნელი მოწაფის, ანტონ მარტყოფელის მიერ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში, კერძოდ, მარტყოფის ღვათაების ტაძარში, დამკვიდრება არსენ ბულმაისიმისძისთვის ქართველი ერის ღვთივრჩეულობის დასტურია; ავტორი ქართველ ერს ახალ ისრაელად, „საზეპურო ერად“ აცხადებს:

„შუამდინარით ვარსკულავი აღმოჰხედ

დიდისა მთიებისა პავლეს ძიებად,

ჵ, მამაო ანტონი,

და საუნჯე მიიტაცე,

რომელი ვერვინ წმიდათაგანმან შეუძლო შეძინებად,

ღმრთივქმნული ხატი ყოვლად წმიდაჲ

და ისრაელსა ამას ახალსა დაუუნჯე

ქართველთასა **ერსა საზეპუროსა,**

ვინაჲცა იდიდე ღმრთისა მიერ,

ბრძენო, შემყუარებელი მისი“.

2. არსენ ბულმაისიმისძეს ხელთუქმნელი ხატის საგალობელთა ციკლის შექმნა დიდგვაროვანმა ძმებმა აბუსერისძეებმა სთხოვეს. არსენს, სანამ თხოვნას დასთანხმდებოდა, მსგავსად მისი წინამორბედი მწერლებისა, რომელთაც „დუმილი

ოქროდ მიაჩნდათ“, დიდხანს უჭოჭმანია. აბუსერ აბუსერისძისადმი მიწერილ საპასუხო ეპისტოლეში უდიდესი ქრისტიანული თავმდაბლობით და ადამიანური მოკრძალებით არის გამოხატული მისი შეხედულება შემოქმედებით პროცესზე, როგორც სული – წმიდით შთაგონებაზე: „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ, რომელსამე საქებელყოფად, ხოლო სხვისა – განქიქებად უმეცრებისა, ვითარ ვხედავ აწ ჩემსა“, – წერს იგი.

ამავე ეპისტოლეში გამოხატულია არსენის შეხედულებები ლიტერატურაზე, რაც უსათუოდ ეპოქის ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპების გამოძახილია: „ჭეშმარიტებაჲ უფროის თხზულთა სიტყუათა წინაშე ბჭისა კეთილისა და სიმართლე – წინაშე მეფისა დიდისა“. მაშასადამე, ჭეშმარიტების მეტყველება ისევე უმჯობესია „თხზულ“, გამოგონილ ამბავთან შედარებით, როგორც სიმართლის თქმა სიცრუეზე მსაჯულის წინაშე. ჭეშმარიტების წყარო ღმერთია, ამიტომაც იგი ყოველთვის აღემატება გამოგონილს. არსენს სწამს, რომ ადამიანის ნამუშაკევი, მათ შორის ლიტერატურული, ღმერთს უნდა მიეძღვნას, მას უნდა დაუბრუნდეს, რადგან თავად ღმერთია ამ კეთილ საქმეთა დასაბამი და მათ გასაკეთებლად ღმრთისადმი რწმენა ამოძრავებს ადამიანის კეთილ ნებას. ცხადია, ასეთი შეხედულებანი, დაფუძნებული ბიბლიურ ცოდნაზე, პატრისტიკულ ლიტერატურაზე და ღვთისმეტყველებაზე, არ იქნებოდა სწორი მხოლოდ არსენის ეპოქისათვის მიგვეწერა. ასეთ შეხედულებათა ძლიერი ნაკადი ქართულ მწერლობაში უკვე VIII საუკუნიდან, იოანე საბანისძის თხზულებიდან ჩანს, რაც მეტ-ნაკლები ინტენსივობით ყველა დროში ასაზრდოებდა შუა საუკუნეების ქართულ მწერლობას.

3. არსენ ბულმაისიმისძის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, „გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოჲსნი“ (შედგება 33 სტროფისაგან და იყოფა რვა გალობად); ერთვის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ტროპარები – ე. წ. ღმრთისმშობლისანი“. წმინდა ნინოს ავტორი სათაურშივე უწოდებს მოციქულს. საგალობელში გატარებული აზრით, წმ. ნინო ქრისტეს მოციქულიცაა და ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლისაც, რადგან მოციქულთა წილისყრის დროს სწორედ დედა ღვთისას ხვდა წილად საქართველოში

ქადაგება, ეს მისია კი წმ. ნინომ აღასრულა. არსენის საგალობელში ნიკოლოზ გულაბერისძის ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ციკლის კვალდაკვალ თხრობა კონცენტრირებულია სამი სიწმინდის – ქრისტეს კვართის, პატიოსანი ჯვრისა და ცხოველი სვეტის – გარშემო. ტრადიციისამებრ, წმ. ნინო მოხსენიებულია, როგორც ტყვე და ტყვეთა მხსნელი, მოციქული, ქადაგი და განმანათლებელი. ამასთანავე, ნინოსადმი მიძღვნილი სხვა ეპითეტები იმეორებს ღმრთისმშობლის ეპითეტებს („სუეტი ნათლისა“, „ცუარი ღრუბლისა“, „სიონი“). ამით ჰიმნოგრაფი აგრძელებს იდეას, დამკვიდრებულს არსენი კათალიკოსის (XI ს) ნინოს მეტაფრასულ ცხოვრებაში, რომ ნინო ღმრთისმშობლის მობაძავია, წმინდა ნინო შუამავალია ქრისტესა და ქართველებს შორის, როგორც ღვთისმშობელი იყო შუამავალი ქრისტესა და ადამიანებს შორის, ხოლო საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობა წმ. ნინოს მოსვლით იქნა ღვთის მიერ გაცხადებული.

4. წმ. შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი არსენ ბულმაისიმისძის საგალობელი ჰიმნოგრაფიული მასალაა და თითქმის მთლიანად ჰაგიოგრაფიულ თხრობას ემყარება. წმ. შიოს მწერალი უწოდებს უდაბნოს მნათობს, მამათა ყუავილს, უდაბნოს დაუვალ ვარსკულავს და სხვ. შიოს ღვაწლის და სულიერი ზეაღსვლის საჩვენებლად უხვადაა მოხმობილი ბიბლიური მოტივები და პარადიგმები.

5. „იამბიკური სვინაქსარი“ არსენს ქრისტეფორე მიტილინელის პროლოღიის მიბაძვით დაუწერია. როგორც ცნობილია, იამბიკური საზომით შესრულებული სათვეო კალენდრის წერა იოანე პეტრიწს დაუწყია, რომელსაც გაულექსავს ხუთი თვის (სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი) მოსახსენებლები, თუმცა, გაურკვეველი მიზეზების გამო, შრომა ბოლომდე ვერ მიუყვანია. ტბელ აბუსერისძის თხოვნით, იოანე პეტრიწის შრომა გაუგრძელებია არსენ ბულმაისიმისძეს და გაულექსავს თებერვლის, მარტის, აპრილისა და მაისის კალენდარი. როგორც პეტრიწის, ისე ბულმაისიმისძის კალენდარი ბერძნული საეკლესიო პრაქტიკის ამსახველია და ქართველი წმინდანების ხსენებას არ შეიცავს. ამით არსენმა ქრისტიანული ეკლესიის

ზეეროვნულობის იდეას გაუსვა ხაზი, მთელი მისი დანარჩენი ტექსტები კი ეროვნული იდეითაა გამსჭვალული.

იამბიკური სვინაქსარი გელათის ლიტერატურული სკოლის პრინციპების დაცვითაა დაწერილი.

ჰიმნოგრაფიული ნაწარმოების სპეციფიკა მოითხოვს საღვთისმეტყველო აზრის, ლიტერატურული ტექსტის და მელოდიის შერწყმას. ამიტომ ჰიმნოგრაფი ერთდროულად არის ღვთისმეტყველიც, პოეტიც და მუსიკოსიც. ასეთ მოთხოვნათა სიმაღლეზე დგას კათალიკოს არსენ ბულმაისიმისძის ლიტერატურული შემოქმედება.

ჰიმნოგრაფიისათვის უცხოა დროისა და სივრცის დაკონკრეტება. ისტორიული მომენტი, რეალური პოლიტიკური მოვლენები, რაც უნდა მწვავე იყოს ისინი, ჰიმნოგრაფიაში არ აისახება. არსენ ბულმაისიმისძე, რასაკვირველია, მომსწრე იყო საქართველოში დატრიალებული უმძიმესი მოვლენებისა (ხვარაზმელების შემოსევა, მონღოლთა ბატონობა), მაგრამ მარადიულობაზე მოფიქრალ მწერალს, ცხადია, არ შეეძლო ასეთ საგნებზე წერა. მისი საგალობლების ამაღლებული განწყობილება, ქართველი ერის რჩეულობის ქადაგება, შერწყმული უნატიფეს რელიგიურ განწყობილებებთან, თავისთავად იძენდა იდეოლოგიურ დატვირთვას, რაც უსათუოდ ზემოქმედებდა ეკლესიის მრევლზე განსაცდელის ჟამს.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლების კომპოზიციური და სტრუქტურული წყობა, აზრობრივ-თემატური დატვირთვა, საღვთო სახელები, ღვთისმშობლისა და წმინდანთა ატრიბუტები, ეპითეტები, ბიბლიური წიგნებიდან აღებული პარადიგმული სახეები მთელი სისრულით ასახავს იმდროინდელი საღვთისმეტყველო აზროვნების დონეს და ქართული სასულიერო მწერლობის განვითარების უწყვეტ გზას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. **აბუსერისძე, 1998:** აბუსერისძე ტბელი, „თხზულებანი“ გამოსაცემად მოამზადეს მ. ქავთარიამ, რ. ჩაგუნავამ და ნ. გოგუაძემ. ბათუმი, 1998.
2. **აბულაძე, 1958:** აბულაძე ი., „ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები“, თბ., 1958.
3. **ბაგრატიონი, 1980:** ბაგრატიონი ა., „ წყობილსიტყვაობა“, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1980.
4. **ბატონიშვილი, 1936:** ბატონიშვილი ი., „კალმასობა“, თბ., „სახელგამი“ 1936.
5. **ბატონიშვილი, 1948:** ბატონიშვილი ი., „კალმასობა“, გამოსაცემად მოამზადეს კ. კეკელიძემ და ალ. ბარამიძემ. II, თბ., 1948.
6. **ბეზარაშვილი, 2004:** ბეზარაშვილი ქ., „რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანის მიხედვით“, თბ., 2004.
7. **ბერაძე, 1943:** ბერაძე პ., „ქართული იამბიკოს შესახებ“. – „საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, IV, 1943.
8. **ბერძენიშვილი, 1940**: ბერძენიშვილი ნ., „სავაზირო ფეოდალურ საქართველოში – ენიმკის მოამბე“, V-VI, თბ., 1940.
9. **ბრეგაძე, 1973:** ბრეგაძე თ., „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექციისა)“, I, თბ., 1973.
10. **ბურჭულაძე 2016:** ბურჭულაძე ნ., „ქართული ხატები“, გამომცემლობა: „ქარჩხაძის“ 2016.

11. **გაბიძაშვილი, 1968:** გაბიძაშვილი ე., „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. სვინაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს)", „მეცნიერება" თბ., 1968.
12. **გიგინეიშვილი, 1977:** გიგინეიშვილი მ., „აპოკრიფული მწერლობის ერთი ნიმუში ძველ ქართულ მწერლობაში" – „ძველი ქართული ლიტერატურა" (XI-XVIII), თბ., 1977.
13. **დიდი სვინაქსარი 2018:** „დიდი სჳნაქსარი, გიორგი მთაწმიდელი", ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და სამეცნიერო აპარატი დაურთეს მანანა დოლაქიძემ და დალი ჩიტუნაშვილმა, თბ., 2018.
14. **ინგოროყვა, 1913:** ინგოროყვა პ., „ძველი ქართული სასულიერო პოეზია", „ტფბ-ტფბ, თბ., 1913.
15. **ინგოროყვა, 1954:** ინგოროყვა პ., „გიორგი მერჩულე", თბ., 1954.
16. **ინგოროყვა, 1957:** ინგოროყვა პ., „ძველი ქართული მუსიკის ამოხსნა" – ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება", N2-3, 1957.
17. **ინგოროყვა, 1978:** ინგოროყვა პ., „თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, IV, „საბჭოთა საქართველო", თბ., 1978.
18. **მაკარაძე, 2010:** მაკარაძე ი., „არსენ ბულმაისიმისძის იამბიკური სვინაქსარი" – [http://arifioni.blogspot.com/2010/01/blog-post_8282.html](http://arifioni.blogspot.com/2010/01/blog-post_8282.html) ატვირთულია 2010 წლის 10 იანვარს. ნანახია: 2020 წლის 7 მარტს.
19. **მელიქიშვილი, 1975:** მელიქიშვილი დ., „იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი", თბ., 1975.
20. **მიქელაძე, 2003:** მიქელაძე ქ., „ხელთუქმნელი ხატის გამოსახულება XII–XIII საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში" – „ლიტერატურა და ხელოვნება". N3, 2003.
21. **მიქაძე, 1963:** მიქაძე გ., „არსენ ბულმაისიმისძე" – „ლიტერატურული ძიებანი", XV, თბ., 1963.

22. **ნაკუდაშვილი, 1996:** ნაკუდაშვილი ლ., „ჰიმნოგრაფიული ტექსტის სტრუქტურა“, „მეცნიერება“ თბ., 1996.
23. **ოქროპირი, 1992:** ოქროპირი იოანე, „განმარტება იოანეს სახარებისა“, II, თბ., 1993
24. **ჟორდანია, 1897:** ჟორდანია თ., „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“, II, ტფ., 1897.
25. **რაფავა, 2012:** რაფავა მ., „სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები, III, „თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარის გამომცემლობა“, თბ., 2012.
26. **კარბელაშვილი, 1898:** კარბელაშვილი პ., „ქართული საერო და სასულიერო კილოები“, თბ., 1898.
27. **კარბელაშვილი, 1900:** კარბელაშვილი პ., „იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი“, თბ., 1900.
28. **კაკაბაძე, 1963:** კაკაბაძე ს., „XIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს კათალიკოსები“, თბ., 1963.
29. **კეკელიძე, 1956:** კეკელიძე კ., „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, I, თბ., 1956.
30. **კეკელიძე, 1960:** კეკელიძე კ., „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“, I, თბ.,1960.
31. **კორპუსი, 1984:** „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი“, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. „მეცნიერება“ თბ., 1984.
32. **ლოლაშვილი, 1984:** ლოლაშვილი ი., „მრავალკარედი“, თბ., 1984,
33. **სარჯველაძე, 1995:** სარჯველაძე ზ., „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, თბ., 1995.
34. **საბინინი, 1882:** საბინინი მ., „საქართველოს სამოთხე“, ტფ., 1882.
35. **სამაგიდო წიგნი, 1989:** „დიდმოწამე იპოლიტე რომაელის სიტყვა ღვთის განცხადებაზე, ღვთისმსახურების წიგნი, ოთხ ტომად“, I,1989.
36. **სირაძე, 1992:** სირაძე რ., „ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა“, I, თბ., 1992.

37. **სირაძე, 2008**: სირაძე რ., „კულტურა და სახისმეტყველება“, გამომცემლობა „ინტელექტი“ თბ.,2008.

38. **სილაგაძე, 1997:** სილაგაძე ა., „ძველი ქართული ლექსი და ქართული პოეზიის უძველესი საფეხურის პრობლემა“., თბ., 1997.

39. **სულავა, 1996**: სულავა ნ., „არსენ ბულმაისიმისძის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობიდან“. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია“, N1-2, 1996.

40. **სულავა, 2000:** სულევა ნ., „პოლიტიკური იდეოლოგია XII-XII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია“. –„სამეცნიერო კონფერენცია: „ქრისტიანობა, წარსული, აწმყო,მომავალი“, მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თბ., 2000.

41. **სულავა, 2003:** სულავა ნ., „XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია“, თბ., 2003

42. **სულავა, 2006:** სულავა ნ., „ქართული ჰიმნოგრაფია, ტრადიცია და პოეტიკა“, თბ., „ზეკარი“ 2006.

43. **ფლორენსკი, 1990:** Флоренский П .,Столп и утверждение истины, I, M ., 1990.

44. **ფსალმ. განმ., 1996:** „ფსალმუნთა განმარტებანი“,გამოსაცემად მოამზადა ნ. დობორჯგინიძემ, I, თბ., 1996.

45. **ქართ. ცხოვრ., 1987:** „ქართლის ცხოვრება“. – „ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ“. თბ., II, 1987.

46. **ყაუხჩიშვილი, 1956:** ყაუხჩიშვილი ს., „ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ძველ ქართულ“–კრებულში: „სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, 1956.

47. **შანიძე, 1999:** შანიძე მზ., „რა ერქვა ევფთიმე მთაწმინდელის შრომების ხელმყოფელს“? – „მრავალთავი“, XVIII, 1999.

48. **შატბ. კრებ., 1979:** „შატბერდის კრებული“, – „ძველი ქართული მწერლობის ძეგლები“, X, თბ., 1979.

49. **ჩხიკვაძე, 1996**: ჩხიკვაძე ნ., „ავგაროზის ეპისტოლის შესახებ“. – ჟურნ. „გზა სამეუფო“, N1, 1996.
50. **ჩიკვაიძე, 2010**: ჩიკვაიძე ე., „რელიგიის ისტორიის საკითხები“, I, თბ., 2010.
51. **ცაიშვილი, 1948:** ცაიშვილი ს., „ნიკო დადიანი“, თბ., 1948.
52. **ჭელიძე, 1997:** ჭელიძე ე., „საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის ისტორია“, „საქართველოს საპატრიარქო“, N1, 1997.
53. **ჭიჭინაძე, 1887:** ჭიჭინაძე ზ., „ქართული მწერლობა XIII-XVI საუკუნეების“, თბ., 1887.
54. **ხალვაში, 1996:** ხალვაში რ., „არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძისადმი“ – „ საისტორიო მაცნე“, N4, 1996.
55. **ხალვაში, 2011:** ხალვაში რ., „ანდრია პირველწოდებული საქართველოში“, ბათ., 2011.
56. **ხელნაწერი A-85 (1233 წ.)**
57. **ხრონოგრაფი, 1920:** „ხრონოგრაფი გიორგი მონაზნისაჲ (გიორგი ამარტოელის „ხრონოგრაფის“ ქართული თარგმანი)“, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1920.
58. **ჯაფარიძე, 1998**: ჯაფარიძე ა., „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, „საქართველოს საპატრიარქო“, II, თბ., 1998.
59. **ჯავახიშვილი, 1984**: ჯავახიშვილი ივ., „თხზულებანი თორმეტ ტომად“, VII, 1984.
60. **ჯანელიძე, 1992:** ჯანელიძე დ., „მისტერია „გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოჲსნი“. – ჟრნ. „ხელოვნება“, N 3-4, 1992.
61. **ჯანელიძე, 1991:** ჯანელიძე დ., „მთაწმინდელები“. – ჟრნ. „ხელოვნება“, N1 1991.
62. **ჰაგიოგრ. ანთ., 2018:** „ჰაგიოგრაფიის ანთოლოგია, გამოსაცემად მოამზადეს: დავით ყანჩაშვილმა, გიგა ლომიძემ, ნინო ფირცხალავამ, თამარ დემეტრაშვილმა“, გამომც. EL CETERA, 2018.

## დანართი 1 - არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძისადმი

(ტექსტი)

მონაჲ მონათა ღმრთისათაჲ მდაბალი არსენი ამარტოლი

დიდ არს გონიერებაჲ ნაშობითურთ თვისით სიბრძნით, რომელი მარადის ღმრთისათა განიხილავს მისთვისთა მოქმედი, ვითარცა დასაბამად შიშსა მისსა მაწუეველი, რომელი-ესე განმწნდილთა გონებისა და სულისათა ზენაჲთ მოეცემის, სადაჲთ-იგი მაუკდავებელნი წყარონი დიან, ვეჴნახთა მისგან წდეულთა. და მე უკუეთუმცა წუეთიცა ერთი მიმეღო მისგან, არამცა ესრეთ აღმელაგმა ენაჲ ქებად შენთჳს, რომელმან განინათლე საცნაურითა ხედვითა გონებაჲ მარადის ზემჭუირობი, ესე ვითართა ქებისმეტყუელებთათჳს მბრძნობი და მთნები, ჰოჲ ღმრთისმოყვარეო დიდგუარიანო სახელმაღალო აბუსერი!

კუალად დიდ არს ძალი სიყუარულისაჲ, რომელი მორჩილ-ჰყოფს გონებასა შეკადრებად შეუკადრებელთაცა, ვითარ ესე იქმნა აწ ჩემზედაცა მეცნიერისა, ვითარმედ ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყვუელი, გამომჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ-რომელსამე საქებელ ყოფად, ხოლო სხვსა-რომელსამე საქებელ ყოფად , ხოლო სხჳსა-განქიქებად უმეცრებისა, ვითარ ვხედავ აწ ჩემსა.

გარნა ვიძლიე და ესე ოდენ ამათ წესთაგან, ვიდრემდის დამავიწყდაცა წინაჲსწარ მეტყვუელისა თქმულთაჲ ღმრთისა მიერ: „ჰრიდეთ სიტყუათა შჯულისა ჩემისათა, რომელთადა ეგე არს მიბრძანებიეს მეტყველებაჲ“. და აწღა ოქროჲსა იგი პირი ჴმობს იოანე: „რომელთა არა სულისა მიერ წმიდისა მიეღს და რიტორიბდნენ, მსგავს არიან ბრმისა კედელსა მფეშუებელისა“.

გარნა თქუენ რაჲ ჰყავთ და ვითარ და რად ღირღლოვანსა შინა ურწყულსა ჴევსა უდაბნოჲსასა ჰგონეთ მდინარე? და მდიდრობასა ნილოჲსა ნანდულ ოქრო-ნეკტართასა და არა აღივსენით ჯურღმულნიცა? რად თავისა დამტეობელთა, თქმულისაებრ, ფერჴთანი მოიხედენით? ანუ ვის სადა მჯომარემან აღსავსესა ტრაპეზსა ჰრქუა

„გიხაროდენი“? ხოლო გლახაკისა უბეთაგან სასოებდა განძღომასა? ანუ სამეფონი საწდევნი ტაკუკნი და ფიალნი აღსავსენი და-ვინმე-უტევნა ოდესცა? და გული უთქმიდა მახრუტსა პერეღრინთასა შთაწრედად. შენდობელ თქუენდა მაღალი, რომელთა აიმულენით თავნი და[ტევებად], ვითარ ვინ თქუას წყალთა პონტოჲსათა და მისწრაფებად ფრეათა უქმთა არაბიაჲსათა?

გარნა მოგმადლენ გულსმოდგინებამან სარწმუნოებაჲ და სარწმუნებამან საქმე, რაჲთა ამათ შინა სრულნი იშუებდეთ სასოებითა ნაყოფითა.

ჭეშმარიტებაჲ უფროჲს არს თხზულთა სიტყვათა წინაშე ბჭისა კეთილისა და სიმართლე-წინაშე ფებისა დიდისა. ესე იყავნ ხუავ თქუენდა და თქუენთა ნამუშაკევთა ნაყოფ შეწირულ მომცემელისა, რამეთუ არარაჲ არს კეთილთაგანი, რომელიმცა არა მისი იყო.

მეცა ორღანოსა მითხოეთ არა გაოზანებაჲ უკადრებელთატჳის და საღმრთოთა მკადრესა, ხოლო ნაცვალი თჳთ მან მოგცეს მისდა მხედველთა, უფროჲსღა მის მიერ ხედულთა, აქათა შინა კეთილ ყოფად. ხოლო უსრულესთა ღირს-მყვენ მიახლებად და განცდად სასოებასა წმიდათასა. ამინ.

შემატებაჲ გინა მოკლებაჲ ნუ იყოს ნუცა სიტყვისაჲ და ნუცა რაჲსაჲ უნდოთა მაგათ სიტყვათა ზედა, საქცევთა ზედა თჳთ უფალ ხარ, ვუთარ რაჲ და სადა გინდეს დაწერად.

## დანართი 2 - უფალო ღაღადყავი ხატისა უხილავისაი ამავე გალობითა თქმული არსენი ბულმაისიმისძისგან, ქართლისა კათალიკოზისა

მამულსა არსებასა,

განუცდელსა ხატებასა,

ძალსა მიუთხრობელსა ანგელოზმან მამისამან,

ძემან მოთხრობად

თავსა იდვა რაჲ მოსვლაჲ

დაუწყებულმან მან და მონისა ხატი მიიღო

ქალწულებრივთაგან

და ჴორცთა და ჯუარსა თვალსმდებელმან.

და აღიყვანა რაჲ ბუნებაჲ

დასჯული ზეცად, მოგუცა ჩუენ წინდი,

ხატი თჳისი, ყოვლად დიდებული,

არა თუ ჴელთაგან ქმნილი, არამედ თჳთ საუფლოჲ

უცვალებელი სახე.

იხარებდ დღესა, იხარებდ,

ქართველთა სამეუფოო,

ერო მორწმუნეთაო,

რამეთუ არასდა უმრწემეს გყო შენ

ქრისტემან, არამედ მოგცა ხატი თჳსი

დიდებული, რომელი თჳთ მან

დაჰბეჭდა პირითა თჳსითა, უცვალებელი სახე

განკაცებისა თჳსისაჲ,

გარდამოცემული პირმშოჲსა მისგან,

**რომელი ღირსსა ანტონის ჴელთაგან**

მსახურებელი სიმდიდრედ

წარუპარველად გიპყრიეს

საუნჯედ უხილავად.

ხატო ღმრთივდიდებულო,

ვითარიმე მადლობაჲ შევწიროთ დღეს ჩუენ შენდა,

რამეთუ ბუნებათა

უზეშთაეს არს

საკჳრველებათა

და ნიშთა სიმრავლე

და წყალობათა შენთა სიმრავლე,

რომელთა დღითი-დღე

ღირს-ყოფ უღირსთა ამათ მონათა შენთა თანა,

მეფეთა აქუ[ს] ძლიერებად

და მღდელთმოძღუართა–შუენიერებად

და ყოველსა ერსა შენსა–შეწევნად

და სიმტკიცედ და ცხოვრებად

და შენ მიერ მოგუეცემის ლხინებაჲ და მშჳდობაჲ.

**სხუანი: დ: მჴნეონი**

**279r**

გიხაროდენ, ჵ მამაო,

ღმერთშემოსილო ანტონი, რომელი ტაძარ ექმენ სულსა წმიდასა

და წამისყოფითა ღმერთისაჲთა

ნიშსა მას დიდებულსა,

საუფლოჲსა პირსა ხატსა ყოვლად დიდებულსა.

მსახურ ექმენ შენ

აღმოსვლასა მას მისსა

ჩუენდა მომართ. ეჰა, ნიჭსა ბრწყინვალესა,

რომელსა ღირს იქმენ, ნეტარო.

დიდსა **იოვანესთა,**

კუალთა მისდევდი, მამაო,

და ვითარცა **მოსე**, იდიდე ღვთისა მიერ,

რამეთუ რომელი მან იხილა,

უცვალებელი სახე,

ხატი და ბრწყინვალებაჲ

მამისაჲ, ღმერთი

და კაცი, ქრისტე, ხილული

თჳთ პირმშოთა ხატითა,

ვითარცა უწყის

და ღმრთეებისა დიდებითა

გამოგვეცხადა ხატი შენი, ანტონი.

ვითარცა დაფარულ იყო

კეცის ჭურსა გუამსა შინა

ღმრთეებისა თჳსისა ბუნებითა, ქრისტე,

ეგრეთვე კაცსა ამას შინა

ხატი თჳსი დაფარა

და არაჲ შეიწჳ შენ,

მქონებელი მისი, მამაო,

საკჳრველ არს ღმერთი

შორის წმიდათა მისთა,

რომელმანცა

პირველ მაყუალი და აქა

მონაჲ თჳსი დაგიცუა, ანტონი.

**მჴდომარე: სხუანი**

დღეს კუალად იქმნა სხუაჲ დასაბამი

ცხორებისა ჩუენისაჲ, ჵ მორწმუნენო,

**პირველ ქალწულმან** გჳშვა

ღმერთი და კაცი ჴორცითა

მიუწდომელად. და დღეს

იესუ, ღმერთმან ჩუენმან,

ვითარ თჳთ უწყის,

ღმრთივდიდებული ხატი თჳსი,

უცვალებელი სახე

მოგანიჭა მონათა.

მუნ უთესლოდ შობაჲ

თავს-იდვა ჩუენთჳს

და აქა თჳნიერ

ჴელითა კაცობრივთა

მოგუანიჭა სახე

ზეშთა ბუნებისა ღმერთქმნილთა

მათ ჴორცთა თვსთაჲ

მის თანა თაყუანისცემული.

შუამდინარით ვარსკულავი აღმოჰჴედ

დიდსა მთიებსა **პავლეს** ძიებად,

ჵ მამაო ანტონი,

და საუნჯე მიიტაცე,

რომელი ვერვინ წმიდათაგანმან

შეუძლო

შეძინებად,

ღმრთივქმნულო ხატი ყოვლად წმინდაჲ,

და ისრაჱლსა ამას

**ახალსა დაუუნჯე, ქართველთასა**

**ერსა საზეპუროსა,**

ვინაჲცა იდიდე

ღმრთისა მიერ, ბრძენო,

შემყუარებელი მისი.

და აწ დაძინებასა შენსა

წინ უძღჳს დღეს

**მამათა მზე ანტონი.**

**სიბრძნე:**

**279 v**

დღეს სიხარულითა აღვივსენით,

დღეს წყალობაჲ ღვთისაჲ მოგუენიჭა,

დღეს ცხორებისა წინდი მოგუეცა,

დღეს სულნელ იქმნა ეკლესიაჲ

და ზეზი და პორფირი შეიმოსა

და მეუფებრივი პატივი მიიღო,

რამეთუ წმიდაჲ ხატი

ქრისტეს ღმრთისაჲ შე[ი]წყნარა,

რომელითა თაბორს ეჩუენა მოწაფეთა

ღმრთეებისა

დიდებითა განბრწყინვებული

და ღმრთისმბრძოლთა საძაგელთა

მწვალებელთაგან

ანტონი

საკჳრველმან დაგჳუნჯა

გოდლად საძლეველად მტერთა

და სიმტკიცედ მართლმადიდებელთა

მეფეთა სკიპტრისა ძალად,

მღდელთმოძღართა მართმკუეთელობად /

და გლახაკთა სიმდიდრედ

და ყოვლისა ერისა

შემწედ და ჴელის ამპყრობლად.

**ედემი:**

ღმრთეებისა ბუნებითა შეუხებელი

გარეშეწერილ იქმნა

დამბადებელი სიტყუაჲ, ბუნებით ღმერთი.

ჴორცთა მიხუმითა, რომელნი-იგი

ღმეთ-ყვნა თჳსთა თანა სახიერებით,

კაცქმნილმან ჩუენთჳს.

და კუალად მოწყალებით ხატი ღმერთმან და

კაცმან თჳსი მოგუანჭა, რომელსაცა

ღვთისა ხატად

თაყუანის-ვსცემთ, ვითარცა წმიდათა ჴორცთა მისთა

ღმრთისა ჴორცად ვიცნობთ,

ეგრეთვე თაყუანის-ვსცემთ ყოვლად

წმიდასა ხატსა მისსა,

არა ღმრთად აღვიარებთ,

არამედ ღმრთისა და კაცისა ქრისტეს ხატად.

მის თანა აღვიარებთ

და მის თანა თაყუანის-ვსცემთ ესრეთ.

**სტიქრონნი: ნ თლ:.**

ნათელი ნათლისაგან

მოვლინებული,

სიტყუაჲ განკაცებული,

მხოლოდ შობილი

დღეს შემოვალს ღვთის ხატითა

თჳსითა ჩუენდა,

დიდებაჲ მამისაჲ

მომავლინებელისა

და სულისა წმინდისაჲ,

წმინდა არს

მოსვლაჲ მისი ჩუენამდე წყალობად ჩუენდა.

ნეტარ ვართ,

ჶ ანტონი მამაო,

რომელთა ესე

შენ მიერ მოგუენიჭა

ნიში საუფლოჲ.

ზაქარია, იხარებედ

ჩუენ თანა დღესა

ამას შინა წმიდასა,

რამეთუ აჰა,

შენგან ქადებული

მეუფე ჩუენი,

მშჳდი და მდაბალი,

კარაულსა მჯდომარე,

აწ კუალად იხილვების

ხატითა

მითვე უცილობელი

ახლისა მის ერისა

წყალობად. ნეტარ ხარ, ღირსო ანტონი,

რამეთუ ღირს იქმენ შენ უცხოსა ნიშსა.

განათლდი დღეს,

განათლდი,

ჵ ისრაელო (იჵს˜ლო),

ახალო, გახარებთ, ღმრთისა მხილველო,

შენ ზედა გამობრწყინდა

დიდებაჲ ღმრთისაჲ თაბორის მოსეს თანა

და ელიას ხილული

მამისა ღმრთისა ხატი,

მარჯუენე ძალი და ბრწყინვალებაჲ

უცვალებელი, რომელი

გარდამოტჳფრვით მოგუეცა

ჴელით უქმნელი,

საშინელებაჲ მტერთაჲ,

გამოხსნაჲ ჩუენი.

არაჲ დააკლდი:

დღეს არე სულნელებისაჲ,

დღეს ნიავი ცხოვრებისაჲ

მოეფინა ქართველთა ერსა ზედა

ევლავიოჲს ღირსისა მიერ

ედესიას გამოჩინებული

დიდებული ხატი,

უცვალებელი ხატი ქრისტეს ღმრთისაჲ,

რომელი ანტონისაგან

მოღუაწებითა ღმრთისაჲთა მოგუეცა.

დღეს ქრისტე:

დღეს წყალობაჲ ღმრთისაჲ

გარდაეფინა ჩუენ ზედა მდიდრად.

დღეს ეკლესიაჲ შეიმკვების ბრწყინვალედ

და მღდელთმოძღუარნი მადლსა შეიმოსენ.

დღეს მეფენი ზეგარდამო ძალსა მოიღებენ

და მთავარნი ღმრთისა მიერ განდიდნებიან,

დღეს ყოველი დაბადებული განცხრების

შემსლვასა ქრისტეს ხატისასა ჩუენდა

და ჩუენ მათ თანა ვღაღადებთ და ვიტყჳთ დიდებაი[სა].

სხუანი და გუერდი: ოი სასწაული

ჵ სიმდაბლესა შენსა, ქრისტე,

და დიდსა სიყუარულისა

ნათესავისა მომართ ჩუენსა,

რამეთუ ყოვლითა სავსებითა ღმრთეებისაჲთა

თბისა, ჩუენისა მომღებელმან წმიდაჲ ხატი

შენი დაჰბეჭდე, უცვალებელი იგი სახე,

რომელსაცა თაყუანის-ვსცემთ ღვთისა კაცქმნილსა ხატად

და ყოველთა მგმობართა მისთა შევაჩუენებთ და განვაქიქებთ.

ჵ ხატო ყოვლად საშინელო,

მაღალ არიან ნიშნი

და მოწყალებანი შენნი ჩუენ ზედა,

რომელთა არა დააცადებ დღითი დღე ყოფად,

აღვიარებთ მადლსა, ვქადაგებთ წყალობასა

და არა დავფარავთ საკჳრველებათა შენთა

და თაყუანის-გცემთ დამბეჭდველისა მის შენითა თანა

ღმრთისა ჩუენთჳს

კაცქმნილსა ხატად ჭეშმარიტად ზესთ გამოთქუმისა.

ჵ მამაო დიდო ანტონი,

მოსახელესა თანა

შენსა პატივ-გცემთ ჩუენ ქველის მოქმედსა

ნათესავისა ჩუეისასა, ღმერთშემოსილო,

რომლისა ჴელთა მიერ წმიდაჲ ხატი

ჴელითუქმნელი დაგუეუნჯა საცხორებლად.

ეჰა ნიჭსა ამას, ჵ სანატრელო,

რომელსაცა ღირს იქმენ მოღებად მოღუაწებითა ღმრთისაითა.

**კონდაკი ჴ҃ჲ დ**

**ცად ნათელ.**

**280v**

მზეებრ მზისა ღმერთი გამოგჳჩნდა,

ვითარ პირველ, ეგრეთვე და კუალად

კეცსა შინად მღაღადებელთა თჳისთა

შენ თაყვანისგცემთ, ხატო საშინელო.

ვისმინოთ ერნო სახარებათაჲ

და აღვიდეთ **თაბორს** გონებათა.

ქრისტემან მამული დიდებაჲ თჳსი

მოწაფეთა გამოუცხადა,

რაოდენ ძალ-ედვა, მიწისათა,

ხოლო აქა დღეს დაჴსნილსა ავგაროს

ტილოთა ზედა დაუბეჭდა

უცვალებელად იგივე ხატი,

რომელმან ამან კეცი დატჳფრა

და კეცმან კუალად მსგავსი დაჰბეჭდა,

რომელი ღირსისა ანტონის მიერ

მოღუწებითა ზენაჲთა ქართლად

მოგუენიჭა / ჩუენ, მღაღადებელთა,

შენ თაყუანის-გცემთ ხატო საშინელო.

**წარდგომაჲ ჴ~ჲ ბ**

რომელი იგი უხილავ არს ძალთაგან ზეცისათა

ბუნებითა ღმრთეებისა თჳსისაჲთა,

კაცად სახილველ იქმნა ქალწულისაგან ჴორცთშესხმითა ქრისტე,

და ჯუარი და სიკუდილი დაითმინა ჩუენთჳს ნეფსით,

აღდგა ჴელმწიფებით და ამაღლდა ვითარცა ღმერთი

და საღმრთოჲ ხატი თაჳისი დაგჳტევა ჩუენ,

რომლისა მოღებად ღირს იქმნა ნეტარი ავგაროს,

რომელი გჳპყრიეს ჩუენ ძალად და ზღუდედ.

**[ჴ~ჲ] გ**

რომელი ეჩუენე პირველ მთასა ზეთა მოწაფეთა შენთა--**მოსეს და ელისა**

თანა-განბრწყინვებული ხატი შენი, ქრისტე ღმერთო,

და აწ კუალად ჩუენცა, ცოდვილთა, გჳჩუენე

დიდებით ღმრთივ შუენიერი ხატი შენი,

მის მიერ მოგუანიჭე ყოველთა შენთა წყალობაჲ,

კაცთმოყუარეო, და გუაცხოვნენ ჩუენ.

**[ჴ˜ჲ] დ გ˜ი**

ვითარცა დაფარულ იყავ ჴორცთა შინა,

სიტყუაო ღმრთისაო, ღმრთებითა სრულებითა,

ეგრეთვე ხატსა ამას შინა დაჰბეჭდე შენი უცვალებელი ხატი,

რომელსა შინა დაამკჳიდრე მადლი ღმრთეებისა შენისაჲ,

რომელსა შეუორგულებელითა სარწმუნოებითა

თაყუანის-ვსცემთ უხრწნელსა ხატსა შენსა, უფალო,

და გევედრებით მოგჳტევენ შეცოდებანი ჩუენნი. **283v**

**ყოველი სასოებაჲ**

მამისა ანგელოზი,

მომთხრობელი დიდებასა

განუცდელსა, ვიხილეთ

ორთა შინა ბუნებათა

ერთგუამოვნებით

სრული, ქრისტე ღმერთი

ხატითა ჩუენთა,

რომელმანცა,

ჯუარცუმულმან, ნეფსით,

ამაღლდა რაჲ ზეცად,

დაგჳტევა წმიდაჲ ხატი თჳსი

სურვიელთა მისსა მიმართ,

რომელსა ძრწოლით

თაყუანის-ვსცემთ ჩუენ არაჲ ნატაცებად ვითარცა

თჳთ მას სწორსა მამისა თანა,

რომელსაცა მუჴლთმოდრეკით ყოველი სრული ჰმონებს.

**284r**

ახალო ბუნებაო, ღმრთის მხილველო, იხარებდი!

აჰა, მეუფე შენი,

რომელიცა

კიცუსა ზედა

წმინდად ქალაქად

მჯდომარე იხილეს

ერმან და ადიდეს.

აჰა, აწ კუალად

უცუალებელად

მითვე ხატითა დღეს

შემოვალს შენდა მშჳდი მოწყალე

ედესიით ანტონისაგან. .

ნუ ჰურიაებრ

ჰგმობ სიმდაბლესა,

არამედ ყრმათა თანა ღმრთივგონიერთა ოსანნასა ღაღადებდი,

სამოსელთა წილ მიმფენი

მარლთ აღსარებასა.

**უგალობდითსა ჴ˜ჲ დ გ˜ი...**

ეტლთა მფლობელი **280v**

**ა**ღახვენ აწ ბაგენი ჩემნი

და განმინათლენ მე გონებაჲ, ღმერთო,

აღმავსე სულითა სიბრძნისაჲთა და მომეც სიტყუაჲ

ჯეროვანი წადიერებით

შესხმად საშინელისა

დიდებულისა ხატისა შენისა,

რომლისა შემოსლევასა

დღეს ძრწოლვით მივეგებვით.

**281r** **რ**ომელი დაუსაბამოჲ არს ბუნებითა ღმრთეებისაჲთა, მხოლოჲ

ქრისტე ღმერთი ჩუენი,

ხატი იგი და ბრწყინვალებაჲ

მამულისა მის დიდებისაჲ

კაცქმნილი, რაჲ გუეცნობა,

არათუ ნატაცებად აღვიარებთ

ეგრეთვე ხატსა მისსა, აწ მის თანა თაყუანის-ვსცემთ.

ეგრეთე ხატსა მისსა

აწ მის თანა თაყუანის-ვსცემთ.

Sინას ღრუბლითა და ნისლითა

და თაბორის დიდებით განცხადებული ძისა ღმრთისა ხატი,

თჳით უცვალებელი იგი სახე,

დღეს შემოვალს ჩუენდა მეუფე

ჴელითა ნეტარისა

ანტონისითა, რომელსაცა

მივეგებნეთ სურვილით

და ძრწოლით ამბროს-უყოფთ.

Ენასა კაცთასა ზესთა არს

გალობაჲ შენი, დიდებულო ხატო,

თაყუანი-სცემულო,

თჳთ მას პირმშოსა ხატსა თანა,

რომელმან ჩუენ ზედა დაჰბეჭდა

თჳსი გამოცხადებაჲ,

არამედ ვითარცა კაცსა მას ღმერთად,

ეგრევე შენ გქადაგებ

ხატად ღმრთეებისა მისისა.

**განძლიერდასა:.**

**განმაძლიერებელ:**

**ნ**უ სცდებით, ღმრთის მბრძოლნო, ჩუენდა მომართ,

დაღაცათუ ჴელითუქმნელ არს

საშინელი ესე ბეჭედი.

არა ღმრთად თაყუანის-ვსცემთ,

არამედ ღმრთისა კაცქმნილსა

განღმრთობილთა მათ ჴორცთა

ზესთა გამოთქუმისა თანა შევარწყუამთ.

**Ი**ხილა რაჲ მოსე, ღაღად-ყო

იგავით მომასწავებლად

საშინელისა ხატისა შენისა

ხილვაჲ იგი ბრწყინვალე,

ქრისტე ღმერთო, შიშნეულ იქმნა,

ხოლო ჩუენ აღდგუმართნა დღეს

ხილვამან ხატისა შენისამან.

**Ვ**ითარცა იგი პირველ თაბორს

განბრწყინვებულმან დიდებით

მოწაფენი შენნი არავსენ,

ქრისტე, სიხარულითა,

გამოჩნდიინ ჩუენ ზედა ნათელი

პირისა შენისაჲ დღეს, **281v**

უგალობდეთ მეუფესა

ჩუენსა ღმერთსა, უგალობდეთ დღეს

შემოსლვასა| წმიდისა

უხრწნელისა ხატისა მისისასა,

რომელი მოგუენიჭა

**ანტონის** მიერ ნეტარისა.

**მესმასა:**

მესმა უფალო:

**ქ**რისტეს ღმრთად აღმსარებელნო,

მოვედით, ვიხილოთ წმინდაჲ ხატი მისი,

რომელი მოწაფეთა თაბორს ზედა

ღმრთეებისა დიდებათა იხილეს.

**ე**სე აწ არის ღმერთი ჩუენი, რომელი

კაცთა შორის იქცეოდა ვითარცა კაცი

და ამაღლდა ზეცად, ვითარცა ღმერთი

და დაგჳტევა მისი უხრწნელი ხატი.

**ბ**უნებათა უზეშთაეს გამოიხატვის,

ღმრთისმშობელო, ქრისტე შენ შორის

და კუალად ვიხილოთ იგი ღმერთი სრული ჩუენ შორის

და ეგრეთვე კეცსა შინა ხატითა.

**ხ**ატი ღმრთეებისაჲ კაცთა

ბუნებისაგან უხილავ არს და მიუწდომელ,

არამედ ღმრთისა კაცქმნულისა ხატსა

ხატად ქრისტეს ღმრთისა აღვიარებთ ჩუენ.

**ღამითგანსა:.**

რაჲსათჳს

ანტონის ღმრთივ სწავლულსა

ეძჳნებოდა ღმრთისმბრძოლისა ნესტორის შვილთა

პყრობად უხრწნელსა ხატსა

ქრისტეს ღმრთისასა, და მოიღო მათგან

კეთილად

ვერაგობითა ღმრთისა აღძრულმან

და ცხორებისა წინდად დაგჳუნჯა.

**ტ**აკუკთაგან მდიდართა შენთა,

ჵ ცხოველსმყოფელო **ხატო** ქრისტესო,

აღგუავსე ერი შენი,

რომელი სარწმუნოებით თაყუანის-გცემთ

და ძრწოლით შევემთხუევით ნიშსა შენსა

და **ფსალმუნთა** და **გალობათა** მიერ შეგასხათ.

**ს**წავლულნი მოძღურებითა

მამათაჲთა ღმრთისმშობელისაგან მოხუმულთა ჴორცთა

ქრისტეს ღმრთისა ჴორცად თაყუანის-ვსცემთ და ეგრეთვე ხატსა ამას

მის თანა

ხატად ღმრთისად თაყუანის-ვსცემთ, ვითარცა რაჲ

მისგან დაბე|ჭდულსა უცვალებელად. **282r**

**Ა**რათუ თუ სხუასა პირსა

ქრისტესა ღმრთად ვიცნობთ, წარვედით ჩუენგან, ღმრთისმბრძოლნო,

არამედ მასვე ერთსა,

რომლითა თბე ჩუენი ჩუენგან მიიღო

საკუთრად,

ღმრთად ჴორცშესხმულად აღვიარებთ და წმიდასა

ხატსა მისსა მის თანა თაყუანის-ვსცემთ.

**ღაღადყავსა:.**

მომიტევენ, სახიერ:.

**Ღ**მერთი არაჲ იხილვის

ბუნებითა ღმრთეებისაჲთა,

არამედ ჩუენ ქრისტემან

მამულისა ხატისა,

რაოდენ დავიტევდით,

ბრწყინვალებასა ღირს გუყვნა თაბორს ხილვად მხილველნი.

**Მ**ეუფეო მაღალო,

რაჲ შევწიროთ შენდა მონათა,

რომელმან ხატი შენი,

უცვალებელი სახე,

საუფლოჲთა ჴელითა

მოიღე წმიდით

პირით და მოგუანჭე იგი.

Rომელნი არაი ჴორცთა

თანა ღმრთისათა ხატსა ამას

თაყვანის-სცემენ ძრწოლით

შერწყმულად პატივითა,

დაიყავნ პირი მათი

და ნუცამცაღა

უხილავს დიდებაჲ შენი, ღმერთო.

Tჳით პირმშოჲსა ხატისა

მიმართ აღიწევის პატივი

ქრისტეს ღმრთისა ხატისაჲ,

ვითარცა ჴმობს ნეტარი

და დიდი მღდელთმოძღუარი,

ბრძენი ბასილი,

სულითა წმიდათა აღსავსე.

**კურთხეულარსა:. საღმრთოჲსა შუ[რისაგან]...**

Ელიაჲს და მოსესგან

ღმრთად აღსარებული თაბორის მეუფე,

მამისა დიდებითა 283v

განბრწყინებული, დღეს უცვალებელად

ყოვლად უხრწნელისა ხატსა თჳსსა

მოგუანიჭებს

ედესით კეცსა ზედა

ტილოისა მისგან გარდამოტჳფრულსა.

Ევლავიოს ნეტარი

ხატსა რაჲ საუფლოსა დამმარხველ იქნა,

საშინელისა მისგან

სხუაჲ გარდა/მობეჭდილ იქნა კეცსა ზედა, 282v

რომელი-იგი ღირსისა ანტონისაგან

წამისყოფითა ღმრთისაჲთა მოგუანიჭა საძლევველად მტერთა.

Ბუნებით სრულმან ღმერთმან

და ბუნებით სრულმან კაცმან, უცოდველმან

ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან,

ხატი პირისა თჳსისაჲ განგებულებით,

ავგაროზს მთავარსა მოუძღვნა,

რომელი ყოველსა სოფელსა

ღმრთის ხატად უპყრიეს.

Იგივედ აღვიარებთ

ღმრთისმშობელისა მარიამის შობილსა,

რომელი დასაბამსა

მამისა და სულისა თანა მოქმედებდა,

და ყოვლად უხრწნელსა ხატსა მისსა

მის თანავე თაყუანის-ვსცემთ

ღმრთისა კაცთქმნულისა ხატად.

**აკურთხევდითსა:.**

**შჳდ წილ:.**

**ს**იხარულით განცხრებოდეთ

მეფენი მღდელთმთავართა თანა და მღდელთა,

მთავარნი ერისანი, ჭაბუკნი და ქალწულნი,

მოხუცებულნი, ყრმანი

და ყოველი სიმრავლე ერისაჲ,

ვითარცა პირველ იერუსალიმად შესვლასა ქრისტესა მეუფისასა.

და ოსანნას უღაღადებდეთ

დღესა უხრწნელისა ხატისა მისისა ჩუენდა შემოსლვასა.

**ა**ექვნ სასასა ენაჲ,

რომელნი შენ არაი თაყუანის-გცემენ,

ღმრთივბრწყინვალეო ხატო ქრისტეს მეუფისაო,

დაიყავნ პირი მათი,

რომელნი არაი არგიარებენ პირმშოჲსა მის

ღმრთივ შუენიერსა ჴორცმოსილებისა

თანა შეეღთებულსა,

ვითარცა მისგან გარდამოტჳფრულსა,

ერთად პატივით და ქადაგებით და აღსაარებით.

**ს**ავსე არს ტაძარი შენი,

საკვრჳელო ღმერთო, სიმართლითა

და ბრწყინვალებითა და შუენიერებითა

და პატიოსნებითა, **283r**

და სიკეთითა ელვარე ქმნილ არს

შემოსლვასა უხწნელისა / ხატისასა

და ყოვლითურთ ყოველთა

მორწმუნეთა განანათლებს და

ზეცისა ერ ჰყოფს, რომელნი შენ თაყუანის-გცემენ.

**ა**ჰა, ესერაცხოვრებაჲ

ჩუენი წინაშე ჩუენსა მდგომარე არს,

აჰა, გამოჴსნაჲ ჩუენი. მოვედით, მოვედით, მივეახლნეთ

განწმენდილნი ყოვლითურთ

და ძრწოლით ამბორს-უყოთ დიდებულსა,

უხრწნელსა ხელით უქმნელსა სახესა,

ხატსა ქრისტეს ღმრთისასა.

და მოვიღოთ ბრალთა შენდობაჲ,

კვრნებაი ჩუენთაჲ

მის მიერ და დიდი წყალობაჲ.

**ადიდებდითსა:.**

**განკჳრდეს:.**

**Ⴃ**ავითის თანა ვღაღადებდეთ, ერნო,

ყოველთა წარმართთა აღიტყუელენით

ჴელნი და სიხარულით ღაღადებდით ბრწყინვალედ.

ყრმათა თანა მივეგებვოდეთ,

ვღაღადებდეთ: ოსანნა, კურთხეულ ხარ შენ,

უცვალებელო ხატო

ქრისტეს ღმრთისაო, ჩუენდა

სიმდაბლით მოსრულო, გუაცხოვნენ ჩუენ.

**Ⴖ**მრთად სრულად მხილველთა განკაცებული

ქალწულისაგან, კაცო სრულო ქრისტე,

და დღეს ხატსა შენსა თაყუანის-ვსცემთ, ღმერთო ჩუენო,

ვითარცა შენ მამისა თანა

მჯდომარესა ხორცითა კაცობრივითა,

და ვითხოვთ წყალობასა

განთავისუფლებულნი;

ღირს მყვენ მკვდრყოფად სასუფეველისა.

**Ⴄ**რნო ქართლისანო, გიხაროდენ და

აღიპყრენით ჴელნი და მადლობაჲ შეწირეთ

ხატსა ამას ყოვლად უხრწნელსა ჴელთუქმნელსა,

რამეთუ ესე არს სამეუფოჲსა

ამის სიმტკიცე, ძალი და დიდებაჲ,

და ჴმობდით: მოანიჭე

მეფესა ჩუენსა ძლევაჲ

, ქრისტეს ღმრთისა ხატო **საშინელო.**

**Ს**აღმრთოო ხატო ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაო,

ანგელოზთაგან ძნიად საგალობელო,

სურვილი და წადიერებაჲ ჩემი მიიღე

და კადნიერებისათჳს ნუ დამსჯი,

გარნა ნაცვლად მიჴსენ განსაცდელთაგან

და ბრალთა ჩემთა დიდთა.

შენდობაჲ მომანიჭე

უნდოდ მგალობელსა ამას შენსა.

**გამოავლინე.**

**ა გ˜ი**

ჶ დიდებულო / და საშინელო, **283v**

ფოვლად ბრწყინვალეო ნიშო,

ხატო ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაო,

მგალობელნი შენნი განმაბრწყინბენ

ნათლითა პირისა შენისაჲთა და მოგუფინე ჩუენ ზედა მდიდრად

შენი დიდი წყალობაჲ

**აქებდითსა:.**

**შენ სიტყუაი:.**

შენ გშუენის გალობაჲ, ღმერთო,

წმინდათაგან შენთა,

სამყაროისა თჳთმპყრობო,

თჳთვე ძლიერებითა

და თჳთ სიმდიდრითა,

რომელიცა თაბორის მოწაფეთა შენთა

და აქა გუეჩუენე საკჳრველებით

ხატითა ჴელითუქმნელითა.

შენ შუენის გალობაჲ

ნესტჳსა ჴმებითა

და ფსალმუნთა ებნითა,

რომელმანცა გჳჩუენე

წმიდაჲ კაცებისა

ხატი შენი,

რომელსაცა აღვიარებთ

კაცქმნილისა ხატად

და თაყვანის-ვსცემთ სარწმუნოებით.

შენ გშუენის გალობაჲ ღმერთო,

მწყობრთაგან ბობღნითა,
ორრანოთა **ძნობითა,**
რომელმანცა ცოდვილნი
ღირს მყვენ დიდებასა
შენსა განცდად,
რომელ არს უხრწნელი ხატი
ღმრთივშუენიერისა კაცებისა შენისაჲ,
რომელსა შენ თანა თაყუანის-ვსცემთ.

**შ**ენ გშუენის გალობაჲ, ღმერთო,
წინწილაებთაგან
სულისათა მორთულთა
და მღაღადებელთაგან
კეთილად ჴმობილთა,
და ყოველი
სული შენი შენ გაქებს, უფალო,
რომელმან წმიდაჲ ხატი შენი
თაყუანის-საცემლად მოგუმადლე.

**ოი, სასწაულის:.** **284r**

**ჵ** სიმდაბლესა შენსა,
ქრისტე და დიდსა სიყუარულსა
ნათესავისა მომართჩუენსა,
რომელი ყოვლითა სავსებითა ღმრთეებისაჲთა
თბისა ჩუენსა მიმღებელმან ღმრთისაჲ

ხატი შენი დაჰბეჭდე,

უცვალებელი იგი სახე, რომელსაცა თაყუანს-ვსცემთ ღმრთისა კაცქმნილისა

ხატად და ყოველთა მგმობართა

მისთა შევაჩუენებთ და განვაქიქებთ.

ოჲ, ხატო ყოვლად საშინელო,

მაღალ არიან ნიშნი

[და] მოწყალებანი შენნი ჩუენ ზედა,

რომელთა არაჲ დააცადებ

დღითიდღე ყოფად,

აღვიარებთ მადლსა,

ვქადაგებთ წყალობასა და არაჲ

დავფარავთ საკვრველებათა შენთა

და თაყუანს-გცემთ დამბეჭდველისა

მიერ შენისა თანა ღმრთისა

ჩუენთვს კაცქმნილსა ხატად

ჭეშმარიტად ზესთ გამოთქუმისა.

ოჲ, მამაო დიდო ანტონი,

მოსახელესა თანა შენსა პატივ-გცემთ

ჩუენ ქუელისმოქმედსა ნათესავისა ჩუენისასა,

ღმერთშემოსილო, რომლისა ხელთა

მიერ წმიდაჲ ხატი ხელთუქმნელი,

მოგუენიჭა საცხორებლად. ეჰა ნიჭსა ამას [...].

ოჲ, სანატრელო, **284v**

რომელსაცა ღირს იქმენ მონებად / მოღუაწებითა ღმრთისაითა.

**ნათელი ნათელი:.**

ნატელი ნათლისაგან მოვლინებული,

ღმრთისა მამისა სიტყუაჲ

განკაცებული ხატითა მონისაჲთა

სახილველ ქმნილი,

ქრისტე ღმერთი ჩუენი,

რომელი მთასა ზედა

თაბორის მამულითა მით

ბრწყინვალედ დიდებითა იხილვა,

ჩვენცა ცოდვილნი

წყალობით ამით უგულებელს-გუყვნა.

## დანართი 3 - თჳთმლისპირნი ზესთ გამოთქუმისა ჴელით უქმნელისა ხატისანი, ესეცა არსენისგანვე თქმულნი, კათალიკოზისა

285r

**უგალობდითსა:.**

**ზღუაჲ მეწამული**

მოზარდმან პირველ

ხმელ-ქმნილმან ცემით

უჩვეულო ჴმელი მზისა მხილველ ყო,

სავალად ისრაილისათჳს, ხოლო

დამფარველმან ფარაოეთმან...

და ერი ღმრთისაჲ ჴსნილი

ღაღადებდა ესრეთ:

მჴსნელსა ჩუენსა

ცხოველსა საუკუნოჲ გალობაჲ.

ღმერთო, მიწყალენ ჩუენ და მაკურთხენ ჩუენ; გამოაჩინე პირი

შენი ჩუენ ზედა და მიწყალენ ჩუენ (ფს. 66, 2).

მომეც მე მადლი,

ღმერთ-მთავრობითო,

დამბადებელო ყოველტა არსთაო,

და განმინათლე მიმხედველობითი,

რაჲთა ნათლითა შენ ნათელი

გიხილო საცნაურად,

მგალობელმან შენდა, / დიდებულ ხარ **285v**

დიდებით, ღმერთო ჩემო ცხოველო.

„აღვიმსთოთ წინაშე პირსა მისსა აღსაარებითა და

ფსალმუნითა უღაღადებდეთ მას“. (ფს. 94, 2).

**Ⴀხლისა ძღუენისა ახალი ერი,**

არსთა არს-ქმნისა მიზეზო სიტყუაო,

შემწირველი შენდა შენ მიერ ჴსნილი,

ბოროტთაგან გარემო-ცვულთა,

ხატსა შენსა უგალობ.

რამეთუ დიდებით დიდებული ხარ,

ქრისტე ღმერთო ჩუენო ცხოველო.

ესე არის ნათესავი, რომელიც ეძიებს უფალსა, ეძიებს ხილვად პირსა ღმრთისა იაკობისსა (ფს. 23, 6).

Rომლისაჲ-იგი

მკერდსა მკადრემან

სიტყჳსა დაუსაბამოებაჲ თქუა,

ღმრთისა თანა მყოფისაჲ, თჳსთა მომართ

მოსლვაჲ, რაჲთა თჳსნი აცხოვნნეს.

ესე შემწყნარებელთა.

ჩუენ შორის მოკარვე

მოგუანიჭებს

თჳთ ხატსა თჳსსა ღმერთი იესუ.

„ შენ გერქუა გულმან ჩემმან:

უფალი მოვიძიო, გამოგიძია შენ პირმან

ჩემმან. პირი შენი, უფალი, მოვიძიო“. (ფს. 26, 8).

მინებე რაჲ შენ,

მე მცირედ სოფლად,

ედემს შინა დადგინებულმან უხრწნელად,

განვხრწენ მოცემული ჩემადა, ხოლო შენ,

თჳსსა მპყრობმან, უცვალებელად

მონისა მორფი შთაიცჳ

და კუალად უხრწნელ მყავ,

ამისთჳსცა

მას თაყვანის-ვსცემ, ქველის-მოქმედო.

„სიტყჳთა უფლისაჲთა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირისა მისისაჲთა ყოველი ძალი მათი“ (ფს. 32, 6).

Ⴉაც იქმნა ღმერთი

არაი საოცრად,

და ღმერთ ყო სხეული არაჲ ლიტონად.

ამისჳთსცა ღმერთ-კაცად აღვიარებთ,

ორთავე სრულებით დამცველსა.

ხოლო ყოვლად უხრწნელსა

ხატსა მისსა ძრწოლით

თაყუანის ვსცემთ,

ვითარცა შუენის ქრისტეს ღმრთისასა.

„ ხოლო მე სიმართლითა ჩემითა ვეჩუენო პირსა შენსა“ (ფს. 16, 15).

Ⴙილული ვითარ

გურწმენა სიტყვსა ქადაგთა მიერ,

ხოლო მოძღურებული

მამათაჲ ვითარ აღვიარეთ მტკიცედ, / **286r**

ეგრეთ გურწამს ღმერთი ჴორცშესხმული,

ხოლო ყოვლად უხრწნელი

ხატი მისი ქრისტეს

ღმრთისა ხატად,

რომელსა და შიშით თაყუანის-ვსცემთ.

„ მაშინ იხარებდენ ყოველნი ხენი მაღნარისანი პირისაგან

უფლისა, რამეთუ მოვალს“   (ფს. 95, 12-13).

**ჴ**მაჲ ფერჴთა შენთაჲ

ესმა რაჲ **ადამს,**

მოესწავა, მჴსნელო, განკაცებაჲ შენი,

აღსასრულსა ჟამთასა ცდომილთათჳს,

რომელი სხუა დასაბამ მექმნა

და კუალად რაჲ უხრწნელ-მყავ,

მომანიჭე ხატი კაცებისაჲ

შენისაჲ თაყუანის-საცემელი.

**დიდებაჲ**

**ღ**მერთ-მთავრობითსა

სამმზესა ერთსა,

სამგუამოვნად განჰვყოფ განუყოფელსა,

ერთ-ბუნებასა, ერთ-ჴელმწიფებასა,

და მარტივსა მიუწვდომელად,

ვითარცა თანშემოსლვაჲ მამათაჲ

მამათაჲ ასწავებს,

ღმრთივ აღძრული,

სიონის მსგავსი, სულმობერილი.

**აწდა:.**

**ესაიასგან**

ქადაგებული,

აღსასრულისა ჟამთასა ჩუენი იესუ,

ქალწულისაგან სიტყუაჲ თჳთ გუამ ქმნად ჴორცთა,

მეორესა შობასა აქა

მე კუალად მეზიარა,

რაჲთა მეცა ღმერთ-მყოს

მადლით შვილად

ბუნებით ღმერთმან, მამისა სწორმან.

**განძლიერდასა**

**სამებაო წმინდაო...**

**დ**ამფუძნებელსა მიწისსა უთუსოდ,

წყალთა ზედა და ცათა

გარდამთხმელსა განუზომელობით,

სიტყუასა თანა-არსსა

უძნობთ ქებით,

ჴსნილნი მის მიერ სისხლითა მისითა,

საყუარელი რაჲ ძე მამამან

ლხინებად ჩუენდა მოავლინა.

„ ღმერთო ძალთაო, მომაქციენ ჩუენ და გამოაჩინე

პირი შენი ჩუენ ზედა და ვცხონდეთ“ (ფს. 79, 4).

**ს**იტყუაო, ვადიდებ ღმრთივ-შუენიერსა

მაღალსა სიმდაბლესა **286v**

შენსა, რომელი ჩემთჳს თავს-იდევ,

და კაცებაჲ არა უღირს-იჩინე.

ხატისა ჩემისა მიმღებმან განაღმრთ[ვ]ე იგი.

ამისთჳს შენსა თაყუანის-ვსცემ

ხატად ქრისტეს ღმრთისა ჩემისა.

„ მაუწყენ მე, უფალო, გზანი ცხორებისანი და აღმავსო

მე სიხარულითა პირისა შენისაჲთა“ (ფს. 15, 11).

ჭეშმარიტებაჲ ვითარცა სავსებაჲ

შჯულისაჲ შევიწყნარეთ,

ვითარ გარდმოგუცეს ბრძენთა მამათა,

რაჲთა ხატსა

ქრისტესსა მხილველ-ქმნილნი

სურვილად მივიზიდვოდეთ მისდამი,

რომელთა გურწამს კაცებაჲ მისი

ჭეშმარიტებით მლხინებელად ჩუენდა.

„პირი უფლისაჲ მოქმედთა ზედა ძჳრისათა, მოსპოლვად ქუეყანით

საჴსენებელი მათი“. (ფს. 33, 17).

მეხდატეხილ იქმნენინ **დიოსკორე**

**ევტუქის** თანა ბილწნი,

რომელთა აზმნეს ღმრთად აღსაარებაჲ

ხატთაჲ მართლმადიდებელთა მიერ,

რომელი ესე ნუ იყოფინ! ოჲ, ქრისტე,

გარნა თანა /ჩუენ/ განგებულებისა

შენისა ხატიცა შენი გურწამს.

„გზა უყავთ მას, რომელი იგი ამაღლდა დასავალით, უფალ არს

სახელი მისი, და იხარებდით მის წინაშე, შეძრწუნდედ პირსა მისისაგან“ (ფს. 67, 5-6).

ჴორცნი რაჲ ჩემნი უხრწნელი ყვნა,

თჳთ ღმერთმან

ჩემმან იესუ ქრისტე,

და ზეშთა ბუნებისა განაღმრთვნა,

ვითარ ვიხილეთ ჩუენ აღმავალი

ზეცად, მას გამოვხატავ და ვჰმონებ,

თაყუანის-ვსცემ და აღვიარებ

ჴორცშესხმულისა ღმრთისა ხატად.

„ გამოჩნდა ჩუენ ზედა ნათელი პირისა შენისა, უფალო“ (ფს. 4, 7).

ბუნებაჲ ღმერთეებისაჲ უხილავი

ყოვლად მიუწდომელ არს

და თჳთ მხოლოჲ კმა არს თჳსთა ცნობად,

არამედ მამისა დიდებაჲ რაჲ ძე

ღმერთი დაუწყებული განკაცნა / ჩუენთჳს **287r**

სხეულებრი ხატი გარდმოგუცა, ტილოსა ზედა თვთ დამბეჭდველმან.

„აღჴდა კუამლი რისხვასა მისსა და ცეცხლი პირისა მისისაგან, აღატყდეს“. (ფს. 17, 9).

პატივი ხატისაჲ პირმშოდ ხატად-მი

აღვალს, მოძღურებისაებრ

ღმრთივ-განბრძნობილსა  ბასილისსა,

ამისთვსცა, რომელმან შეურცხყოს

ხატი ქრისტესი, თვთ მას შეურაცხყოფს,

ხოლო ჩვენ ძრწოლით თაყუანის-ვსცემთ

ხატსა მხსნელსა ჩუენისასა.

„ რაჲთა მისცეს მას კურთხევაჲ უკუნითი უკუნისამდე და ახარო მას სიხარულითა პირისა შენისაჲთა“ (ფს. 20, 7).

ემაცხოვრებოდა რაჲ ავგაროზს

სხუათა ყოველთა თანა,

იესუ მჴსნელი ჩემი და ღმერთი,

დაჰბეჭდა ტილოსა ზედა საღმრთოჲსა

ღმრთუვგუამოვნისა სხეულებრისა

პირისა თჳსისა ტჳფარი,

რომელი ექმნა მას მრჩობლ იესუდ.

**დიდებაჲ**

ნათელთა, ნათელსა ნათელთმფლობელისა,

ცხოველთა და ცხოველსა

ცხოველთმოქმედსა, ღმერთმთავრობითსა

სიმტკიცესა უგალობ, მამისა

და ძისა და სულისა ყოვლად წმინდისა

ერთბუნებად აღმსაარებელი,

სამგუამოანსა თაყუანის-ვსცემ.

**აწ და:.**

**უ**ცხო არს მუცლადღებაჲ,

უცხოშობაჲ

და კუალად ქალწულებაჲ

ზეშთა ბუნებისა განსაკრთობელ,

ყოველივე შენი უცხო ბუნებაჲ, ღმრთისმშობელო,

არამედ თჳნიერ გამოწულილვსა

სარწმუნოებითა მტკიცითა დედად ღმრთისა

თაყუანის-გცემ შენ.

**მესმასა:.**

**რაჟამს წინაჲსწარმეტყუელი:.**

**მ**ყის ამსთო წყალობაჲ თჳსი

რისხვასა შინა ჴსნად ცხებულთა თჳსთა

მომავალმან სამხრთით ღმერთმან, ოდესმე ვითარ

თქუას სულითა წინასწაჲრმეტყუელთა და ჩუენ

მეტყუელნი ვღაღადებთ: მოსვლასა შენსა დიდებაჲ, ღმერთო. **287v**

„ გამოაჩინე პირი შენი მონისა შენისა ზედა და მაცხოვნე მე წყალობით შენითა“. (ფს. 30, 17).

**ღ**მრთივგუამოანთა მათა ჴორცთა

სახესა ვადიდებ ტილოსა ზედა

და კუალად ტილოთაჲთ კეც[ისა]მი

გარდამოსახულსა

ნიშთმოქმედისა ღმრთისა ჩუენისა ქრისტეს

შუენიერსა

ხატსა და შიშით

და სურვილით თაყუანის-ვსცემთ მას.

„ყურად-იღე, ღმერთო, ლოცვისა ჩემისაჲ

არა ბაგეთაგან ზაკულთა

პირით შენით განმართლებაჲ ჩემი გამოვედინ“.(ფს. 16, 1-2).

**Ა**რსთა ყოველთა მფლობელისა

ხატისა შემწყნარებელო ედესია,

ვჰნატრი ქმნულებათა შენთა,

ღირს ვიქმენ თუმცა

პოვნად ადგილისა მას ღმრთივპატივცემულსა,

რომელიც მცველ ექმნა ნიშსა

დიდებულსა და ამბორს-უყოფ.

„ნეტარ არს ერი იგი, რომელმან იცის გალობაჲ შენი, უფალო,

ნათლითაპირისა შენისაჲთა ვიდოდიან”.(ფს. 88, 16).

**Ს**იხარულით აღიტყუელენ

ხელნი, ოჲ, ქართველთა სამეუფოო,

არასადა უმრწემეს ხარ

ქალაქტა შორის

ახლისა ისრაილისათა, რამეთუ

დაიუნჯე, ზესთგამოსთქუმისაჲ

ნიჭი, ვითარ სხვამან არავინ.

„აღდეგინ ღმერთი და განიბნინენ ყოველნი მტერნიმისნი და ივლტოდენ მოძულენი მისნი პირისაგან მისისაგან“. (ფს. 67, 2).

**Იერუსალიმი** პირველ

შესვლასა შენსა ჴმობდა ოსანნასა

და აქა ახალი ერი

მსგავსად ყრმათა მათ

უმანკოთა უძნობს, ქრისტე, შემოსვლასა

ნიშისა შენისასა მჴმობნი:

გაუცხოვნენ, ხატო საშინელო.

„ვითარცა მოაკლდის / კუამლსა, მოაკლდენ ვითარცა ცჳლი რაჲ **288r**

დადნეს წინაშე ცეცხლსა, ეგრეთ წარწყმდენ ცოდვილნი პირისაგან ღმრთისა“. (ფს. 67, 3).

**Ა**რა მართლმადიდებლობით

მომხედველთა უხრწნელსა ხატსა შენსა

ეწიენ ბუგრი განმხრწნელი,

ნაწლევთა ლმობაჲ,

გარდაედევინ თუალთა ბნელი უნათლოჲ,

ნათელო და სიტკბოებაო

და მჴსნელო ჩემო ქრისტე ღმერთო.

„წყალობაჲ და ჭეშმარიტებაჲ ვიდოდიან წინაშე პირსა შენსა“ (ფს. 88, 15).

**ღ**მრთეებაჲ არაოდეს სადა

განეშორა ჴორცთა მათ ღმრთივ გუამოვანთა.

ეგრეთვე ჟამსა მას, ოდეს

იწერებოდა

ტილოსა ზედა ხატი ღმრთივშუენიერი,

სხეულებრი დაიხატვოდა,

ხოლო ღმრთეებაჲ საკჳრველებდა.

„რამეთუ დასხენ იგინი, ვითარცა საჴუმილავი ცეცხლისაჲ ჟამსა.

პირსა შენსა (ფს. 20, 10).

**ღ**მრთეებაჲ დაუსახველ არს,

არამედ ჴორცთა არსებისა მას ხატსა

გამოვხატავთ, ურწმუნონო,

დამამჴობელნი

თქუენნი, ვითარ ბოროტად ღმრთი-სმბრძოლთანი,

რომელთა ეგე აღიფრტჳნვეთ

საზღუარი მამათაჲ ჰურიაებრ.

დიდებაჲ

**ზ**ეშთამთავარსა სამებასა,

**ზესთ** სახიერსა, ზეშთ გამოუთქმელსა,

**ზესთ** ძალასა, ზეშთ ჴელმწიფესა,

**ზეშთ** დასაბამსა, ზეშთარსსა და

**ზეშთ** აღმატებულსა,

**ზეშთა** ცნობისა სამგუამოვნებით

და ერთბუნებად ღმრთის-ვმეტყუელებდეთ.

**აწ და:.**

**ზ**ეშთ წმიდასა, ზეშთ უხრწნელსა,

**ზეშთ** აღმატებულსა მიწისაგანათა,

**ზეშთ** პატიოსანსა სძალსა,

**ზეშთ** გამოთქუმისა

**ზეციერსა ღ**მრთისა დამტევნელსა

**ზეცისა** ძალთა თანა გალობითა

ვაქებდეთ: გიხაროდენ, მარიამ.

**ღამითგანსა:.**

**შენდა აღვიმსთობ:.** **288v**

**ს**იტყუაო ღმერთო, აღმსთობილნი შენდა

გუაცხოვნენ, სახიერ,

რომელმან სიმდაბლით ცანი

მოსდრიკენ, ვიდრე

სიგლახაკისა ჩუენისა

შთამოსრულმან, მეუფეო,

და მშჳიდობაჲ შენი მომეც ჩუენ.

„ქუეყანაჲ შეიძრა და ცანიცა წთოდეს პირისაგან ღმრთისა

სინაჲსა, პირისაგან ღმრთისა ისრაელისა“. (ფს. 67, 9).

**ქალაქთა მზემან**

ტილოჲ, ხოლო ქართლმან

კეცი დაიმკჳიდრა

სიმდიდრედ საცხორებლად.

შევიტკბობ ჴელთა

ანტონისთა სანატრელთა ,

ქველისმოქმედთა მათ ჩემთა,

რომელნი ამას მსახურ ექმნეს.

„დაჰფარე იგინი საფარველსა პირსა შენისასა“ (ფს. 30, 21).

**Იოვანემან**

ოქროჲსა სეხნამან

ცჳლ დასხმულისა რაჲ

წერილისა შეყუარებაჲ

ბრძანა, ქადაგა

ქრისტეს ხატისა მსახურებაჲ

თაყუანის-ცემით, რამეთუ თვთ მის ღმრთისადმი აღიწევის.

„კეთილ-არს ჩემდა სჯული პირისა შენისაჲ უფროჲს ათასეულისა

ოქროჲსა და ვეცხლისა (ფს. 115, 72).

**Გ**რიგოლი–ნესტუმან ღმრთისმეტყუელებისამან,

მიმხედველმან ხატთა

წმიდასასა, თან ვერ-წარსლვაჲ

თჳნიერ ცრემლთა,

ბრძანა და დაგჳწერა ჩუენ

სურვილით პატივისცემაჲ

მათი სრულითა გონებითა.

„ მოიძიეთ უფალი და განძლიერდით და ეძიებდით პირსა მისსა მარადის“/ (ფს. 104, 4).

მახარებელმან ლუკა დაგჳწერა ქრისტესი დედითურთ

ხატნი ყოვლად უბიწონი,

ხოლო მსახურთა

სიწმიდისათა თაყუანის-სცეს

და ესრეთ გჳქადაგეს ქმნად

მათ მიერ ემბაზიტ შობილთა.

რამეთუ მართალ არს უფალი და სიმართლენი

„შეიყუარნა და სიწრფოებანი იხილნა პირმან მისმან“ (ფს. 10, 7).

ყოვლად მსოფლიოჲ

მეექუსე...

ძუელთა აჩრდილებრთა / წილ ახალთა

შინა დახატვად **289r**

ქრისტეს განგებულებისა

გჳბრძანებს ფერთ მოქმედებით,

რომელიცა მტკიცედ დავიცავთ.

უფალო ღმერთო ძალთაო, მომაქციენ ჩუენ,

და გამოაჩინე პირი შენი, და ვცხოვნდეთ (ფს. 79, 8).

მოციქულებრთა ქადაგებათაგან

მამობრივთა წესთა

სიმტკიცე ვითარ მიიღეს,

ეკლესიამან, ვითარ საზღვარი,

დაიცვა წმიდათა ხატთა პატივი,

ესრეთ აღვიარებთ მტკიცედ.

ნუ განმაგდებ მე პირისაგან შენისაგან და სულსა

წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან“ (ფს. 50, 13).

ვქადაგებთ მადლსა,

ხოლო წყალობასა

აღვიარებთ შენსა,

რამეთუ ქველისმოქმედო ქრისტე,

რომელმან ხატი შენი ყოვლად დიდებული მოგუანიჭე მოსურნეთა

შენთა თაყუანის-საცემლად.

**დიდებაჲ**

განცდად ვერ უძლავს ზეშთა უ[ო]ცნოსა

მას ძალსა მიჭისა

გონებასა, თუ ვითარ

იშვების, გინა

სული გამოვალს და კუალად

ერთარს მარტივი სამებაჲ

მამაჲ და ძე და სული ღმერთმთავარი.

**აწ და:.**

**უ**ჴორცოდ ზეცას შობილი უდედოდ,

თავსმდებელი აქა,

კუალად ჴორცებრსა უმამოდ

შობასა სიტყუაჲ ღმრთისაჲ რაჲ ქალწულებრივთა

სისხლთაგან მაცხოარებდიეს,

დედად ღმრთისად ვიცნობთ მშობელსა.

**ღაღადყავსა:.**

**მუცლად იღო:.**

**ს**აკჳრველად

ტჳრთულ იქმნა რაჲ დიდი

იგი წინასწარმეტყუელი

მუცლითა ვეშაპისაჲთა,

ჴმობდა: მიჴსენ ჵ ღმერთო,

მსწრაფლ განმარინე იგი

და მეცა გიჴმობ შენ, მაცხოვარო ჩემო,

მიჴსენ ქუესკნელისა

ჯოჯოხეთისა მათ

მწარეთა განუჴსნელთა საკრველთაჲთ.

„ განიყვნეს იგინი რისხვითა პირითა მისისაჲთა და მიეახლნეს გულნი მათნი (ფს. 54, 22).

**Ꮚ**იდმან მოსე

გუელი რაჲ აღამაღლა

ოდესმე საკურნებლად

წამლიანთაგან კბენილთა, **289v**

რომელი მიმხედველთა

არა განაცრუებდა,

რაოდენ ქრისტეს ხატი ხმა ეყოს

სარწმუნოებითა

სრულითა მისდამი

მიმხედველთა მრჩობლ საკურნებლად.

„ ხოლო მე ვთქუ განკჳრვებასა ჩემსა:

განმაგდებელ ვარ მე პირისაგან თუალთა შენთაჲსა“. (ფს. 30, 23).

**Ⴕ**რისტეს შორის

შეკრებულთა მრჩობლთა

ბუნებათა და ნებათა

და მოქმედებათა ერთსა

გუამსა შინა დაცვულთა

მიერ დაიწერა ხატი,

რომელი იგი ტილოსა ერწმუნა,

ამისთჳს ჩემისა

ღმრთისა ქრისტეს ხატად

აღვიარებ და თაყუანის-ვსცემ სარწმუნოებით.

„რაჟამს უკუნიქცეს მტერი ჩემი, მართლუკუნ, მოუძლურდენ და

წარწყმდენ პირისაგან შენისა (ფს. 9, 4).

**ბ**უნებისა

ზეშთა ღმერთ იქმნნეს ჴორცნი,

რომელნი ჩუენგან მიიხუნა,

მიიღო რაჲ კაცებაჲ,

სიტყუამან მამასამან.

ამისთჳს ღმრთისა თანა

თაყვანის-იცემებიან ჴორცნი საუფლონი,

ეგრეთვე და ხატი

სხეულისაჲ ჴორცთა

კაცებრთა თანა თაყუანისცემულ არს.

„უფალო, ნებითა შენითა ეც სიკეთესა ჩემსა ძალი;

გარემიაქციე პირი შენი ჩემგან და მე შევძრწუნდი“ (ფს. 29, 8).

**რ**ამეთუ ჩუენ,

საზღუარსა მამათასა

დამცველნი, გულისჴმის-ყოფით,

არათუ ფიცარსა ზედა

გამოსახულსა ფერსა

ღმრთად ვირწმუნებთ, არამედ

ხატსა, რომლისაჲ იყოს სახელი,

მისდამი აღვავლენ

პატივისცემასა

და სურვილით შევიტკბობთ მჴურვალედ.

„ მომწუარი ცეცხლითა და მოოჴრებული რისხვითა

პირისა შენისაჲთა წარწყმდენ“. (ფს. 79, 17).

**290r**

მეხდატეხით

დაიწჳნ კონსტანტინე

სახელხენეში და ბილწი

ბანაკითურთ, რომელმანცა

აღაღო ჯოჯოხეთი

პირი თჳსი განგმობად

უხრწნელსა ხატსა ზედა ქრისტესსა

და ღმრთისმშობელისა

წმინდათასა თანა,

რამეთუ მოძღურებაჲ ქრისტესი დათრგუნა.

რამეთუ შენთჳს დავითმინე ყუცჰდრებაჲ,

და დაფარა ცირცხჳლმან

პირი ჩემი (ფს. 68, 8).

მკჳდროვნისა

ყოველ მსოფლიომან

კრებამან დიდ გონებათა

მამათა დიდებულთმან

პაპამან ანდრიან

და ტარასი ნეტართა

დაამტკიცეს, ცეს წმიდათა ხატთა პატივი

და შეჩუენებასა

მისცნეს თეოდოსი

და სისინი სხუათა თანგანზრახვათა მათთა.

მთანი ვითარცა ცვლი დადნეს პირისაგან

უფლისა ყოვლისა ქუეყანასა (ფს. 96, 5).

გონებასა

სიწლოჲთა ჯერ არს რწმენაჲ

სჯულთა სამეუფოთაჲ

და არა თუ მბორგალითა

სიტყჳთა წინ-განწყობაჲ,

რამეთუ ერთი-იგი

მიიზიდავს განხილვად ჭეშმარიტთა

და სხვაჲ-იგი წესსა

მამათასა მცვლელი განვარდების ღმრთისაგან თავჴედობით.

**დიდებაჲ**

ზეშთ შემკობისა

მაქუს ჩუენ დიდებაჲ ერთი,

ზეშთ ჟამისა სამებისაჲ,

რამეთუ შეერთებისა

უპირველესვე განვჰყოფთ

და მასვე შევაერთებთ

სამსა გუამთა,

და ერთსა ბუნებითა,

ერთ ღმრთეებად ვჰმონებთ,

ერთ უფლად, ერთ ძალად,

ვითარცა გუასწავებს მწყობრი ღმრთის მეტყუელთაჲ.

**აწდა:.**

**ს**ისხლთაგან რაჲ

შენთა იშენნა ჴორცნი

ღმრთისა სიტყუამან, ქალწულო,

შემოკრიბნა ბუნებანი

თჳთ გუამ-ქმნილმან ერთსა შინა

პირსა, ღმრთისა დედაო,

და იშვა ორკეცი ბუნებითა,

და არა / გუამთა **290v**

თანად ნებათა და მოქმედებათა მრჩობლთა მქონებელი.

კურთხეულარსა:.

Ჵ სასწაული

**ს**ამმოტყინარე

გულისწყრომაჲ, შური და ცეცხლი

ყრმათა არაი აურვებდა,

არამედ საღმრთოჲ

შური უფროჲს შესწუვიდა

ცუარშეცურეულნი

სახუმილსა შინა ჴმობდეს:

ღმერთო მჴსნელო ჩუენო, კურთხეულ ხარ შენ.

მთანი იხარებდენ პირისაგან უფლისა, რამეთუ მოვალს (ფს. 97, 8).

ხილვაჲ იხილა

ესაია მოსწავებითი

და არაი თუ უხილავი

იგი ბუნებაჲ,

რამეთუ განუცდელ არს

გონებათაცა,

გარნა მონისა ხატისა

მიმღები ქრისტე ღმერთი ვიხილეთ ჩუენ.

ნუ გარემიიქცევ პირსა შენსა მონისა შენისაგან (ფს. 68, 18).

ხილვაჲცა იგი

ეზეკიელისი იგავი იყო

და მოსწავებაჲ მჴსნელისაჲ

ჩუენისა ქრისტეს

ღმრთისა გარდამოსახულსა

ღვთივ შუენიერსა

ხატსა ხილვად ჩემ მიერ,

რომელსა შიშით და ძრწოლით ამბორს-უყოფთ.

გარე მიაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან

და ყოველნი უშჯულოებანი ჩემნი აჴოცენ (ფს. 50, 11).

მონაე[ლ] რაჲ

თქუა: ღმერთი ვიხილეთ. წარვწყმდებით.

არათუ ღმერთი იხილა,

გარნა ქადაგა

ხილვად ხატი ქრისტესი

ღმრთისა ჩუენისა

მაცხოვრად მორწმუნეთა, რომელნი თაყუანის-ვსცემთ

უკუნისამდე.

„პირისაგან უფლისა შეიძრა ქუეყანაჲ, პირისაგან ღმრთისა იაკობისა“(ფს. 113, 7).

დანიელმან

ძე კაცისაჲ იხილა ზეცით

მომავალი, რომელიცა ძესა ღმერთისასა

ჴორცშესხმულსა ცხად-ჰყოფდა,

რომლისა ხატსა

გამოვსახავთ და შიშით

და ძრწოლით თაყუანის-ვსცემთ და ამბორს-უყოფთ.

„აღდეგ და ნუ დამაგდებ ჩუენ სრულიად.

რად გარე მიიქცევ პირსა შენსა“ (ფს. 43, 24-25).

**291r**

Ყრმათა შორის

საჴუმილსა შემაცურევლად პირველ

მძლავრმან ძისა ღმრთისა ხატი

იხილა, ესე

ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა

მოასწავებდა

სხეულებრივსა ხატსა,

რომელსა გამომწერელნი თაყუანის-ვსცემთ.

„ისმინე, უფალო, რამეთუ ტკბილ არს წყალობაჲ შენი. მრავლითა მოწყალებითა შენითა მოიხილე ჩემ ზედა, ნუ გარე მიიქცევ პირსა შენსა მონისა შენისაგან“ (ფს. 68, 17-18).

Განპყრობაჲცა მოსეანი მოასწავებდა

ხატისა ქრისტესსა, რამეთუ

ეგრეთ განიპყრნა

მჴსნელმან ჩემმან და ღმერთმან

ძელისსა ჯუარსა

ზედა და ჴელნი ქრისტემან,

რომლისა მსგავსებასა ვჰმსახურებთ.

„გამოაჩინე პირი შენი მონისა შენისა ზედა

და მასწავენ მე სიმართლენი შენნი“ (ფს. 118, 135).

Ღმერთი დიდი,

დიდისა ღმრთისა მამისა ძე,

ქრისტე მომთხრობელი მისსა

მას დიდებასა,

კაცთა შორის მაცხოვრად

ვითარ ვიხილეთ,

გამოვხატავთ და ვჰმონებთ

და ყოველთა მეგობართა შევაჩუენებთ.

**დიდებაჲ:.**

**Თ**ჳთებითა

განყოფილად გრძნობ, სამებაო,

ხოლო ბუნებით ერთად

ღმრთის-გმეტყუელებ შენ,

ღმერთმთავრობითო ძალო,

მაცხოვნე ყოველი

უღირსითა ბაგითა

მამად და ძედ და სულად წმიდად აღმსარებელი.

**აწდა:.**

**Თ**ბე რაჲ ჩუენი

შენგან მიიღო ღმერთმან ჩემმან,

ქალწულო ზეშთ კურთხეულო,

მიწისაგანთა

ძალთა თანა ცისათა

აღგიარებთ შენ

ღმრთისმშობელად, მარიამ,

და ხატსა შენსა წმიდასა თაყუანის-ვსცემთ.

**აკურთხევდითსა:.**

**ცა ვრცელი განც:.**

Ცათა სივრცისა მოქმედი

ქუეყანისა თანა,

ანგელოზთა და კაცთა

უფალი ესტუმრა ქმნულთა თჳსთა

სიმდაბლით განახლებად

ქრისტე ღმერთი ჩუენთჳს

ჩუენებრ ქმნი[ლ]თა

ყრმანი აკურთხევენ მას.

„ოდეს-მე მივიდე და ვეჩუცჰნო პირსა ღმრთისასა“ (ფს. 41, 3).

**291v**

Რომელი-იგი ქალწულმან

მკლავითა იტჳრთა

ქრისტე მისგან შობილი,

ძე ღმრთისაჲ,

ორითა ბუნებითა,

ღმერთი და კაცი სრული,

დღეს ჭეშმარიტებით ხატი მისი,

ჴორციელებრი სახე

საუფლოჲსა პირისა,

უცვალებელი

ტჳფარი, შიშით შევიტკბოთ.

„ღმერთო, მომაქციენ ჩუენ და გამოაჩინე პირი

შენი ჩუენ ზედა და ვცხოვნდეთ“ (ფს. 79, 8).

Რომელი-იგი სჳმეონ

მკლავითა იტჳრთა

ტაძრად მოყვანებული,

და ანნა ზესთ საუკუნეთა

ღმერთად ქადაგა იესუ

ქრისტე, მჴსნელი ნათელი სოფლისაჲ,

დღეს ნათელი პირისა

მისისაჲ ხატი მისი

თჳთ დაწერილი,

შიშით და ძრწოლით შევიტკბოთ.

„ვჰლოცევდ პირსა შენსა ყოვლითა გულითა ჩემითა, შემიჭყალე მე სიტყჳსაებრ შენისა“.

(ფს. 118, 58).

Რომელი იორდანესა

იოვანეს ჴელთაგან თავ-დადებულ იქმნა

და მამაჲ

ზეცითა წამებდა მას ძედ

საყურადღებოდ, და სული

სათნო-ეყოფოდა ღმერთსა

სრულსა და ერთსა ღმერთსა და ჩუენთჳს

კაც-ქმნილსა მო[წყალებით], [დღეს] [ხა]ტი მისი

ქრისტეს ღმრთისად აღვიაროთ.

„წყალობითა შენითა მაცხოვნო მე და დავიმარხნე წამებანი პირსა შენისანი“ (ფს. 118, 88).

რომელი თაბორს ეჩუენა

ბუნებითითა მით

ნათლითა მოწაფეთა,

მამისა მიერ დამტკიცებითა

თანა-სწორად, თან-არსად,

ძედ საყუარელად თჳთ განმგებელად,

დღეს ხატსა თჳსსა მოგუცემს

ჴელთა მიერ უქმნელსა, სულით და ჴორცით განწმედილნი შევეხნეთ მას.

„მსთუად შეისმინე ჩემი, უფალო, რამეთუ მოაკლდა სულსა ჩემსა,

ნუ გარე მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან“. (ფს. 142, 7).

რმელი ჯუარსა ამაღლდა ნეფსით განზრახვითა,

ღმერთი და კაცი ჩემთჳს,

და ვნებაჲ

თავს-იდვა ჩემთა მუელთა

ვნებათა განკურნებად,

დიდებაჲ მოწყალებასა მისსა.

ქრისტე ღმერთი დღეს ხატსა **292r**

თჳსსა ღირს-მყოფს შეხებად.

ნუ-ვინ უღირსი, ნუცა უძლური სულითა.

„ვიდრემე-ვიდე სულისა შენისაგან და პირისა შენისაგან ვიდრემე ვივლტოდე“. (ფს. 138, 7).

**რ**ომელმანცა ჯერ-იჩინა საფლავსა დიდებაჲ

ჩემთჳს ცოდვითა მკვდრისა

და აღდგა

ღმრთეებრ ღმრთივ-შუენიერად

და თანა აღმიყვანა

და დამსუა მარჯუენით მამულთა საყდართა,

დღეს ხატი მისი წმიდაჲ

ჩუენდა წინა მდებარე,

თჳთ ქრისტეს ქმნილი,

ძრწოლით განვიცადოთ, ძმანო.

„ეკრძალეთ ერი ჩემი სჯულსა ჩემსა, მოყავთ ყური თქუენი სიტყუათა პირსა ჩემისათა“ (ფს. 77, 1).

ესე მუხლი ოთხ-გზისითქუას ამითვე საქცევითა:.

**ნ**უმცა ვინ არის იუდაებრ

პირითა ურცხჳნო,

სულითა გლისჂ და გულარძნილ,

რამეთაჳ

საზარელისა ამის

საიდუმლოჲსა მიერ

ქრისტეს ღმრთისა ხატისა წმიდისა,

ვითარ ღირსნი, ვცხონდებით

შეხებითა მისითა

კუალად უღირსნი,

საუკუნოდ წარწყმდებიან.

**დიდებაჲ..**

**Ϭ**სამებაო მარტივო,

შეუძვრელო ძალო,

უქცეველო საზღვარო,

უთქმელო

სიმტკიცეო, რომელმან

თჳთ ოდენ უწყნი შენნი,

ყოველთა ღმერთო, ღმერთ-მთავრობაო,

მამაო და ძეო და სულო ყოვლად-წმიდაო,

გვაცხოვნენ ქმნულნი

შენნი უკუნისამდე.

**აწდა...**

ჵზეშთა ცნობისა უცხოჲ

და გონებათაცა

ყოვლად მიუწდომელო,

ჵ დიდი ესე გამოუთქმელი

ღმრთისა განგებულებაჲ,

ეჴა უსაზღვროჲ საკჳრველებაჲ,

ღმერთი მუცლად-ღებული

და მსობელი ქალწული.

სარწმუნოებაჲ

გუაქუნდინ და ნუ გამოწულილვაჲ.

**ადიდებდითსა**

**ნუ მტირ მე დედა[ო]...**

სიტყუაჲ ღმრთისაჲ აღმგებელი

სიბრძნით / ყოველთა არსთა

**292v**

და დამამტკიცებელი

უსქესოდ [ქუეყანისაჲ]

ცათა გარდამრთხმელი

მიწასა ცასა ცად ჰყოფს, [თჳსად] საყდრად მაცხოვრად

ჩუენდამისგან შობილი,

[რომელი] [...]

...ად განიკუთნავს ჴმათა.

„რადმე, უფალო, განიშორებ სულსა ჩემსა და გარემიიქცევ პირსა შენსა ჩემგან“. (ფს. 87, 15).

**ი**ხარებდინ აგებული,

რამეთუ აგებულმან

შენმან და [მეუფე]მან

არა უღირს იჩინა

მონისა ხატისა

მიღებაჲ წყალობით

და მიღებული კუალად

მოგუანიჭა მაცხოვრად

[ღმერთქმნულთა] მათ ჴორცთაგან

პირსა ტჳფარი.

„დავითისთჳს მონისა შენისა ნუ გარემიიქცევ პირსა შენსა ცხებულისაგან შენისა“. (ფს. 131, 10).

**დ**ავით, ახალოჲ ქართველთა

[მეუფეო], იხარებდ

და განცხრებოდე, ვითარ

წინაშე კიდობნისა ჰსჯულისა

მომცემელმან, ქრისტე,

მადლი შენ მოგანიჭა

არა [სარკით] ჭუირობად,

არამედ ძედ თჳსა გყო

[ხატისა] თჳსისა [მგალობელად].

„პირსა შენსა ლიტანიობდენ მდიდარნი ერისანი“. (ფს. 44, 13).

**Ⴇ**ღეს ყოველი მკჳდროვანი

ერთა თანა ცისათა

თანად ძლევის მგალობლობს,

დღეს პირმეტყუელთა თანა

ყოველნი იძვრისნი

სიხარულით ძნობენ,

რამეთუ მოგუეფინა

მადლი პირისა ღმრთისაჲ

და ნათლითა მისითა ყოველნი განვნათლდით.

„სასუმელი ჩემი ტირილითა ჩემითა განვზავი პირისაგან რისხვისა და გულისწყრომისა შენისა“ (ფს. 101, 10-11).

**Ⴀ**რამრწმუნებელნი, ჵ ქრისტე,

შენდად ღმრთად ჭეშმარიტად, ხოლო ხატსა პირისა

შენისასა მგმობარნი შეაჩუენენ ბილწნი

და ეშმაკსა მისცემენ და მოსრენ ზანაკითურთ

და საუკუნოჲთა მით ცეცხლითა განაქარვე

ყოვლად ულხინებლად.

„ვიდრემდის, უფალო, დამივიწყებ მე სრულიად, ვიდრემდის გარე მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან“. (ფს. 12, 2).

ჵ დიდო სალხი/ნებებულო,

**293r**

ჵ შესავედრებელო,

მაღალო და მტკიცეო,

ჵ გამოუთქმელისაო

ქრისტეს ღმრთისა ნიშო,

ხატო საშინელო,

დღესასწაულსა შენსა

სარწმუნოებოჲთა სულითა

მგალობელთა მოგუხედენ ტკბილად და წყალობით.

„ ხოლო გარეთუ მიიქცი პირი შენი, შეძრწუნდიან“ (ფს. 103, 29).

განგჳნათლენ გონებანი,

ნათელო სოფლისაო,

აღგჳჴოცენ ცოდვანი,

აღუჴოცველო ხატო,

ყოველთა მჴსნელისა

ქრისტეს ღმრთისაო, და

რომელი ამბორს-გიყოფთ

უბიწოჲთა გულითა,

ბრალთაგან განწმედილი

დაუსჯელად დამიცვენ.

აღგიარებ შენ, უფალო, ყოველნი მეფენი ქუეყანისანი, რამეთუ ესმნეს ყოველნი სიტყუანი პირისა შენისანი (ფს. 137, 4).

Ꭶ ხატო ქრისტეს ღმრთისაო,

მეფე მორწმუნე შენი,

შენ მიერ გჳრგჳნოსანი,

განამჴვნე ძლევად მტერთა,

ეკლესიათა და მღდელთა ერთობაჲ ყავ,

და [პავ]ასაკი

შენი სადიდებელი

შეიწყალე და მეცა,

მგალობელსა, ნუ დამსჯი.

**დიდებაჲ...**

Ꭶ მეფეთა მეფეო

და უფალთა მფლობელო,

ღმერთო ღმერთმთავრობაო,

სამებაო წმიდაო,

ქრისტეს მოსახელე

მეფე ბარბაროზთა მძლედ გამოაჩინე და

ერი შენი დაიცევ

საფარველსა ჯუარისა

წმიდისასა ქუეშე.

**აწდა...**

ჵ უხრწნელო ღმრთისმშობელო,

რომელმან ქრისტე ღმერთი

უშევ მაცხოვრად კაცთა,

ევედრე ძესა შენსა

ქრისტეანეთათჳს,

რამეთუ შენდამი

მხოლოჲსა სასოებაჲ

დაუცვ, ყოვლად წმიდაო,

და რისხვითა შენითა

წარაქციენ მტერნი ჩუენნი.

ამინ.

## დანართი 4 - შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი საგალობელი

298 v **გ გუჩრდი:. მჯდომარე**

ცად სულიერდ პირმეტყუელად დღითი დღე
დიდებასა ღმრთისა დამბადებელისასა

და ძეგლად პირმეტყუელად, ხარისხად სათნოებისა,

გოდლად უძრავად და კლდედ მოთმინებისად

გიცნობთ მონაზონთა კრებული, მამაო მამათაო

და დედად სიმდაბლისა, ძირად სიყვარულისა

და ნილოსად მოუკლებელად, ცრემლთა სინანულისა

მოძღრუად და თავად ყოველთა საუნჯედ

და მასწავლელად მოგჳგიე, შიო ნეტარო,

ქართველთა დიდებაო.

**არსენი ქკზი დ გუჭრდი:. ედემი:.**

**299v** მიწიერთა რომელი ზრ/ქელნი აღჳრნი განჰყარენ,

დიდებულო, ს῀დ ჯმნითა საქმეთა მისთაგან

მხოლოჲ ღმერთსა მხოლოსა მხოლოდ შეეყავ საკუთრებითა

უნათლოსა მას **მღჳმესა** შთაგდებითა

მით ღვთისა თანა და განანათლებ შენ

გონებისა სარკესა შინა ხედვად თჳთ შორის,

რამეთუ იგი უხილავ არს თჳთ მთავარანგელოზთაცა,

შიო სანატრელო, ამისთჳსცა სულად სულნელებისად

აღვიდა ცხორებაჲ შენი წინაშე მეუფისა

და ღირს იქმენ ანგელოზისა ჴელთაგან მიღებად

უზეშთაეს ცნობისა საკჳრველსა საზრდელსა.

დღეს მამათა მწყობრი იხარებს;

დღეს მონაზონთა გუნდი მდიდრად განსცხრების;

დღეს მოღუაწეთა ერი განშუენდების;

დღეს სასწაულსა ამას და ზანაკი მოწესეთა ყუავილოვნებს

აწ, რამეთუ წინამძღოლი მათი შიო არს

თავ კრების ამის ბრწყინვალისა და ზეცისა

ძალნი ჩუენდა უხილავად მოიწევიან,

რამეთუ უხარის კაცთა ჴორციელთა მიმსგავსებაჲ

მათი და ჴმობენ: დიდებაჲ მეუფესა ზოგადსა

და საკჳრველებათასა, რომელმან დიდებულ ყვნა

მონანი თჳნი მოღუაწებითა.

**299 v სტრიქონი:. ნათელი ნათლის:.**

ნათელსა სოფლისასა ქრისტესსა ღმერთსა შეეყვარე,

ნეტარო, და გიხაროდენ არქუ ყოველსა

სოფლისა მწუხარებასა და დიდსა მოძღუარსა

იოანეს ნეტარსა, ვითარ კრავი უმანკოჲ,

მისდევდ უცხოებად, მამაო,

და სიგლახაკე ქრისტესთვს აღირჩიე ყოველსა გემოვნებასა,

ზეცისა კეთილთა მოსურნე იქმენ.

აწ მოქადულ არს ქართლი შენთჳს, ნეტარო,

და სოროჲ საფლავისანი ნაწილთა შენთა

მის შორის მდებარისა შეუცავს,

ვითარ ღვთით კიდობანი ოხკერძო მოდგომილთა

დიდად სალხინებელად და სენთა კურნებისა ემპლასტროდ

და სულიერთა ვნებულთა დამჴსნელად

და მტერისა საცდურებათაგან მჴნელ

და ღვთისა მიმართ წმიდად მოწყალებისა.

სამადლობელ-ქმნილნი ღვთისა

უდაბნონი ყუაოდენ, პირველ სატანას ძალთა სამკჳდრებელნი,

რამეთუ შიოს ცრემლთა ღუარმან განწმიდნა

და მათ წილ ღმრთისაჲ მონათა მიერ აღივსნეს

მგალობელად მას შინა სამებისაჲ წმიდისა ერთარსებისა,

ვითარცა ისწავეს მოძღვრისაგან ღვთისწავლულისა

და ყოვლისა სულისა სიქადულისა.

300r წარდგომაჲ:. ჴმაჲ ა:.

ნივთნი სოფლისანი მოიძაგენ და ნაგევად შეჰრაცხენ

საშუებელნი მისნი მღჳმესა ბნელსა შინა

დამკჳიდრებულმან, ამისთჳსცა ღმერთმან გამოგაჩინა შენ

და სასანთლესა ზედა აღგამაღლა, რაჲთა ჰნათობდე უდაბნოსა მეფესა.

დიდებაჲ, რომელმან გადიდა, ნეტარო შიო;

დიდებაჲ რომლისა მიერ მოგუეცი მეოხად;

დიდებაჲ, რომელი შენ მიერ იქმს საკჳირველთა,

მხოლოო მრავალმოწყალე.

300v სხუაჲ:. დ:.

მხიარულ არს დღეს ეკლესია ქრისტესი შვლთა

თვსთა თანა განშუენდების ხსენებასა მამათა მამისა შიოსსა,

რამეთუ იდიდა საკვირველებითა მიერ ურიცხვთა

ღვთისა მიერ და განითქუა ყოველსა სოფელსა,

ვითარცა მეოხი, მხურვალე ყოველთა ჭირვეულთა.

საკვირველი ცხორებაჲ შენი დაუკჳრდა

ყოველთავე ზეცისა მხედრობათა,

რამეთუ უზეშთაეს ბუნებისა უღუაწე სხეულითა

მოკუდავითა და აწ მათ თანა იშუებ, ნეტარო,

დღესასწაულსა ამას შენსა წმიდასა მოვედ ჩუენ თანა

და განგუაძლიერენ მგალობელნი ხსენებისა შენისანი,

შიო, მონაზონთა დიდო წინმორბედო.

**სხუაჲ დ გუჩრდი:.**

ყოველი ქვეყანაჲ დღეს ჩვუენ თანა იხარებს,

დღეს წმიდასა ამას ღმრთივბრწყინვალესა,

და ზეცისა ძალნიცა უხილავად გალობენ ძნობით

და ბანაკი მამათა იხარებს, რამეთუ აღივსო შენ მიერ,

სანატრელო შიო, და [წმიდათა] მწყობრი განშუენდების

შენ მიერ და მართალთა სულნი განათლებულნი

ჩუენ თანა იშუებენ, მოქადულნი შრომათაჲთა შენთათჳს,

ევედრე ქრისტესა ღმერთსა და ცოდვათა შენდობაჲ მოგუანიჭოს,

რომელნი სურვილით ვდღესასწაულობთ ჴსენებასა შენსა.

**უგალობდითსა:. ხმაი ბ გუერდი**

**301r ზღუაი მეწამული**

იესუ ღმერთი, ზეცით მომადლე უღირსსა სულსა ჩემსა

სულისა შენისაჲ საცნაური მადლი განმამღრთობელი

და აღატყუ უძლური რაჲთა ღირსად შევამკო

მე საჴსენებელი ყოვლად ბრძნისა მამათა ნათლისა შიოსი.

ღვთისა ქალაქო ანტიოქია, ძნობით იშუებდი

და დღეს ჩუენ თანა იხსრებდ სერსა ამას დიდებულსა

და შვილთა შენთა თანა მწყობრობად,

რამეთუ კრებაჲ ესე მამათა მოგჳწოდს,

რომელნი შენ აღმოაცენენ საქალაუბითა.

შუამდინარით ვნებითად თანად აღმერჴველმან კიბედ

უცხოებისა მწყემსისა დიდისა წინამძღურობითა

გიხაროდენ არქუ ყოველსავე,

რაჲცა სჯულთა ჴორცითა შემკობილ არს ბუნებითად,

სათნოებისა მოძღვარო.

სამმზეო ერთო, სამთჳთებითა განყოფილო

და კუალად შეერთებულო ბუნებითა ერთად

ღმრთის-გმეტყუელებს შენ მარტივსა და უცვალებელსა,

მამაო უშობელო და ძეო შობილო,

სახიერო სულით წმიდითურთ გამომავალით.

ცთომით განჴდილი დიდებაჲ ჩუენი ბუნებითა შემოქმედისა

ღმრთისაგან ბუნებითათა მით მოწყალებითა

კუალად რომელი მოიჴსენა ღმერთმან,

შენგან კაც იქმნა ჩუენთჳს, ამისთჳს,

**ქალწულო, ღმრთისმშობელად** აღგიარებს

მწყობრი წინასწარმეტყუელთა.

**განძლიერდასა**

**301 v სამებაო წმიდაო**

სულისა აღმკულობაჲ სამნაწილი განჰზავე ორითა მით,

რომლითა მეორენი ნათელნი ხედვენ

და ახედვენ შენ გუარსა თჳისსა,

რომლითა მადლით მათ თანაზიარმან აქა ნეგვად

შეურაცხე შენ მოღუაწებისა კმაყოფილებით.

გუართა ცხორებისათა დასაცველად აღატყინე

შენ ცეცხლი სიყვარულისა ღმრთისაჲ

და არა ითნე უცხო და მწუელი ნივთიერთაგან

დაცვითთა წესითა სამეუფოთათა, რომლისა სათნო ეყავ ღმერთსა,

მამაო შიო, სამკაულო მოღუაწეთაო.

აღზავებულებაჲ ჴორცთა სჯულისა სჯულთასა სულისათა,

ვითარცა რაინდმან ჴელოვანმან, აღჳრ-სხმულ ჰყვენ

შენ და სამეუფოდ გზად ავლინენ ორნივე მრჩობილობით,

მონაზონთა კმაო კანონო და მოღუაწეთა გჳრგჳნო შიო.

სამთა დაუსაბამოთა ნათელთა დისკოსა

და ნათლისა და მცხინვარებასა გონიერთა

ეგრეთვე მამასა ძისა მშობელად

და სულისა გამომავლინებლად ვიცნობთ,

ვითარ გუასწავებს დიდი თეოატროჲ დიდებულთა მამათაჲ.

ვნებაჲ, რომელი თჳთ თავს-დებით ჩემთჳს ჩემებრ ქმნა

უცოდველმან იესუ ღმერთმან კაცთამოყუარემან,

შენ მიზეზი პოვე ამის მადლისა,

მარიამ, ყოვლად საგალობელო, ამისთვს

საკუთრად ღმრთისმშობელად აღგიარებს შენ ჴმაჲ შემსჴმელთა.

**მესმასა**

**302r რაჟამს წინასწარმეტყველმან**

აღსავალთა მათ საღმრთოჲთა აღსრულებული

მამისა და ღმრთისაჲ და **კიბედ** მომგებელი მღჳმისა

განიცდიდი შენ საცნაურად მას ხედვად,

რამეთუ გონებითა ზესთა მიუწდომელ არს საჭურველად.

დაფარულთა მეცნიერმან და უმანკოებისა მის

შენისა კუალად წინამცნობელმან არა გვარწმუნა

სანთელი ჴჳმირსა დამფარველად, ვითარმედ ნიშთა

მიერ ცხადგყო საკვრველებით, მამაო შიო.

ელიასმან ქორებს მზრდელმან ყორნისა მიერ ანგელოზთაგან

აქა უმეტეს პატივს-გცა მის მიერ ზრდითა საზრდელითა უცხოთა,

რომელ მხოლომნ თჳთ უწყნის თჳსნი საკჳირველნი უცნაურნი და მიუწდომელი.

სამსა ერთად ღმრთისგმეტყუელებ ბუნებითა

და ჴელმწიფებითა ერთსა კუალად თჳთებად

და თაყუნის-გცემ და აღგიარებ, მამაო, ძეო და სულო,

ნუ დამსჯი მე, მონასა შენსა, ნუცა შეხუალ ჩემ თანა სასჯელს.

თბისა ჩემისა მიღებაჲ სათნო ყავ, რომელი სიტყუაო,

მამობრივ აღძრულმან მოწყალებითა მარიამისაგან

მოგუეც ყოველთა სალხინებელად მშობელი შენი,

ღმრთისმშობელო, რომლისა ვედრებაჲ შეიწირე.

303r **ღამითგანსა:.**

**სიყუარულისა**

სხუაჲ მოსეს ისუებრი, სხჳსა ელიაჲსი ელისეებრი

ევაგრი სულის ტრფიალი არა ხალენითა

წყლის განმღები, გარნა კუერთხითა მიძღურისათა

სულსა მისსა თანა მქონი ნიშებს ღირსი.

ბაბილოვნს ყრმათასა მიჰრიდა უბიწოებასა ჴორცთასა

საჭმილი შიოსსა და თჳსთა სჯულთაგან ცვლილი

არა შეეხების ნებასა, ოჲ, საკჳრველი

საკურთხეველი და მსხუერპლი წმიდაჲ ღვთისაჲ აყნოსებული.

ქუეყანას შორის წმიდასა განმსტრობელმან

ტევანნი აჩუენენ არა ქედფიცხელსა ერსა,

არამედ სჯულდებულსა შენ მიერ

და შეიყვანენ უდაბნოდ მკვდრ-ყოფად ზეცისა მოქალაქედ მონაზონნი.

სამცისკროვნებაო, სრულო ღმერთო ერთო,

ღმერთმთავრობაო ერთო, ჴელმწიფებითა

და ნებითა განზრახვითა და ძალითა

მხედველობითნი განგჳნათლენ,

რაჲთა სრულისა სრულსა გიცნობდეთ საცნაურად.

თემანით ღმერთი მოვიდეს, ამბაკომ ჴმა ყო,

რომელი მასწავა ბეთლემით ჴორცქმნაჲ სიტყჳსა შენგან,

დავითის ვარდო მარიამ, შობილი ღმერთ არს

და შენ ღმრთისმშობელ ხარ და ჩუენ ნეტარ ვართ შენ მიერ

**ღაღადყავსა**

**ცოდვისა უფს...დედოფალო.**

წინასწარ ცნობისა სული მოგეგო და ნივთებრი,

შიო, რამეთუ იგი ლომთა მფლობელად გამოჩნდა,

ხოლო შენ მხეცნი გმონებდეს, ვითარ მონანი პირმეტყუელთანი.

არა უდაბნოსა ზედა უგულისჴმოებისასა ერთა,

არამედ ღმერთი მეცნიერთათვს აღმოაცენე

შენ წყალი უღაღითე  კლდით შენცა ღმრთისმზახვრელობით.

სულისა ეტლად ღმერთი მომგებმან საცნაურთა

მათ ხედვათამან მიყმე უნათლო,

ისიბრძნე შენ გონებად აღსავალი,

სადაცა სულთა სატრფოჲ დამყარებულ არს.

ერთად რაჲ გიძნობდე, სამად აღგიარებ

შენ ღმრთისმეტყუელი ორთა ერთსა შინა მიზეზსა რაჲსამე,

ესრეთ გიცნობ მამისა შორის სულითურთ ერთარსად.

აჰა ქალწულმან, თქუა ესაიაჲ, შვეს ჩუენთანა ღმერთი,

მოასწავა სისხლთა შენთაგან უმამაკაცოდ სიტყჳსა

ღმერთი კაცებაჲ, სანატრელო მარიამ.

**კურთხეულარსა**

**303v    არა შეშინდეს**

სათნოებაჲ რწმუნებითი მომზიდველმან არა რვალებრად,

არამედ ჩვენებით არწმუნე შენ ურიცხუთა,

ღმრთივშემოსილო და არამდგომო,

საქებელი განიოტე, ვითარცა მლტოლვარე.

დამჴსნელმან სიზრქისა კერპოთა უდარესი

მონა ჰყავ მძლავრი, რაჲთა მადლით

ღმერთმან ასწაო შენ ქმნად ესე ღირსთა

მუშაკთა ბანაკსა შენსა შევედრებულთა,

მონაზონთა დიდებაო შიო.

გრძნობისანი არსებითად ოთხნი სრულიად დასცენ,

ხოლო აღრჩევითი და მეხუთე უფალი ჰყავ

ბუნებითთა მათ სკორედ შემრაცხველმან სულნელთა,

ამისთჳს მეორეთა ერთ გყვეს.

სამთა ნათელთა ცხოველად ვიცნობთ მამასა ღმერთსა

და ძესა ღმერთსა და სულსა წმიდასა ღმერთსა,

ერთსა ბუნებითსა ღმერთსა ერთ ძალად და ერთ ჴელმწიფებად ვძნობთ.

ჩრდილოთ მაღნართაჲ ღმერთი წმიდაჲ ცხებული ქრისტე,

ღმერთი მხილველსა ღმრთისაჲ გონებისა თესლით,

რომელი გამოგჳბრწყინდა ღმერთად

და კაცად მისთა მცნობელთა,

მარიამ ღმრთისმშობელად ვაქებდეთ.

**აკურთხევდითსა**

**304r** **ღირსნი ყრმანი**

მორთხმულებაჲ სულისა გუარსა ჴელოვნებით

და სიბრძნის მოყუარებით ჯაჭთა მიერ ოქროჲსათა

შესძერწე და იმუშაკენ, თჳთწარსხმული სარწმუნოებაჲ

სიმტკიცედ სისრულისა სასოებაჲ ახედვე,

შენ სიყუარული ღმერთსა მიუპყარ და იტყოდე:

გაკურთხევ შენ, ღმერთო ძნობილო,

ყოველთაგან აწ და უკუნისამდე.

სულად სულნელად შენთა მყნოსველმან

ყოვლად დასაწუველთაგან შეწყნარებულთა

ღმერთმან იხილა, რომელი სრულებით თჳსი თჳსად

მიპყრობილი შენ მიერ გულსავსე-გყო შ

ენ წინდად მერმეთა მათ თჳს აქავე მადიდებელმან შენმან,

**ოჲ,** დიდო დიდებაო მონაზონთაო

და კანონო კმაო ღმრთივგანბრძნობილო,

ღმრთივშემოსილო შიო

ხილვად შენისა განსვლისა აქათ

მღვდელთმოძღუარნი უწყებულნი, სულითა მოსრულნი,

განკჳრვებით გხედვიდეს შენ მღვდელთა თანა,

შენნი კრებულნი მხიარულებით შენისა სატრფოსათჳს

განბრწყინვებულსა პირითა და ნიშნი ურიცხობდეს

და თხოვათა შენთა სურვილ-ქმნაჲ მოგეცემოდა ზეცით ჴმისა სმენითა.

**304v** ნათელო დიდო ნათელთ მფლებელო,

**თჳთ** მთავარო, **თჳთ** ნათელო, **თჳთ** ღმერთო,

**თჳთ** არსო, **თჳთ** სამო და **თჳთ** მარტიო,

**თჳთ** უფალთავარო, განმინათლე მე სულისა მხედველობაჲ,

რაჲთა ნათლითა ნათელი გიხილო საცნაურად და ვჳმობდე:

გაკურთხევ შემოქმედსა უკუნისამდე, ღმერთსა სამებით დიდებულსა.

აღვსებასა ჟამთასა ჩუენ თჳს გამოჩნდა ევმანუელ,

რაჲთა იჴსნეს პირუტყუთა სახედ დამონებული კაცი

და ბაგასა პირუტყუთა თანა მიიწივნების

სახუეველითა შეკრული თბის მიმღები,

ოჲ, მარიამ, შენგან და ამისთჳსცა რიტორთა

ჴმანი ღმრთისმშობელად გიძნობენ ერთა თანა [მო]ქენეთა.

**ადიდებდითსა:.**

**305 r შენ მეოხო სანატრელო**

განწმენდილი რომელი სარკე თჳთმზრახველობად განსცვალე,

აღავსე ანგელოზთა მწყობრი, ნეტარო,

და იხილე უცხოჲ სახილავი, რომელსა იჭურობდ მარადის

და რომლისა გსუროდა, შიო საკჳირველო.

ენაჲ მოუძლურდების შესხმად შენდა,

დიდებულო, რამეთუ უაღრეს არს სიტყუათა საქმე,

არამედ ზეცით მოგუხედენ, შიო,

და დღესასწაულსა შენისა ჴსენებისასა თანა მგალობელად ნეტარო.

გონებისა მათ ძალთა ხუროვნებითა აღმკული

შენი უდაბნო, შიო ვითარ ითხოვე, დაიცევ საუკუნოდ,

ბრძენო, და ზედა მოსვლისაგან იჴსენ

ორ კერძოთა მტერთასა და მგალობელად, მაცხოვნე.

გამოთქმისაჲ ზესთა მდებო, მიუწდომელო ღმერთო

სამგუამოვნო, მონათა შენთა რომელნი ესრეთ თაყუანის-ვსცემთ,

აღგამაღლებთ და აღგიარებთ, ნუ დამსჯი,

რაჟამს მსჯიდე, მართალო მსაჯულო.

პირსა შენსა მძნობელნი ლიტანიობით მეფენი,

მღდელთმთავარნი და მღდელნი მთავართა თანა

და ყოვლისა ერისა შენისა ვნებანი

ღმრთისმშობელად მეტყუელნი დაიცვენ,

ოჲ, მარიამ, და ცოდვილი მაცხოვნე.

## დანართი 5 – გალობანი წმიდისა შიოსნი, რომელთა თავნი იტყჳან: „არსენი ქართლისა კათალიკოზი შიოს უგალობ“

**[უგალობდითსა]**

**ჴმაი ა:. სასწაულთა იჴსნა:.**

აღაღე პირი ჩემი, ღმრთისაჲ სიტყუაო,

რაჲთა აღმოვთქუაჲ შესხმა შემსგავსებული

საკჳრველისა შიოჲსი დღესა ამას **წმიდასა ხსენებისა** მისისასა,

რომელი შენ მხოლო უფრო ხარ გონებაჲთა.

რაბამ შუენიერ არს დღესასწაულობაჲ ჴსენებისა შენისა,

ოჲ, სანატრელო ღმრთივ-განბრძნობილო შიო,

და შჳილთა შენთა თანა იხარებენ დღეს ყოველნი,

მორწმუნეთა კრებულნი მგალობელნი, შენდამი

სრულებით შესწირე რაჲ ღმრთისაჲდამი,

განაძლიერე მისდა ხედვად გონებაჲ უსრულესთა მათ

და ყოვლად უწმინდესთა განცდად,

ოჲ, სანატრელო შიო, მნათობო უდაბნოსაო, ყუავილო მამათაო.

ენასა ზეშთა არს ქებაჲ შენი, ღირსო ვერ მისწუთების გონებაჲ

გამოთქმად ღუაწლთა, აღმატებულ არს ცხორებაჲ შენი

ძალსა სიტყუაჲთასა, მამაო, არამედ სურვილითა ძლეულნი

ძლეულნი გიძნობთ კრებასა ამას.

**განძლიერდასა:.**

**ღმერთო მოხედ:.**

ნივთა ლტოლვილი უნივთოდ უცხოებად ნივთთა

მოქმედსა ღმერთსა შეუდეგ, შიო, ჯმნილმან

აქათა პოვნიერებად იმსთუე და ანგელოზით

იგი შენი ზიარებაჲ აქავე მადლით განღმრთობითა მიიღე.

იაკობისებრ არათუ ლაბანს ჰმონე,

არამედ ტკბილსა მას უღელსა ქრისტესსა,

და შენცა ორნი მეუღლენი იქწმუნენე:

ღმრთისაჲ მოყვასისა თანა მტკიცე და სრული

სიყვარული და მსახურებაჲ, მამაო.

**306r** ქრისტეს ჰბაძევდი და ქრისტესი ისახენ,

ქრისტე მოიგე და ქრისტესა ჰზრახევდი,

ჯუარს აცუ მისებრ თავი შენი, მამაო,

და თჳსი თჳსსა მსხუერპლად სულად სუნელად მოანიჭე,

შიო, სულსა სხეული.

აღიმაღლე შენ, ვითარ ორბმან, სიმაღლედ საცნაურითა

ფრთითა მით სილისათა და განიცადე გონებისა სიწლოთა

მართალთათჳს აღთქმული,

რომელი თუალმან არა იხილა შუებაჲ გამოუთქმელი.

**მესმასა:.**

**პირველ აუწ:.**

რაოდენ ძალუძს სხეულებრსა დატევნად მიმსგავსებითა ღმრთისაჲთა,

სცხოვნდებოდე. მოღუაწებაჲ და სიწმინდე

და სიმართლე მდიდრად მოიგენ,

ვითარ თჳსნი ღმრთისანი, ოჲ, დიდებულო ნივთთმოქმედო მამაო.

თეზბიტელისა ელიასებრ ცხორებაჲ შენი მარხჳთა შეამკევ,

მამაო, და შენცა ღმერთმან მსგავსად მისსა მოგხედნა

საზრდელითა მით ზეცისათა, ნეტარო,

არა **ყორნითა,** გარნა ანგელოზითა. (306 v)

**ლომებრი** იგი ბრდღჳნვანი სატანასნი დაჴსნენ,

ვითარცა დედაზარდლისა ქსელნი და მის თანავე

ხილულნი იგი **მჴეცნი** დაიმორჩილენ მსახურებად

მონებრად და რომელნიმე ბრძანებითა იოტენ.

**306v** იორდანებრი მდინერესა განღებაჲ არა ხალენმან,

არამედ კუერთხმან ჴელმან საკჳირველისა

ევაგრის ჴელთა შინა შენთა აქა ყო,

მოძღურისა რაჲ სულითა აღივსო შენგან, ოჲ, საკჳირველო შიო.

**ღამითაგანსა:.**

**საცთურთა ბნელსა:.**

საყვრებრად რაჲ განისმნეს სასწაულნი შენნი,

მამაო, მეფენი და მთავარნი ძრწოლით გხედვიდეს,

ვითარცა ანგელოზსა, შენნი ილტვოდეს,

ბრმანი აღიხილვიდეს, ქებით მმადლობელნი ღმრთისაჲ თანა შენი.

კეთილთა წყაროჲ უხუებით მოეფინა ზოგად ყოველთა,

დღეს ჴსენებასა შენსა იშუებს ყოველი მორწმუნეთა სავსებაჲ,

მხილველნი შენსა ლარკანსა,

ოჲ, მამაო შიო, სურვილით მოქადულნი შენდამი.

აღსავსე ნები შემწუელი ნაკუერცხალთა მიერ სამჟამ

რაჲ მიუყნოსებდა ღმერთსა სულნელად,

სრულად მყნოსებელმან გიჩუენა,

სადა ენება თჳსი სადიდებელი სახლი,

ეჰა საკჳირველო, ზეშთა თქმუმისა.

თავდგმულობად და სისრულედ ღუაწლთა შენთა

უსახო **ღუაწლი-მღჳმე მოისიბრძნე შენ,**

ბნელი უნათლო მუნათა მათ ცის კართა

და უღამოთა სურვილითა,

ოჲ, შიო, და აწ მეოხ ხარ მადიდებელთა შენთათჳს.

აგარეანნი და ბარბაროზნი ბილწნი დასცენ

ოხათა შენთა მიერ, მამაო, და მეფე ჩუენი ძლევით

გვრგვნოსან ჰყავ და მტერნი ჩუენნი ზენად რისხვთა

დასცენ და მგალობელსა შემწე მექმენ,ოჲ, შიო.

**ღაღადყავსა:.**

**შთაჰდა იონა:.**

ორბისა მსგავსად განაახლე სიბერე ჭაბუკებრივად ახალმყოფმან,

შრომათა დღითიდღე აჰჭედ სათნოებათა ეტლსა

და წარუძღუ შენ მორჩილთა შენთა გზასა შეუცთომელსა,

შიო დიდო მნათობო.

ლოცვათა შენთა ხუავუთა მოგებული

და ცრემლთა შენთა მიერ მდიდრად მორწყული

უდაბნოჲ შენი გევედრების, მამაო, სამწყსო,

რომელი დაასხ, აღაორძინე, იმსთუე შეწევნად შჳლთა შენთა, ნეტარო.

ითხოვე ჩუენთჳს წყალობაჲ, ჵ, მამაო,

კადნიეებით წინასე მეუფისა,

რომლისათჳსცა სული შენი უარჰყავ,

მოგუხედენ, ტბილო, გულითა და სიტყვთა ტკბილად

ყოველთა ჴსენებასა შენსა დღეს.

**307v** კრებასა ამას დღეს იხარებს

ყოველი სოფელი ძნობით მონაზონთა კრებულსა

თანად ყოველნი ერნი მორწმუნეთანი,

ქუეყანა იშუებს მოქადული შენ მიერ და ანგელოზნი,

რომელთა შორის მკჳდრ ხარ.

**იბაკოჲ ბ҃:**ორებაჲ შენი ღმღთისმსახურებით წარმართე

და ჯუარისა აღმღებელმან დაუტევე ყოველივე,

სოფლისა უდაბნოსა შუენიერებაო შიო,

ვისა ვითარცა ცხოველსა გხადით,

ერი ქართველთა სურვილით შევიტკბობთ,

მამაო, ნუ დააცადებ ოხასა ჩუენთჳს.

**კურთხეულარსა:.**

**სიყუარულითა:.**

ორნივე წესნი - განჰკჳრდეს ღუაწლთა შენთა საკჳრველსა ზედა,

მამაო შიო, და ღმერთი იხარებდა

და აღგითქუა შენ აქავე მოსაგებელი შენი

და წინდი შრომათა შენთა.

სამწყსო შენი დღეს ბრწყინვალედ მოქადული

შრომათა შენთა ზედა დღესასწაულობს ჴსენებასა შენსა.

მვედრებელი შენდამი, სასოო ჩემო, ნეტარო შიო,

მე მამობრივნი ოხანი კუალად-მაგენ.

ისმინა შენი, საკუთრისა მონისა ღმერთმან

და აღგისრულა თხოვაჲ შენი,

რამეთუ ყოველთა მღვდელთმოძღვართა

და მღვდელთა ცნეს განსვლა შენი ამიერ

და შემოკრბეს ყოველნი უწყებული, სულითა ნეტარო.

შიო ნეტარო, საკჳრველო მამაო,

ღირს–იქმენ დიდებულთა საკჳრველთა აქავე

და გეუწყა ანგელოზისა მიერ განსვლა ჴორცთაგან,

და მისვლა წმიდათა მწყობრსა თანა, რომელთა შორის აწ იხარებ.

**აკურთხევდითსა:.**

**ყრმანი ბაბილ:.**

**308r** იხილეს ძალნი ზეცისანი,

ვითარცა რაჲ მათმან ზიარმან, განყვანებასა შენსა,

გულსავსე მქონელად შენდა და მხიარულად მოგიწოდდეს

შენ ტკბილად, და გიჩუენებდე წმიდათა მწყობრსა შენთჳს გარდამოსრულსა.

ორთა კრებათა ჰხედევდი, საკჳირველთა ანგელოზთა

და მართალთა მწყობრისასა, პატივად შენდა მოსრულსა მგალობელთა,

და განხუედ შენ მათ თანა მხიარულებით

და გუამი შენი გაბრწყინდა, ვითარცა მზე.

სრული სრულებით სრულთასა საყოფელსა

სისრულედ მოხუედ აღმავსებელად მათდა

და განიხარეს ყოველთა აღსვლაჲ შენი

და ქრისტე იხილე შენ, რომლისათჳსცა გსურდა, სანატრელო მამაო.

უნივთოსა მის ცხორებისა შენისა ნაცვლად მოიგე

უნივთო საყოფელი, სადაცა-იგი უნივთონი გესმიან საიდუმლონი, შიო, და განიცდი შენ უნივთოსა მას დიდებასა ღმრთისასა.

**ადიდებდითსა:.**

**ჯერ-არს დუ:.**

გონებისაგან ზესთათა უცნაურთა მიუწდომელთა

გრძნობაჲთაგან ყოველთა დამკჳდრებულ ხარ,

დიდებულო მამაო, და ზატიკობ შენ წინაშე სამებისა,

მოგუხედენ შენთა მედღესასწაულეთა.

**308v** არღარაჲ სარკით განიცდი და ჭჳრობით,

რაჲცა რაჲ იგი ღმრთისაჲ გარემოთა თჳს

მინიჭებულ არს და მეორეთა თანა გესმის

და ჰხედავ დიდსა ბრწყინვალებასა უხილავსა ღმრთეებისასა, შიო.

ლოცვანი ჩუენნი და სურვილით ძოზანი შენისა ამის ჴსენებისანი,

შიო, შეიწირენ და შეიწყალენ ყოველი,

რომელნი, ესე ქებად შემოკრებულ ვართ

კრებასა ამას შენსა ღმრთივ-ბრწყინვალესა.

ოხანი შენნი მამობრივ წინა-უყვენ ღმერთსა

და სამწყსო შენი საძნაურთაგან იჴსენ,

მამაო, და მონასტერი შენი, ვითარ ითხოვე,

საუკუნოდ დაიცევ შეურყეველად და შეუცვალებელად.

ბარბაროზნი და აგარიანნი დასცენ ოხათა შენთა მიერ,

მამაო, და მეფე ჩუენი ძლევით გჳრგვნოსან ჰყავ.

და მტერნი ჩუენნი ზენათ რისხჳთა დასცენ

და მგალობელსა შემწე მექმენ, ოჳ, შიო.

**გამოავლინე ჴმაჲ ბ:.**

მსგავსად სახარებისა ჴმისა,

ყოველი სოფელი დაუტევე უარისმყოფელმან მისმან,

ოჳ, შიო და აღიღე ჯუარი და შეუდექ ქრისტესა

და ნაგევად შერაცხე ყოველი,

ამისთჳსცა შეგამკო ღმერთმან ნიშთა მიერ

და სასწაულთა და აწ მეოხ გუეყავ ჴსენებისა შენისა შემსხმელთა.

**სხუანი:. დ გალობაჲ:.**

სანატრელო შიო, დიდ არს დიდებაჲ,

რომელი მოგვცა ღმერთმან

და აწ ანგელოზთა თანა იხარებ

და მუალნი შენნი ჰკურნებენ სნეულთა,

სამწყსო შენი დაიცევ უვნებლად

ყოველთაგან განსაცდელთა მეოხებითა შენითა.

## დანართი 6 - შიო მღვიმელის სვინაქსარული ცხოვრება ყველიერ[ი]სა ხუთშაბათსა ჴსენებაჲ საკვირველმოქმედისა წმიდისა მამისა შ ი ო ჲ ს ი

[ეს]ე იყო [ნათესავით] ასური, ქალაქისაგან ანტიოქიაჲსა, რომელ არს შუა[მდინარისა]ჲ, მშობელთა ღმრთის–მსახურთა და მდითართა შვი[ლი].

ამან ნეტარმან სიყრმესავე შინა თჳსსა იჯმნა ყოვლისაგან სოფლიოჲსა საშუებ[ელისა] და სიმდიდრე დაშთომილი მისდა განუყო გლახაკთა და თჳთ თავადი შეუდგა დიდსა იოვანესა შუამდინარელსა, რომელი იყოფებოდა უდაბნოსა შავისა მთისასა.

და დაყო ოცი წელიწადი მის თანა, წარვლნა ყოველნი სათნოებისა გზანი მრავალთა ღუაწლთა შინა განცდილმან, ვიდრემდის სიმდაბლითა თჳსთა აურაცხელნი სასწაულნი აღასრულნა.

ხოლო ოდეს იოვანე, მოძღუარი მისი, უწყებითა ღმრთისაჲთა ქუეყანად ქართლისა მოიწია, ესეცა ნეტარი მის თანევე მოგზაურ იქმნა და მის თანავე მოციქულობა [ქა]დაგებ[ად] აღასრულა, რომელთა ღმერთან მისცა ენაჲ ქართულად მეტყუელი.

ხოლო მიიღეს რაჲ კურთხევაჲ ევლალი კათალიკოზისაჲ განმავალთა მთად ზედაზნისა, ლოცვითა ამის ნეტარისაჲთა განვიდეს მდინარესა არაგუსა ჴმელად ჟამსა გაზაფხულისასა, რამეთუ დიდროოდა მაშინ.

შემდგომად წელთა რაოდენთამე ამან ნეტარმან შიო აღირჩია დაყუდებით ცხორებაჲ ჴევსა შინა სარკინისასა, რომელსა აწ მღჳმე ეწოდების, რომელსა შინა ძლიერად მოღუაწებითა და ბუნებისა კაცთაჲსა უზეშთაესითა მარხვითა ყოველნი ეშმაკისა ბრძოლანი, ვითარცა დედაზრდილისა ქსელნი, დაჴსნნა. და ღირს იქმნა გამოცხადებასა ყოვლად წმიდისა ღმრთის–მშობელისასა და ნათლის-მცემელისა იოვანესა აურაცხელთა თანა ანგელოზთა, რომელთა კრებული იხილვებოდა ქუაყანით ცადმდე მგალობელნი გალობასა უცხოსა, რომელთა განაძლიერეს ნეტარი შიო და წმიდამან ღმრთის-მშობელმან შთაუდვა პირსა მისსა შესაჭმელი რაჲმე უცხოჲ კაცთაგან და ჰრქუა მას: „ამიერთაგან კაცობრივი საზრდელი არღარა გიჴმს შენ; და უბრძანებიეს

ძესა ჩემსა, ქრისტესა ღმერთსა, რაჲთა ერთი ანგელოზი მარადის მყოფ იყოს შენ თანა და გზრდიდეს და სცვიდეს ცხორებასა შენსა“. და ამაღ

## დანართი 7 - გალობანი წმინდისა მოციქულისა ნინოისნი თავნი იტყვან: „ქებით უგალობ სასოსა ჩემსა ნინოს. არსენი“ უგალობდითსა

ქრისტე, აღახუენ ძნობად ბაგენი ჩემი
ქალწულისა დედისა მოციქულისა
და ქადაგისა შენისა ნინოჲს შესხმად!
განმინათლე გონებაჲ, რათა მიუზღვე
ღისსა მას ღირსნი სიტყუათა ყუავილითა.

**ენაჲ, რომელი არა იცოდა, ესმა,**
სულმან განაპოხა რაჲ ქადაგი თჳისი,
იქმნა ღმრთისმხილველ, ურჩისათჳს ერისა
ეკლოვანსა ფიცხელთა სულითა მოძრავმან
ბრძენმან ნინო თავი თჳისით უმსხვწრპლა.

**ბარბაროზნი და უჟიკნი ქედფიცხელნი**
ტრედმან წმიდამან, დასავლით მჴობელმან,
სიტკბოებათა თჳსსთა მიერ დუმილით

ჭელთ უსხნა შემოქმედსა, სძალმან წმიდამან
სიძესა თჳსსა, განზანილნი მადლითა .

იქმნა ორღანო მადლთა შენთაჲ, ქალწულო,
ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო,
და წილხუდომილთა შენთა განმანათლებელნი
ნინო, ამისთჳს აღვსძრავთ მას შენდა მომართ
მეოხად ჩუენთჳს, იღუაწე სამწყსოჲ შენი!

განძლიერდასა:.

ღმერთო, მომხედენ

III

თჳსთათჳს თვსნი მოიხსენნა წყალობით,
თჳსა ერთგული მახარებელ-გყო ღმერთმან
არა მდედრი, არცაღა მამაკაცი,
გარნა ვინ იგი სულმან ჩემმან აღავსოს,
მოგავლინა და მოგჳწოდა ძე თჳსად.

უცნობელთა და მძიმეთა საზურველი
გულითაჲ აღგუეჴსნა და ლოდები აღელო
სამარეთაგან და დაყროლებულნი მკუდარნი
საყჳრთა მიერ შენთა აღვემართენით,

წმიდაო ნინო, მოციქულო ქრისტჱსო.

განღებულ იქმნა ქუესკნელისა ბჭეები,
მკუდარნი, მას შინა პყრობილნი სატანაჲსნი,
განვთავისუფლდით შენითა,
არმაზს შეედვა ძრწოლაჲ მეხის ტეხითა
და ზადენისნი უხმარ იქმნნეს სიცბილნი.

აღვემართენით შენ მიერ გამოჴსნილნი,
ჵ ღმრთისმშობელო, რაჟამს სათნო იჩინე
დედაკაცისა მიერ განზანაჲ ჩუენი
ემზაზითა სრულ-ქმნაჲ მეცნიერებად
ძისა შენისა ნინოჲს მიერ ღისისა.

**მესამესა:.**

**პირველ აუწყა**

IV

ლომებრ ახოვან იყავ, ბრძენო, გულითა,
არაჲ გრცხუენოდა ქადაგებად ქრისტჱსა,
პართნი აღავსენ სასწაულითა ელვითა,

გაიანე და რიფსიმე ძღუენად მიუპყრენ ქრისტესა,
ხოლო მან შენ ჩუენთჯის დაგმარხა.

**ო**რბებრ გუგასა შინა მხედველობითსა
შეიკრიბე შენ სივრცჱ სოფლისაჲ, ნინო,
და განიცადენ უჭმნი საჭმელად კეთილნი
და მიმართე, ვიდრემდის ბრჭალსა შენსა
ჴელთ უსხენცა დიდ სანოაგედ მოქმედმან.

**ბ**ნელსა განჰყარე ბნელისა მოხუევითა,
ბრძენსა მეფესა მსგავსსა კონსტანტინესა,
ჵ ჴელოვანო მკურნალო და მოძღუარო,
ვლიტანიობთ ჩუენ პირსა შენსა,
ქალწულო,ქრისტეს ქადაგო და დიდო მოციქულო.

**ს**აცთურთაჲთ ჴსნილი და შენ მიერ, ღმრთისმშობელო,
წილად ხუდომილნი შენნი ქართველთა ერნი
ნინოჲს ღირსისა მიერ ქადაგებითა
ვჴმობთ შენდა მომართ, ჵ მაცხოვრებაო ჩუენო,
გუაცხოვნენ, ქრისტეს ღმრთისა დედაო.

ღამითაგანსა:.

საცთურთა

V

აღიფხურნეს კერპნი საფარველითურთ მათით

და აღემართნეს ქრისტეს ეკლესიანი,

ჯუარსა ქრისტესსა კუართსა თანა და სუეტსა,

ნაცვლად არმაზ ბილწისა, უგალობენ

შვილნი სიონისანი, შენგან განათლებულნი.

სიონისანი შვილნი პირველ ბაბილონს

შერევნისასა ტყუენი საცთურებითა,

ვერ მგალობელნი უფლისა გალობასა,

აწ აღმოსვლისასა **ემზაზით** იტყჳან, ქრისტეს,

შეიმოსეთ ქრისტეს ნათლისღებითა.

ოდეს მთავრობდა ფარაო შვილთა ზედა

ღმრთისათა ბნელსა ეგჳპტეს მსხემნი

არა უფლობდეს უფლისა დამონებად,

არამედ დღეს ნინოჲსგან გამოჴსნილნი

ჩუენ, შვილნი სიონისანანი, ღმერთსა უგალობთ.

სენით, ჩემ ზედა მდებარით, აღვემართე,

